16

ინფორმაცია საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების მოსალოდნელი შედეგებისა და ინდიკატორების შესახებ

(პროგრამული ბიუჯეტის დანართი)

თბილისი

2019

ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების მოსალოდნელი შედეგები და ინდიკატორები

ხელმისაწვდომი, ხარისხიანი ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

კოდი	დასახელება	2020 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი
27 02	მოსახლეობის სოციალური დაცვა	3,126,000.0	3,126,000.0	-	3,530,000.0	3,812,400.0	4,117,392.0
27 03	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა	1,076,380.0	1,076,380.0	-	1,100,000.0	1,120,000.0	1,150,000.0
27 01	ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვა	59,085.0	57,885.0	1,200.0	59,200.0	59,300.0	59,360.0
27 04	სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა	15,000.0	15,000.0	-	20,000.0	20,000.0	20,000.0
37 00	სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური	8,400.0	8,000.0	400.0	8,400.0	8,400.0	8,400.0
21 00	სსიპ - საპენსიო სააგენტო	5,000.0	5,000.0	-	5,000.0	-	-
27 05	შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამა	5,000.0	5,000.0	-	7,000.0	7,000.0	7,000.0
30 05	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა	4,193.0	4,123.0	70.0	4,223.0	4,223.0	4,223.0
39 00	ა(ა)იპ - საქართველოს სოლიდარობის ფონდი	260.0	260.0	-	260.0	260.0	260.0
	სულ	**4,299,318.0**	**4,297,648.0**	**1,670.0**	**4,734,083.0**	**5,031,583.0**	**5,366,635.0**

მოსახლეობის სოციალური დაცვა (27 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო; სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი
აღწერა და მიზანი	მოქალაქეთათვის საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული სოციალურ-ეკონომიკური უფლებების რეალიზება, მიზნობრივი სოციალური ჯგუფების მატერიალური მდგომარეობის შემსუბუქება და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (მათ შორის, ბავშვთა), ხანდაზმულთა და მზრუნველობას მოკლებულ, სოციალურად დაუცველ, მიუსაფარ და მიტოვების რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთა ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და მათი საზოგადოებაში ინტეგრაცია პრევენციული, სარეაბილიტაციო, ალტერნატიული, ოჯახის გასაძლიერებელი მომსახურებებით და დამხმარე საშუალებებით; საპენსიო ასაკის პირთა (ქალებისა – 60 წლიდან, მამაკაცებისა – 65 წლიდან) პენსიით და პირთა სპეციფიკური კატეგორიების (ძალოვანი სტრუქტურების, პროკურატურის, სამოქალაქო ავიაციის მუშაკების, საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრების, უმაღლესი რანგის დიპლომატების და სხვათა) სახელმწიფო კომპენსაციით უზრუნველყოფა; სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისთვის საარსებო შემწეობის, მიზნობრივი ჯგუფებისთვის „სოციალური პაკეტის“, დევნილთა, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების მქონე პირთა შემწეობების, რეინტეგრაციის შემწეობის, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის ფულადი ბენეფიტების, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, აგრეთვე ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარების გაცემა დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად; შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება; „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პენსიონერებისთვის/„სოციალური პაკეტის“ მიმღებთათვის დანამატის დაფინანსება პენსიის/„სოციალური პაკეტის“ 20 % ოდენობით; დანამატების დაფინანსება სამედიცინო პერსონალისთვის: ექიმისთვის – პენსიის ორმაგი ოდენობით, ექთნისთვის – პენსიის ერთმაგი ოდენობით; მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები აბონენტებისთვის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის) მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელექტროენერგიის ყოველთვიური საფასურის 50 % (არაუმეტეს მოხმარებული 100 კვტ.სთ ელექტროენერგიის საფასურისა) ანაზღაურება; ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის, სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა/დაზარალებულთა/სავარაუდო მსხვერპლთა სამართლებრივი დაცვა, სამედიცინო მომსახურების ორგანიზება/მიღების უზრუნველყოფა და ფსიქოსოციალური რეაბილიტაციისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება;

	პროგრამის ფარგლებში მოწყვლადი ჯგუფებისთვის განხორციელებული ფულადი გასაცემლები ხელს უწყობენ მდგარდი განვითარების მიზნებით (SDG) გათვალისწინებული 1.3.1 ვალდებულების შესრულებას.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მოქალაქეთათვის კანონმდებლობით გარანტირებული და რეალიზებული სოციალურ-ეკონომიკური უფლებები; მოწყვლადი ჯგუფების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, დეინსტიტუციონალიზაცია, მიტოვების პრევენცია, რეინტეგრაცია; შშმ პირთა უწყვეტი ფინანსური მხარდაჭერა; ოჯახების გაძლიერება, ალტერნატიული სერვისების განვითარება და მათი ხელმისაწვდომობის გაზრდა; საზოგადოების ცნობიერების მაღალი დონე, ნდობა და ჩართულობა ძალადობის მსხვერპლთა დაცვასთან დაკავშირებით.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - კანონით განსაზღვრული ბენეფიციარები და მიზნობრივი სოციალური ჯგუფები დროულად იღებენ პენსიას/კომპენსაციას, საარსებო შემწეობას, სოციალურ პაკეტს და სხვა მიზნობრივ დახმარებას; განსაზღვრული საჭიროების მქონე მოსახლეობა დაფარულია: მიზნობრივი სოციალური დახმარებით, სქესის მიხედვით: 8.3% (გარდა სოციალური პაკეტის მიმღებების და პენსიონრებისა), ბავშვები: 37.6%, ქალები: 54.3%; სოციალური პაკეტი: 4.5%, საიდანაც 20% არიან ბავშვები, ხოლო 36.7% - ქალები, პენსიები 20.2% - ქალები 71.1%. (გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები (1.3.1)) სულ 33%; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - კანონით განსაზღვრული ბენეფიციარები და მიზნობრივი სოციალური ჯგუფები დროულად იღებენ პენსიას/კომპენსაციას, საარსებო შემწეობას, სოციალურ პაკეტს და სხვა მიზნობრივ დახმარებას; შენარჩუნებულია საჭიროების მქონე მოსახლეობის დაფარვა მიზნობრივი ფულადი ტრანსფერებით არანაკლებ - 33%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2%; **შესაძლო რისკები** - ნაკლები მიმართვიანობა 2. **საბაზისო მაჩვენებელი** - „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის“ პროგრამის ქვეპროგრამებში ჩართული ბენეფიციარების რაოდენობა - 10 000; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2023 წლისთვის ბენეფიციართა რაოდენობის დაახლოებით 20%-ით ზრდა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 3-8%; **შესაძლო რისკები** - სერვისის მიმწოდებელთა რესურსის ნაკლებობა

მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფა (27 02 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
აღწერა და მიზანი	საპენსიო ასაკის პირთა (ქალებისა – 60 წლიდან, მამაკაცებისა – 65 წლიდან) პენსიით და პირთა სპეციფიკური კატეგორიების (ძალოვანი სტრუქტურების, პროკურატურის, სამოქალაქო ავიაციის მუშაკების, საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრების, უმაღლესი რანგის დიპლომატების და სხვათა) სახელმწიფო კომპენსაციით უზრუნველყოფა; მოქალაქეთათვის საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული სოციალურ-ეკონომიკური უფლებების რეალიზება.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	საპენსიო ასაკის მოსახლეობა და სპეციფიური კატეგორიები უზრუნველყოფილია პენსიით და სახელმწიფო კომპენსაციით.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - კანონით განსაზღვრული ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი არიან პენსიით და გაცემა ხდება დროულად (მიმღებთა რაოდენობა დაახლოებით 750 ათასამდე პირი, მათ შორის 29% მამაკაცი, 71% ქალი); „მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის“ მიხედვით პენსიის გავლენა უკიდურეს სიღარიბეზე - პენსიის გამოკლებით უკიდურესი სიღარიბე საშუალოდ 2.43%-დან გაიზრდებოდა 30.5%-მდე; (http://unicef.ge/uploads/WMS_2013_geo.pdf; http://unicef.ge/uploads/Welfare_Monitoring_Survey_Georgia-GEO_WEB.pdf; http://unicef.ge/uploads/WMS_brochure_unicef_geo_web.pdf); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნდება პენსიის დროულად გაცემის მაჩვენებელი; შენარჩუნდება პენსიის გავლენის მაჩვენებელი უკიდურეს სიღარიბეზე; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2%; **შესაძლო რისკები** - ნაკლები მიმართვიანობა 2. **საბაზისო მაჩვენებელი** - კანონით განსაზღვრული ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი არიან კომპენსაციით და გაცემა ხდება დროულად (მიმღებთა რაოდენობა 22.9 ათასი პირი, მათ შორის 80% მამაკაცი, 20% ქალი); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნდება კომპენსაციის დროულად გაცემის მაჩვენებელი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2%; **შესაძლო რისკები** - ნაკლები მიმართვიანობა

მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარება (27 02 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
აღწერა და მიზანი	მიზნობრივი სოციალური ჯგუფების მატერიალური მდგომარეობის შესამსუბუქებლად სიღარიბის ზღვარს ქვემოთ

	მყოფი ოჯახებისთვის საარსებო შემწეობის, მიზნობრივი ჯგუფებისთვის „სოციალური პაკეტის“, დევნილთა, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების მქონე პირთა შემწეობების, რეინტეგრაციის შემწეობის, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის ფულადი ბენეფიტების, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, აგრეთვე ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარების გაცემა დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად; შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება; ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების უზრუნველყოფის მიზნით სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ოჯახებისათვის (სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 100 000-ზე და ცხოვრობენ 16 წლამდე ბავშვები) ყოველთვიური დახმარება გაზრდილი ოდენობით .
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მიზნობრივი სოციალური ჯგუფებისათვის სოციალური ტრანსფერის გაცემა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან სოციალური დახმარებით და გაცემა ხდება დროულად (მიმღებთა რაოდენობა 435 450 პირი, მათ შორის პენსიონერთა, შშმ პირთა და ბავშვთა რაოდენობა 53%); დახმარების მიმღები ბავშვების რაოდენობა - 144 000-მდე ბავშვი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნდება დახმარებების დროულად გაცემის მაჩვენებელი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2%; **შესაძლო რისკები** - ნაკლები მიმართვიანობა **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილნი არიან სოციალური პაკეტით და გაცემა ხდება დროულად (მიმღებთა რაოდენობა დაახლოებით 165 012 პირი, მათ შორის 63% მამაკაცი, 37% ქალი); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნდება სოციალური პაკეტის დროულად გაცემის მაჩვენებელი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2%; **შესაძლო რისკები** - ნაკლები მიმართვიანობა **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - დევნილი, ლტოლვილი და ჰუმანიტარული სტატუსი მქონე პირები უზრუნველყოფილნი არიან შემწეობით და გაცემა ხდება დროულად (მიმღები დაახლოებით 227 705 პირი, მათ შორის 46,3 % მამაკაცი, 53,7% ქალი); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნდება სოციალური პაკეტის დროულად გაცემის მაჩვენებელი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2%; **შესაძლო რისკები** - ნაკლები მიმართვიანობა **4.**

	საბაზისო მაჩვენებელი - მოწყვლადი ჯგუფები უზრუნველყოფილნი არიან სხვა სოციალური დახმარებებით (რეინტეგრაციის შემწეობა, ფულადი დახმარება ორსულობის, მშობიარობის, ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო, დახმარება შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიღებული ზიანის ანაზღაურებისთვის, საყოფაცხოვრებო სუბსიდია, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების ფულადი დახმარება) და გაცემა ხდება დროულად (დაახლოებით - 30000 პირი); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნდება სოციალური დახმარებების დროულად გაცემის მაჩვენებელი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - ბიოლოგიური ოჯახების არასაკმარისი მზაობა, არაკეთილსაიმედო ოჯახური გარემო ბავშვისთვის, ნაკლები მიმართვიანობა, პროგრამის ცვლილება **5.** **საბაზისო მაჩვენებელი** - სოფლის განვითარების სტრატეგიის ფარგლებში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით ყოველწლიურად უარყოფითი ბუნებრივი მატების რეგიონებში და ასევე მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები ბავშვები უზრუნველყოფილნი არიან სოციალური დახმარებით და გაცემა ხდება დროულად (ბენეფიციართა რაოდენობა 11 ათასზე მეტი პირი); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნდება დახმარების დროულად გაცემის მაჩვენებელი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2%; **შესაძლო რისკები** - ნაკლები მიმართვიანობა, შობადობის კლება

სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვზე ზრუნვა (27 02 03)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
აღწერა და მიზანი	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (მათ შორის, ბავშვთა), ხანდაზმულთა და მზრუნველობას მოკლებულ, სოციალურად დაუცველ, მიუსაფარ და მიტოვების რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთა ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და მათი საზოგადოებაში ინტეგრაცია; ქვეპროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილია დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის და ინსტიტუციონალიზაციის პრევენციის ხელშეწყობა და არსებული სერვისების მხარდაჭერა და გაძლიერება; კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარება.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სოციალური სერვისებით და პროდუქტებით მიზნობრივი ჯგუფების უზრუნველყოფა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - სოციალური სერვისებით და პროდუქტებით უზრუნველყოფილია არანაკლებ 10 000 ბენეფიციარი;

	მიზნობრივი მაჩვენებელი - სოციალური სერვისებით და პროდუქტებით დამატებით უზრუნველყოფილია ბენეფიციარების არანაკლებ 5%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 3-8%; **შესაძლო რისკები** - სერვისის მიმწოდებელთა რესურსის ნაკლებობა **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 24 საათიანი სერვისით უზრუნველყოფილია თვეში არანაკლებ 2200 ბენეფიციარი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნებულია 24 საათიანი სერვისით მოსარგებლე ბენეფიციართა ყოველთვიური რაოდენობა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 3-8%; **შესაძლო რისკები** - სერვისის მიმწოდებელთა რესურსის ნაკლებობა **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - მიტოვების პრევენციისა და ადრეული ინტერვენციის ქვეპროგრამებით დაფარულია თვეში არანაკლებ 3700 ბენეფიციარი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნებულია მიტოვების პრევენციისა და ადრეული ინტერვენციის ქვეპროგრამებით ყოველთვიურად დაფარული ბენეფიციარების რაოდენობა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 3-8%; **შესაძლო რისკები** - სერვისის მიმწოდებელთა რესურსის ნაკლებობა **4.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 2019 წელს მონიტორინგი ჩაუტარდება მონიტორინგის გეგმით განსაზღვრულ არანაკლებ 60 სერვისს; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - დამონიტორინგებული სერვისების მინიმუმ 10%-ში ჩატარებულია განმეორებითი მონიტორინგი (რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის მიზნით); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 3-8%; **შესაძლო რისკები** - პროგრამაში ძირეული ცვლილებები

სოციალური შეღავათები მაღალმთიან დასახლებაში (27 02 04)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
აღწერა და მიზანი	„მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემდეგი შეღავათების დაფინანსება: მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პენსიონერებისთვის – დანამატისა პენსიის 20%-ის ოდენობით; „სოციალური პაკეტის“ მიმღებთათვის – დანამატისა „სოციალური პაკეტის“ 20% ოდენობით; დანამატებისა მაღალმთიან დასახლებაში მდებარე, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ და მის მართვაში არსებულ სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებული სამედიცინო პერსონალისთვის (ექიმისთვის – პენსიის ორმაგი ოდენობით, ექთნისთვის – პენსიის ერთმაგი ოდენობით); აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელექტროენერგიის ყოველთვიური საფასურის 50% (არაუმეტეს მოხმარებული 100 კვტ.სთ ელექტროენერგიის საფასურისა) ანაზღაურება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი	გაუმჯობესდება მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრები ოჯახების სოციალური მდგომარეობა, მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები პენსიონერები/სოციალური პაკეტის მიმღები პირები/სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებული სამედიცინო პერსონალი მიიღებენ სახელმწიფო გასაცემელს გაზრდილი ოდენობით.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პენსიონერები/სოციალური პაკეტის მიმღები პირები/სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებული სამედიცინო პერსონალი უზრუნველყოფილნი არიან დანამატით და გაცემა ხდება დროულად; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნდება დანამატის დროულად გაცემის მაჩვენებელი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2%; **შესაძლო რისკები** - მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სტატუსის მქონე პირთა რაოდენობის შემცირება

სახელმწიფო ზრუნვის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების უზრუნველყოფა (27 02 05)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი
აღწერა და მიზანი	ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), გენდერული ნიშნით ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის, სექსუალური ხასიათის ძალადობის მსხვერპლთა დაცვა და მხარდაჭერა; მსხვერპლთა თავშესაფრით, დროებითი სადღეღამისო საცხოვრისითა და დღის მომსახურებით უზრუნველყოფა, ასევე, ფსიქოლოგიურ-სოციალური დახმარება/რეაბილიტაციის, სამედიცინო მომსახურებისა და/ან ოჯახსა და საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხელშეწყობა; იურიდიული მხარდაჭერა; ხანდაზმულთა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა ოჯახურ გარემოსთან მიახლოებული პირობების შექმნა, სადღეღამისო მომსახურების ფარგლებში მოვლა-პატრონობა, კვება, პირველადი სამედიცინო მომსახურება, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ღონისძიებების გატარება/ორგანიზება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა; სოციალური სისტემის მეშვეობით ფონდის დაწესებულებებში ჩარიცხულ პირთა გრძელვადიანი საცხოვრებლით, სადღეღამისო მომსახურებით, ასევე, ფსიქოლოგიურ-სოციალური რეაბილიტაციისა და სოციალური ფუნქციონირების გაუმჯობესების მხარდაჭერით სახელმწიფო უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	საზოგადოების ცნობიერების მაღალი დონე, ნდობა და ჩართულობა ძალადობის მსხვერპლთა დაცვასთან დაკავშირებულ საქმიანობაში; ალტერნატიულ ფორმებში გადაყვანილი ფონდის ზრუნვის ქვეშ მყოფი ბავშვები (მინდობით აღზრდა, შვილად

	აყვანა, მცირე საოჯახო ტიპის სახლი, ნათესაური მინდობით აღზრდა); ფიზიკურად და სოციალურად აქტიური და სათემო ცხოვრებაში ჩართული ფონდის მზრუნველობაში მყოფი შშმპ დაწესებულების ბენეფიციარები.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ცნობიერების ამაღლების კუთხით ჩატარებული პრევენციული ღონისძიებების შედეგად ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ოჯახში ძალადობის შემთხვევებთან დაკავშირებით მომართვიანობის (მ.შ. თავშესაფარი, იურიდიული, ფსიქოლოგიური და სამედიცინო მომსახურება, კომპენსაცია, ცხელი ხაზი) მაჩვენებელი 2900 ერთეული; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის ზრდა 10%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - -/+5; **შესაძლო რისკები** - შეთავაზებული სერვისების საჭიროების არქონა **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - სახელმწიფო ზრუნვის ინსტიტუციურ ფორმებში მყოფი ბავშვების ალტერნატიულ ფორმებში (მინდობით აღზრდა, შვილად აყვანა, მცირე საოჯახო ტიპის სახლი, ნათესაური მინდობით აღზრდა) გადაყვანის მაჩვენებელი 15 ერთეული; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის ზრდა 15%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - -/+5; **შესაძლო რისკები** - სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მოძიებული ალტერნატიული ფორმების არასაკმარი რაოდენობა; დონორი ორგანიზაციის მოძიება **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ფონდის მზრუნველობაში მყოფი შშმპ დაწესებულების ბენეფიციარების 60 კულტურულ ღონისძიებაში ჩართვა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის ზრდა 10%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - -/+5; **შესაძლო რისკები** - ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობა/პარტნიორი ორგანიზაციები

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა (27 03)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო; სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი; სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმრების ცენტრი
აღწერა და მიზანი	მოსახლეობისთვის ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდა; დაავადებათა პრევენციის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის საფრთხეებისათვის მზადყოფნის და საპასუხო

	რეაგირების უზრუნველყოფა; გეგმური და გადაუდებელი ამბულატორიული, გადაუდებელი სტაციონარული და გეგმური ქირურგიული მომსახურება, ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია; მშობიარობისა და საკეისრო კვეთის სერვისების დაფინანსება; ბენეფიციართა გარკვეული ჯგუფების (სოციალურად დაუცველთა, საპენსიო ასაკის პირთა, ვეტერანთა და სხვათა) შესაბამისი მედიკამენტებით უზრუნველყოფა; მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა სტაციონარული სამედიცინო მომსახურება; ინფექციური და პარაზიტული დაავადებების მქონე ავადმყოფთა სტაციონარული სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფა; მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა პრევენცია; დონორული სისხლისაგან დამზადებული სისხლის პროდუქტების უსაფრთხოების უზრუნველყოფა; დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის, იმუნიზაციის, დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგის ხელშეწყობა, აგრეთვე ისეთი გადამდები დაავადებების, როგორებიცაა ტუბერკულოზი, მალარია, ვირუსული ჰეპატიტები, აივ ინფექცია, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების გავრცელების კონტროლი; C ჰეპატიტის ელიმინაციის ხელშეწყობა; ნარკომანიით დაავადებულ პირთა სამკურნალო და სარეაბილიტაციო მომსახურებით უზრუნველყოფა; ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე მოსახლეობის ამბულატორიული, სტაციონარული და სათემო სერვისებით, საცხოვრისებით უზრუნველყოფა; დიაბეტით დაავადებული პაციენტების მკურნალობა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურება; თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებული პაციენტების დიალიზით, თირკმლის ტრანსპლანტაციითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; ინკურაბელური პაციენტების მკურნალობა და ტკივილის მართვის მიზნით მედიკამენტებით უზრუნველყოფა; იშვიათი დაავადებების მქონე პაციენტთა მკურნალობა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; სასწრაფო სამედიცინო დახმარების, სამედიცინო ტრანსპორტირებისა და სოფლად ამბულატორიული მომსახურების უზრუნველყოფა; ინდივიდუალური რეფერალური დახმარების უზრუნველყოფა; თავდაცვის ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება; მიზნობრივი ჯგუფების ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფა; დონორების მიერ დაფინანსებული მიმდინარე პროგრამების ეტაპობრივად სახელმწიფოს ვალდებულებებში ასახვა; მაღალმთიანი და საზღვრისპირა მუნიციპალიტეტების, ასევე, „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მუნიციპალიტეტებისათვის დეფიციტურ და პრიორიტეტულ საექიმო სპეციალობებში საექიმო სპეციალობის მაძიებელთა დიპლომისშემდგომი/სარეზიდენტო მზადების დაფინანსება, დიპლომისშემდგომი განათლების რეგულირების მექანიზმების ეფექტიანობის გაზრდა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებით უნივერსალური მოცვა.

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებელი 100 მოსახლეზე: 13.5 (2018 წლის მაჩვენებელი); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - გაუთვალისწინებელი ეპიდემიები და კატასტროფები **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 1 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა 1000 ცოცხლადშობილზე- 8,1 (2018 წლის მაჩვენებელი); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირება 0,5%-ით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - ინფექციური დაავადებების გაუთვალისწინებელი ეპიდემია; სამედიცინო დაწესებულებების მხრიდან სერვისის მიწოდების ორგანიზაციული ხარვეზები **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის მიერ მიღებული მშობიარობების წილი - 99.9%; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის მიერ მიღებული მშობიარობების არსებული წილის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 0.5%; **შესაძლო რისკები** - მოსახლეობის ცნობიერების დაბალი დონე **4.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ამბულატორიული მიმართვების რაოდენობა 1 სულ მოსახლეზე - 3.3 (2018 წლის მაჩვენებელი); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მიმართვიანობის გაზრდა 0,5%-ით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - მოსახლეობის ცნობიერების დაბალი დონე; სამედიცინო დაწესებულებების მხრიდან სერვისის მიწოდების ორგანიზაციული ხარვეზები

მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა (27 03 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
აღწერა და მიზანი	მოსახლეობისთვის ჯანმრთელობის დაცვის სერვისების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით: გეგმური და გადაუდებელი ამბულატორიული, გადაუდებელი სტაციონარული და გეგმური ქირურგიული მომსახურების, ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპიის, მშობიარობისა და საკეისრო კვეთის სერვისების დაფინანსება; ბენეფიციართა გარკვეული ჯგუფების (სოციალურად დაუცველთა, საპენსიო ასაკის პირთა, ვეტერანთა და სხვათა) შესაბამისი მედიკამენტებით უზრუნველყოფა; მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა სტაციონარული სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა; ინფექციური და პარაზიტული დაავადებების მქონე

	ავადმყოფთა სტაციონარული სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სახელმწიფოს მიერ მიღწეულია სამედიცინო სერვისებით მოსახლეობის უნივერსალური მოცვა, მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილნი არიან შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი -** ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებელი 100 მოსახლეზე-13.5 (2018 წლის მაჩვენებელი); **მიზნობრივი მაჩვენებელი -** შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 20%; **შესაძლო რისკები -** გაუთვალისწინებელი ეპიდემიები და კატასტროფები **2.** **საბაზისო მაჩვენებელი -** ამბულატორიული მიმართვების რაოდენობა 1 სულ მოსახლეზე-3,3 (2018 წლის მაჩვენებელი); **მიზნობრივი მაჩვენებელი -** მიმართვიანობის გაზრდა 0,5%-ით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5%; **შესაძლო რისკები -** მოსახლეობის ცნობიერების დაბალი დონე **3.** **საბაზისო მაჩვენებელი -** სამედიცინო სერვისებით მოცვის მაჩვენებელი- 99% (2017 წლის HUES მონაცემები); **მიზნობრივი მაჩვენებელი -** სამედიცინო სერვისებით მოცვის მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5%; **შესაძლო რისკები -** სერვისის კერძო მიმწოდებლების მიერ მათთვის არასასურველი სერვისების მიწოდების შეწყვეტა

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა (27 03 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო; სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
აღწერა და მიზანი	მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა პრევენცია; დონორული სისხლისაგან დამზადებული სისხლის პროდუქტების უსაფრთხოების უზრუნველყოფა; დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის, იმუნიზაციის, დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგის ხელშეწყობა; ისეთი გადამდები დაავადებების, როგორებიცაა: ტუბერკულოზი, მალარია, ვირუსული ჰეპატიტები, აივ ინფექცია, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების გავრცელების კონტროლი; C ჰეპატიტის ელიმინაციის ხელშეწყობა; ნარკომანიით დაავადებულ პირთა სამკურნალო და სარეაბილიტაციო მომსახურებით უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება; ტუბერკულოზით, აივ–ინფექცია/შიდსით და სხვა სოციალურად საშიში დაავადებებით ავადობის შემცირება და ეპიდზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესება;

	ეროვნული კალენდრით გათვალისწინებული აცრებით მოსახლეობის მოცვა; C ჰეპატიტის გავრცელების შემცირება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი -** დედათა სიკვდილიანობა 100 000 ცოცხლადშობილზე - 27.4 (2018 წლის მაჩვენებელი); **მიზნობრივი მაჩვენებელი -** დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირება 1%-ით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 0,5%; **შესაძლო რისკები -** ინფექციური დაავადებების გაუთვალისწინებელი ეპიდემია, სამედიცინო დაწესებულებების მხრიდან სერვისის მიწოდების ორგანიზაციული ხარვეზები **2.** **საბაზისო მაჩვენებელი -** ტუბერკულოზის პრევალენტობის საბაზისო მაჩვენებელი 100 000 მოსახლეზე- 69.4 (2018 წლის მაჩვენებელი); **მიზნობრივი მაჩვენებელი -** ტუბერკულოზის პრევალენტობის მაჩვენებლის შემცირება წინა წელთან შედარებით 5%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5%; **შესაძლო რისკები -** პაციენტთა დამყოლობის დაბალი მაჩვენებელი **3.** **საბაზისო მაჩვენებელი -** ეროვნული კალენდრით გათვალისწინებული ვაქცინები და ასაცრელი მასალების შესყიდვა დაგეგმილი მოცვის შესაბამისი რაოდენობით; იმუნიზაციით მიზნობრივი პოპულაციის მაქსიმალური მოცვის მაჩვენებელი - დყტ-ჰიბ-ჰეპბ -იპვ 3- 92,7%, წწყ 1-98,7%, წწყ 2- 95,7% (2018 წლის მაჩვენებლები), დაწყებულია ადამიანის პაპილომავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაცია (ქ. თბილისი, ქუთაისი, აჭარის ა/რ; აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორია); **მიზნობრივი მაჩვენებელი -** იმუნიზაციით მიზნობრივი პოპულაციის მაქსიმალური მოცვის მაჩვენებელი - დყტ-ჰიბ-ჰეპბ -იპვ 3-95%, წწყ 1-საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/არანაკლებ 95%, წწყ 2- საბაზისოს შენარჩუნება/არანაკლებ 95%; ეროვნული კალენდრით გათვალისწინებული ვაქცინები და ასაცრელი მასალების შესყიდვა დაგეგმილი მოცვის შესაბამისი რაოდენობით; მიზნობრივი ჯგუფებისათვის ადამიანის პაპილომავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაციის ხელმისაწვდომობა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 3-5%; **შესაძლო რისკები -** მოსახლეობის არასრული ნდობა პროგრამული ვაქცინების უსაფრთხოების მიმართ („ფასიანი“ ვაქცინა „უფასო“ ვაქცინის წინააღმდეგ); ვაქცინების გლობალურ ბაზარზე რომელიმე ვაქცინის დეფიციტი; საზოგადოების გარკვეული ნაწილის „უარყოფითი“ დამოკიდებულება ზოგადად ვაქცინაციის მიმართ და სამედიცინო დაწესებულებების და პერსონალის დამატებითი მოტივაციის ნაკლებობა მოცვის სამიზნე მაჩვენებლების მიღწევის შემთხვევაში **4.** **საბაზისო მაჩვენებელი -** C ჰეპატიტზე სკრინინგით გამოვლენილ, პროგრამაში მომართულ პაციენტთა 100%-ის უზრუნველყოფა დიაგნოსტიკური კვლევებითა და მკურნალობით; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 20%;

	შესაძლო რისკები - პაციენტთა მომართვიანობის დაბალი მაჩვენებელი

დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი (27 03 02 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
აღწერა და მიზანი	დაავადებათა ადრეული გამოვლენის გაუმჯობესება და ამის საშუალებით შორსწასული ფორმების გავრცელების შეზღუდვა; ძუძუს, საშვილოსნოს ყელის, კოლორექტული და პროსტატის კიბოს სკრინინგი (ძუძუს კიბოს სკრინინგი- 40-დან 70 წლის ჩათვლით ასაკის ქალებში, საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი - 25-დან 60 წლის ჩათვლით ასაკის ქალებში და მსხვილი ნაწლავის კიბოს სკრინინგი - 50-დან 70 წლის ჩათვლით ორივე სქესისათვის, 50-70 წლის ასაკის მამაკაცებში სპეციფიკურ ანტიგენზე გამოკვლევა პროსტატის კიბოს ადრეული დიაგნოსტიკის მიზნით); საშვილოსნოს ყელის ორგანიზებული სკრინინგი (გურჯაანის მუნიციპალიტეტის მასშტაბით); 1-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა მსუბუქი და საშუალო ხარისხის მენტალური განვითარების დარღვევების პრევენცია, ადრეული დიაგნოსტიკა და გონებრივი ჩამორჩენილობის პროფილაქტიკა; ეპილეფსიის დიაგნოსტიკა და ზედამხედველობა; დღენაკლულთა რეტინოპათიის სკრინინგის პილოტი, დღენაკლულთა სიბრმავის პროფილაქტიკა; საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში საინფორმაციო ელექტრონული რეგისტრების დანერგვა-ადმინისტრირება; ბავშვთა სისხლში ტყვიის ბიომონიტორინგის ღონისძიებების განხორციელება.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სხვადასხვა ლოკალიზაციის კიბოს ადრეულ სტადიაზე გამოვლენის მაჩვენებლების გაუმჯობესება; საშვილოსნოს ყელის კიბოს ადრეულ სტადიაზე გამოვლენის მაჩვენებლის გაზრდა, სოფლის ექიმების აქტიური ჩართულობის (Pap-ტესტის აღება) და მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის ამაღლების გზით სკრინინგული კვლევით მოცვის მაჩვენებლის გაუმჯობესება, მონიტორინგის სისტემის სრულყოფა; ბავშვთა ასაკის მენტალური დარღვევების ადრეული გამოვლენა და სერვისზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; ეპილეფსიის დიაგნოსტიკის და სერვისზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება; დღენაკლულთა რეტინოპათიის ადრეული გამოვლენა და მკურნალობის სქემებში დროული ჩართვა; სახელმწიფო პროგრამების გაუმჯობესებული ადმინისტრირება; 2018 წლის მრავალინდიკატორული პოპულაციური კვლევა MICS-ის ფარგლებში გამოვლენილი ბავშვების

	მეთვალყურეობა და ტყვიის ბიომონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი -** კიბოს სკრინინგული კვლევების შესრულების მაჩვენებლები: ძუძუს კიბოს სკრინინგი 21400; საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი - 23300; პროსტატის კიბოს სკრინინგი - 7200; კოლორექტალური კიბოს სკრინინგი - 4800; (2018 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი -** მოცვის (დასკრინული პაციენტების ოდენობის) გაზრდა 5%-ით წინა წელთან შედარებით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 1-2%; **შესაძლო რისკები -** მოსახლეობის დაბალი ცნობიერება კიბოს სკრინინგის სარგებლის შესახებ; არასაკმარისი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა; შესაბამისი კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის სიმცირე **2.** **საბაზისო მაჩვენებელი -** საშვილოსნოს ყელის ორგანიზებული სკრინინგი-გურჯაანის მუნიციპალიტეტში გამოკვლეულ ბენეფიციართა რაოდენობა - 816; კოლპოსკოპიული გამოკვლევების რაოდენობა - 62; (2018 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი -** მიზნობრივი პოპულაციის მოცვის მაჩვენებლის (დასკრინული პაციენტების ოდენობის) ზრდა- 15%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 4%; **შესაძლო რისკები -** მოსახლეობის დაბალი ცნობიერება კიბოს სკრინინგის სარგებლის შესახებ; არასაკმარისი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა; შესაბამისი უნარ-ჩვევების მქონე სამედიცინო პერსონალის სიმცირე **3.** **საბაზისო მაჩვენებელი -** 1-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა მსუბუქი და საშუალო ხარისხის მენტალური განვითარების დარღვევების პრევენციის შესრულების მაჩვენებელი საპროგნოზო რაოდენობასთან მიმართებით შეადგენს - 99,8%, სერვისის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია ქ.თბილისში და ქ. ქუთაისში (2018 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი -** საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება, სერვისის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ქ.თბილისის და დამატებით 2 ქალაქის მასშტაბით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 3-5%; **შესაძლო რისკები -** რეგიონების დაბალი ჩართულობა; არასაკმარისი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა; კვალიფიციური ადამიანური რესურსის სიმწირე **4.** **საბაზისო მაჩვენებელი -** ეპილეფსიის დიაგნოსტიკა და ზედამხედველობა; სერვისზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; გამოკვლეულ ბენეფიციართა რაოდენობა - 2176, მათ შორის: 25,4% თბილისის მაცხოვრებელი, ხოლო სხვადასხვა რეგიონებიდან - 74,6%; (2018 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი -** საბაზისე მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 3%; **შესაძლო რისკები -** რეგიონების დაბალი ჩართულობა; არასაკმარისი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა; კვალიფიციური ადამიანური რესურსების ნაკლებობა

	5. **საბაზისო მაჩვენებელი** - დღენაკლულთა რეტინოპათიის სკრინინგის პილოტი - თბილისის სამედიცინო დაწესებულებებში დღენაკლული ახალშობილების 100%-ის გამოკვლევა რეტინოპათიის დიაგნოსტირების მიზნით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისე მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 1-2%; **შესაძლო რისკები** - სამედიცინო დაწესებულებების მხრიდან სერვისის მიწოდების ორგანიზაციული ხარვეზები **6.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 2018 წლის მრავალინდიკატორული პოპულაციური კვლევა MICS-ის ფარგლებში გამოვლენილი ბავშვების და მათი ოჯახის წევრების (18 წლამდე ასაკის და ორსული) კვლევებითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სკრინინგული კვლევის გაფართოვება ქვეყნის მასშტაბით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 1-2%; **შესაძლო რისკები** - სამედიცინო დაწესებულებების მხრიდან სერვისის მიწოდების ორგანიზაციული ხარვეზები

იმუნიზაცია (27 03 02 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
აღწერა და მიზანი	მოსახლეობის დაცვის და შესაბამისი მარაგების შექმნის მიზნით, ვაქცინების (მათ შორის აივ-ინფექცია/შიდსით და C ჰეპატიტით დაავადებული პირებისათვის B ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინაციისათვის, ასევე, სამედიცინო პერსონალის, სამედიცინო ჩვენების მქონე საქართველოს მოქალაქეების და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ორგანიზებული კონტინგენტის ვაქცინაციისათვის) და ასაცრელი მასალების (შპრიცებისა და უსაფრთხო ყუთების) შესყიდვა; სპეციფიკური (botulism, დიფტერიის, ტეტანუსის, გველის შხამის საწინააღმდეგო) შრატების და ყვითელი ცხელების საწინააღმდეგო ვაქცინების სტრატეგიული მარაგის შესყიდვა; ანტირაბიული სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფა; გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინის შესყიდვა; ვაქცინების, ანტირაბიული სამკურნალო საშუალებების, სპეციფიკური შრატებისა და ასაცრელი მასალების (შპრიცებისა და უსაფრთხო ყუთების) მიღება, შენახვა და გაცემა-განაწილება „ცივი ჯაჭვის“ პრინციპების დაცვით ცენტრალური დონიდან რეგიონულ/რაიონულ ადმინისტრაციულ ერთეულებამდე; წითელას მასიური გავრცელების პრევენციისა და გლობალური ელიმინაციის სტრატეგიით განსაზღვრული ღონისძიებების ფარგლებში, მოსახლეობის არაიმუნურ ან არასრულად იმუნიზებულ ფენებში ეპიდჩვენებით

	იმუნოპროფილაქტიკის წარმოება; გრიპის საწინააღმდეგო სეზონურ ვაქცინაციას დაქვემდებარებული პირების აცრა; „ცივი ჯაჭვი“-ს მოწყობილობების/ინვენტარის შესყიდვა და მონტაჟი.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მოსახლეობის მართვადი ინფექციებისაგან დაცვა ვაქცინებითა და ვაქცინაციისათვის საჭირო სახარჯი მასალებით უწყვეტად უზრუნველყოფის გზით; მონიტორინგისა და ლოჯისტიკის სისტემის გაუმჯობესება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი -** ეროვნული კალენდრით გათვალისწინებული ვაქცინები და ასაცრელი მასალების შესყიდვა დაგეგმილი მოცვის შესაბამისი რაოდენობით; იმუნიზაციით მიზნობრივი პოპულაციის მაქსიმალური მოცვის მაჩვენებელი - დყტ-ჰიბ-ჰეპბ -იპვ 3- 92,7%, წწყ 1-98,7%, წწყ 2- 95,7% (2018 წლის მაჩვენებლები), დაწყებულია ადამიანის პაპილომავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაცია (ქ. თბილისი, ქუთაისი, აჭარის ა/რ; აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორია); **მიზნობრივი მაჩვენებელი -** იმუნიზაციით მიზნობრივი პოპულაციის მაქსიმალური მოცვის მაჩვენებელი - დყტ-ჰიბ-ჰეპბ -იპვ 3-95%, წწყ 1-საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/არანაკლებ 95%, წწყ 2- საბაზისოს შენარჩუნება/არანაკლებ 95%; ეროვნული კალენდრით გათვალისწინებული ვაქცინებისა და ასაცრელი მასალების შესყიდვა დაგეგმილი მოცვის შესაბამისი რაოდენობით; მიზნობრივი ჯგუფებისათვის ადამიანის პაპილომავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაციის ხელმისაწვდომობა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 3-5%; **შესაძლო რისკები -** მოსახლეობის არასრული ნდობა პროგრამული ვაქცინების უსაფრთხოების მიმართ („ფასიანი“ ვაქცინა „უფასო“ ვაქცინის წინააღმდეგ); ვაქცინების გლობალურ ბაზარზე რომელიმე ვაქცინის დეფიციტი; საზოგადოების გარკვეული ნაწილის „უარყოფითი“ დამოკიდებულება ზოგადად ვაქცინაციის მიმართ და სამედიცინო დაწესებულებების და პერსონალის დამატებითი მოტივაციის ნაკლებობა მოცვის სამიზნე მაჩვენებლების მიღწევის შემთხვევაში **2.** **საბაზისო მაჩვენებელი -** სპეციფიკური შრატებისა და ვაქცინების დაგეგმილი რაოდენობის შესყიდვა 100%-ით; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** საბაზისე მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 3%; **შესაძლო რისკები -** საერთაშორისო ბაზარზე რომელიმე ვაქცინის დეფიციტი **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ანტირაბიულ სამკურნალო საშუალებებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ქვეყნის მასშტაბით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - უზრუნველყოფილია ხელმისაწვდომობა ანტირაბიულ სამკურნალო საშუალებებზე ქვეყნის მასშტაბით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 1%;

	შესაძლო რისკები - საერთაშორისო ბაზარზე ვაქცინის დეფიციტი, მომწოდებელების დაბალი ინტერესი საქართველოს მცირე ბაზრის მიმართ **4.** **საბაზისო მაჩვენებელი** - გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინის შესყიდვა -მაღალი რისკის ჯგუფების მიზნობრივი პოპულაცია - 40 241 ბენეფიციარი; (2018 წლის მაჩვენებელი); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მაღალი რისკის ჯგუფების და მათი მიზნობრივი პოპულაციის მოცვის მაჩვენებელი არანაკლებ - 99%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 1-3%; **შესაძლო რისკები** - საერთაშორისო ბაზარზე ვაქცინის დეფიციტი; მოსახლეობის ცნობიერების დაბალი დონე **5.** **საბაზისო მაჩვენებელი** - წითელას მასიური გავრცელების პრევენციისა და გლობალური ელიმინაციის სტრატეგიით განსაზღვრული ღონისძიებების ფარგლებში ექიმისა და ექთნის მომსახურებაზე 100 %-იანი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისე მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - მოსახლეობის ცნობიერების დაბალი დონე; სამედიცინო პერსონალის მოტივაციის არარსებობა (როგორც პოზიტიური ასევე ნეგატიური) მოცვის მაღალი მაჩვენებლის მიღწევის ან რთულად მოსაზიდი პოპულაციის ვაქცინაციის მიზნით

ეპიდზედამხედველობა (27 03 02 03)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
აღწერა და მიზანი	რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე არსებული სჯდ ცენტრების მიერ ეპიდზედამხედველობის განხორციელება და სამედიცინო სტატისტიკური სისტემის ფუნქციონირება; მუნიციპალური საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრების სამოქმედო არეალზე ეპიდზედამხედველობითი ღონისძიებების განხორციელება; მალარიისა და სხვა ტრანსმისიური (დენგე, ზიკა, ჩიკუნგუნია, ყირიმ-კონგო, ლეიშმანიოზი და სხვა) პარაზიტული დაავადებების პრევენცია და კონტროლი; ნოზოკომიური ინფექციების ეპიდზედამხედველობა და კონტროლი; ვირუსული დიარეების კვლევა ქვეყანაში შერჩეული საყრდენი ბაზებიდან (ინფექციური პროფილის მქონე სამედიცინო დაწესებულება, რომელიც მომსახურებას უწევს 0-14 წლის ასაკის ბავშვებს), ჰოსპიტალიზებულ ბავშვთა (0-14 წლის) ფეკალური სინჯების ლაბორატორიული კვლევა როტავირუსულ, ადენოვირუსულ და ნოროვირუსულ

	ინფექციებზე; გრიპზე, გრიპისმაგვარ დაავადებებსა და მძიმე მწვავე რესპირაციულ დაავადებებზე ეპიდზედამხედველობის ქსელის მდგრადობის შენარჩუნება და სეზონურ/პანდემიურ გრიპზე რეაგირება.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	გადამდები დაავადებების დროულად გამოვლენის მაჩვენებლის გაზრდა; იმუნოპროფილაქტიკისათვის საჭირო მასალის და აღჭურვილობის აუცილებელი მარაგით უზრუნველყოფა და მონიტორინგი; ლოჯისტიკისა და მონიტორინგის ეფექტური სისტემის დანერგვა; მალარიის და სხვა პარაზიტული დაავადებების პროფილაქტიკისა და კონტროლის გაუმჯობესება; ნოზოკომიური ინფექციების პრევენციისა და გამოვლენის გაუმჯობესება; მწვავე დიარეულ დაავადებებზე ზედამხედველობის გაუმჯობესება; გრიპზე, გრიპისმაგვარ დაავადებებსა და მძიმე მწვავე რესპირაციულ დაავადებებზე ეპიდზედამხედველობის გაუმჯობესება სენტინელური მეთვალყურეობის გზით.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი -** ეპიდზედამხედველობის ერთიან სისტემაში ჩართული და მონაწილე მუნიციპალური სჯდ ცენტრების 100%; მუნიციპალური სჯდ ცენტრების მიერ სამოქმედო არეალზე იმუნიზაციის დაგეგმვის და სერვისის მიწოდების თაობაზე ინფორმაციის წარმოდგენა 100%-ით; იმუნიზაციის მოდული დანერგვა სჯდ ცენტრების 100%-ში; რაიონების 100% - ით უზრუნველყოფა ვაქცინების, შრატებისა და ასაცრელი მასალების ცივი ჯაჭვის პრინციპის დაცვით შენახვის საშუალებებით და ლოჯისტიკის სერვისით; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 2%; **შესაძლო რისკები -** სერვისის წარმოებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული ხარვეზები **2.** **საბაზისო მაჩვენებელი -** მალარიოგენულ ტერიტორიებზე (პოტენციურ კერებში) ინსექტიციდით დამუშავებული ტერიტორიების (საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი) პროცენტული წილი შეადგენს 95%-ს; მალარიის ადგილობრივი შემთხვევების რაოდენობა - 0; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 2-5%; **შესაძლო რისკები -** ტექნიკური მიზეზი; შესასყიდი მასალების დეფიციტი ბაზარზე **3.** **საბაზისო მაჩვენებელი -** ნოზოკომიური ინფექციების ეპიდზედამხედველობის სენტინელური ბაზების რაოდენობა 8, ყველა კლინიკის ბაზაზე განისაზღვრა ნოზოკომიური ინფექციების გამომწვევი წამყვანი პათოგენები და მათი ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტობა; (2018 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი -** საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5%; **შესაძლო რისკები -** სამედიცინო დაწესებულებების დაბალი ინტერესი (ცნობიერების დაბალი დონის და პროგრამული დაფინანსების შეზღუდვის (კონტროლი, რევიზია, რისკის გამო) ნოზოკომიური ინფექციების

	გამოვლენისადმი **4.** **საბაზისო მაჩვენებელი** - მწვავე დიარეულ დაავადებებზე ზედამხედველობა (როტავირუსულ, ადენოვირუსულ და ნოროვირუსულ ინფექციებზე) დამყარებული ქ.თბილისის არანაკლებ 2 ბავშვთა საავადმყოფოს ბაზაზე; (2018 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მწვავე დიარეულ დაავადებებზე ზედამხედველობა (როტავირუსულ, ადენოვირუსულ და ნოროვირუსულ ინფექციებზე) დამყარებულია ქ.თბილისის არანაკლებ 2 ბავშვთა საავადმყოფოს და დამატებით 1 ქალაქის ბაზაზე; -მიმწოდებელი დაწესებულებების მიერ მოწოდებულია ნიმუშების დაგეგმილი რაოდენობის არანაკლებ 75% როტა, ნორო და ადენოვირუსულ ინფექციებზე ლაბორატორიული დიაგნოსტიკის მიზნით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 3-5%; **შესაძლო რისკები** - სამედიცინო დაწესებულებების დაბალი ინტერესი (ფინანსური ინტერესის არარსებობა და ცნობიერების დაბალი დონის გამო) **5.** **საბაზისო მაჩვენებელი** - საყრდენი ბაზიდან მოწოდებული კლინიკური ნიმუშის არანაკლებ 95%-ში ჩატარებულია კონფირმაციული კვლევა გრიპის ვირუსზე; (2018 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 3-5%; **შესაძლო რისკები** - ტექნიკური მიზეზი (ნიმუშის დაზიანება, არასწორად აღებული ნიმუში, არაიდენტიფიცირებული ნიმუში)

უსაფრთხო სისხლი (27 03 02 04)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
აღწერა და მიზანი	დონორული სისხლის კვლევას B და C ჰეპატიტზე, აივ-ინფექცია/შიდსსა (EIA/Elisa მეთოდით) და სიფილისზე; დონორული სისხლის კვლევას აივ-ინფექცია/შიდსზე, B და C ჰეპატიტებზე ნუკლეინის მჟავას ტესტირების (NAT) მეთოდოლოგიით; ხარისხის გარე კონტროლისა და მონიტორინგის უზრუნველყოფა (მ.შ. სისხლის დონორთა ერთიანი ეროვნული ელექტრონული ბაზის ადმინისტრირებას პროგრამაში მონაწილე სისხლის ბანკებში და ასევე ყველა დანარჩენ სისხლის ბანკში, რომელიც ფლობს შესაბამისი საქმიანობის ლიცენზიას, არ არის პროგრამით განსაზღვრული სერვისების მიმწოდებელი, მაგრამ თანხმობას განაცხადებს ამ კომპონენტში მონაწილეობაზე და დარეგისტრირდება პროგრამის განმახორციელებელთან) დადგენილი წესის შესაბამისად; სისხლის უანგარო, რეგულარული დონოროზის მხარდაჭერისა და მოზიდვის ეროვნული კამპანიის განხორციელება, მ.შ. „უანგარო დონორთა მსოფლიო დღესთან" დაკავშირებული ღონისძიებების მხარდაჭერა;

	სისხლის დონორებში C ჰეპატიტზე სკრინინგით საეჭვო-დადებითი შემთხვევების კონფირმაციული კვლევა HCV Cor-Ag მეთოდით, ხოლო უარყოფითი შედეგის შემთხვევაში, ნიმუშების კვლევა - HCV რნმ პჯრ მეთოდით, მ.შ. იმ სისხლის ბანკებში, რომლებიც ფლობენ საწარმოო ტრანსფუზიოლოგიის საქმიანობის ლიცენზიას, არ წარმოადგენენ პროგრამით განსაზღვრული სერვისების მიმწოდებლებს, მაგრამ წერილობით დაუდასტურებენ განმახორციელებელს ამ კომპონენტში მონაწილეობის სურვილს; სისხლის დონორთა ერთიანი ელექტრონული ბაზის ადმინისტრირება.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სისხლისა და სისხლის კომპონენტების ხარისხის კონტროლის გაუმჯობესება; უანგარო დონაციათა მაჩვენებლის გაზრდა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი -** პროგრამაში ჩართულ სისხლის ბანკებში დონორული სისხლის 100% კვლევა B და C ჰეპატიტზე, აივ-ინფექცია/შიდსზე და სიფილისზე; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** * პროგრამაში ჩართულ სისხლის ბანკებში დონორული სისხლის 100% კვლევა ხდება B და C ჰეპატიტზე, აივ-ინფექცია/შიდსზე (EIA მეთოდით) და სიფილისზე (TPHA და RPR მეთოდით); *დონორული სისხლის კვლევა აივ-ინფექცია/შიდსზე, B და C ჰეპატიტებზე ნუკლეინის მჟავას ტესტირების (NAT) მეთოდოლოგიით - პროგრამაში ჩართული სისხლის ბანკებში დონორული სისხლის 100% გამოკვლეულია B და C ჰეპატიტზე, აივ-ინფექცია/შიდსსა და სიფილისზე იმუნოფერმენტული მეთოდით და არანაკლებ 60% ნუკლეინის მჟავას ტესტირების მეთოდოლოგიით; -სისხლის დონორებში C ჰეპატიტზე და აივ-ინფექცია/შიდსზე სკრინინგით საეჭვო-დადებითი შემთხვევების 100%-ის კონფირმაციული კვლევა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5-10%; **შესაძლო რისკები -** -არასრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა; - არასაკმარისი ფინანსური რესურსი (NAT მეთოდოლოგიის მაღალი თვითღირებულება); - ახალი ინფრასტრუქტურის და აღჭურვილობის საჭიროება; - დამატებითი ადამიანური რესურსის განვითარების საჭიროება; - რთული ლოჯისტიკური მექანიზმი; -სისხლის ბანკების რეზისტენტობა **2.** **საბაზისო მაჩვენებელი -** მთლიან დონაციებში უანგარო დონაციების ხვედრითი წილი - 28%; (2018 წლის მაჩვენებელი); **მიზნობრივი მაჩვენებელი -** უანგარო დონაციების ხვედრითი წილის ზრდა 3% წინა წელთან შედარებით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5%; **შესაძლო რისკები -** დონაციის მნიშვნელობის შესახებ მოსახლეობის ცოდნის დაბალი დონე; საწარმოო ტრანსფუზიოლოგიასთან დაკავშირებული კომერციული ინტერესები (დონორის და სერვისის მიმწოდებლის მხრიდან); აქტიური საკომუნიკაციო კამპანიისათვის საჭირო რესურსების (ფინანსური, ადამიანური, მატერიალურ-ტექნიკური) სიმწირე **3.** **საბაზისო მაჩვენებელი -** ხარისხის კონტროლის მიზნით, ლუგარის ცენტრის მიერ განხორციელებული სისხლის ბანკებიდან შერჩევითად ამოღებული რეტროსპექტული ტესტირება - 3000 ნიმუში; C ჰეპატიტზე და აივ-

	ინფექცია/შიდსზე სკრინინგით საეჭვო-დადებითი შემთხვევების კონფირმაციული კვლევების ჩატარება; (2018 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - პროგრამაში მონაწილე ყველა სისხლის ბანკში პროფესიული ტესტირების განხორციელება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 3%; **შესაძლო რისკები** - სისხლის ბანკების დაბალი ინტერესი ხარისხის გარე კონტროლის განხორციელების მიმართ

საზოგადოებრივი ჯანდაცვის, გარემოსა და პროფესიულ დაავადებათა ჯანმრთელობის სფეროში არსებული ვალდებულებების ხელშეწყობა (27 03 02 05)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
აღწერა და მიზანი	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვისა და გარემოს ჯანმრთელობის სფეროში აღებული ვალდებულებების განხორციელების ხელშეწყობა; სხვადასხვა ტიპის საწარმოებში დასაქმებულთა პროფესიულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარება, კერძოდ: დასაქმებულთა პროფესიული ჯანმრთელობის კვლევა მიზნობრივი ჯგუფების მიხედვით და გამოვლენილ პროფესიულ დაავადებათა დიაგნოზების აგრეგირებას მონაცემთა ბაზაში; სამუშაო ადგილებზე არსებული პროფესიული რისკების ინვენტარიზაცია და შეფასება; პროფესიული რისკფაქტორების პირველადი პრევენციის ღონისძიებათა კომპლექსისა და მავნე ფაქტორების ექსპოზიციის დონის შემცირების რეკომენდაციების შემუშავება კონკრეტული საწარმოსათვის; დასაქმებულთა ჯანმრთელობის მონიტორინგის ოპტიმალური სქემისა და სამედიცინო შემოწმების პერიოდულობის განსაზღვრა მიზნობრივი ჯგუფების მიხედვით; საწარმოს ადმინისტრაციისა და დასაქმებულთა სწავლება პროფესიული დაავადებების პრევენციის, პროფესიული რისკების შეფასებისა და კონტროლის მექანიზმების საკითხებზე; ქვეყნის მასშტაბით კონკრეტულ საწარმოებში არსებული პროფესიული რისკების ეპიდემიოლოგიური რუკისა და შესაბამისი მონაცემთა ბაზის ფორმირება/განახლება.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	პროფესიული დაავადებების რეგისტრაცია დარგების მიხედვით, მათი გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირება და სათანადო რეკომენდაციების მომზადება არსებული სიტუაციის გასაუმჯობესებლად.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - პროფესიული რისკ-ფაქტორების პირველადი პრევენციის ღონისძიებათა კომპლექსისა და მავნე ფაქტორების ექსპოზიციის დონის შემცირების შემუშავებული რეკომენდაციების გადაცემაა შემოწმებულ საწარმოთა 90%-ში; დასაქმებულთა ჯანმრთელობის მონიტორინგის ოპტიმალური სქემებისა და სამედიცინო შემოწმების პერიოდულობის განსაზღვრა მიზნობრივი ჯგუფების მიხედვით შემოწმებული საწარმოთა 90%-ში; შეფასებულ საწარმოთა 90%-ში ადმინისტრაციასა და დასაქმებულებისათვის სწავლების ჩატარება პროფესიული დაავადებების პრევენციის, პროფესიული რისკების შეფასებისა და კონტროლის მექანიზმების საკითხებზე;

	მიზნობრივი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5-10%; **შესაძლო რისკები** - ცენტრს და სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებას მონიტორინგის ჩატარება შეუძლია მხოლოდ იმ საწარმოში, რომელთა ადმინისტრაცია გამოხატავს თანხმობასა და კეთილ ნებას, მონიტორინგის განხორციელებაზე; დაწესებულებებს და დასაქმებულებს არ გააჩნიათ ინტერესი პროგრამაში მონაწილეობაზე (სამსახურის დაკარგვის შიშით); დაწესებულებების მცირე რაოდენობიდან გამომდინარე, შესაძლებელია პროგრამულმა ღონისძიებებმა გავლენა ვერ მოახდინოს პროფესიული დაავადებების პრევენციაზე

ტუბერკულოზის მართვა (27 03 02 06)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი; სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
აღწერა და მიზანი	ტუბერკულოზის ყველა სავარაუდო შემთხვევის გამოკვლევა, დაავადებულთა ამბულატორიული მომსახურება (ანტიტუბერკულოზური პრეპარატებით უზრუნველყოფა და მკურნალობა უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ); ლაბორატორიული მართვა; ფთიზიატრიული სტაციონარული დახმარების ფარგლებში დიაგნოსტიკური, თერაპიული და ქირურგიული მომსახურება; სენსიტიური და რეზისტენტული ფორმების მკურნალობა (მ.შ. მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის მკურნალობა ახალი მედიკამენტებით და მკურნალობის მონიტორინგი); ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მედიკამენტებით უზრუნველყოფა, მ.შ. პირველი და მეორე რიგის ანტიტუბერკულოზური მედიკამენტების შესყიდვა; მომსახურების სრულად ანაზღაურება; ტუბერკულოზით გამოწვეული ავადობის, სიკვდილიანობის და ინფექციის გავრცელების შემცირება.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ხანგრძლივვადიან ამბულატორიულ მკურნალობაზე პაციენტთა დამყოლობა; ტუბერკულოზის პრევალენტობის შემცირება; შემცირებული ახალი შემთხვევები; ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტთა უზრუნველყოფა ტუბერკულოზის საწინააღმდეგო პირველი და მეორე რიგის მედიკამენტებით.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - ტუბერკულოზის გავრცელების მაჩვენებელი 100 000 მოსახლეზე - 69.4 (2018 წლის მაჩვენებელი); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ტუბერკულოზის პრევალენტობის მაჩვენებლის შემცირება საბაზისო მაჩვენებელთან

	შედარებით 3%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - პაციენტთა დამყოლობის დაბალი მაჩვენებელი **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ტუბერკულოზის ახალი შემთხვევები და რეციდივები 100000 მოსახლეზე- 52.1 (2018 წლის მაჩვენებელი); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ტუბერკულოზის ახალი შემთხვევების და რეციდივების მაჩვენებლის შემცირება საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით 3%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - დაგვიანებული დიაგნოსტიკა და შეწყვეტილი მკურნალობა **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ტუბერკულოზით დაავადებულ ბენეფიციართა 100% უზრუნველყოფილია ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მედიკამენტებით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მედიკამენტები შესყიდულია დაგეგმილი რაოდენობის მიხედვით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - ფარმაცევტულ ბაზარზე წამლის დეფიციტი **4.** **საბაზისო მაჩვენებელი** - მკურნალობაზე კარგი დამყოლობისათვის საჭიროების მქონე ბენეფიციარების 100% უზრუნველყოფილია ფულადი წახალისებით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - პაციენტთა ცნობიერების დაბალი დონე

აივ ინფექციის/შიდსის მართვა (27 03 02 07)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო; სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
აღწერა და მიზანი	აივ-ინფექციის/შიდსის გავრცელების შეფერხება და აივ-ინფექციით/შიდსით დაავადებულთათვის მკურნალობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (პროგრამა არ ითვალისწინებს თანაგადახდას მოსარგებლის მხრიდან); აივ-ინფექციაზე/შიდსზე ნებაყოფლობითი კონსულტაცია და ტესტირება; აივ-ინფექცია/შიდსით დაავადებულთა ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობა; აივ-ინფექცია/შიდსის სამკურნალო პირველი რიგის და მეორე რიგის მედიკამენტების შესყიდვა.
მოსალოდნელი	მაღალი რისკის ქცევის მქონე ჯგუფების აივ-ინფექცია/შიდსზე ნებაყოფლობითი სკრინინგით მაქსიმალური მოცვა;

შუალედური შედეგი	ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობით სრულად უზრუნველყოფა; შიდსით დაავადებულებში აივ-ინფექციასთან დაკავშირებული ლეტალობის შემცირება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - აივ-ინფექციაზე/შიდსზე ნებაყოფლობითი კონსულტირება და სკრინინგული კვლევა - 45850-ზე მეტი; (2018 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის ზრდა 3% წინა წელთან შედარებით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2%; **შესაძლო რისკები** - ნარკომომხმარებლების მხრიდან სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობის სტიგმა (კრიმინალიზაციის საფრთხე); B და C ჰეპატიტის დიაგნოზის მქონე პირების ტესტირებაზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის ბარიერების არსებობა; ტესტ სისტემების მომწოდებელი კომპანიის (ტენდერში გამარჯვებული) მიერ ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულება (მაგალითად: დაგვიანება ტესტ სისტემების მოწოდებაში და ა.შ) 2. **საბაზისო მაჩვენებელი** - პროგრამის ფარგლებში მოსარგებლეები 100% უზრუნველყოფილნი არიან უფასო ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2%; **შესაძლო რისკები** - დაბალი მიმართვიანობა; სტიგმა 3. **საბაზისო მაჩვენებელი** - ყველა შესაბამისი საჭიროების მქონე პაციენტი 100 % -ით უზრუნველყოფილია აივ-ინფექციის/შიდსის სამკურნალო მედიკამენტებით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - ფარმაცევტულ ბაზარზე წამლის დეფიციტი

დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა (27 03 02 08)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო; სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
აღწერა და მიზანი	ორსულთა ეფექტიანი პატრონაჟისა და მაღალკვალიფიციური სამედიცინო დახმარების გაწევა გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით: ანტენატალური მეთვალყურეობა; გენეტიკური პათოლოგიების ადრეული გამოვლენა;

	ორსულებში B და C ჰეპატიტების, აივ ინფექციის/შიდსის და ათაშანგის სკრინინგი; ორსულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა; ახალშობილთა და ბავშვთა სკრინინგი ჰიპოთირეოზზე, ფენილკეტონურიაზე, ჰიპერფენილალანინემიასა და მუკოვისციდოზზე; ახალშობილთა სმენის სკრინინგული გამოკვლევა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირება; ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირება; ანტენატალური ვიზიტით მოცვის გაზრდა; ახალშობილთა სმენის სკრინინგული გამოკვლევით მოცვის ზრდა; საჭირო მედიკამენტებით ორსულთა უზრუნველყოფის მოცვის გაზრდა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ანტენატალური მომსახურებით მოცვა - 94,2%; ოთხი ანტენატალურ ვიზიტით მოცვა - 80,8%; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სრული ანტენატალური ვიზიტებით მოცვის მაჩვენებელის ზრდა 3-5% წინა წელთან შედარებით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 15%; **შესაძლო რისკები** - არასრულად განხორციელებული ვიზიტები **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ანტენატალური მომსახურების მიმღებ ორსულ ქალთა 90%-ს ჩატარებული აქვს სკრინინგი B და C ჰეპატიტზე, სიფილისზე და აივ ინფექცია/შიდსზე; (2018 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის ზრდა 3% წინა წელთან შედარებით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - ორსულ ქალთა ცნობიერების დონე, ანტენატალური მეთვალყურეობის საჭიროების შესახებ **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ჰიპოთირეოზზე, ფენილკეტონურიაზე, ჰიპერფენილალანინემიასა და მუკოვისციდოზზე ახალშობილთა და ბავშვთა სკრინინგის კომპონენტის ფარგლებში 49.8 ათასზე მეტი ახალშობილის გამოკვლევა; (2018 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სკრინინგული კვლევით მოცვის ზრდა 1% წინა წელთან შედარებით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 0,5%; **შესაძლო რისკები** - სერვისის წარმოებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული ხარვეზები **4.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ახალშობილთა სმენის სკრინინგული გამოკვლევა - 50 356 ახალშობილი; (2018 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სკრინინგული კვლევით მოცვა საქართველოს მასშტაბით;

	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 2-3%; **შესაძლო რისკები -** სერვისის წარმოებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული ხარვეზები (საქართველოს რეგიონებში ახალშობილთა სმენის სკრინინგის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და კვალიფიციური ადამიანური რესურსების ნაკლებობა) **5.** **საბაზისო მაჩვენებელი -** დიაგნოზის მქონე 890 ორსულის უზრუნველყოფა რკინის პრეპარატით. სოციალურად დაუცველი ოჯახების 6-23 თვის ასაკის 1716 ბავშვის უზრუნველყოფა მიკროელემენტების შემცველი საკვები დანამატით; (2018 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი -** ანტენატალური სერვისის მიმღებ ორსულთა 100%-ის უზრუნველყოფა ფოლიუმის მჟავით; რკინადეფიციტური ანემიის დიაგნოზის მქონე ორსულთა 100%-ის უზრუნველყოფა რკინის პრეპარატით. სოციალურად დაუცველი ოჯახების 6-23 თვის ასაკის ბავშვების 100%-ის უზრუნველყოფა მიკროელემენტების შემცველი საკვები დანამატით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 20%; **შესაძლო რისკები -** სერვისის მისაღებად ტექნიკური ბარიერების არსებობა; მიზნობრივი კონტინგენტის/მათი (ბავშვები) კანონიერი წარმომადგენლების ცნობიერების დაბალი დონე

ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობა (27 03 02 09)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
აღწერა და მიზანი	ნარკომანიით დაავადებულ პირთა მკურნალობა (სტაციონარული დეტოქსიკაცია) და პირველადი რეაბილიტაცია, მათი ჩამანაცვლებელი ნარკოტიკით უზრუნველყოფა და სამედიცინო მეთვალყურეობა; ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტების სტაციონარული მომსახურება.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ნარკომანიით დაავადებულ პირთა მკურნალობა (სტაციონარული დეტოქსიკაცია) და პირველადი რეაბილიტაცია, მათი ჩამანაცვლებელი ნარკოტიკით უზრუნველყოფა და სამედიცინო მეთვალყურეობა; ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტების სტაციონარული მომსახურება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი -** სტაციონარული დეტოქსიკაციის კომპონენტის ფარგლებში ნამკურნალებ პირთა რაოდენობა - 773; (2018 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი -** ოპიოიდების, სტიმულატორების და სხვა ფსიქოაქტიური ნივთიერებების, მოხმარებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების დროს სააგენტოში მომართული პაციენტების 90%-ის უზრუნველყოფა სტაციონარული დეტქოსიკაციითა და პირველადი რეაბილიტაციით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 20%; **შესაძლო რისკები -** პროგრამაში ჩართვისთვის არსებული ბარიერები (რიგითობა); სერვისის

	მიმწოდებელთა/საწოლების ლიმიტირებული რაოდენობა **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფ ბენეფიციართა რაოდენობა - 10 600-ზე მეტი; (2018 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფი პაციენტების 100%-ით უზრუნველყოფა ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - შესაძლო არათანაბარი გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა ქვეყნის მასშტაბით **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტის შესყიდვის კომპონენტის ფარგლებში მედიკამენტები 100%-ით შესყიდულია; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2%; **შესაძლო რისკები** - მიწოდების წყვეტის საშიშროება შესყიდული მედიკამენტის მოწოდების ვადების დარღვევის გამო; დეფიციტი საერთაშორისო ბაზარზე **4.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების სტაციონარული მომსახურების კომპონენტის ფარგლებში მკურნალობის პროცესში ჩაერთო 393 პაციენტი; (2018 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - პროგრამაში მომართულ პაციენტთა 100%-ით უზრუნველყოფა სტაციონარული მომსახურებით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - ჰიპერდიაგნოსტიკის გამო ბენეფიციართა რიცხვის დაუგეგმავი ზრდა, სერვისებზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, სერვისის მიმწოდებელთა/საწოლების ლიმიტირებული რაოდენობა

ჯანმრთელობის ხელშეწყობა (27 03 02 10)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
აღწერა და მიზანი	ჯანმრთელობის შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით, თამბაქოს მოხმარების კონტროლის გაძლიერება; ჯანსაღი კვების და ალკოჰოლის ჭარბი მოხმარების შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა; ფიზიკური აქტივობის ხელშეწყობა; C ჰეპატიტის პრევენცია და მოსახლეობის განათლების ხელშეწყობა; ფსიქიკური ჯანმრთელობის ხელშეწყობა და ნივთიერება დამოკიდებულების პრევენცია;

	ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებათა პოპულარიზაცია და გაძლიერება.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	თამბაქოს კონტროლის მექანიზმის გაძლიერება; თამბაქოს კონტროლის შესახებ საკანონმდებლო აქტების იმპლემენტაციის ხელშეწყობა; თამბაქოს საკითხებზე მოსახლეობისა და პროგრამით განსაზღვრული კონტინგენტის ინფორმირებულობის დონის ამაღლება; თამბაქოს ცხელი ხაზის საშუალებით თამბაქოს საკითხებზე კონსულტირებული მოსახლეობის მოცვის მაღალი მაჩვენებელი; თამბაქოსთვის თავის დანებების კონსულტირების პრინციპების შესახებ პჯდ მედ.პერსონალის ცოდნის დონის გაზრდა; მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება C ჰეპატიტის პრევენციის, ადრეული გამოვლენისა და დროული მკურნალობის მნიშვნელობის შესახებ; ჯანმრთელობის საკითხების, მ.შ. ჯანსაღი კვებისა და ალკოჰოლის ჭარბი მოხმარების მავნეობის თაობაზე მოსახლეობის განათლება და ცნობიერების ამაღლება; სწორი ქცევის ფორმირების ხელშეწყობა; ჯანმრთელობის ხელშემწყობი საინფორმაციო გარემოს შექმნა, რაც მოსახლეობას ჯანმრთელობის განმსაზღვრელი ფაქტორების უკეთესი კონტროლისა და მათი გაუმჯობესების საშუალებას მისცემს.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი -** მოსახლეობისათვის ინფორმაციის პერმანენტულად მიწოდება: მედიის სხვადასხვა საშუალებებით (ბეჭდური, სატელევიზიო გადაცემები და ა.შ.) და სოციალური ქსელის, ორგანიზებული შეხვედრების საშუალებით ჯანსაღი ცხოვრების წესის თაობაზე; C ჰეპატიტის პრევენციის, ადრეული გამოვლენისა და დროული მკურნალობის მნიშვნელობის შესახებ; თამბაქოსა და ალკოჰოლის ჭარბი მოხმარების არასასურველი შედეგების თაობაზე; ჯანსაღი კვების და ფიზიკური აქტივობის ადამიანის ჯანმრთელობაზე დადებითი გავლენის შესახებ; განხორციელებული აქტივობები: ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანების და მოწყვლადი ჯგუფების ცოდნის დონის ამაღლებისათვის, პრობლემის დროული გამოვლენის და სრულყოფილი მკურნალობის მნიშვნელობის კუთხით; ასევე, სოციალურ მუშაკთა და პირველადი ჯანდაცვის სამედიცინო პერსონალის ცოდნის დონის ასამაღლებლად; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** წინა წლის საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 3-5%; **შესაძლო რისკები -** მოსახლეობის ცნობიერების დაბალი დონე

C ჰეპატიტის მართვა (27 03 02 11)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო; სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

აღწერა და მიზანი	სკრინინგული კვლევა; C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა დიაგნოსტიკა, მათ შორის, აუცილებელი კვლევების ჩატარების უზრუნველყოფა მკურნალობაში ჩართვამდე და მკურნალობის პროცესის მონიტორინგისთვის; C ჰეპატიტის სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტით (ჰარვონი, ეპკლუსა, ვოსევი, რიბავირინი) უზრუნველყოფა; მედიკამენტების ლოჯისტიკა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	C ჰეპატიტის სკრინინგული კვლევების მოცვის არეალის გაფართოება; პროგრამაში ჩართული განკურნებული პაციენტების რაოდენობის ზრდა; C ჰეპატიტის პრევალენტობის და ინციდენტობის შემცირება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი -** სკრინინგული კვლევა - C ჰეპატიტზე დასკრინულ ბენეფიციართა რაოდენობა - 860 000-ზე მეტი ბენეფიციარი, მათგან საეჭვო დადებითი აღმოჩნდა 25 200-მდე (2.93%);(2018 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი -** მოცვის გაზრდა 30% წინა წელთან შედარებით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 2%; **შესაძლო რისკები -** ცნობიერების დაბალი დონე **2.** **საბაზისო მაჩვენებელი -** სკრინინგით გამოვლენილ, პროგრამაში მომართულ პაციენტთა 100%-ის უზრუნველყოფა დიაგნოსტიკური კვლევებითა და მკურნალობით პროგრამას მომართა და სადიაგნოსტიკო კვლევები ჩაუტარდა 20 500-მდე პირს; (2018 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი -** საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 1%; **შესაძლო რისკები -** ცნობიერების დაბალი დონე; გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა **3.** **საბაზისო მაჩვენებელი -** პროგრამაში მომართულ პაციენტთა 100% უზრუნველყოფილია C ჰეპატიტის სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტით; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 1%; **შესაძლო რისკები -** მომწოდებლის მიერ ვადების შესაძლო დარღვევა, ცნობიერების დაბალი დონე, პაციენტების მხრიდან მკურნალობის თვითნებური შეწყვეტა **4.** **საბაზისო მაჩვენებელი -** მკურნალობის კომპონენტში მყოფი პაციენტების დასრულებული კურსი - 90%; პროგრამაში ჩართულ პაციენტთა შორის, რომლებმაც დაასრულეს მკურნალობა, 98%-ში მიღწეულია დადებითი შედეგი; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10%; **შესაძლო რისკები -** ცნობიერების დაბალი დონე, მკურნალობისადმი რეზისტენტობა

მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდება პრიორიტეტულ სფეროებში (27 03 03)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო; სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმრების ცენტრი; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
აღწერა და მიზანი	ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე მოსახლეობის სპეციალიზებული დახმარებით უზრუნველყოფა; დიაბეტით დაავადებული პაციენტების მკურნალობა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურება; თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებული პაციენტების დიალიზით, თირკმლის ტრანსპლანტაციითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; ინკურაბელური პაციენტების მკურნალობა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; იშვიათი დაავადებების მქონე პაციენტთა მკურნალობითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; სასწრაფო სამედიცინო დახმარების, სამედიცინო ტრანსპორტირებისა და სოფლად ამბულატორიული მომსახურებით უზრუნველყოფა; რეფერალური დახმარების უზრუნველყოფა; თავდაცვის ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება; ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების მქონე პაციენტთა მომსახურების უზრუნველყოფა; პირველადი ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების შეუფერხებელი მიწოდება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე პირები 100%–ით უზრუნველყოფილნი არიან ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურებით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;

	შესაძლო რისკები - პაციენტთა რაოდენობის დაუგეგმავი ზრდა **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ქვეყნის მასშტაბით პირველადი ჯანდაცვის მომსახურებებზე უზრუნველყოფილი 100%–იანი ხელმისაწვდომობა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - კვალიფიციური/ადგილობრივი კადრის ნაკლებობა

ფსიქიკური ჯანმრთელობა (27 03 03 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
აღწერა და მიზანი	მოსახლეობისთვის ფსიქიატრიული მომსახურების გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; ბავშვთა და მოზრდილთა ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურება; ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია; ფსიქიატრიული კრიზისული ინტერვენცია; თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება; ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა თავშესაფრით უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების მიწოდება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ამბულატორიულ სერვისებით მოსარგებლეთა რაოდენობა - 22 900-მდე პირი (2018 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მოცვის მაჩვენებლის ზრდა 10%-ით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, რეგიონებში კვალიფიციური ადამიანური რესურსების სიმცირე **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - თავშესაფრით უზრუნველყოფის კომპონენტით ისარგებლა 108-მა პირმა; (2018 წლის

	მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 0-1 %; **შესაძლო რისკები** - საჭიროების მქონე ბენეფიციართა რაოდენობის გაზრდა არსებული პროგრამული რესურსის ფონზე **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ბავშვთა ფსიქიკური ჯანმრთელობის ამბულატორიული მომსახურებით ისარგებლა 330 ბავშვმა; (2018 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ფსიქიკური მდგომარეობის და ქცევის ცვლილების მქონე, 18 წლამდე ასაკის ბავშვები უზრუნველყოფილი არიან ნეიროგანვითარებითი და ფსიატრიული გუნდის მომსახურებით. მომართვის შემთხვევაში 100%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - პაციენტთა რაოდენობის დაუგეგმავი ზრდა, გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, რეგიონებში კვალიფიციური ადამიანური რესურსების სიმცირე **4.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ფსიქიატრიული კრიზისული ინტერვენციის კომპონენტის ფარგლებში მომსახურება გაეწია 607 პაციენტს; (2018 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მოცვის მაჩვენებლის ზრდა 10%-ით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - პაციენტთა რაოდენობის დაუგეგმავი ზრდა, გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, რეგიონებში კვალიფიციური ადამიანური რესურსების სიმცირე **5.** **საბაზისო მაჩვენებელი** - უზრუნველყოფილია 11 სათემო მობილური გუნდის მომსახურება (2018 წლის მაჩვენებლები). 2019 წლის ბოლოს პროგრამით გათვალისწინებულია 31 მობილური გუნდის მომსახურება ; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - თემზე დაფუძნებული ფსიქიატრიული სერვისების მოცვის გაზრდა 30%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - შესაბამისი კადრების დეფიციტი **6.** **საბაზისო მაჩვენებელი** - სტაციონარული სერვისებით მოსარგებლეთა რაოდენობა – 5000-მდე პირი; (2018 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მომართულ/გადმომისამართებულ პაციენტთა 100% უზრუნველყოფილია სტაციონარული სერვისით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - პაციენტთა რაოდენობის დაუგეგმავი ზრდა არსებულ სტაციონარულ საწოლფონდთან შეფარდებით

დიაბეტის მართვა (27 03 03 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
აღწერა და მიზანი	შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა მომსახურება; სპეციალიზებული ამბულატორიული დახმარება; შაქრიანი და უშაქრო დიაბეტით დაავადებული მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა; შაქრიანი და უშაქრო დიაბეტით დაავადებული პაციენტების შესაძლო გართულებების პრევენცია.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობა; დიაბეტით გამოწვეული სპეციფიკური გართულებების შემცირება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა მომსახურების კომპონენტის ფარგლებში: პროგრამის ფარგლებში მომსახურებით ისარგებლა 1400-მა დიაბეტით დაავადებულმა ბავშვმა; (2018 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - წინა წელთან შედარებით მოცვის მაჩვენებლის ზრდა 10%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - საჭიროების მქონე ბენეფიციართა რაოდენობის დაუგეგმავი გაზრდა არსებული პროგრამული რესურსის ფარგლებში **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - სპეციალიზებული ამბულატორიული დახმარების კომპონენტით ისარგებლა 5000-ზე მეტმა პირმა; (2018 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - ჰიპერდიაგნოსტიკა, პაციენტთა რაოდენობის დაუგეგმავი ზრდა არსებული პროგრამული რესურსის ფარგლებში **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - პროგრამაში ჩართულ პაციენტთა 100% უზრუნველყოფილია მედიკამენტებით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - მედიკამენტების მოწოდების ვადების დარღვევის გამო მოსალოდნელი წყვეტა

ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურება (27 03 03 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
აღწერა და მიზანი	18 წლამდე ასაკის ონკოჰემატოლოგიური პაციენტების ფინანსური ხელმისაწვდომობის გასაზრდელად ონკოჰემატოლოგიური დაავადებების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურებით მოცული ბენეფიციარები.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - ონკოჰემატოლოგიური მომსახურების საჭიროების მქონე ბენეფიციართა 100% უზრუნველყოფილია შესაბამისი პროგრამული სტაციონარულიდა ამბულატორიული მომსახურებით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - საერთაშორისო გაიდლაინებისა და პროტოკოლების შესაბამისად მკურნალობის განსახორციელებლად საჭირო რესურსის ნაკლებობა

დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია (27 03 03 04)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
აღწერა და მიზანი	ჰემოდიალიზით და პერიტონეული დიალიზით უზრუნველყოფა; ჰემოდიალიზისა და პერიტონეული დიალიზისათვის საჭირო სადიალიზე საშუალებების, მასალისა და მედიკამენტების შესყიდვა და მიწოდება; თირკმლის ტრანსპლანტაცია; ორგანოგადანერგილთა იმუნოსუპრესული მედიკამენტებით უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებული პირების დიალიზით უზრუნველყოფა და მოცვა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - ჰემოდიალიზით ისარგებლა 3.2 ათასზე მეტმა ბენეფიციარმა; (2018 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ჰემოდიალიზის საჭიროების მქონე პაციენტთა 100%-ით მოცვა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%;

	შესაძლო რისკები - გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა ცალკეულ რეგიონებში **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - პერიტონეული დიალიზით ისარგებლა 111-მა პაციენტმა; (2018 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - პერიტონეული დიალიზის საჭიროების მქონე პაციენტთა 100% მოცვა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 1%; **შესაძლო რისკები** - დიალიზის სახის ცვლილება (პერიტონეულ დიალიზზე მყოფი პირების გადასვლა ჰემოდიალიზზე, თირკმლის ტრანსპლანტაციის ჩატარება) **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ჰემო და პერიტონეული დიალიზისათვის საჭირო სადიალიზე საშუალებები, მასალები და მედიკამენტები შესყიდულია დამიწოდება უზრუნველყოფილია სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებებამდე 100 %-ით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - შესასყიდი რომელიმე საშუალების დეფიციტი ბაზარზე; ინფლაცია, მოწოდების ვადების გახანგრძლივება **4.** **საბაზისო მაჩვენებელი** - დაფიქსირდა თირკმლის ტრანსპლანტაციის 16 შემთხვევა; (2018 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სერვისით უზრუნველყოფის მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - საჭიროების მქონე ბენეფიციართა რაოდენობის დაუგეგმავი გაზრდა; პაციენტების მიერ დონორის მოძიების პროცესთან დაკავშირებული სირთულე **5.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ორგანოგადანერგილ ბენეფიციართა 100% უზრუნველყოფილია იმუნოსუპრესული მედიკამენტებით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - პაციენტები, რომლებიც არ მომართავენ პროგრამას, პროგრამის ფარგლებში შესყიდული მედიკამენტებისგან განსხვავებული მედიკამენტის საჭიროების მქონე პაციენტები

ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა (27 03 03 05)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
აღწერა და მიზანი	ინკურაბელურ პაციენტთა ამბულატორიული პალიატიური მზრუნველობა; ინკურაბელურ პაციენტთა სტაციონარული-პალიატიური მზრუნველობა და სიმპტომური მკურნალობა;

	ინკურაბელურ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	პალიატიური ზრუნვით მოცული ინკურაბელური ბენეფიციარები.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი -** ამბულატორიული პალიატიური ზრუნვით მოცული ინკურაბელური ბენეფიციარების რაოდენობა – 957; (2018 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი -** პროგრამით მოცულ არეალში მიზნობრივი პოპულაცია უზრუნველყოფილია ამბულატორიულ პალიატიურ მზრუნველობაზე ხელმისაწვდომობით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5%; **შესაძლო რისკები -** არათანაბარი გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა; კვალიფიციური ადამიანური რესურსის ნაკლებობა **2.** **საბაზისო მაჩვენებელი -** სტაციონარული პალიატიური ზრუნვით მოცული ინკურაბელური ბენეფიციარების რაოდენობა - 1853; (2018 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი -** მომართული ინკურაბელური პაციენტების 100% უზრუნველყოფილია სტაციონარული პალიატიური მზრუნველობით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5%; **შესაძლო რისკები -** გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა; პაციენტთა რაოდენობის დაუგეგმავი ზრდა არსებულ სტაციონარულ საწოლფონდთან შეფარდებით **3.** **საბაზისო მაჩვენებელი -** შესაბამისი საჭიროების მქონე ინკურაბელური ბენეფიციარების 100% უზრუნველყოფილია ნარკოტიკული ტკივილგამაყუჩებელი მედიკამენტებით; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 1%; **შესაძლო რისკები -** ჰიპერდიაგნოსტიკა (დაავადების ან მისი გართულების მცდარი დიაგნოზი); მედიკამენტების მიწოდების შეფერხება, სამედიცინო პერსონალის გადამეტებული სიფრთხილე ("შიში") ნარკოტიკული საშუალებების დანიშვნისას

იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა (27 03 03 06)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
აღწერა და მიზანი	იშვიათი დაავადებების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიული მომსახურება;

	იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ 18 წლამდე ასაკის ბავშვთა სტაციონარული მომსახურება; ჰემოფილიით და სისხლის შედედების სხვა მემკვიდრული პათოლოგიებით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურება; იშვიათი დაავადებების მქონე პაციენტების სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ქვეპროგრამით მოცული ბენეფიციარები; ქვეპროგრამით მოცული იშვიათ დაავადებათა და ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებული ნოზოლოგიების რაოდენობა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ამბულატორიული მომსახურება გაეწია 196 ბავშვს; (2018 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - პროგრამით განსაზღვრული ნოზოლოგიების მქონე 18 წლამდე პაციენტები უზრუნველყოფილნი არიან ამბულატორიული მეთვალყურეობით -მიმართვის შემთხვევაში 100%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - არათანაბარი გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - სტაციონარული მომსახურება გაეწია იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ 18 წლამდე ასაკის 551 ბავშვს; (2018 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - პროგრამით განსაზღვრული ნოზოლოგიების მქონე 18 წლამდე პაციენტები უზრუნველყოფილნი არიან სტაციონარული მომსახურებით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - არათანაბარი გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ჰემოფილიით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობა გაეწია 252 პაციენტს; (2018 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ჰემოფილიით და სისხლის შედედების სხვა მემკვიდრული პათოლოგიებით დაავადებული პირები უზრუნველყოფილნი არიან ამბუალტორიული და სტაციონარული მომსახურებით -100%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - არათანაბარი გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა **4.** **საბაზისო მაჩვენებელი** - პროგრამით გათვალისწინებული იშვიათი დაავადებების მქონე პაციენტების სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა 100%; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - შესასყიდი რომელიმე საშუალების დეფიციტი ბაზარზე; მოწოდების ვადების გახანგრძლივება

სასწრაფო, გადაუდებელი დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირება (27 03 03 07)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო; სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი
აღწერა და მიზანი	სასწრაფო სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა; სასწრაფო, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების და სამედიცინო ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	შესრულებული გამოძახებების საერთო რაოდენობა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი -** ოკუპირებულ ტერიტორიაზე (გალი)მცხოვრები მოსახლეობა უზრუნველყოფილია სასწრაფო სამედიცინო დახმარებით; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 20%; **შესაძლო რისკები -** ვერ ხორციელდება შესრულებული სამუშაოს მონიტორინგი **2.** **საბაზისო მაჩვენებელი -** რეფერალური დახმარების ფარგლებში დაფიქსირებულია 17.3-ათასამდე გამოძახება; (2018 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 100%-ით უზრუნველყოფილია კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფ ბენეფიციართა რეფერალური დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5%; **შესაძლო რისკები -** შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსის ნაკლებობა, დაგვაინებული მომართვა სამედიცინო დაწესებულების მიერ **3.** **საბაზისო მაჩვენებელი -** ქვეყნის მოსახლეობა 100% უზრუნველყოფილია პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების დროული და შეუფერხებელი მომსახურებით შესრულებული 800 000-მდე გამოძახება); (2018 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი -** საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5%; **შესაძლო რისკები -** რთული სეზონური კლიმატური პირობები, დაზიანებული საგზაო ინფრასტრუქტურა, გაუთვალისწინებელი კატასტროფები

სოფლის ექიმი (27 03 03 08)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
აღწერა და მიზანი	პირველადი ჯანდაცვის მომსახურება სოფლად (მათ შორის, ამბულატორიული მომსახურებისათვის აუცილებელი მედიკამენტების და სამედიცინო დანიშნულების საგნების, ექიმის ჩანთის და სამედიცინო დოკუმენტაციის ბეჭდვის მომსახურების შესყიდვა); სპეცდაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებების მიერ შესაბამისი ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების მიწოდება; შიდა ქართლის სოფლების ამბულატორიული ქსელის ხელშეწყობა და განვითარება; სპეცდაფინანსებაზე მყოფი რიგი სამედიცინო დაწესებულებების დამატებითი ფინანსური უზრუნველყოფა; სოფლის მოსახლეობისათვის პირველადი ჯანდაცვის მომსახურებაზე მოსახლეობის გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სოფლად მცხოვრები მოსახლეობის პირველადი ჯანდაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - ვიზიტების რაოდენობა ერთ სულზე სამიზნე პოპულაციაში (სოფლის მოსახლეობაში) 0.84 (2018 წელი); ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებებში ერთ სულ მოსახლეზე მიმართვების რაოდენობა- 3,3 (2018 წელი); მათ შორის სოფლის განვითარების სტრატეგიის ფარგლებში ექიმთან ამბულატორიული მიმართვების რაოდენობამ ერთ სულ მოსახლეზე შეადგინა 0.84 (2018 წელი); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; სოფლის განვითარების სტრატეგიის ფარგლებში ექიმთან ამბულატორიული მიმართვების რაოდენობამ ერთ სულ მოსახლეზე შეადგინა 1.3-მდე; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - კვალიფიციური/ადგილობრივი კადრის ნაკლებობა

რეფერალური მომსახურება (27 03 03 09)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
აღწერა და მიზანი	სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტების რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთათვის და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების გაწევა;

	მოსახლეობის ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდით მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება; ფილტვის ქრონიკული დაავადებების რეაბილიტაციის უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი უშუალედური შედეგი	პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული შემთხვევები; ფილტვის ქრონიკული დაავადებების რეაბილიტაცია მიზნობრივ ჯგუფებში.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულ იქნა 15.1 ათასზე მეტი შემთხვევა; (2018 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 25%; **შესაძლო რისკები** - ბენეფიციართა დაუგეგმავი ზრდა, სერვისის მისაღებად ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებთა მიერ პირობითი საზღვრის კვეთასთან დაკავშირებული პრობლემები **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ფილტვის ქრონიკული დაავადების მქონე პირებისათვის (მიზნობრივ ჯგუფებში) უზრუნველყოფილია მხოლოდ გარკვეული მედიკამენტებით უზრუნველყოფა, სარეაბილიტაციო ცენტრი არ ფუნქციონირებს; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ფილტვის ქრონიკული დაავადებების მქონე პირთა სარეაბილიტაციო ცენტრი ფუნქციონირებს; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2%; **შესაძლო რისკები** - პაციენტთა ცნობიერების დაბალი დონე

თავდაცვის ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება (27 03 03 10)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
აღწერა და მიზანი	თავდაცვის ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა ამბულატორიული შემოწმება და მათთვის დამატებითი გამოკვლევების ჩატარება.
მოსალოდნელი უშუალედური შედეგი	თავდაცვის ძალების შევსება ჯანმრთელი კონტინგენტით.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - პროგრამის ფარგლებში ამბულატორიულად გამოკვლეულ იქნა 17.0 ათასამდე წვევამდელი.

	(2018 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - თავდაცვის ძალებში გასაწვევი სრული კონტიგენტის 100% შემოწმებულია **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ჩატარდა 1195 წვევამდელის დამატებითი სტაციონარული გამოკვლევა; (2018 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - თავდაცვის ძალებში გასაწვევი პირები სრულად უზრუნველყოფილნი არიან პროგრამით გათვალისწინებული დამატებითი კვლევებით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 0,5%; **შესაძლო რისკები** - დამატებით გამოკვლევაზე გაგზავნილი პაციენტები, რომლებიც აღარ იტარებენ დანიშნულ კვლევას

ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფა (27 03 03 11)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
აღწერა და მიზანი	გულ-სისხლძარღვთა ქრონიკული დაავადებების, ფილტვის ქრონიკულ დაავადებათა, დიაბეტის (ტიპი 2), ფარისებრი ჯირკვლის, ეპილეფსია და პარკინსონის დაავადებათა სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტის შესყიდვა; ფარმაცევტული პროდუქტის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გაფორმების ხარჯები, მიღება, შენახვა, ტრანსპორტირება, გაცემა პროგრამის მოსარგებლეებზე.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ქრონიკული არაგადამდები დაავადებების მქონე ბენეფიციართა სამიზნე ჯგუფისათვის ძირითადი არაგადამდები დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ექვსი ძირითადი ქრონიკული დაავადების (გულსისხლძარღვთა სისტემის დავადებების, ფქოდი-ს, დიაბეტი მე-2 ტიპი, ფარისებური ჯირკვლის დაავადებების, პარკინსონი, ეპილეფსია) სამკურნალო მედიკამენტები შესყიდულია დაგეგმილი რაოდენობით და განთავსებულია საცალო რეალიზაციის ფარმაცევტულ ობიექტებში გეოგრაფული ხელმისაწვდომობის პრინციპის დაცვით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; პროგრამის ფარგლებში მიზნობრივი ჯგუფებისა და მიმართულებების გაფართოვება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - ფარმაცევტულ ბაზარზე ზოგიერთი მედიკამენტის დეფიციტი

დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლება (27 03 04)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
აღწერა და მიზანი	„ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებსა და მაღალმთიან და საზღვრისპირა მუნიციპალიტეტებში მცხოვრები მოსახლეობისათვის სამედიცინო სერვისების მიწოდების უწყვეტობისა და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, ამ მუნიციპალიტეტებისათვის დეფიციტურ და პრიორიტეტულ საექიმო სპეციალობებში ადამიანური რესურსის მომზადების საშუალებით; დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების)/სარეზიდენტო პროგრამებზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება; პროფესიული რეგულირების არსებული მექანიზმების ეფექტიანობის გაზრდა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მაღალმთიან და საზღვრისპირა მუნიციპალიტეტებსა და „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებში სამედიცინო სერვისების შენარჩუნება და მათი უწყვეტობის უზრუნველყოფა; დიპლომისშემდგომ განათლებაზე (პროფესიულ მზადებაზე) ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა (მ.შ. სოციალურად დაუცველი საექიმო სპეციალობის მაძიებელთათვის, ასევე, მაძიებელთა დაფინანსება პრიორიტეტულ საექიმო სპეციალობებში); ექიმთა შეფასების ინსტრუმენტის გაუმჯობესება; ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - დიპლომისშემდგომი განათლების პროგრამაში ჩართული მაძიებლების რაოდენობა - 11; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 30%; **შესაძლო რისკები** - მაძიებელთა დაბალი ინტერესი მომავალი სავალდებულო დასაქმების ადგილის, ასევე, კონკრეტული საექიმო სპეციალობების მიმართ **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - პროფესიული რეგულირების არსებული მექანიზმების (სასერტიფიკაციო და საკვალიფიკაციო ტესტები) განახლების მაჩვენებელი - 2018 წელს განახლდა საკვალიფიკაციო ტესტები პროფილით მედიცინა და სტომატოლოგია და სახელმწიფო სასერტიფიკაციო ტესტები 10 საექიმო სპეციალობაში; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 30%; **შესაძლო რისკები** - შესაბამისი ადგილობრივი დარგობრივი ექსპერტის ვერმოძიება, დიპლომისშემდგომი და ერთიანი საკვალიფიკაციო გამოცდების ფორმატის ცვლილება

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვა (27 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო; სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი; სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო; სსიპ - ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი; სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი; სსიპ - საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო; სსიპ - წამლის სააგენტო;
აღწერა და მიზანი	მოსახლეობის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, განხორციელება და საქმიანობის კოორდინაცია, აგრეთვე დევნილთა, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და გადაადგილებას დაქვემდებარებულ პირთა (ეკომიგრანტთა) სოციალური დაცვისა და განსახლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელების კოორდინაცია; ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მარეგულირებელი აქტების მომზადება და ზედამხედველობა; სამედიცინო საქმიანობის ხარისხის კონტროლი და უსაფრთხოების უზრუნველყოფა; სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის კონტროლი; სამკურნალო საშუალებების ხარისხზე, მათ მიმოქცევასა და ფარმაცევტულ საქმიანობაზე ზედამხედველობა; სოციალური დახმარებების, პენსიებისა და სხვადასხვა ფულადი და არაფულადი სახელმწიფო ბენეფიტების მიმღებთა გამოვლენა, დადგენა და აღრიცხვა, მათთვის დახმარების დანიშვნა და მისი გაცემის ორგანიზება; საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ჯანმრთელობის დაცვის სერვისების შეუფერხებელი მიწოდება; ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის, სექსუალური ხასიათის ძალადობის მსხვერპლთა/დაზარალებულთა/ დაცვა და მხარდაჭერა. ასევე, მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა, ხანდაზმულთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა/ბავშვთა მოვლა-პატრონობა გრძელვადიან პერიოდში; საქართველოს ტერიტორიულ ერთეულებში საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების მართვა; ქვეყანაში შრომის ბაზრის პოლიტიკის, დასაქმების ხელშეწყობისა და შრომის უსაფრთხოების დაცვის მექანიზმების მართვა, შრომითი ურთიერთობების გაუმჯობესება; შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის თაობაზე

	შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შემუშავება; იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა, ეკომიგრანტთა და მიგრანტთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ხარისხიანი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა; საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში სახელმწიფო პროგრამების და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების განხორციელება და მონიტორინგი; ბენეფიციარებისათვის დადგენილი გასაცემლების სრული და დროული მიწოდება, ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული, ხარისხის მაღალი სტანდარტების შესაბამისი მომსახურება; უკანონო სამედიცინო და საექიმო საქმიანობისაგან დაცული მოსახლეობა; ფარმაცევტული ბაზრის დაცვა გაუვარგისებული, უხარისხო და წუნდებული პროდუქტისაგან; საქართველოს მოსახლეობისათვის პირველადი სასწრაფო გადაუდებელი დახმარების სერვისის გამართული, დროული და ეფექტური მიწოდება რეგიონებში და ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებში; ქვეყანაში შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის, დასაქმების ხელშეწყობისა და შრომის უსაფრთხოების დაცვის მექანიზმების მართვა, გაუმჯობესებული შრომითი პირობები; შრომის უსაფრთხოების, საწარმოო სანიტარულ-ჰიგიენური პირობების, ტრეფიკინგისა და შრომითი უფლებების დაცვის მიზნით მომზადებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები; იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა, ეკომიგრანტთა და მიგრანტთა გაუმჯობესებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი -** მოსახლეობა საჭიროების შესაბამისად უზრუნველყოფილია ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების შეუფერხებელი ფუნქციონირებით; ხორციელდება შრომის ბაზრის მონიტორინგი და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკა; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** ჯანმრთელობის პროგრამებში ჩართული სამიზნე ჯგუფების შესაბამისი სერვისებით უზრუნველყოფა; საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები; მოსახლეობის კმაყოფილება (კვლევა); ხორციელდება შრომის ბაზრის მონიტორინგი და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკა 2. **საბაზისო მაჩვენებელი -** საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგი და ანალიზი; უზრუნველყოფილია ქვეყანაში კეთილსაიმედო ეპიდემიოლოგიური

	მდგომარეობა; ლაბორატორიული საქმიანობა, ეროვნული რეფერალური ლაბორატორიების ორგანიზება და ფუნქციონირება, განსაკუთრებით საშიშ ინფექციებთან დაკავშირებული საქმიანობა; იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, ლოჯისტიკური უზრუნველყოფა და მისი განხორციელების ზედამხედველობა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და ბიოლოგიური უსაფრთხოების სფეროში უზრუნველყოფილი ეპიდემიოლოგიური და ბიოლოგიური უსაფრთხოება; დროულად ინფორმირებული საზოგადოება, გამოვლენილი გადამდები და საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე არაგადამდები დაავადებების და ჯანმრთელობის რისკები; გამართულად ფუნქციონირებადი ზედამხედველობისა და რეაგირების ერთიანი ლაბორატორიული სისტემები; საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში სახელმწიფო პროგრამების და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების განხორციელება და მონიტორინგი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - არაუმეტეს 15%-ისა; **შესაძლო რისკები** - მოსახლეობის დაბალი ცნობიერება პროფილაქტიკური მედიცინის სარგებლის შესახებ; დაბალი ნდობა პროგრამული ვაქცინების უსაფრთხოების მიმართ („ფასიანი“ ვაქცინა „უფასო“ ვაქცინის წინააღმდეგ). ტესტ სისტემების მომწოდებელი კომპანიის (ტენდერში გამარჯვებული) მიერ ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულება (მაგ.: დაგვიანება), თამბაქოს ინდუსტრიის მძლავრი პრომოცია/ადვოკატირება **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - სოციალური დაცვის პროგრამები მიმართულია ყველაზე შეჭირვებული მოსახლეობისთვის; ბენეფიცარების მაქსიმალური სიზუსტით აღრიცხვის უზრუნველყოფა; გასაცემლების/მომსახურების სრული და დროული მიწოდება; შშმ პირთა უწყვეტი ფინანსური მხარდაჭერა; გასაცემლის/მომსახურების დაგვიანებით ან არასრულად მიღებაზე საჩივრების განხილვა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 0,05% **4.** **საბაზისო მაჩვენებელი** - საარსებო წყაროების შექმნის/გაუმჯობესებისაკენ მიმართული სახელმწიფო პროგრამების შესახებ მოეწყო 4 საინფორმაციო კამპანია და ინფორმირებული იქნა 230 000 პირი; სახელმწიფო პროფესიულ სასწავლებლებში ჩარიცხულ 576 იძულებით გადაადგილებულ პირს აუნაზღაურდა ტრანსპორტირების ხარჯი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%-30%; **შესაძლო რისკები** - სამიზნე ჯგუფის დაბალი ინტერესი; პროფესიულ კოლეჯებში ჩარიცხულ დევნილთა მომართვიანობის დაბალი დონე; ჩარიცხული სტუდენტების მომართვიანობა, რომელთაც ესაჭიროებათ ტრანსპორტირების ხარჯის ანაზღაურება **5.** **საბაზისო მაჩვენებელი** - სამედიცინო საქმიანობის ხარისხის კონტროლი-200; სალიცენზიო/სანებართვო/ტექნიკური რეგლამენტის პირობების/ინფექციების კონტროლის სისტემის ფუნქციონირების შემოწმება-150; ფარმაცევტული პროდუქტის სახელმწიფო რეგისტრაცია-5000; ავტორიზებულ აფთიაქზე, ფარმცევტულ წარმოებაზე და სპეცკონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების იმპორტ/ექსპორტზე ნებართვის გაცემა-300; ფარმაკოლოგიური საშუალებების კლინიკური კვლევის ნებართვის გაცემა 70; ფარმაცევტულ დაწესებულებების ლიცენზიების და ნებართვების გაცემა-120; ფარმაცევტული პროდუქტის მიმოქცევის სფეროში კონტროლის

	ღონისძიებების განხორციელება 650; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2%; **შესაძლო რისკები** - მოთხოვნების შემცირება **6.** **საბაზისო მაჩვენებელი** - პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარებით კმაყოფილი მოსახლეობა; გამოძახებების 100%-ით შესრულება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი; **შესაძლო რისკები** - არამიზნობრივი გამოძახებები **7.** **საბაზისო მაჩვენებელი** - შრომითი ურთიერთობებისა და დასაქმების ხელშეწყობა, შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების რაოდენობა-4; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ორგანიზაცია-დაწესებულებებში უზრუნველყოფილია შრომითი ურთიერთობებისა და შრომის უსაფრთხოების დაცვის მექანიზმის დანერგვა, შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების რაოდენობა-2020 წელს-6, 2021 წელს- 9, 2022 წელს-13, 2023 წელს-17; დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა 10% -ით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 15-20%; **შესაძლო რისკები** - არასათანადო აღსრულების მექანიზმის გათვალისწინებით შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შემუშავების გადავადება **8.** **საბაზისო მაჩვენებელი** - შრომის ინსპექტირების სახელმწიფო პროგრამის და „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში შემოწმებული 800 ობიექტის აღრიცხვა, მიღებული ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შემოწმებული 900 ობიექტის აღრიცხვა, მიღებული ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 12-15%; **შესაძლო რისკები** - არასათანადო აღსრულების მექანიზმის გათვალისწინებით, სტრუქტურის სრულყოფილი ფუნქციონირებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსის ნაკლებობა **9.** **საბაზისო მაჩვენებელი** - მომზადებულია და დანერგილია მომსახურების სახელმძღვანელო პრინციპები მინიმუმ 6 საკვანძო პროცესისთვის; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მომზადებული და დანერგილი მომსახურების სახელმძღვანელო პრინციპების რაოდენობის ზრდა მინიმუმ ერთით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - -/+25%; **შესაძლო რისკები** - არასაკმარისი სახსრები

სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა (27 04)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
აღწერა და მიზანი	სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჯანდაცვითი ინფრასტრუქტურის, შენობა-ნაგებობებისა და აღჭურვილობის განახლება, სამედიცინო დაწესებულებებში დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მინიმალური სტანდარტის უზრუნველყოფა; სამედიცინო დაწესებულებათა მშენებლობა, რეაბილიტაცია, აღჭურვა და ფუნქციონირების ხელშეწყობა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	რეაბილიტირებული და აღჭურვილი სამედიცინო დაწესებულებები.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი -** სსიპ – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ქვედანაყოფების ახალი ოფისების აღჭურვა ავეჯით-100%; სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანების შესყიდვა -100%; სპეციალიზებული სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტომანქანებისათვის სამედიცინო აპარატურის შესყიდვა - 100%; შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ მართვაში არსებული სამედიცინო დაწესებულების ფუნქციონირებისათვის: სამედიცინო აპარატურისა და მოწყობილობების შესყიდვა - 100%, სარემონტო სამუშაოების შესყიდვა - 50%; ფსიქიატრიული და ადიქტოლოგიური სერვისების მიმწოდებელი დაწესებულებების (შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“, შპს „რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ და შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“) აღჭურვა და სარემონტო სამუშაოების შესყიდვა - 40%; „დაბა აბასთუმნის ფილტვის დაავადებათა სარეაბილიტაციო ცენტრის“ ფუნქციონირებისათვის სამედიცინო და სარეაბილიტაციო აპარატურისა და ინვენტარის შესყიდვა - 100%; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის“ აღჭურვა სამედიცინო აპარატურით და სამედიცინო ავეჯით - 100%; ,,უნივერსალური სამედიცინო ცენტრის" აღჭურვა სამედიცინო აპარატურით და სამედიცინო ავეჯით - 100%; თბილისის, ქუთაისისა და რუსთავის ,,სისხლის ბანკების" რეაბილიტაცია/აღჭურვა - 100%; პირველადი ჯანდაცვის ცენტრების აღჭურვა - 100%; ფსიქიატრიული და ადიქტოლოგიური სერვისების მიმწოდებელი დაწესებულებების აღჭურვა - 80%; ბაკურიანსა და გუდაურში გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ცენტრების (ემერჯენსი) მშენებლობა და აღჭურვა - 100%; სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტოპარკის შევსება/განახლება - 100%; პირველადი ჯანდაცვის ცენტრების აღჭურვა - 50%; შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ მართვაში არსებული სამედიცინო დაწესებულების სარემონტო სამუშაოები - 80%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** -+10%; **შესაძლო რისკები -** მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა/არაჯეროვნად შესრულება/ვადების დარღვევით შესრულება

სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური (37 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ვეტერანების სახელმწიფო სამსახური
აღწერა და მიზანი	ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანების და მათი ოჯახის წევრების, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილ პირთა ოჯახების სათანადო ცხოვრების პირობებისა და კეთილდღეობისათვის მყარი სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლის შექმნის უზრუნველყოფა; სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების დაცვისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ვეტერანთა პოტენციალის სრულფასოვანი გამოვლენისა და განვითარების ხელშეწყობა, მათი სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობისთვის სათანადო, ღირსეული პირობების შექმნა; სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა სახელების სადიდებლად და მათი საქმის უკვდავსაყოფად საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულ და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის განმტკიცებისთვის მუდმივი ზრუნვა; ვეტერანების და მათი ოჯახის წევრების სოციალურ-ეკონომიკური მხარდაჭერის სახელმწიფო და ადგილობრივი მიზნობრივი პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების ხელშეწყობა; საზოგადოებაში მხედრული ტრადიციების განმტკიცება, სახელმწიფოს და საზოგადოების მიერ ვეტერანთა ღვაწლისა და დამსახურების სათანადო აღიარება, მომავალ თაობებში პატრიოტული სულისკვეთების გაღვივება.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და ვეტერანების სამშობლოსადმი თავდადებისა და ღვაწლის სათანადო დაფასება
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, სამართლებრივი და რეაბილიტაციის მიმართულებით განხორციელებული პროექტების რაოდენობა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის ჯანმრთელობის, სოციალური დაცვისა და რეაბილიტაციის მიმართულებით განხორციელებული პროექტების ხარისხობრივი და რაოდენობრივი ზრდა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%

სსიპ - საპენსიო სააგენტო (21 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საპენსიო სააგენტო

აღწერა და მიზანი	დაგროვებითი საპენსიო სქემის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა; „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული დაგროვებითი საპენსიო სქემის მართვა და ადმინისტრირება; საპენსიო აქტივების განკარგვა კეთილსაიმედო ინვესტირების პრინციპების დაცვით, მონაწილეებისა და მათი მემკვიდრეების ინტერესების შესაბამისად; დაგროვებითი საპენსიო სქემის ანალიზი, რისკების შეფასება, განვითარებასა და გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ხედვის ჩამოყალიბება და რეკომენდაციების მომზადება.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ჩამოყალიბებული საპენსიო სააგენტო და დანერგილი დაგროვებითი საპენსიო სისტემის მოდელი, რომლის მონაწილეთა რაოდენობა შეადგენს 800 (რვაასი) ათას ადამიანს. დაგროვებით საპენსიო სქემაში ნებაყოფლობით და თვითდასაქმებულთა ჩართულთა ოდენობის ზრდა. საპენსიო აქტივების ღირებულება შეადგენს 1,3 (ერთი მთელი სამი) მლრდ ლარს. შემუშავებული საინვესტიციო პოლიტიკა და რისკების კონტროლის პოლიტიკა, პროცედურები, მეთოდოლოგია და დოკუმენტაცია. საინვეტიციო საქმიანობის შედეგად აქტივების ღირებულების 100%-ით ინვესტირება. კაპიტალის ბაზრის განვითარება, რომელიც ხელს შეუწყობს ალტერნატიული, გრძელვადიანი, იაფი და მოქნილი საინვესტიციო რესურსის ხელმისაწვდომობის ზრდას და ეკონომიკის ზრდის დაჩქარებას.

შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამა (27 05)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
აღწერა და მიზანი	ქვეყანაში შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკისა და დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარება/განხორციელება, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ცნობიერების ამაღლება; შრომის ბაზარზე, შრომის კანონმდებლობისა და შრომის უსაფრთხოების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის შესწავლა; შრომის ნორმების დაცვის გაუმჯობესება-სრულყოფა და ამის საფუძველზე, შემოწმებული ობიექტების რაოდენობის მეშვეობით დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის შრომითი ურთიერთობების გაუმჯობესება; შრომის უსაფრთხოების შესახებ ორგანული კანონისა და შრომის კანონმდებლობის ეფექტური აღსრულება; იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის გამოვლენის მიზნით კომპანიების პერიოდული შემოწმება და პრევენციული ღონისძიებების განხორციელება; სამუშაოს მაძიებელთა რეგისტრაცია-კონსულტირება, მომსახურებების განვითარება, შეზუღუდული

	შესაძლებლობისა და სპეციალური საჭიროების მქონე პირთა, მათ შორის ქალთა დასაქმების ხელშეწყობა; ავტორიზებულ-აკრედიტირებულ პროფესიულ სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებებში რეგისტრირებული სამუშაოს-მაძიებლების მომზადება-გადამზადება, მათ შორის, ქალთა მონაწილეობის უპირატესობის გათვალისწინებით.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების პროგრამით გათვალისინებული ღონისძიებების შედეგად დასაქმებულთა, როგორც მამაკაცთა, ისე ქალთა რაოდენობის ზრდა; „შრომის ინსპექტირების სახელმწიფო პროგრამის" და „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში შემოწმებული ობიექტები; გაუმჯობესებული შრომითი პირობები. შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლება და მათი კონკურენტუნარიანობის გაზრდა, ქალთა მომატებული მაჩვენებლით.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების პროგრამის ფარგლებში, დასაქმების ხელშეწყობის სხვადასხვა აქტივობებით დასაქმებულია 300-500 სამუშაოს მაძიებელი, მათ შორის დასაქმებულ ქალთა რაოდენობა 60%; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - დასაქმების ხელშეწყობის სხვადასხვა აქტივობების შედეგად დასაქმებულ ქალთა და კაცთა რაოდენობის 10%-ით ზრდა ყოველწლიურად; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10-15%; **შესაძლო რისკები** - სამუშაო ადგილების შეზღუდული რაოდენობა **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - შრომის ინსპექტირების სახელმწიფო პროგრამის და „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში 800 ობიექტის შემოწმება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შრომის ინსპექტირების სახელმწიფო პროგრამის და „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში 2020 წელს - 900 ობიექტის შემოწმება, 2021 წელს - 1050, 2022 წელს - 1100, 2023 წელს-1200; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - ცდომილების მაჩვენებელი დაგეგმილსა და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის შეადგენს 12-15%-ს; **შესაძლო რისკები** - არასათანადო აღსრულების მექანიზმი, პროგრამით მოსარგებლე დამსაქმებელთა მცირე რაოდენობა **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გადამზადებულთა რაოდენობა 1300-2000, მათ შორის მოსარგებლე ქალთა რაოდენობა -60%; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - პროგრამის ფარგლებში გადამზადებულთა რაოდენობა 1500- 2000, მათ შორის

	მოსარგებლე ქალთა რაოდენობა-70%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10-15%; **შესაძლო რისკები -** სამუშაოს მაძიებელთა, მათ შორის ქალთა და დამსაქმებელთა ჩართულობის დაბალი მაჩვენებელი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა (30 05)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური
აღწერა და მიზანი	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ფიზიკური განვითარების შენარჩუნება და განმტკიცება, ავადობისა და შრომისუუნარობის რაოდენობათა შემცირება; სამედიცინო ქვედანაყოფების მაღალი საბრძოლო და სამობილიზაციო მზადყოფნის უზრუნველყოფა; საჭიროების შემთხვევაში დაჭრილთათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და ევაკუაციის ორგანიზება; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში სანიტარულ-ჰიგიენური და ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებათა კონტროლი; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა და მათი ოჯახის წევრთა სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ბენეფიციართა უზრუნველყოფა თანამედროვე და შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო საშუალებებით
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი -** 2018 წელს სამსახურის ბაზაზე (არსებული ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით) მომართული კონტინგენტის 100% უზურნველყოფილ იქნა სხვადასხვა სამედიცინო მომსახურებით, კერძოდ: ექიმ-სპეციალისტებთან განხორციელდა 76059 ვიზიტი; სტომატოლოგიური მომსახურება გაეწია 6284 პაციენტს; განხორციელდა 3865 სხვადასხვა ულტრაბგერითი კვლევა; ფუნქციონალური დიაგნოსტიკის კაბინეტში ჩატარდა 5653 გამოკვლევა; ფიზიოთერაპიულ კაბინეტში განხორციელდა 17825 პროცედურა; რენტგენოგრაფიულად გაშუქდა 11863 პაციენტი; ჩატარდა 51125 სხვადასხვა ლაბორატორიული კვლევა; საინექციო კაბინეტში განხორციელდა 1354 პროცედურა; მასაჟის კაბინეტში ჩატარებულ იქნა 4267 სამკურნალო პროცედურა; სამხედრო-საექიმო კომისია გაიარა 4951 პირმა. სხვადასხვა კლინიკებში (როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ) ამბულატორიული და სტაციონალური მკურნალობა გაეწია 2108 პაციენტს; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 50%; **შესაძლო რისკები -** აღნიშნული მაჩვენებელი დამოკიდებულია მოსალოდნელ ავადობათა სიხშირესა და სახეობებზე ასევე სამინისტროს პოლიტიკის ცვლილება თანამშრომელთა მკურნალობასთან დაკავშირებით

ა(ა)იპ - საქართველოს სოლიდაროზის ფონდი (39 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - საქართველოს სოლიდაროზის ფონდი
აღწერა და მიზანი	საქართველოში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ან კატასტროფული სოციალური დანახარჯების რისკის წინაშე მდგარი პირებისათვის ალტერნატიული (არასაბიუჯეტო) რესურსების მობილიზება და პრიორიტეტული სოციალური საჭიროებებისათვის მიმართვა საზოგადოების, კერძო სექტორისა და სახელმწიფოს მონაწილეობით; სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროექტების დაფინანსება, მათ შორის, ერთჯერადი დახმარებების, აგრეთვე რეგულარული სოციალური შემწეობების/პროექტების დაგეგმვა და განხორციელება; ონკოლოგიური დაავადებების მქონე 22 წლამდე ბენეფიციართა მხარდაჭერა სახელმწიფო და მუნიციპალური დაფინანსების ლიმიტის ფარგლების გარეთ მოხვედრილი თერაპიისა და დიაგნოსტიკის შემთხვევაში, აგრეთვე ძვირად ღირებული დიაგნოსტიკური მომსახურება და მკურნალობა საზღვარგარეთ დადასტურებული სამედიცინო აუცილებლობის შემთხვევაში; ონკოლოგიური დაავადებების მქონე მოზრდილთათვის ძვირად ღირებული მედიკამენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მობილიზება და 22 წლამდე ასაკის სიმსივნით დაავადებული ბავშვებისა და ახალგაზრდების მკურნალობის ფინანსური; პრობლემის გადაჭრა ქვეყნის მასშტაბით და პარალელურად საქართველოში ონკოლოგიურ სერვისების გაძლიერება; ფინანსური რესურსების მზარდი მოცულობების პირობებში (ყოველწლიურად 5 მილიონზე მეტი ლარის დონაცია) იშვიათი; დაავადებების, შშმპ ბავშვებისა და უფროსი ასაკის ონკოლოგიური პაციენტების დახმარება ინდივიდუალური; ძვირადღირებული მკურნალობის მისაღებად

კოდი	დასახელება	2020 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი
30 01	საზოგადოებრივი წესრიგი და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავება	584,834.0	584,834.0	-	624,834.0	624,834.0	624,834.0
29 01	თავდაცვის მართვა	327,264.5	327,264.5	-	327,264.5	327,264.5	327,264.5
29 09	ლოჯისტიკური უზრუნველყოფა	170,955.5	170,955.5	-	190,955.5	210,955.5	240,955.5
26 02	საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება	156,910.0	156,910.0	-	170,000.0	175,000.0	180,000.0
20 01	სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა	119,300.0	119,300.0	-	121,500.0	121,500.0	121,500.0
29 05	ინფრასტრუქტურის განვითარება	100,000.0	100,000.0	-	120,000.0	130,000.0	150,000.0
30 02	სახელმწიფო საზღვრის დაცვა	90,900.0	90,900.0	-	93,100.0	92,100.0	92,100.0
30 06	სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება, სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა	72,883.0	72,609.0	274.0	72,955.6	72,955.6	72,955.6
29 03	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	67,780.0	58,380.0	9,400.0	66,580.0	66,580.0	66,580.0
29 02	პროფესიული სამხედრო განათლება	51,926.0	51,620.0	306.0	51,950.0	51,950.0	51,950.0
29 08	თავდაცვის შესაძლებლობების შენარჩუნება/განვითარება	51,600.0	51,600.0	-	86,600.0	156,600.0	206,600.0
40 01	დასაცავ პირთა და ობიექტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა	50,500.0	50,500.0	-	51,000.0	51,500.0	51,500.0
29 06	საერთაშორისო სამშვიდობო მისიები	41,850.0	41,850.0	-	41,850.0	41,850.0	41,850.0
33 00	საქართველოს პროკურატურა	37,300.0	37,300.0	-	37,830.0	37,830.0	37,830.0
29 10	საქართველოს თავდაცვის ძალების შესაძლებლობის გაძლიერება (SG)	35,000.0	35,000.0	-	20,000.0	-	-
29 07	სამეცნიერო კვლევა და სამხედრო მრეწველობის განვითარება	41,260.0	33,530.0	7,730.0	41,730.0	41,730.0	41,730.0
23 03	ეკონომიკური დანაშაულის პრევენცია	21,485.0	21,485.0	-	21,485.0	21,485.0	21,485.0
20 02	ოპერატიულ-ტექნიკური საქმიანობის უზრუნველყოფა	18,200.0	18,200.0	-	18,500.0	18,500.0	18,500.0
34 00	საქართველოს დაზვერვის სამსახური	13,500.0	13,500.0	-	14,000.0	15,000.0	15,000.0

კოდი	დასახელება	2020 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი
30 03	ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მათ შორის, ქონების), დიპლომატიური წარმომადგენლობების, ეროვნული საგანძურის დაცვის და უსაფრთხოების დონის ამაღლება	142,310.6	10,660.0	131,650.6	141,860.0	142,560.0	145,960.0
29 04	მართვის, კონტროლის, კავშირგაბმულობისა და კომპიუტერული სისტემები	9,800.0	9,800.0	-	9,800.0	9,800.0	9,800.0
24 10	ტრანსპორტის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების დაფარვა და ტრანსპორტირების ხარჯების სუბსიდირება	8,000.0	8,000.0	-	30,000.0	30,000.0	30,000.0
26 06	დანაშაულის პრევენცია, პრობაციის სისტემის განვითარება და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია	8,453.0	6,685.0	1,768.0	8,385.0	8,385.0	8,385.0
55 00	ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატი	3,200.0	3,200.0	-	3,200.0	3,200.0	3,200.0
30 08	საგანგებო და გადაუდებელი დახმარების ეფექტური სისტემის ფუნქციონირება	11,613.9	-	11,613.9	13,369.0	11,119.0	10,972.0
40 03	სსიპ სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტო	1,216.0	-	1,216.0	1,216.0	1,216.0	1,216.0
30 07	სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მომსახურების ეფექტიანობის უზრუნველყოფა და ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომობა	73,598.8	-	73,598.8	59,500.0	60,000.0	63,500.0
	სულ	**2,311,640.3**	**2,074,083.0**	**237,557.3**	**2,439,464.6**	**2,523,914.6**	**2,635,667.6**

საზოგადოებრივი წესრიგი და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავება (30 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები
აღწერა და მიზანი	პრევენციული და საგამოძიებო ფუნქციების გაძლიერება; ეფექტიანი და ანგარიშვალდებული სამართალდამცავი უწყების ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს დანაშაულის პრევენციას, დანაშაულზე სწრაფ რეაგირებას, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, მართლწესრიგს და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ფაქტების გამოვლენას; ოჯახური დანაშაულის, ქალთა მიმართ ძალადობის, დისკრიმინაციის ნიშნით, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის, ტრეფიკინგის, არასრულწლოვანთა მიერ/მიმართ ჩადენილი დანაშაულის ფაქტებზე დროული რეაგირებისა და მიმდინარე გამოძიების ეფექტიანობის გაზრდა; კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი უცხოელების საქართველოდან გაძევების პროცედურების წარმოება; სხვა ქვეყნებში უკანონოდ მყოფი საქართველოს მოქალაქეების დაბრუნების მიზნით რეადმისიის შეთანხმებების იმპლემენტაცია.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	• დანერგილი სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებისას მტკიცებულებათა მოძიების თანამედროვე მეთოდები; • ამაღლებული ადამიანის უფლებათა დაცვის ხარისხი; • ამაღლებული საგზაო უსაფრთხოების დონე და გაზრდილი საგამოძიებო ღონისძიებების ეფექტიანობა; • დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში განვითარებული ოპერატიული და საერთაშორისო თანამშრომლობა; • დროებითი მოთავსების იზოლატორების სრულყოფილი ფუნქციონირება; • დროებითი განთავსების ცენტრში განთავსებული მიგრანტებისთვის და თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებ ცენტრში განთავსებულ თავშესაფრის მაძიებელთათვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პირობების შექმნა; • საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეებისთვის განხორციელებული ბინათმშენებლობის პროექტი; • რეაბილიტირებული სამინისტროს ინფრასტრუქტურა; • განახლებული სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; • განახლებული სამინისტროს ავტოპარკი; • გაუმჯობესებული საზოგადოებრივი წესრიგის და დანაშაულთან ბრძოლის ხარისხი.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2019 წელს ფუნქციონირება დაიწყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ბიოლოგიური ექსპერტიზის ლაბორატორიამ; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** სრულად გამართული დნმ ლაბორატორია, ლაბორატორიაში ჩატარებული სრულყოფილი დნმ ექსპერტიზები. სამუშაო პროცესი ოპტიმიზებულია და გათვლილია კრიმინალისტიკურ მუშაობის სპეციფიკაზე, გამოძიებისათვის ხარისხიანი და დროული კვლევების მომზადების მიზნით (20-25%). დანერგილი ხარისხის სისტემა

	ISO:17025 საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისობაში მოსაყვანად (50-60%). მომზადებული/გადამზადებული ექსპერტ ბიოლოგები, დანერგილი კვლევის ახალი მეთოდები (30-35%). დანერგილი ხარისხის სისტემა, დამტკიცებული სტანდარტული ოპერაციული სახელმძღვანელოები, მომზადებული განაცხადი მაკრედიტირებელ ორგანოში, საერთაშორისო ISO:17025 აკრედიტაციის მოპოვება. გაზიარებული ევროპული და ამერიკული საექსპერტო ლაბორატორიების საუკეთესო გამოცდილება. ლაბორატორიის წარმადობის ოპტიმალური დონე (მოთხოვნების და მიწოდების თანაფარდობის უზრუნველყოფა). გაღრმავებული საერთაშორისო თანამშრომლობა ლაბორატორიის მზაობა ევროპულ შეთანხმებებსა და ექსპერტთა ქსელში ინტეგრირებისთვის. გაფართოვებული კვლევის მეთოდების, პიროვნების დნმ იდენტიფიკაციის შესაძლებლობები, გამოძიების წინაშე არსებული გამოწვევების საპასუხოდ; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 12-15%; **შესაძლო რისკები** - კვალიფიციური საკადრო რესურსის მოძიება; კადრების გადინება (დაბალი ანაზღაურება, ინტენსიური და არანორმირებული სამუშაო გრაფიკი) **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - საერთაშორისო ორგანიზაციის UNICEF-ის დახმარებით ქ.რუსთავის პოლიციის შენობაში ბავშვზე მორგებული სივრცე (ბავშვზე მორგებული 30 კვ.მ სტუდიოს ტიპის სივრცე, აღნიშნული იზოლირებული სივრცე სხვა ოთახებთან დაკავშირებული იქნება დამოუკიდებელი შესასვლელით, რომელიც ადაპტირებულია შშმპ-სთვის, ხოლო იმავე სივრცეში არსებული დაკვირვების ოთახი აღჭურვილია ვიდეო-აუდიო ჩაწერისთვის საჭირო ტექნიკით); საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების სამსახური შექმნილია და ფუნქციონირებს ქ. რუსთავში; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შსს აჭარის ა/რ პოლიციის დეპარტამენტის და კახეთის პოლიციის დეპარტამეტის შენობებში შექმნილი ბავშვის ინტერესზე მორგებული სივრცე (ბავშვზე მორგებული 30 კვ.მ სტუდიოს ტიპის სივრცე, აღნიშნული იზოლირებული სივრცე სხვა ოთახებთან დაკავშირებულია დამოუკიდებელი შესასვლელით, რომელიც ადაპტირებულია შშმპ-სთვის, ხოლო იმავე სივრცეში არსებული დაკვირვების ოთახი აღჭურვილია ვიდეო-აუდიო ჩაწერისთვის საჭირო ტექნიკით); მოწმისა და დაზარალებულის მინიმუმ 20 კოორდინატორის არსებობა შსს ყველა ტერიტორიულ ორგანოში; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - სარემონტო სამუშაოების შეფერხება; შესაბამისი კვალიფიკაციის/უნარების მქონე ადამიანური რესურსის ვერ მოძიება **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 32 პარტნიორ სახელმწიფოსთან (სომხეთი, ავსტრია, აზერბაიჯანი, ბელარუსი, ბულგარეთი, ჩინეთი, ეგვიპტე, ესტონეთი, ფიჯი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, უნგრეთი, ისრაელი, იტალია, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ლატვია, ლიტვა, მალტა, მოლდოვა, პოლონეთი, კატარი, რუმინეთი, სლოვაკეთი, ესპანეთი, შვედეთი, თურქეთი, უკრაინა, გაერთიანებული სამეფო, აშშ, უზბეკეთი) ხელმოწერილია შეთანხმება/მემორანდუმი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის/პოლიციის სფეროში თანამშრომლობის შესახებ; ევროპის 6 სახელმწიფოსთან (ესტონეთი, უნგრეთი, ლატვია, ლიეტუვა, მოლდოვა, რუმინეთი) ხელმოწერილია ერთობლივი განცხადებები ევროპული მისწრაფებების სფეროში თანამშრომლობის შესახებ; გერმანიის 4 ფედერალური მიწის (რაინლანდ–პფალცი, ბადენ–ვიურტემბერგი, ჰესენი, საქსონია) შესაბამის სამინისტროებთან ხელმოწერილია მემორანდუმები

	თანამშრომლობის შესახებ; ევროკავშირთან და 7 პარტნიორ სახელმწიფოსთან (ბელარუსი, დანია, ისლანდია, მოლდოვა, ნორვეგია, შვეიცარია, უკრაინა) ხელმოწერილია შეთანხმებები უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ, ევროკავშირის წევრ 11 სახელმწიფოსთან (ბულგარეთი, ესტონეთი, უნგრეთი, ავსტრია, ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი, ლიეტუვა, სლოვაკეთი, გერმანია და რუმინეთი) ხელმოწერილი რეადმისიის საიმპლემენტაციო ოქმები, გაფორმებულია 18 ხელშეკრულება საპოლიციო განათლების სფეროში თანამშრომლობის შესახებ (ლვოვის შინაგან საქმეთა სახელმწიფო უნივერსიტეტი, ესტონეთის უსაფრთხოების მეცნიერებათა აკადემია, ხარკოვის შინაგან საქმეთა ეროვნული უნივერსიტეტი, ყირგიზეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია, გერმანიის ბადენ-ვიურტემბერგის ფედერალური მიწის შინაგან საქმეთა სამინისტრო, უნგრეთის საჯარო სამსახურის ეროვნული უნივერსიტეტი, მოლდოვის რესპუბლიკის შტეფან ჩელ მარეს სახელობის შსს აკადემია, ბელარუსის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია, თურქეთის ეროვნული პოლიციის აკადემია, სომხეთის რესპუბლიკის პოლიციის საგანმანათლებლო კომპლექსი, მონტენეგროს საჯარო უწყება – დანილოვგრადის პოლიციის აკადემია, სამართალდამცავთა სწავლების ევროკავშირის სააგენტო (CEPOL), ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო), აშშ-ს ჯორჯიის საზოგადოებრივი უსაფრთხოების სასწავლო ცენტრი, ლატვიის პოლიციის სახელმწიფო კოლეჯი, ავსტრიის უსაფრთხოების დაცვის აკადემია, ევროპის პოლიციის კოლეჯთა ასოციაცია, ევროკავშირის და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების სამართალდაცვითი სასწავლო დაწესებულება), დღეის მდგომარეობით სამინისტროს მიერ მართვის მოწმობების ურთიერთაღიარების სფეროში შეთანხმებები ჯერ არ არის გაფორმებული; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - დამატებით 10 პარტნიორ სახელმწიფოსთან (ჩეხეთი, ისლანდია, ლუქსემბურგი, ალბანეთი, სერბეთი, ხორვატია, პორტუგალია, ესპანეთის სამეფო, ბელგია, არაბთა გაერთიანებული საემიროები) ხელმოწერილია შეთანხმება/მემორანდუმი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის/პოლიციის სფეროში თანამშრომლობის შესახებ; დამატებით ევროპის 2 სახელმწიფოსთან (უკრაინა, პოლონეთი) ხელმოწერილი ერთობლივი განცხადებები ევროპული მისწრაფებების სფეროში თანამშრომლობის შესახებ; დამატებით გერმანიის 3 ფედერალური მიწის (ჩრდილოეთ რაინ–ვესტფალია, ბავარია, მეკლენბურგ–წინა პომერანიასთან) შესაბამის სამინისტროებთან ხელმოწერილი მემორანდუმები თანამშრომლობის შესახებ; დამატებით 8 პარტნიორ სახელმწიფოსთან (აზერბაიჯანი, სერბეთი, შრი–ლანკა, ლატვია, ჩეხეთი, პოლონეთი, მონტენეგრო და ესპანეთის სამეფო) ხელმოწერილი შეთანხმებები და საიმპემენტაციო ოქმები უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ; ხელმოწერილია შეთანხმებები 2 პარტნიორ სახელმწიფოსთან (ესპანეთი სამეფო და იტალია) მართვის მოწმობების ურთიერთაღიარების სფეროში; 6 სასწავლო დაწესებულებებთან და სამართალდამცავი ორგანოების აკადემიებთან (დნეპროპეტროვსკის, ოდესის, იტალიის, ლიტვის, პოლონეთის, სამხრეთ კაროლინის) გაფორმებული მემორანდუმები; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 50%; **შესაძლო რისკები** - მოლაპარაკების არასასურველი შედეგით დასრულება **4.** **საბაზისო მაჩვენებელი** - დროებითი მოთავსების იზოლატორების 76% შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან; იზოლატორებში არსებული ინვენტარის 85% ვარგისია შემდგომი ექსპლუატაციისთვის; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - აშენებული გურჯაანის და ახალციხის დროებითი მოთავსების იზოლატორები და რეაბილიტირებული ძველი იზოლატორები 100%; იზოლატორებში არსებული ინვენტარი განახლებული 100%

	5. **საბაზისო მაჩვენებელი** - დროებით განთავსების ცენტრში ერთი ოთახია გამოყოფილი შშმ პირისთვის რისგამოც 2 შშმ პირის განთავსების შემთხვევაში ვერ ხდება სრულყოფილად შესაბამისი ინსტრუქციით გათვალისწინებული ღონისძიებების აღსრულება; იმის გამო, რომ ეზოში სასეირნო ბილიკი არ არის გადახურული, ცუდ ამინდში ვერ ხერხდება ცენტრში განთავსებულთა გასეირნება. ოპერატიული საჭიროებიდან გამომდინარე ცენტრის უსაფრთხოების სამსახური აღჭურვილია 12 რაციით, ამათგან 9 მწყობრიდან არის გამოსული; ყოველწლიურად მიმღებ ცენტრში თავსდება საშუალოდ 130 ბენეფიციარი. აქედან გამომდინარე, ცენტრში დგას საბნების, ლეიბების, ბალიშების, პლედებისა, თეთრეულისა და პირსახოცების განახლების საჭიროება; ახალ მიმღებ ცენტრში (მეორე კორპუსი) არსებული სათვალთვალო კამერები მოძველებული და არასაკმარისია (არის 16 კამერა). აქედან გამომდინარე, ვერ ხერხდება ცენტრის შიდა და გარე პერიმეტრების სრული კონტროლი. ცენტრის ეზოში არსებული ბავშვთა სათამაშო სივრცე მწყობრიდან არის გამოსული და სრულად ვერ აკმაყოფილებს მათ მოთხოვნებს; მიმღები ცენტრის პირველი და მეორე კორპუსები საჭიროებს რეაბილიტაციას; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ცენტრი უზრუნველყოფილია დამატებით: შშმ პირებისთვის განკუთვნილი - 1 ოთახით; სასეირნო ბილიკზე მოწყობილი მსუბუქი გადახურვა; ცენტრის უსაფრთხოების სამსახური აღჭურვილია დამატებით 8 ერთეული რაციით. მიმღებ ცენტრში განთავსებული ბენეფიციარებისთვის შეძენილი/განახლებული 395 ცალი - საბანი, ლეიბი, ბალიში, პლედი; 700 კომპლექტი - თეთრეული; 570 ცალი - დიდი და პატარა პირსახოცი; ცენტრში დამონტაჟებული 42 სათვალთვალო კამერა; განახლებული ბავშვთა სათამაშო სივრცე; მიმღები ცენტრის გარემონტებული: პირველი კორპუსის 740 კვ.მ ფართობის სახურავი, მეორე კორპუსის 1200 კვ/მ ფართობი და ადმინისტრაციული ფლიგელის 350 კვ.მ ფართობი **6.** **საბაზისო მაჩვენებელი** - სამინისტროს ბალანსზე არსებული მდგომარეობით ირიცხება 310 ადმინისტრაციული შენობა მათი მხოლოდ 20% აკმაყოფილებს სამუშაო პირობებს სრულად; თუმცა მოსამსახურეთა სამუშაო პირობების გასაუმჯობესებლად აუცილებელია განხორციელდეს ახალი ადმინისტრაციული შენობების მშენებლობა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 20%-ით რეაბილიტირებულია სამინისტროს ინფრასტრუქტურა; აშენებულია 8 ახალი ობიექტი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - ასაშენებელი შენობებისთვის შესაბამისი მიწის ნაკვეთების მოძიება; კლიმატური პირობებიდან გამომდინარე არსებულ შენობებზე მიყენებული ზიანი **7.** **საბაზისო მაჩვენებელი** - თანამედროვე მოთხოვნებიდან გამომდინარე საჭიროა სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივი განახლება. არსებული მდგომარეობით თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით გასაახლებელია სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის 75%; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 20% -ით განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუთვალისწინებელი ოდენობით მწყობრიდან გამოსვლა **8.**

	საბაზისო მაჩვენებელი - არსებული მდგომარეობით სამინისტროს ბალანსზე ერიცხება 5 183 ავტოსატრანსპორტო საშუალება (მ.შ. მსუბუქი - 3 043 ერთეული, მაღალი გამავლობის (მსუბუქი) – 1 759 ერთეული, სამგზავრო - 120 ერთეული და სატვირთო - 261 ერთეული), საიდანაც გამოუსადეგარ მდგომარეობაშია 550 ავტოსატრანსპორტო საშუალება (საერთო რაოდენობის დაახლოებით 10%). სამინისტროს მიერ მუდმივად მიმდინარეობს საპატრულო პოლიციისთვის განკუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების განახლების პროცესი მაგალითად 2017 წელს შეძენილია - 176 ერთეული (შესყიდვა განხორციელდა სსიპ - მომსახურების სააგენტოს მიერ) თანხით 9 159.0 ათასი ლარი, ხოლო 2018 წელს შეძენილია - 150 ერთეული (სამინისტროს მიერ) თანხით 8 400 ათასი ლარი და 2019 წელს 100 - ერთეული (სამინისტროს მიერ) თანხით 5 000 ათასი ლარი, თუმცა სამინისტროს სფეციფიკის გათვალისწინებით აღნიშნული რაოდენობის და მოდიფიკაციის სატრანსპორტო საშუალებების შეძენა ვერ უზრუნველყოფს სამინისტროს ავტოპარკის საჭიროებისამებრ განახლებას; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** საპატრულო პოლიციისთვის შეძენილი - 600 ერთეული სატრანსპორტო საშუალება (განახლდება დაახლოებით 60%) თანხით დაახლოებით 33 000.0 ათასი ლარი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10%; **შესაძლო რისკები -** სატრანსპორტო საშუალებების ღირებულების ზრდა

თავდაცვის მართვა (29 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
აღწერა და მიზანი	საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პარლამენტის მიერ განსაზღვრული ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მხარდასაჭერად საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა; ეფექტიანი ადმინისტრირების განსახორციელებლად საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიული მართვის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების განსაზღვრა და დაგეგმვა; პარტნიორ ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან (ნატო, ევროკავშირი, ეუთო, გაერო) ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის ღონისძიებების განხორციელება; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დიპლომატიური (სამოქალაქო და სამხედრო) წარმომადგენლების მხარდაჭერა, თავდაცვისა და უსაფრთხოების კონფერენციის ორგანიზება, შეიარაღების კონტროლისა და ვერიფიკაციის ღონისძიებების განხორციელება; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ საზოგადოების ინფორმირება და მისი ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	თავდაცვის სამინისტროზე დაკისრებული ფუნქციების ეფექტიანი განხორციელება; თავდაცვის სისტემის ინსტიტუციური და სამხედრო შესაძლებლობების განვითარება;

	პარტნიორ ქვეყნებში საქართველოს პოლიტიკური მხარდაჭერის გაზრდა; თავდაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება;
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 1. ეროვნულ დონეზე განსაზღვრული პოლიტიკის შესაბამისად, თავდაცვის სამინისტრო განსაზღვრავს თავდაცვის პრიორიტეტულ მიმართულებს და განაგრძობს თავდაცვის ტრანსფორმაციის პროცესს. 2. 24 პარტნიორ ქვეყანასთან მიმდინარეობს ორმხრივი თანამშრომლობის გეგმებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულება. ნატოს-თან, ევროკავშირთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან წარმატებით ხორციელდება თანამშრომლობა. დაგეგმილია თავდაცვისა და უსაფრთხოების ყოველწლიური კონფერენციის ჩატარება. 3. თავდაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ხდება საზოგადოების ინფორმირება/ცნობიერების ამაღლება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 1. ნორმატიული აქტებითა და ეროვნული დონის სტრატეგიული დოკუმენტების შესაბამისად თავდაცვის სამინისტროს ვალდებულებების შესრულება, თავდაცვის სამინისტროს ძირითადი პოლიტიკისა და მიმართულებების განსაზღვრა. 2. პარტნიორ ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის გაღრმავება და ახალ პარტნიორ ქვეყნებთან ორმხრივი თანამშრომლობის გეგმების შემუშავება-განხორციელება. 3. თავდაცვის ტრანსფორმაციის პროცესის, რეფორმების, ნატოში ინტეგრაციის გზაზე მიღწეული პროგრესის, საერთაშორისო მისიებში ქართველი მშვიდობისმყოფელების მონაწილეობის შესახებ საზოგადოების ჯეროვანი ინფორმირება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 1. დაბალი ალბათობა 2. ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გეგმებით გათვალისწინებული ღონისძიებების ნაწილობრივ შესრულება. 3.10-15%; **შესაძლო რისკები** - 1. კვალიფიციური პერსონალის შენარჩუნება/გადინება. 2. რეგიონული თუ ლოკალური პრობლემების გამო საერთაშორისო თანამშრომლობის არაეფექტურად განხორციელება. 3. საზოგადოების ინფორმირებისას აუდიტორიის დაინტერესების დეფიციტი

ლოჯისტიკური უზრუნველყოფა (29 09)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს ლოჯისტიკური უზრუნველყოფის შესაძლებლობების შენარჩუნება/გაუმჯობესებას, ლოგისტიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფას, საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამისათვის (GDRP) საჭირო ლოგისტიკური ღონისძიებების განხორციელებას; ასევე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და თავდაცვის ძალების კომუნალური ხარჯების უზრუნველყოფას;
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ქვედანაყოფების მობილურობის შენარჩუნება (იგულისხმება ავტო-ტექნიკის მიმდინარე რემონტი) და ლოჯისტიკური შესაძლებლობების გაზრდა;

	თავდაცვის ძალების სრული სპექტრის ოპერაციების, უწყვეტი და დროული მომარაგების პროცესის ამაღლება; თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის წარმატებით განხორციელება.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 1. თავდაცვის ძალები უზრუნველყოფილია საჭირო ლოჯისტიკური საშუალებებით/მომსახურებებით, რაც საჭიროა საბრძოლო დონის შენარჩუნებისა და სასწავლო პროცესის ხარისხიანი ჩატარებისათვის. 2. საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის (GDRP) ფარგლებში სამანევრო ქვედანაყოფების მომზადება/გადამზადება ამერიკელი ინსტრუქტორების დახმარებით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 1. შიდა ნორმატიული დოკუმენტებზე დაყრდნობით საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება. 2. ქვედანაყოფების ლოგისტიკური საშუალებებით უზრუნველყოფა წვრთნების მაღალ დონეზე ჩატარებისათვის; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი ალბათობა; **შესაძლო რისკები** - 1. ტენდერის პროცედურების გაჭიანურება (ჩაშლა, ახლიდან გამოცხადება და ა.შ.) ან/და მომწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევა (მატერიალური საშუალებების/მომსახურებების მოწოდების ვადების გადაწევა/დარღვევა)

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება (26 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	სპეციალური პენიტენციური სამსახური
აღწერა და მიზანი	საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობის ანალიზისა და საერთაშორისო ორგანიზაციების, დამოუკიდებელი ექსპერტებისა და საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციების გათვალისწინებით, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება და შესაბამის ღონისძიებების გატარება; პენიტენციური სისტემის ადმინისტრირების სრულყოფა; პენიტენციური სისტემის კვებითი მომსახურების უზრუნველყოფა; პენიტენციური სისტემის უნიფორმით, რბილი ინვენტარითა და აუცილებელი პირადი ჰიგიენისათვის საჭირო საშუალებებით აღჭურვა; ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია/რეაბილიტაცია (მსჯავრდებულთა პროფესიულ/სახელობო, სატრენინგო/საგანმანათლებლო და ფსიქოსოციალურ პროგრამებში, ფსიქოსოციალურ ტრენინგებსა და კურსებში, კულტურულ ღონისძიებებსა და დასაქმების პროგრამებში ჩართულობის უზრუნველყოფით); პენიტენციური სისტემის აუცილებელი მედიკამენტებით, სამედიცინო დანიშნულების საგნებით, ლაბორატორიული საგნებითა და რეაქტივებით უზრუნველყოფა;

	ბრალდებულთათვის/მსჯავრდებულთათვის სხვადასხვა პროფილის მოწვეული ექიმ-სპეციალისტების კონსულტაციების, სამოქალაქო სექტორის კლინიკებში სპეციალიზებული სამედიცინო მომსახურების მიღება და ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში მომსახურების შეთავაზება; ანტიტუბერკულოზური მკურნალობის საჭიროების მქონე პირთა, აივ-ინფექცია/შიდსის გამოვლენის მიზნით და C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ბრალდებულებს/მსჯავრდებულების სკრინინგი და შესაბამისი მკურნალობის კურსის ჩატარება; დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე ხელმისაწვდომობა უნივერსალურია; პენიტენციურ სისტემაში არსებული ინფრასტრუქტურის/დაწესებულებების რემონტი-რეკონსტრუქცია, აღჭურვა შესაბამის მანქანა-დანადგარებით მათი საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოების მიზნით.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - საქართველოს სახალხო დამცველი დადებითად აფასებს და მიესალმება პენიტენციურ სისტემაში განხორციელებულ რეფორმას, რომლის ფარგლებშიც მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები გატარდა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მსჯავრდებულთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის ანალიზისა და საერთაშორისო ორგანიზაციების, დამოუკიდებელი ექსპერტებისა და საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციების გათვალისწინებით, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი შემუშავებულია; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - რიგი რეკომენდაციების გათვალისწინება სისტემას არ შეუძლია სხვადასხვა ობიექტური მიზეზის გამო. მათ შორის, რიგ შემთხვევებში, არარელევანტურობის, სხვა პრიორიტეტული მიმართულებებისა და საჭიროებებიდან გამომდინარე; **შესაძლო რისკები** - ბენეფიციართა რიცხოვნობის ზრდა 2. **საბაზისო მაჩვენებელი** - შენარჩუნებულია ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა 100%-ის უზრუნველყოფა პირველადი სამედიცინო მომსახურების გაწევითა და სამკურნალწამლო საშუალებებით, მათთვის სპეციალიზებული სამედიცინო მომსახურების მიწოდება პენიტენციურ სისტემასა და მის გარეთ; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ყოველწლიურად ბრალდებულები და მსჯავრდებულები 100%-ით უზრუნველყოფილნი არიან პირველადი სამედიცინო მომსახურების გაწევითა და სამკურნალწამლო საშუალებებით, მათთვის სპეციალიზებული სამედიცინო მომსახურების მიწოდებით პენიტენციურ სისტემასა და მის გარეთ 3. **საბაზისო მაჩვენებელი** - ინფრასტრუქტურის განახლებითა და საჭირო მანქანა-დანადგარების შეძენით პენიტენციურ დაწესებულებებში გაუმჯობესებულია ბრალდებულ/მსჯავრდებულთა საცხოვრებელი და ყოფითი პირობები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - პენიტენციურ დაწესებულებებში ბრალდებულ/მსჯავრდებულთათვის

	გაუმჯობესებულია ყოფითი და საცხოვრებელი პირობები

სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა (20 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური
აღწერა და მიზანი	საქართველოს კონსტიტუციური წყობილების, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და სამხედრო პოტენციალის დაცვა უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურებისა და ცალკეულ პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებებისგან; სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობილებისა და სახელმწიფო ხელისუფლების არაკონსტიტუციური, ძალადობრივი გზით შეცვლის გამოვლენა და დაცვის უზრუნველყოფა; ტერორიზმთან ბრძოლა; სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის საფრთხის შემცველი ტრანსნაციონალური ორგანიზებული და საერთაშორისო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა; ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა; კორუფციის თავიდან აცილების, გამოვლენისა და აღკვეთის ღონისძიებების განხორციელება; სახელმწიფო საიდუმლოების რეჟიმის დაცვა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განხორციელება და მათი შესრულების კონტროლი.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	დროულად გამოვლენილი და თავიდან აცილებული უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების სადაზვერვო და სხვა კანონსაწინააღმდეგო საქმიანობა; პროგნოზირებული და პრევენცირებული სახელმწიფოსთვის მოსალოდნელი საფრთხეები.

ინფრასტრუქტურის განვითარება (29 05)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკური ცენტრი დელტა
აღწერა და მიზანი	თავდაცვის სამინისტროსა და თავდაცვის ძალების ქვედანაყოფების ტერიტორიაზე განთავსებული ინფრასტრუქტურის შენარჩუნება და განვითარება, კერძოდ: სამხედრო ქალაქების ფუნქციური ზონების

	განვითარება-რეაბილიტაცია; ახალი სამხედრო ობიექტების მშენებლობა; საინჟინრო კომუნიკაციების და ქსელების რეაბილიტაცია, სამხედრო მოსამსახურეებისათვის საბინაო ფონდის შექმნა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	თავდაცვის ძალების განვითარებული ინფრასტრუქტურა. აღდგენილი და რეაბილიტირებული სამხედრო ქალაქების ფუნქციური ზონები. (საყოფაცხოვრებო, სასაწყობო, სპორტულ-გამაჯანსაღებელი, საპარკო-სამეურნეო და საწვრთნელი ინფრასტრუქტურა). სათანადოდ მოწყობილი საინჟინრო კომუნიკაციები და ქსელები, სამხედრო მოსამსახურეებისათვის საბინაო პირობების გაუმჯობესება. თავდაცვის სამინისტროს სამხედრო და სამოქალაქო მოსამსახურეების მიერ დაკისრებული მოვალეობების შესრულება ადეკვატურ და ღირსეულ პირობებში.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - არსებული ინფრასტრუქტურული გეგმის შესაბამისად, მიმდინარეობს ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2020-2023 წლის ინფრასტრუქტურული გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10-15%; **შესაძლო რისკები** - წლიური გეგმების შემდგომ წლებზე გადავადება, დაგეგმილი ღონისძიებების ნაწილობრივ შესრულება

სახელმწიფო საზღვრის დაცვა (30 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიცია
აღწერა და მიზანი	საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში, სასაზღვრო ზონაში, საქართველოს საზღვაო სივრცესა და საქართველოს იურისდიქციას დაქვემდებარებულ გემებზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა; სამაშველო ოპერაციების განხორციელება ადამიანთა სიცოცხლისა და ქონების გადარჩენის მიზნით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე; საქართველოს საზღვაო სივრცეში მისი სუვერენული უფლებების დაცვა; ზღვაოსნობისა და ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ნაოსნობის წესების დაცვის კონტროლი; სასაზღვრო პოლიციის სტრუქტურული ერთეულების, რეგიონული სამმართველოებისა და სასაზღვრო სექტორების ეფექტური ფუნქციონირებისთვის, საზღვრის მართვის, კონტროლის, დაკვირვებისა და ინფორმაციის გაცვლის ტექნოლოგიების განვითარება, სასაზღვრო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია, ხანდაზღმული სასაზღვრო პოლიციის საჰაერო და საზღვაო ფლოტის მოდერნიზება.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	• შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთიან კომპიუტერულ ქსელში ჩართული სასაზღვრო სექტორები და მცურავი საშუალებები, განვითარებული საზღვრის მართვის, კონტროლის, დაკვირვებისა და ინფორმაციის გაცვლის

	ტექნოლოგიები; • აშენებული და რეაბილიტებული სასაზღვრო ინფრასტრუქტურა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთიან კომპიუტერულ ქსელში ჩართულია სახმელეთო დაცვის დეპარტამენტის 49 (76) სასაზღვრო სექტორი, დასაკომპლექტებელია პერსონალური კომპიუტერებით და ვიდეო-მეთვალყურების მოწყობილობებით. 5 მაღალი რისკის მქონე სასაზღვრო სექტორი აღჭურვილია ვიდეო დაკვირვებისა და სამართალდარღვევათა აღმოჩენის სენსორული ტექნოლოგიებით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთიან კომპიუტერულ ქსელში ჩართულია სახმელეთო დაცვის დეპარტამენტის სასაზღვრო სექტორების 89% (58 სექტორი), სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ხომალდების 60% (3 ხომალდი) და დაკომპლექტებულია კომპიუტერებით და ვიდეო-მეთვალყურების მოწყობილობებით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 25%; **შესაძლო რისკები** - GSM ქსელის დაფარვის ზონა და სიგნალის ხარისხობრივი მაჩვენებელი აფერხებს საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებას **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - სამმართველოების 73% (ასაშენებელია 3 სამმართველო) და სასაზღვრო სექტორების 76% აშენებულია (ასაშენებელია 15 სასაზღვრო სექტორი), სასაზღვრო სექტორების 70%-ს მიეწოდება ელექტრო ენერგია (ელექტროფიცირებულია) და 87%-ზე მიყვანილია წყალი. სასაზღვრო პოლიციის სპეციალური დანიშნულების ავიაციის მთავარ სამმართველოს ბაზაზე არსებული საავიაციო ასაფრენი ზოლი დაზიანებულია. სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ფოთის ბაზაზე სავალალო მდგომარეობაშია ელ. ენერგიის მიწოდების ინფრასტრუქტურა და შეიარაღების საწყობი, პირსს ესაჭიროება მოდერნიზება და კაპიტალური რემონტი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - აშენებული სასაზღვრო პოლიციის სამმართველოების 82%, 1 სასაზღვრო პოსტი და რეაბილიტირებული სასაზღვრო სექტორების 79% და სასაზღვრო ინფრასტრუქტურა; 2 სასაზღვრო სექტორი უზრუნველყოფილია მუდმივი ელექტროენერგიის და 1 სასაზღვრო სექტორი - წყლის მიწოდებით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 25%; **შესაძლო რისკები** - რთული რელიეფური და კლიმატური პირობების გამო მშენებლობის პროცესის შეფერხება **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - სანაპირო დაცვის დეპარტამენტის მცურავი საშუალებები და სასაზღვრო პოლიციის სპეციალური დანიშნულების ავიაციის მთავარი სამმართველოს ფლოტი ხანდაზმულია; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სანაპირო დაცვის დეპარტამენტის 2 საპატრულო კატარღას მოდერნიზებულია და სტანდარტიზებულია; შეძენილია თანამედროვე სანავიგაციო და რადიოტექნიკური მოწყოფილობები; სასაზღვრო პოლიციის სპეციალური დანიშნულების ავიაციის მთავარი სამმართველოს 1 ვერტფრენს ჩაუტარდა პერიოდული სარემონტო სამუშაოები; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 30%; **შესაძლო რისკები** - შემკეთებელ კომპანიების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობების დარღვევა **4.** **საბაზისო მაჩვენებელი** - არსებული მდგომარეობით სასაზღვრო პოლიციის ბალანსზე ერიცხება 592

	ავტოსატრანსპორტო საშუალება, საიდანაც გამოუსადეგარ მდგომარეობაშია 175 ავტოსატრანსპორტო საშუალება (საერთო რაოდენობის 30%); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შეძენილია პიკაპი 43 ერთეული, მსუბუქი 8 ერტეული, თოვლმავალი 40 ერთეული, ყველგანმავალი 60 ერთეული, სატვირტო 60 ერთეული, სახანძრო 1 ერთეული, თოვლის საწმენდი მანქანა 4 ერთეული და ტრაქტორი 12 ერთეული; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 25%; **შესაძლო რისკები** - მომწოდებლების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობების დარღვევა

სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება, სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა (30 06)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური
აღწერა და მიზანი	ტაქტიკურ დონეზე საომარი მდგომარეობით, ბუნებრივი ან/და ადამიანური ფაქტორით გამოწვეული ინციდენტისაგან/საგანგებო სიტუაციისაგან ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, გარემოს ან/და ქონების დასაცავად, სათანადო რესურსებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით შესაბამისი კომპლექსური ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა; სტრატეგიულ (პოლიტიკურ) და ოპერაციულ დონეებზე გადაწყვეტილების მისაღებად შესაბამისი პირებისათვის რეკომენდაციების/წინადადებების შემუშავება/წარდგენა, ასევე ორგანიზაციული, ტექნიკური და საინფორმაციო-ანალიტიკური დახმარების აღმოჩენა; სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო მომსახურების გაწევა; სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნასთან, მართვასთან, შენახვასა და გამოყენებასთან დაკავშირებული საოპერაციო პროცედურების განხორციელება.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	• ქვეყანაში გაუმჯობესებული სამოქალაქო უსაფრთხოების დონე; • საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში განვითარებული ტექნოლოგიები; • განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; • რეაბილიტირებული სამსახურის ინფრასტრუქტურა; • განახლებული სახანძრო-სამაშველო ავტოპარკი; • სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში, განვითარებული სახელმწიფო სერვისები; • შექმნილი სახელმწიფო მატერიალური რეზერვების მარაგები;
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მზადყოფნისა და რეაგირების უზრუნველყოფის მიზნით, სამსახური ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორით გამოწვეულ სხვადასხვა ინციდენტებზე და საგანგებო სიტუაციების დროს ყოველდღიურ რეჟიმში დახმარებას უწევს საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს. ასევე ახორციელებს სხვადასხვა სახის (სამთო, წყალქვეშა და სახანძრო-სამაშველო) სამაშველო ოპერაციებს. სამსახურში სახანძრო უსაფრთხოების დარღვევების ზედამხედველობის ფუნქცია ცენტრალიზებული გახდა და დაიწყო

	გამოვლენილ დარღვევებზე ადმინისტრაციული სახდელების გამოყენება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ინციდენტების/საგანგებო სიტუაციების დროს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება, ადამიანური ფაქტორით გამოწვეული ინციდენტების/საგანგებო სიტუაციების რაოდენობის შემცირება და საგანგებო სიტუაციების პრევენციის მიზნით, შემოწმებული ობიექტების რაოდენობა - ყოველწლიურად 15 000 ობიექტი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - არასაკმარისი ადამიანური რესურსი **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - დღეის მდგომარეობით საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში არ არსებობს ინციდენტების/საგანგებო სიტუაციების აღრიცხვისა და სახანძრო-სამაშველო ძალების მართვის ერთიანი ცენტრალიზებული საინფორმაციო სისტემა. ასევე, არ არსებობს სტატისტიკური ინფორმაციის სისტემური დამუშავების ინსტრუმენტები. სამსახურში მიმდინარეობს სახანძრო უსაფრთხოების დარღვევების ზედამხედველობის მიმართულების გაძლიერება, რისთვისაც საჭიროა პროცესების ელექტრონიზაცია; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ინციდენტების აღრიცხვისა და ოპერაციების მართვის ელექტრონული სისტემის (eFris) დანერგვა/გაუმჯობესება და სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ზედამხედველობის ელექტრონული სისტემის შემუშავება, დანერგვა და გაუმჯობესება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - სამსახურის პრიორიტეტების ცვლილება **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე საჭიროა სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივი განახლება/შევსება დღეის მდგომარეობით გასაახლებელია სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის 70%; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 60%-მდე განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 15%; **შესაძლო რისკები** - არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მწყობრიდან გამოსვლა **4.** **საბაზისო მაჩვენებელი** - დღეის მდგომარეობით სამსახურის სახანძრო მანქანების 57%-ზე მეტი, კერძოდ 206 ერთეული სპეციალური დანიშნულების მანქანა გამოშვებულია 1990 წლამდე, შესაბამისად საჭიროებს ჩანაცვლებას; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ჩანაცვლებული სამსახურის სარგებლობაში არსებული 130 სახანძრო მანქანა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - ბუნებრივი კატასტროფები, რომლითაც შეიძლება შეფერხდეს ახალი სახანძრო მანქანების ჩამოყვანა **5.** **საბაზისო მაჩვენებელი** - დღეის მდგომარეობით სახანძრო-სამაშველო დეპოების 36%-ზე მეტი საჭიროებს რეაბილიტაციას; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სახანძრო-სამაშველო ობიექტების 12%-ზე განხორციელებული სარემონტო სამუშაოები და საჭიროების შემთხვევაში სხვადასხვა მიმდინარე სარემონტო სამუშაოები; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%;

	შესაძლო რისკები - გაუთვალისწინებელი სამუშაოების დაფინანსება **6.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ყოველდღიურ რეჟიმში სააგენტო შესაბამის მომსახურებას უწევს სხვადასხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებს, რომელნიც უზრუნველყოფილნი არიან მაღალი ხარისხის მომსახურებით. მიუხედავად აღნიშნულისა კონკურენციის არსებობის პირობებში აუცილებელია სერვისების სისტემატიური განახლება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სერვისების განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი ხედვისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება, მომსახურების სამართლებრივი ბაზის დახვეწა. იუსტიციის სახლთან და საზოგადოებრივ ცენტრებთან თანამშრომლობით ე. წ. „Front Office“-ის აწყობა **7.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ამჟამად არ არსებობს სახელმწიფო რეზერვებში ჩასაწყობი მატერიალური ფასეულობების ნომენკლატურა, თავად რეზერვებში განთავსებული ფასეულობებიც არ არის რეალობასთან შესაბამისობაში. მხოლოდ სხვადასხვა ორგანიზაციებსა და უწყებებს აქვთ ჩაწყობილი მატერიალური რეზერვების მარაგების მცირედი ნაწილი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სახელმწიფო რეზერვებში ჩასაწყობი მატერიალური ფასეულობების ნომენკლატურის შემუშავება, რაოდენობების განსაზღვრა და რეზერვების შევსება. ასევე, სხვადასხვა უწყებებში ჩაწყობილი მატერიალური რეზერვების გეგმიური და საკონტროლო შემოწმება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - სხვადასხვა ორგანიზაციებსა და უწყებების ფუნქციონირების შეწყვეტა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (29 03)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; სსიპ გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი
აღწერა და მიზანი	საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთათვის, პენსიონერებისათვის, მათი ოჯახის წევრებისათვის, დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების ოჯახის წევრებისათვის, სამოქალაქო პირებისათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენა. ამბულატორული, სტაციონარული მკურნალობა, სამედიცინო რეაბილიტაცია და დისპანზერიზაცია. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობის და მათი ოჯახის წევრების სოციალური მხარდაჭერის ხელშეწყობა. დაჭრილი/დაშავებული სამხედრო მოსამსახურეების საზოგადოებაში რეინტეგრაციისა და რესოციალიზაციის ღონისძიებების გატარება, ფიზიკური რეაბილიტაციის და პროტეზირების პროგრამა; საქართველოს თავდაცვის ძალების სამხედრო მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური მხარდაჭერის ხელშეწყობა. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობის (სამხედრო და სამოქალაქო მოსამსახურეები) და მათი ოჯახის წევრების ჯანმრთელობის დაზღვევის უზრუნველყოფა; სამედიცინო მხარდაჭერის როლი 2 დონის ჩამოყალიბება და აღჭურვილობით უზრუნველყოფა. თავდაცვის ძალების ქვედანაყოფების სამედიცინო ავტოტექნიკით დაკომპლექტება, ხარჯვადი სამედიცინო მარაგების შევსება, აგრეთვე მოძველებული სამედიცინო აღჭურვილობის ეტაპობრივი ჩანაცვლება-განახლება თანამედროვე სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისად.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	პროფილაქტიკური ღონისძიებებით ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ფიზიკური სტატუსის შენარჩუნება და განმტკიცება, შემცირებული ავადობის მაჩვენებლები და შრომისუნარიანობის ხანგრძლივობა. თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიებით, ხარისხიანი ამბულატორიული და სტაციონარული სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფილი პაციენტები. საქართველოს თავდაცვის ძალების მოთხოვნების შესაბამისად სოციალური და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის ეფექტიანი პროგრამის განხორციელება. სამხედრო ქვედანაყოფეების სამედიცინო ხარჯვადი და არახარჯვადი მარაგების შევსება. მოძველებული სამედიცინო აღჭურვილობის ჩანაცვლება-განახლება, საევაკუაციო ტრანსპორტის განვითარება, სამედიცინო ავტოტექნიკთ დაკომპლექტება. სამხედრო მოსამსახურეების, სამოქალაქო პირებისა და მათი ოჯახის წევრების ჯანმრთელობის დაზღვევის გაუმჯობესება; ქვედანაყოფებში სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის, დეზინფექცია-დეზინსექცია-დერატიზაციის განხორციელება, პირადი შემადგენლოვის სრული იმუნიზაცია. სამედიცინო პერსონალის პროფესიული დონის ამაღლებაში ხელშეწყობა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2019 წელს სტაციონარული მომსახურება გაეწევა 2,600-მდე თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელსა და მათი ოჯახის წევრებს და 8,500-მდე საქართველოს მოქალაქეს. ხოლო ამბულატორული მომსახურება გაეწევა 40,500-მდე თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელსა და მათი ოჯახის წევრებს, ასევე 20,000-მდე საქართველოს მოქალაქეს. სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის ხორციელდება სოციალური მხარდაჭერის პროგრამები. დაჭრილ/დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრების ფიზიკური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია, რეინტეგრაცია/რესოციალიზაცია, ადგილობრივ და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში ჩართულობის ხელშეწყობა. სამხედრო და სამოქალაქო მოსამსახურეების ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები; თავდაცვის ძალების სამედიცინო ქვედანაყოფების ხარჯვადი და არახარჯვადი სამედიცინო ქონებით მომარაგება. სამხედრო მოსამსახურეების, სამოქალაქო პირებისა და მათი ოჯახის წევრების ჯანმრთელობის დაზღვევა; ქვედანაყოფებში მიმდინარეობს სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის, ვაქცინაცია-იმუნიზაციისა და დეზინფექცია-დეზინსექცია-დერატიზაციის სამუშაოები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება; თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დანერგვითა და გამოყენებით ავადობის მაჩვენებლების შემცირება; მკურნალობის ხარისხის კონტროლისა და რეგულირების მექანიზმების სრულყოფა; თავდაცვის ძალებში სოციალური და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის პროგრამების გაუმჯობესება და არსებული საჭიროებების ანალიზის საფუძველზე ახალი პროგრამების შემუშავება; ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტის პირობების გაუმჯობესება და სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობისა და მათი ოჯახის წევრებისთვის; თანამედროვე სამედიცინო აღჭურვილობით, სამედიცინო ხარჯვადი და არახარჯვადი მარაგებით, სამედიცინო ავტოტექნიკით უზრუნველყოფილი საქართველოს თავდაცვის ძალების ქვედანაყოფები; თავდაცვის ძალებში პრევენციული მედიცინის განვითარება. სამხედრო საველე და ჰოსპიტალური მედიცინის განვითარება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი ალბათობა;

	შესაძლო რისკები - სამედიცინო ტექნიკის მწყობრიდან გამოსვლა

პროფესიული სამხედრო განათლება (29 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი; სსიპ დავით აღმაშენებლის ეროვნული თავდაცვის აკადემია; სსიპ ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა
აღწერა და მიზანი	მაღალკვალიფიციური პირადი შემადგენლობის ჩამოყალიბების მიზნით, ეფექტიანი საგანმანათლებლო და სასწავლო პროგრამების განხორციელებით, კადეტებისათვის ზოგადი განათლების და დაწყებითი სამხედრო მომზადების უზრუნველყოფა; სპეციალიზებული მოკლე და გრძელვადიანი კურსების, ტრენინგების, გამოცდილების გაზიარების ფორმატის შეხვედრებისა და კონფერენციების ჩატარება კადრების პროფესიული გადამზადების მიზნით; სამხედრო მოსამსახურეების წვრთნისა და განათლების სისტემის გაუმჯობესება; თანამედროვე თავდაცვის ძალების ჩამოყალიბების მიზნით პროფესიული განვითარების სასწავლო კურსების ჩატარება ქვეყნის გარეთ როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო მოსამსახურეთათვის.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შესაბამისი განათლებით და საყოფაცხოვრებო პირობებით უზრუნველყოფილი კადეტები; უმაღლესი აკადემიური ხარისხის და შესაბამისი სამხედრო განათლების მქონე კვალიფიციურ ოფიცერთა კადრები, რომლებსაც ექნებათ სათანადო ცოდნა და უნარ-ჩვევები იმსახურონ საქართველოს თავდცვის ძალებში; ინფორმირებული და პროფესიონალი კადრებით დაკომპლექტებული თავდაცვის და უსაფრთხოების სექტორი.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - არსებული რეალობიდან გამომდინარე სამხედრო ლიცეუმს ამთავრებს ჩარიცხული კადეტების 56%, მათგან უმაღლეს სასწავლებელში სწავლას აგრძელებს 98%, მათ შორის 60% უმაღლეს სამხედრო სასწავლებელში; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო პროცესის სრული ციკლის წარმართვა და კადეტებისათვის წლიური სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა. მათთვის დაწყებითი სამხედრო მომზადების კურსის შესწავლა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი ალბათობა; **შესაძლო რისკები** - მისაღები კონტიგენტის დაბალი აქტივობა 2. **საბაზისო მაჩვენებელი** - საქართველოს თავდაცვის ძალების საჭიროების შესაბამისად განსაზღვრული ლეიტენანტის წოდების ოფიცერთა რაოდენობის და აკადემიის კურსდამთავრებულთა (ბაკალავრიატი და ოფიცერთა მომზადების საკანდიდატო კურსი) რაოდენობის თანხვედრა; საქართველოს თავდაცვის ძალების ოფიცრის შუალედური სამხედრო განათლების მქონე უფროს ოფიცერთა განსაზღვრული რაოდენობისა და აკადემიის

	კურსდამთავრებულთა თანხვედრა; საქართველოს თავდაცვის სისტემაში და მოთხოვნისამებრ სახელმწიფოს ძალოვანი უწყებებისათვის თავდაცვის ანალიზის უმაღლესი აკადემიური ხარისხის მე-2 საფეხურის მქონე მოსამსახურეთა რაოდენობისა და აკადემიის კურსდამთავრებულთა თანხვედრა; საქართველოს თავდაცვის სისტემაში შესაბამის უცხო ენებში მომზადებული მოსამსახურეების რაოდენობის და აკადემიის კურსდამთავრებულთა თანხვედრა; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** საქართველოს თავდაცვის ძალების საჭიროების შესაბამისად განსაზღვრული ოფიცერთა რაოდენობის და აკადემიის კურსდამთავრებულთა რაოდენობის თანხვედრა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** დაბალი ალბათობა; **შესაძლო რისკები -** კვოტით განსაზღვრული მისაღები კონტინგენტის არასრული დაკომპლექტება; კვალიფიციური კადრების გადინება **3.** **საბაზისო მაჩვენებელი -** თავდაცვის ინსტიტუციური სკოლა ახორციელებს ხუთ (გრძელვადიან) პროგრამას (1 - უსაფრთხოების სექტორის საორიენტაციო პროგრამა; 2 - თავდაცვისა და უსაფრთხოების მართვა; 3 - თავდაცვისა და უსაფრთხოების ანალიზის პროგრამა; 4 - თავდაცვისა და უსაფრთხოების სტრატეგიული მართვის პროგრამა; 5- ეროვნული თავდაცვის უმაღლესი პროგრამა); **მიზნობრივი მაჩვენებელი -** ნატოსთან თავსებადი სასწავლო ციკლის ჩამოყალიბება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** დაბალი ალბათობა; **შესაძლო რისკები -** კვალიფიციური კადრების ნაკლებობა; სასწავლო პროცესის შეფერხება, ჩაშლა **4.** **საბაზისო მაჩვენებელი -** ტარდება გეგმით გათვალისწინებული სწავლებები; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** გეგმით გათვალისწინებული სწავლებების ჩატარება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** დაბალი ალბათობა; **შესაძლო რისკები -** შერჩეული კანდიდატების ცვლილება **5.** **საბაზისო მაჩვენებელი -** პარტნიორ ქვეყნებთან ორმხრივი თანამშრომლობის ყოველწლიურ გეგმებში გათვალისწინებული სასწავლო კურსები; ნატო-ს ინდივიდუალური პარტნიორობისა და თანამშრომლობის პროგრამის (IPCP) ფარგლებში გათვალისწინებული სასწავლო კურსები ნატო-ს საწვრთნელ/სასწავლო დაწესებულებებში; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** სამოქალაქო პერსონალი - 80 კურსი; სამხედრო პერსონალი - 242 კურსი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** დაბალი ალბათობა; **შესაძლო რისკები -** შერჩეული კანდიდატების ცვლილება

თავდაცვის შესაძლებლობების შენარჩუნება/განვითარება (29 08)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

აღწერა და მიზანი	ეროვნული უსაფრთხოების გარემოს გათვალისწინებით, საქართველოს თავდაცვის ძალების თავდაცვის შესაძლებლობების გაზრდა შესაძლო სამხედრო აგრესიის შესაკავებლად; საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეებიდან და გამოწვევებიდან გამომდინარე და საქართველოს ეროვნული და თავდაცვის დაგეგმვის დოკუმენტებით განსაზღვრული სამხედრო მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად, საქართველოს თავდაცვის ძალების თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარება; საქართველოს თავდაცვის ძალების თანამედროვე თავდაცვითი შეიარაღების და სამხედრო ტექნიკის მოდერნიზაცია/განვითარება;
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საქართველოს თავდაცვის ძალების განვითარებული თავდაცვითი შესაძლებლობები

დასაცავ პირთა და ობიექტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა (40 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური
აღწერა და მიზანი	საქართველოს პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის და ხელისუფლების სხვა უმაღლესი ორგანოების ხელმძღვანელ და საქართველოში ვიზიტად მყოფი საზღვარგარეთის ქვეყნების უმაღლესი თანამდებობის პირთა და ასევე სამთავრობო რეზიდენციების დაცვა და უსაფრთხოების დონის ამაღლება, რომელიც დროში უწყვეტია.

საერთაშორისო სამშვიდობო მისიები (29 06)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკური ცენტრი დელტა
აღწერა და მიზანი	ალიანსის წინაშე აღებული ვალდებულებების წარმატებით შესრულება და საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ნატო-ს ეგიდით წარმოებულ „მტკიცე მხარდაჭერის მისიასა“ (RSM) და „ნატო-ს რეაგირების ძალებში“ (NRF) მონაწილეობა; ევროკავშირთან ასოცირების დღის წესრიგისა და ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში აქტიური თანამშრომლობა და ევროკავშირის ეგიდით წარმოებულ მისიებში (ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა - EUTM RCA და მალის რესპუბლიკა - EUTM Mali) მონაწილეობა; საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში საქართველოს ძალების ძალების ქვედანაყოფების მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯების (საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში მონაწილე ქვედანაყოფების პერსონალის საზღვარგარეთ მივლინების, იმუნიზაციის, სამედიცინო და სანივთე ქონების შეძენის და ინტერნეტის მომსახურების ხარჯების) დაფინანსება და გადასროლისწინა მომზადებისთვის საჭირო საბრძოლო მასალის შეძენა, ჯარისკაცების აღჭურვილობის უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	თავდაცვის ძალების ნატოსთან თავსებადობის ამაღლება, საერთაშორისო უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მხარდაჭერა, ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - საქართველოს თავდაცვის ძალები წარმატებით მონაწილეობენ ნატოს სამშვიდობო ოპერაციებში, ნატო-ს რეაგირების ძალებსა და ევროკავშირის მისიებში; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საქართველოს თავდაცვის ძალების მაღალი საბრძოლო დონის შენარჩუნება, საბრძოლო გამოცდილების მიღება, მოტივაციისა და მხედრული სულისკვეთების ამაღლება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - საშუალო ალბათობა; **შესაძლო რისკები** - საშუალოვადიან პერსპექტივაში შესაძლოა ნატო-ს და ევროკავშირის მისიები, რომელშიც მონაწილეობს საქართველოს თავდაცვის ძალები, დასრულდეს არსებული სახით ან გაგრძელდეს სხვა ფორმატით

საქართველოს პროკურატურა (33 00)

აღწერა და მიზანი	ადამიანის უფლებების დაცვა გამოძიების მიმდინარეობისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების პროცესში; ამ სფეროში სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების დარღვევის გამომწვევი მიზეზების დადგენა და საერთაშორისო და უფლებადამცველი ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინება; ოჯახური ძალადობის, წამების, არასათანადო მოპყრობის, უმცირესობათა უფლებების დარღვევის ფაქტებზე ეფექტური და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა; პროკურატურის თანამშრომელთა ეთიკის კოდექსისა და დისციპლინურ გადაცდომებთან დაკავშირებული განმარტებების შემუშავება, ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული გადაცდომების კონკრეტიზაცია; სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის დახვეწა, პროკურორთა საჭიროებებზე მორგებული და ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული პროგრამების დახვეწა, პროკურორთა დატვირთვის ელექტრონული მოდულის იმპლემენტაცია; პროკურორთა შეფასების სისტემის სრულყოფა და შეფასების სისტემის ფარგლებში პროკურორების მიერ შედგენილი საპროცესო დოკუმენტებისა და სასამართლო უნარ-ჩვევების ხარისხის მონიტორინგი; მონიტორინგის შედეგად რეკომენდაციების მომზადება; პროკურატურის საქმიანობის გამჭვირვალობისა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით მასმედიასთან ურთიერთობის ეფექტური მექანიზმების შექმნა, საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდების არსებული მექანიზმების სრულყოფა; მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ინსტიტუტის დახვეწა;

	არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეებზე პროკურორთა გადამზადება; არასრულწლოვნებთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების სრულყოფა, არასრულწლოვანზე ორიენტირებული გარემოს შექმნა; საქართველოს პროკურატურის საქმიანობის ეფექტიანობის ზრდის, საერთაშორისო სტანდარტების სამუშაო პრაქტიკაში დანერგვის, განხორციელებული საკანონმდებლო სიახლეების პრაქტიკაში სწორი იმპლემენტირებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობა პროკურატურის თანამშრომელთა პროფესიული მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფის გზით; თანმიმდევრული, კოორდინირებული საქმიანობის ხელშეწყობისა და საერთო მიდგომების დანერგვის მიზნით პროკურატურისა და სხვა საგამოძიებო უწყებების/მიზნობრივი ჯგუფების წარმომადგენლებისათვის ერთობლივი სასწავლო პროექტების განხორციელება.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	გამოძიებაზე ეფექტური ზედამხედველობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის შესაძლებლობის ზრდა; დანაშაულის (მათ შორის, არასრულწლოვანთა შორის) პრევენციაში აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფა; კვალიფიციური, მაღალი პროფესიული სტანდარტების მქონე კომპეტენტური კადრები.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - პროკურორების საქმიანობაზე ზედამხედველობისა და კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე გაიდლაინების შემუშავება (2019 წელს საორიენტაციოდ 5 რეკომენდაცია); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ყოველწლიურად პროკურორების საქმიანობაზე დაკვირვება და რეკომენდაციების შემუშავება (საორიენტაციოდ 2020 წლისთვის 4 რეკომენდაციის შემუშავება, ხოლო 2021-დან 2023 წლებში კიდევ 14 რეკომენდაციის გამოცემა); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - საქმეების კომპლექსურობისა და რაოდენობის გათვალისწინებით, პროკურორების საქმიანობაზე ზედამხედველობის განხორციელებასთან დაკავშირებული სირთულეები **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - „საზოგადოებრივი პროკურატურის“ პროექტის ფარგლებში პრევენციული ღონისძიებების ჩატარება (2019 წელს საორიენტაციოდ 300 ღონისძიება); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - „საზოგადოებრივი პროკურატურის“ პროექტის ფარგლებში ყოველწლიურად პრევენციული ღონისძიების ჩატარება (საორიენტაციოდ 2020 წლისთვის განხორციელდება 300 ღონისძიება, ხოლო 2021-დან 2023 წლებში 900 ღონისძიება); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - საზოგადოების დაინტერესების და ჩართულობის დონე **3.**

	საბაზისო მაჩვენებელი - სისტემის თანამშრომლების პროფესიული მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფის მიზნით 2019 წელს საორიენტაციოდ 150 აქტივობა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სისტემის თანამშრომლების პროფესიული მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფის მიზნით, 2020 წლისთვის საორიენტაციოდ 150 სასწავლო აქტივობის განხორციელება, ხოლო 2021-დან 2023 წლებში საორიენტაციოდ 450 სასწავლო აქტივობის განხორციელება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 30%; **შესაძლო რისკები** - კვალიფიციური ტრენერ-ექსპერტების დატვირთვა და დროის დეფიციტი. საქართველოს პროკურატურის მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული განვითარების უზრუნველსაყოფად აუცილებელი მომსახურების გამარტივებული შესყიდვის შესახებ განკარგულების მიუღებლობა. აქტივობების მიმართ დონორი ორგანიზაციებისგან დაინტერესების და ხელშეწყობის შემცირება

სამეცნიერო კვლევა და სამხედრო მრეწველობის განვითარება (29 07)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო–ტექნიკური ცენტრი ,,დელტა"; სსიპ - გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი; სსიპ - ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი; სსიპ - რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი; სსიპ - მიკრო და ნანო ელექტრონიკის ინსტიტუტი; სსიპ - ინსტიტუტი ,,ოპტიკა"; სსიპ - სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა - ტექნიკის ინსტიტუტი
აღწერა და მიზანი	ენერგოუსაფრთხოების სფეროში სამეცნიერო ტექნიკური სამუშაოების გაღრმავება, საწარმოო ბაზის განახლება და თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა, თავდაცვის ძალებში არსებული შეიარაღების და ტექნიკური საშუალებების მოდერნიზება და აღდგენა. მრეწველობის და მათ შორის, მანქანათმშენებლობის რიგი დარგების განვითარება, ახალი ტექნოლოგიური პროცესების კვლევა და ოპტიმიზაცია. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლებისა და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის განვითარების მიზნით, თავდაცვის სფეროში სამეცნიერო-კვლევების განხორციელება. საწარმოო სიმძლავრეების გაზრდა–მშენებლობა და ექსპერიმენტალური მოდელების შექმნა შემდგომში ექსპორტის გაზრდის მიზნით.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	განვითარებული სამხედრო მრეწველობა და ხარისხიანი სამეცნიერო კვლევები, დემილიტარიზაციისა და უტილიზაციის ინსტიტუციური განვითარება, შექმნა, სამოქალაქო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის სპექტრის და მოცულობის მნიშვნელოვანი გაზრდა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - სამხედრო მრეწველობის განვითარება და მისი განვითარებისთვის აუცილებელი სამეცნიერო კვლევები, შექმნილი პროდუქციის რაოდენობა, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხელშეწყობისა და ეკონომიკურ განვითარებაში მონაწილეობის მიზნით დამუშავდება ინოვაციური ტექნოლოგიები, ახალი ნახევარგამტარული, ზეგამტარული და კომპოზიციური მასალები და ნაკეთობები, რადიოელექტრონული მოწყობილობები და მართვის

	ელექტრონული სისტემები. სამეცნიერო ტექნიკური ანგარიშები სამეცნიერო სტატიები, საკონფერენციო მოხსენება, მონოგრაფიები და სხვადასხვა პატენტები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სამეცნიერო კვლევების გაღრმავება სამხედრო მრეწველობის განვითარებაში, სამეცნიერო კვლევა სამთო ინჟინერიაში, სამეცნიერო კვლევა მიკრო და ნანო ელექტრონულ ტექნოლოგიაში, სამეცნიერო კვლევა მანქანათმშენებლობის სფეროში, სამეცნიერო კვლევა მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის სფეროში, სამეცნიერო კვლევა გამოყენებით ფიზიკაში, ფიზიკურ ქიმიასა და ელექტრონიკის სფეროში და სამეცნიერო კვლევა გამოყენებითი ოპტიკის სფეროში. პროდუქციის გამოშვება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი-საშუალო ალბათობა; **შესაძლო რისკები** - მაღალკვალიფიციურ მეცნიერთა კადრების გადინება

ეკონომიკური დანაშაულის პრევენცია (23 03)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური
აღწერა და მიზანი	საფინანსო და ეკონომიკურ სფეროში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, ქვეყანაში ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი გარემოს ხარისხის ამაღლება. კანონიერი სამეწარმეო საქმიანობის დაცვა და სამსახურში მწყობრი სისტემის ჩამოყალიბება. საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში პერსონალის შერჩევის კრიტერიუმებისა და პროცედურების კუთხით დაგროვილი გამოცდილების შესწავლა. საქართველოს ეკონომიკურ საზღვრებზე კონტროლის გამკაცრება გადასახადების თავის არიდების ფაქტების აღკვეთის მიზნით, ასევე პრევენციული ღონისძიებების გატარება შემდგომში დანაშაულის ჩადენის თავის არიდების მიზნით. ფინანსური დანაშაულის გამოძიების საერთაშორისო ქსელის პროექტებში მონაწილეობა. თაღლითობის აღმოჩენა - გამოვლენის, ასევე კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებზე ევროპული სამსახურების ორგანიზებით დაგეგმილ კონფერენციებსა და სემინარებზე სისტემატიური მონაწილეობის მიღების უზრუნველყოფა. ინტელექტუალური საკითხების უფლების ეკონომიკური დანაშაულის დონეზე განხილვისათვის თანამშრომლობა აღმოსავლეთის ქვეყნების პარტნიორობის ფარგლებში.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საფინანსო და ფისკალურ სფეროში დანაშაულის დონის შემცირება და მინიმუმამდე დაყვანა.

	ქვეყანაში ჯანსაღი კონკურენტიანი გარემოს შექმნა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - გატარებული პრევენციული ღონისძიებების შედეგად ეკონომიკურ დანაშაულებათა რიცხვის კლება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საფინანსო სფეროში დანაშაულის დონის შემცირება და მინიმუმამდე დაყვანა; **შესაძლო რისკები** - არა ჯანსაღი საკანონმდებლო ბაზა და საკადრო რესურსების დეფიციტი

ოპერატიულ-ტექნიკური საქმიანობის უზრუნველყოფა (20 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო
აღწერა და მიზანი	უფლებამოსილი ორგანოს მიმართვის საფუძველზე, სპეციალური ტექნოლოგიური საშუალებებით, ფარული მეთოდებით საქართველოს კონსტიტუციური წყობილების, სუვერენიტეტის, თავდაცვისუნარიანობის, ტერიტორიული მთლიანობის, მართლწესრიგისა და სამხედრო პოტენციალის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებათა შესახებ ინფორმაციის მოპოვება, აგრეთვე სისხლის სამართლის საქმეზე ფაქტობრივი მონაცემების მოპოვება და ამ მიზნით ისეთ ღონისძიებათა განხორციელება, რომლებიც დაკავშირებულია: • სატელეფონო კომუნიკაციის ფარულ მიყურადებასთან და ჩაწერასთან; • კავშირგაბმულობის არხიდან ინფორმაციის მოპოვებასთან; • კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის მოპოვებასთან; • გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრასთან; • საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის კონტროლთან; • ფარულ ვიდეოჩაწერასთან ან/და აუდიოჩაწერასთან, ფოტოგადაღებასთან; „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ოპერატიულ-ტექნიკურ ღონისძიებების და იმავე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებების განხორციელება; სახელმწიფო უწყებებისა და დაწესებულებების საინფორმაციო-ტექნოლოგიური უზრუნველყოფა; სასაზღვრო ტექნოლოგიების განვითარება და სასაზღვრო გამტარი პუნქტების საინფორმაციო-ტექნოლოგიური მომსახურების უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების გზით სისხლის სამართლის საქმეზე ფაქტობრივი მონაცემების მოპოვება; კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ოპერატიულ-ტექნიკურ ღონისძიებების და ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებების განხორციელების გზით უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურების, ორგანიზაციების, პირთა ჯგუფებისა და ცალკეული პირების სადაზვერვო ან/და

	ტერორისტული ქმედებების შესახებ ინფორმაციის მოპოვება.

მართვის, კონტროლის, კავშირგაბმულობისა და კომპიუტერული სისტემები (29 04)	
პროგრამის განმახორციელებელი	თავდაცვის სამინისტრო; სსიპ კიბერუსაფრთხოების ბიურო
აღწერა და მიზანი	კიბერთავდაცვითი შესაძლებლობების განვითარება, უსაფრთხოების კონტროლის მექანიზმების დანერგვა, მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლება, ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის გაღრმავება. თავდაცვის სამინისტროში შემავალი კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტების უსაფრთხო და მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველყოფა. სამხედრო სწავლებებში კიბერუსაფრთხოების ელემენტების ინტეგრირება. კავშირგაბმულობის და ინფორმაციული სისტემების განვითარება თავდაცვის ძალების მართვისა და კონტროლის სისტემის მხარდასაჭერად. კავშირგაბმულობის სერვისების, ინტერნეტისა და საფოსტო მომსახურების უზრუნველყოფა. საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით დამატებითი სტანდარტებისა და წესების შემუშავება და დანერგვა; საინფორმაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განვითარება; სერვისების უწყვეტობის უზრუნველყოფისა და უსაფრთხოების ხარისხის გაზრდა. ასევე დამატებითი სტანდარტებისა და წესების შემუშავება და დანერგვა; ERP სისტემის მოდულებისა და სხვადასხვა პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა, რაც მოიცავს ადამიანური რესურსების მართვის, ფინანსების, აქტივების, ლოგისტიკური და სხვა პრიორიტეტული ბიზნეს-პროცესების ელექტრონული სააღრიცხვო სისტემების შემუშავებას და დანერგვას.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ნებისმიერი კიბერთავდასხმის საზიანო შედეგების მინიმუმამდე შემცირება და თავდასხმის შემთხვევაში ინფორმაციული და კომუნიკაციების ტექნოლოგიების სისტემების ინფრასტრუქტურის ფუნქციონირების სრული აღდგენა უმოკლეს დროში; თავდაცვის სამინისტროს კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტებში ინფორმაციული უსაფრთხოების მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზის შექმნა და არსებულის თავსებადობა თანამედროვე გამოწვევებთან და საერთაშორისო სტანდარტებთან; უსაფრთხო კავშირისა და ინფორმაციის საიმედოობის შენარჩუნება ყველა დონეზე; შეიარაღებაში არსებული კავშირგაბმულობის საშუალებების მუშაუნარიანობის/ქმედითუნარიანობის აღდგენა; ინფორმაციის მართვა და საერთო ოპერატიული სურათის მიღება ყველა დონეზე; უსაფრთხო რადიოკავშირის და ნავიგაციის უზრუნველყოფა საერთო ოპერატიული სურათის მისაღებად. გაზრდილი მობილურობა და დაცული ინფორმაცია; თავდაცვის სამინიტროს ყველა შესაბამისი ქვედანაყოფის ელექტრონული სერვისებზე წვდომის უზრუნველყოფა; სერვისების უწყვეტობის უზრუნველყოფა და მონაცემთა დაკარგვის რისკების შემცირება. ERP სისტემის

	მოდულებისა და სხვადასხვა პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - მუშავდება ინფორმაციული უსაფრთხოების მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზის მნიშვნელოვანი ნაწილი. კიბერუსაფრთხოების ბიურო კომპლექტდება მაღალკვალიფიციური კადრებით. ასევე, ხორციელდება კომპიუტერული უსაფრთხოების ინციდენტების პრევენცია, მოსალოდნელი საფრთხეების იდენტიფიცირება და მათი აღმოფხვრა. მიმდინარეობს მუშაობა თავდაცვის ძალების სტრატეგიული, ოპერატიული და ტაქტიკური მართვისა და კონტროლის სისტემების ერთიანი ფუნქციონირებადი ქსელის შესაქმნელად. 2019 წელს მოხდება ERP სისტემის ადამიანური რესურსების მართვის (HR) მოდულის და სხვადასხვა შიდა უწყებრივი ელ. სერვისების რეალურ რეჟიმში გაშვება; დასრულდება თავდაცვის სამინისტროს ქსელისა და სასერვერო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ინფორმაციული უსაფრთხოების მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზის თავსებადობა საერთაშორისო სტანდარტებთან. ინსტიტუციონალური მდგრადობის უზრუნველსაყოფად მაღალკვალიფიციური კადრების შენარჩუნება. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა. თავდაცვის სამინისტროს სისტემაში კიბერსაფრთხეების შესახებ ცნობიერების ამაღლება. კიბერრეზერვისტთა შესაძლებლობების ამაღლება. არსებული კავშირგაბმულობის და ინფორმაციული სისტემების რესურსის აღდგენა-შენარჩუნება და საიმედოობის გაზრდა; თავდაცვის ძალების სტრატეგიული, ოპერატიული და ტაქტიკური მართვისა და კონტროლის სისტემების არსებული ქსელის შენარჩუნება; ქვედანაყოფების დაკომპლექტების არსებული დონის შენარჩუნება; უსაფრთხოებისა და მონიტორინგის სისტემების დანერგვა, განვითარებული ინფრასტრუქტურა; ავტომატიზებული ბიზნეს პროცესები (Enterprise Resource Planning 3 მიმართულებით), საინფორმაციო ტექნოლოგიების პოლიტიკის დოკუმენტების, წესების და სტანდარტების განვითარება, ახლის შექმნა და დანერგვა. არსებული სერვისების უწყვეტობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი ალბათობა; **შესაძლო რისკები** - ადამიანური რესურსების ნაკლებობა და კვალიფიციური კადრების შენარჩუნება. თავდაცვის სისტემაში არსებული კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტების ინფრასტრუქტურის მდგრადობა შესაბამის საფრთხეებთან. დამოკიდებულება (პრობლემები) სერვისის/პროდუქციის მომწოდებლებზე; ტექნიკური და ტექნოლოგიური განვითარების მაღალი ტემპის გამო არსებული სისტემების მოძველება

ტრანსპორტის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების დაფარვა და ტრანსპორტირების ხარჯების სუბსიდირება (24 10)

პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
აღწერა და მიზანი	საქართველოს ევროპის ერთიან საჰაერო სივრცეში ინტეგრაციის პროცესის გაღრმავება; კომპეტენციის ფარგლებში საერთაშორისო ანტიტერორისტული საქმიანობის ხელშეწყობა;

	ფრენების უსაფრთხოებისა და საავიაციო უშიშროების დონის ამაღლება; აშშ-ს სამხედრო ავიაციის საჰაერო ნავიგაციით და პილოტაჟით უზრუნველყოფა; ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების წევრ სახელმწიფოებსა და „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამაში მონაწილე სხვა სახელმწიფოებს შორის შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესრულების უზრუნველყოფა; ქვეყნის მასშტაბით მგზავრთა საჰაერო გადაყვანა რეგიონში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისათვის.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ფრენის უსაფრთხოებისა და საავიაციო უშიშროების ხარისხი ამაღლებულია; საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის, გაზრდილი ცნობადობა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების წევრ სახელმწიფოებსა და „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამაში მონაწილე სხვა სახელმწიფოებს შორის შეთანხმებით გათვალისწინებული პირობები შესრულებულია; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საქართველოში ფრენის უსაფრთხოებისა და საავიაციო უშიშროების დონის ამაღლების თაობაზე დადებითი დასკვნის გამოტანა

დანაშაულის პრევენცია, პრობაციის სისტემის განვითარება და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია (26 06)	
აღწერა და მიზანი	ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია/რეაბილიტაცია და დანაშაულის პრევენცია საქართველოში, მათ შორის დანაშაულის რეციდივის თავიდან აცილების ხელშეწყობა, რისკჯგუფებთან მუშაობა, დანაშაულის პირველად პრევენციასთან დაკავშირებული ღონისძიებების და სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელება და მათში პრობაციონერთა ჩართულობის უზრუნველყოფა; დანაშაულის გამომწვევი რისკფაქტორების შემცირების მიზნით ბენეფიციარების ფსიქოსოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, ყოფილი პატიმრების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, მათი ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მოგვარება; შრომის ბაზრის მოთხოვნების ადეკვატური ტრენინგების/პროფესიული გადამზადების კურსების შეთავაზება და პოტენციურ დამსაქმებელთან რეკომენდაციების გაწევა, განრიდება-მედიაციის სფეროს ინსტიტუციური ჩარჩოს დახვეწა, საგრანტო პროგრამების საშუალებით დეფიციტური სერვისების მიწოდება და მათი შემდგომი განვითარება, არასრულწლოვნებში დანაშაულის პირველადი პრევენციის მიზნით ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, მოხალისეობის განვითარება და სამოქალაქო და სამართლებრივი ცნობიერების დონის ამაღლება;

	ფსიქოსარეაბილიტაციო, პროფესიული გადამზადების და საგანმანათლებლო პროგრამებში და საზოგადოებრივ-კულტურულ საქმიანობაში პრობაციონერების ჩართულობა; სრულწლოვან და არასრულწლოვან მსჯავრდებულთა მიმართ სასჯელის - შინაპატიმრობის, როგორც წესი, ელექტრონული ზედამხედველობის საშუალებით აღსრულება.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ყოფილ პატიმართა და დანაშაულის ჩადენის რისკჯგუფში მყოფ პირთა რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია; დანაშაულის ადრეული პრევენციული აქტივობების საშუალებით არასრულწლოვნებში დანაშაულის ადრეული პრევენცია; სარეაბილიტაციო პროგრამებში პრობაციონერთა და განრიდებულ პირთა ჩართვა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 2019 წელს ცენტრის ხელშეწყობით დასაქმებული 70 ბენეფიციარი/ბენეფიციარის ოჯახის წევრი (მათ შორის, 80% მამრობითი სქესის და 20% მდედრობითი სქესის); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ყოველწლიურად დასაქმებული 70 ბენეფიციარი/ბენეფიციარის ოჯახის წევრი (მათ შორის, 80% მამრობითი სქესის და 20% მდედრობითი სქესის); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5 ბენეფიციარი; **შესაძლო რისკები** - ბენეფიციარების/მათი ოჯახის წევრების შესაბამისი უნარ-ჩვევების არქონა; დამსაქმებლების ნაკლებობა **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - დანაშაულის პირველი და მეორე დონის პრევენციის აქტივობებში 2019 წელს აქტივობებში ჩართული 2 500 უნიკალური მონაწილე; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2020 წელს ჩართული 2 500 უნიკალური მონაწილე, 2021 წელს – 2 600, 2022 წელს – 2 700, 2023 წელს – 2 800; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - სხვა ორგანიზაციების მიერ მიწოდებული მსგავსი სერვისები **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 2019 წელს დანაშაულის პირველი და მეორე დონის პრევენციის აქტივობების/პროექტების/ღონისძიებების 70% არის გენდერულად სენსიტიური; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2020 წელს – 75%, 2021 80%, 2022 წელს – 85%, 2023 წელს - 90%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5% **4.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 2019 წლის ბოლომდე სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩაერთვება სულ 1 200 პრობაციონერი და განრიდებული პირი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩაერთვება 2020 წელს დამატებით 1 000 პრობაციონერი და განრიდებული პირი; 2021 წელს - 1 100, 2022 წელს - 1 200, 2023 წელს - 1 300; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 1-3%; **შესაძლო რისკები** - პრობაციონერთა რეზისტენტულობა; პრობაციონერთა და განრიდებულ პირთა რაოდენობის

	მკვეთრი ცვლილება

ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მათ შორის, ქონების), დიპლომატიური წარმომადგენლობების, ეროვნული საგანძურის დაცვის და უსაფრთხოების დონის ამაღლება (30 03)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი
აღწერა და მიზანი	საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, მოძრავი ტვირთების დაცვა-გაცილება, ფულადი სახსრებისა და სხვა ფასეულობათა გადაზიდვა-ინკასირება, დადებული ხელშეკრულებებისა და სახელმწიფო შეკვეთების ფარგლებში მესაკუთრის ქონებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისგან, დასაცავი ობიექტების დაცვის ხარისხის ამაღლება, ობიექტების ციფრული კავშირგაბმულობისა და თანამედროვე დაცვითი საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემებით აღჭურვა; კერძო დაცვითი საქმიანობის კონტროლი; ავტოპარკის მუდმივი განახლება; ინფრასტრუქტურის მუდმივი რეაბილიტაცია.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	• მეტად დახვეწილი და გამართული დაცვითი მომსახურება; • თანამედროვე და მაღალი ხარისხის დაცვითი სისტემებით აღჭურვილი დასაცავი ობიექტები; • თანამედროვე ავტოსატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფილი ოპერატიული რეაგირების, დაცვა-გაცილების და ინკასაციის ჯგუფები ასევე დასაცავი ობიექტები; • თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად რეაბილიტირებული და აშენებული დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობები.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი -** სამინისტროს სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი მიმდინარე პერიოდში ახორციელებს 13 820 ობიექტის დაცვას. აქედან, საპოლიციო ძალით დაცულია 724 ობიექტი მ.შ: 113 ობიექტი საბიუჯეტო დაფინანსებაზე არსებული, ტექნიკური საშუალებებით – 12 853 ობიექტი, შერეული დაცვა (საპოლიციო ძალით და ტექნიკური საშუალებებით ერთდროულად) ხორციელდება 243 ობიექტზე, პირადი დაცვით უზრუნველყოფილია 209 ფიზიკური პირი. GPS-ით დაცული ავტომანქანების რაოდენობა შეადგენს 2 095 ერთეულს; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - არსებული მაჩვენებლის ზრდა 20%-ით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 8%; **შესაძლო რისკები** - მზარდი კონკურენციის გამო დასაცავი ობიექტების რაოდენობის შემცირება, დაბალი სახელფასო ანაზღაურების გამო კვალიფიციური კადრების გადინება 2.

	საბაზისო მაჩვენებელი - დღევანდელი მდგომარეობით AES და SIS სისტემური და პროგრამული მომსახურება უზრუნველყოფს საქართველოს მასშტაბით 13 000-ზე მეტი აბონენტის (გადამცემის) გამართულ მუშაობას, თანამედროვე ციფრული რადიოკავშირგაბმულობის საშუალებებით უზრუნველყოფილია ქ. თბილისი და მისი შემოგარენი, აჭარის რეგიონი, ინკასაციის სამმართველო, მოძრავი ტვირთებისა და ფიზიკურ პირთა დაცვის სამმართველო და ოპერატიული რეაგირების ჯგუფები. თბილისში არსებული სიგნალების გადაცემის ქსელები საჭიროებს ოპტიმიზაციას (დასაცავი ობიქტების რაოდენობის გაზრდიდან გამომდინარე). დღევანდელი მდგომარეობით ჯამური ლიცენზიების რაოდენობა (თბილისი და რეგიონები) შეადგენს 15 500-ს. დეპარტამენტსა და რეგიონებში ტექნიკურად მოძველებულია ვიდეოსამეთვალყურეო სისტემები, არ არსებობს გარე პერიმეტრის დაცვის სისტემები. დღეისთვის, ოპერატიულ რეაგირების ჯგუფებზე ობიექტებიდან შემოსული სიგნალების გადაცემა და ობიექტის ლოკაციის შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხორციელდება რადიოსადგურების და ტელეფონის საშუალებით, რაც ამცირებს რეაგირების ოპერატიულობას. დაცვითი მომსახურების გაუმჯობესებისთვის საჭიროა ცენტრალური დაკვირვების პულტისათვის ახალი პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება, ოპერატიული რეაგირების ჯგუფებისათვის პლანშეტების დანერგვა და პროგრამული უზრუნველყოფით გამართვა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - იმერეთი-გურიის, სამცხე-ჯავახეთის, კახეთის, სამეგრელო - ზემო სვანეთისა და აჭარის რდპ სამმართველოებში გადაიარაღებული ქსელური ინფრასტრუქტურა (10 სპეციალიზირებული სადისპეჩერო სადგური კომპლექტში, 14 საჰაერო მიმართული სარალეო გადაცემის ანტენა და დამატებითი აქსესუარები სისტემის გამართული მუშაობისათვის). განახლებული ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემები (ანალოგური სისტემების ციფრული სისტემებით ჩანაცვლება, პერიმეტრის კონტროლის სისტემა). ქ. თბილისში გადაიარაღებული ქსელური და კომპიუტერული ინფრასტრუქტურა, (4 სპეციალიზირებული სადისპეჩერო სადგური კომპლექტში, 4 საჰაერო მიმართული სარალეო გადაცემის ანტენა, 3 სპეცალიზირებული სერვერი და დამატებითი აქსესუარები სისტემის გამართული მუშაობისათვის). ოპერატიული რეაგირების ჯგუფებისთვის ავტომობილებში დამონტაჟებულია 50 პლანშეტი, ოპერატიული რეაგირების ჯგუფების მართვის პროგრამა (ინტეგრაცია არსებული ობიქტების მონიტორინგისა და GPS მონიტორინგის სისტემებში). ტექნიკური საშუალებებით დაცვაში არსებული აბონენტების გაზრდილი რაოდენობა 18 000-მდე. რეგიონალური დანაყოფები აღჭურვილია ციფრული რადიოსაშუალებებით (საშუალოდ 45 ხელით სატარებელი რაცია, 20 სტაციონარი და 5 სიატი) რეგიონალურ დანაყოფებში გაფართოვებული სიგნალების გადაცემის სისტემის ოპტიმიზაცია. განახლებული - ჩანაცვლებული დაცვითი-ტექნიკური საშუალებები იმ დროისთვის არსებული სტანდარტების შესაბამისად. რეგიონალური დანაყოფები აღჭურვილია ციფრული რადიოსაშუალებებით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - დაცვის ობიექტების რაოდენობის მკვეთრი ცვლილება, ახალი, მეტად თანამედროვე სპეცტექნიკის ბაზარზე გამოჩენა, დამკვეთისგან მისი მოთხოვნა და მაღალი ფასი **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - დღეის მდგომარეობით სამინისტრო სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ბალანსზე რიცხულია 337 მსუბუქი ავტომობილი, 73 მაღალი გამავლობის, 11 სამგზავრო (ავტობუსი, მიკროავტობუსი), 1 სატვირთო ავტომობილი, 109 ბრონირებული მანქანა, 2 სპეცტექნიკა (ევაკუატორი), 27 მცირე ტვირთამწეობის ფურგუნი. ზენორმატიული დატვირთვის გამო ინკასაციის მანქანები ხშირად გამოდის მწყობრიდან, ასევე ოპერატიული რეაგირების მანქანები მიეკუთვნება მაღალი რისკის ჯგუფს და ხდებიან ავტოსაგზაო შემთხვევის

	მონაწილეები, შესაბამისად, ვარგისია ექსპლუატაციისათვის ინკასაციის მანქანების 88%, ხოლო ოპერატიული რეაგირების ჯგუფის მანქანების - 100%; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** ფულადი სახსრებისა და სხვა ფასეულობათა გადაზიდვა-ინკასირებისათვის შეძენილი 40 ერთეული დაჯავშნილი ავტომანქანა (არსებული ბაზის 36%-ით განახლება), ოპერატიული რეაგირების ჯგუფების და მოძრავი ტვირთების დაცვა-გაცილებისათვის შეძენილი 40 ერთეული მსუბუქი ავტომანქანა (არსებული ბაზის 36%-ით განახლება), ოპერატიული რეაგირების ჯგუფების და დასაცავი ობიექტებისთვის შეძენილი 20 ერთეული მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომანქანა (არსებული ბაზის 28%-ით განახლება), დასაცავ ობიექტებზე ცენტრალური დაკვირვების პულტის სამონტაჟო სამუშაოების შესრულებისათვის შეძენილი 40 ერთეული მცირე ტვირთამწეობის ფურგუნი (არსებული ბაზის 148%-ით განახლება); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 30%; **შესაძლო რისკები -** დასაცავი ობიექტების რაოდენობის ცვლილება, გაუთვალისწინებლად ავტომანქანების სრულად მწყობრიდან გამოსვლა (ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად) **4.** **საბაზისო მაჩვენებელი -** დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ბალანსზე დღეის მდგომარეობით ირიცხება 54 შენობა-ნაგებობა, საიდანაც 32 შენობა აკმაყოფილებს სამუშაო პირობებისთვის საჭირო მოთხოვნებს, ხოლო დარჩენილი 22 შენობა სარემონტოა (მ.შ. 9 საჭიროებს კოსმეტიკურს, ხოლო 13 – კაპიტალურ რემონტს); **მიზნობრივი მაჩვენებელი -** გარემონტებული დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართული კახეთის რდპს საგარეჯოს ქვეგანყოფილების შენობის ნაწილი, თელავის ქვეგანყოფილება, ქ. თბილისის სამმართველოს ადმინისტრაციული შენობა, ქ. თბილისის სამმართველოს მე-4 და მე-5 განყოფილებები, სამეგრელო-ზემო სვანეთის რდპს ადმინისტრაციული შენობა, სამეგრელო-ზემო სვანეთის რდპს მესტიის ადმინისტრაციული შენობა, იმერეთი-გურიის რდპს ადმინისტრაციული შენობა, ქვემო ქართლის რდპს რუსთავის ქვეგანყოფილება, სამცხე-ჯავახეთის რდპს ადმინისტრაციული შენობა; გარემონტებული იმერეთი-გურიის რდპს საჩხერე-ჭიათურის ქვეგანყოფილების შენობა, ქ. თბილისში და დასავლეთ საქართველოში აშენებული ინკასაციის სამმართველოს საცავი ე.წ. საკასო ცენტრი; დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის ფასადის შეღებვა; დასაცავი ობიექტებისათვის 40 ცალი შეძენილი და 710 ცალი გარემონტებელი დაცვის ჯიხური; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 30%; **შესაძლო რისკები -** გაუთვალისწინე¬ბელი ბუნებრივი კატაკლიზმების შედეგად დაუგეგმავი რემონტი, აღნიშნული პროექტების შეცვლა

სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მომსახურების ეფექტიანობის უზრუნველყოფა და ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომობა (30 07)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო
აღწერა და მიზანი	.სააგენტოს მიერ შეთავაზებული სერვისების გაუმჯობესების გზით სააგენტოს მიმართ ნდობის ხარისხის ამაღლება. სააგენტოს მიერ სწრაფი, მოქნილი და მეტად ხელმისაწვდომი (მომსახურების დისტანციური არხების განვითარება)

	მომსახურების უზრუნველყოფა, რაც მორგებული იქნება მოქალაქეების საჭიროებებზე.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	• გაუმჯობესებული, მოქნილი და მეტად ხელმისაწვდომი მომსახურება; • განახლებული საგამოცდო ავტოპარკი; • დამატებული ახალი საგამოცდო მოედნები; • რეაბილიტირებული სააგენტოს ინფრასტრუქტურა; • განახლებული და ოპტიმიზირებული სააგენტოს IT ინფრასტრუქტურა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ყოველდღიურ რეჟიმში სააგენტო შესაბამის მომსახურებას უწევს ასეულობით მოქალაქეს, რომელთაგანაც 100% უზრუნველყოფილია მაღალი ხარისხის მომსახურებით; სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების მხოლოდ 2,5%-მდე არის მიღებული ელექტრონულად დისტანციური არხების გამოყენებით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - არსებული მაჩვენებლის შენარჩუნება; ელექტრონულად დისტანციური არხების გამოყენებით მიღებული მომსახურების მაჩვენებლის 20%-მდე გაზრდა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - სააგენტოს განვითარების ხედვაში პრიორიტეტების გადახალისება და განვითარების გეგმაში განხორციელებული ცვლილებები **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - დღეის მდგომარეობით საგამოცდო ავტოპარკი განახლებულია, მაგრამ ვინაიდან აღნიშნულ ავტომანქანებს მართავენ მართვის უფლების არმქონე მოქალაქეები და ავტოსატრანსპორტო საშუალებები განიცდიან არანორმირებულ ცვეთას, მიზანშეწონილია ავტოპარკის 100%-ით განახლება ყოველ 4 წელიწადში ერთხელ; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მართვის მოწმობის პრაქტიკული გამოცდისთვის საგამოცდო ავტოპარკის განახლებულია 100%-ით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - სააგენტოს პოლიტიკის შეცვლა (მოედნის პირობებში გამოცდის გაუქმება) **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - დღეის მდგომარეობით მართვის მოწმობის ყველა სხვა, გარდა B - კატეგორია, კატეგორიის პრაქტიკული გამოცდის ჩაბარება ხდება მხოლოდ ქ. ქუთაისში და ქ. რუსთავში; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ქ. ფოთში მოწყობილი/დამატებული ახალი საგამოცდო მოედანი და შეძენილი 8 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება შესაბამისი აღჭურვილობით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - მოქალაქეების მხრიდან მოთხოვნის არ არსებობა **4.** **საბაზისო მაჩვენებელი** - სააგენტოს ინფრასტრუქტურა სრულად (100%-ით) არის რეაბილიტირებული; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - არსებული რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურის შენარჩუნება **5.** **საბაზისო მაჩვენებელი** - დღეის მდგომარეობით ამბროლაურში არ ხორციელდება მოსახლეობისთვის სააგენტოს

	სერვისის (მართვის მოწმობის პრაქტიკული გამოცდის (B კატეგორია)) სრულყოფილად მიწოდება სტანდარტულად მოწყობილი მოედნის არარსებობის გამო; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ქ. ამბროლაურში მოწყობილი საგამოცდო მოედანი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - სხვა შენობებზე კლიმატური პირობების გამო ზიანის მიყენებით გამოწვეული პრობლემების გამოსწორების მიზნით მიმართული თანხა 6. **საბაზისო მაჩვენებელი** - დღეის მდგომარეობით სააგენტოს არსებული სერვერული ინფრასტრუქტურის რესურსები საკმარისია, მაგრამ ვინაიდან სააგენტოში მიმდინარეობს ციფრული ტრანსფორმაციის პროექტი რაც გამოიწვევს სერვერული რესურსების შემცირებას და ასევე ვინაიდან სერვერულ ინფრასტრუქტურას გასდის ექსპლუატაციის ვადა, მიზანშეწონილია მომდევნო წლებში განახლდეს სერვერული ინფრასტრუქტურა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სერვერული ინფრასტრუქტურის განახლება 100 %; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10 %; **შესაძლო რისკები** - საქართველოს საჯარო სექტორში ერთიანი მონაცემების დამუშავების და შენახვის ცენტრის შექმნა

საგანგებო და გადაუდებელი დახმარების ეფექტური სისტემის ფუნქციონირება (30 08)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - 112
აღწერა და მიზანი	მაღალი დონის და მარტივად ხელმისაწვდომი გადაუდებელი დახმარების უზრუნველყოფა; საგანგებო სიტუაციის დადგომის შემთხვევაში გადაუდებელი დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელი სუბიექტების დროულად და სწორად ჩართვა პროცესში, გადაუდებელი დახმარების შეტყობინების მიღების და დამუშავების სისტემის გაუმჯობესება.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	• გაუმჯობესებული არსებული და დანერგილი ახალი სერვისები; • შესყიდული და დანერგილი გადაუდებელ შემთხვევათა მენეჯერის პროგრამა; • შესყიდული და დანერგილი ადრეული გაფრთხილების სისტემა; • დანერგილი AML სისტემა Android და iOS მომხმარებლებისთვის;
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - სსიპ ,,112“ ორიენტირებულია მუდმივი პროგრესისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისაკენ, რაც დამოკიდებულია ახალი სტანდარტებისა და ტექნოლოგიების დანერგვაზე. დღეისათვის შსს სსიპ „112“-ში ლოკაციის დადგენა შესაძლებელია სამი საკომუნიკაციო არხის მეშვეობით: ფიქსირებული, მობილური ტელეფონით და მობილური აპლიკაციის საშუალებით, საიდანაც ყოველდღიურად 16445 ზარი შემოდის, შემოსული შეტყობინებებიდან საშუალოდ იქმნება 5580 საქმე სხვადასხვა სამსახურების რეაგირების შედეგად (სასწრაფო, სახანძრო, პატრული, კრიმინალური, ევაკუატორი, ცხოველთა მონიტორინგი) საქართველოს მასშტაბით. შექმნილია 112 მობილური აპლიკაცია, სადაც დღეის მდგომარეობით 25060 მომხმარებელია რეგისტრირებული.

	ყოველდღიურად მობილური აპლიკაციიდან საშუალოდ 2-3 შეტყობინება შემოდის “SOS” ღილაკის, „SMS“ და “Chat” ფუნქციის საშუალებით. აპლიკაცია ადაპტირდა მხედველობის არმქონე პირებისათვის. აპლიკაციაში დაემატა სასარგებლო ინფორმაციის ორი ჩანართი „ოჯახში ძალადობა“ და „თამბაქოს კონტროლი“. აპლიკაცია მუდმივად საჭიროებს იდენტიფიცირებული ხარვეზების საფუძველზე პროგრამულ გაუმჯობესებას. სსიპ „112“ ყრუ და სმენადაქვეითებულ პირებს, სთავაზობს SMS და ვიდეო ზარის სერვისს. თვის განმავლობაში ვიდეო ზარის შეტყობინებებიდან სხვადასხვა სამსახურების მიერ რეაგირება ხდება საშუალოდ 9 საქმეზე სმენადაქვეითებული პირების დასახმარებლად. სსიპ ,,112“- ში ფუნქციონირებს ევაკუატორით მომსახურების სერვისის ცენტრი, რომელიც შემდეგ სერვისებს ახორციელებს: სისხლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შემთხვევებში ავტო-სატრანსპორტო საშუალებების ევაკუაცია და დაცულ საჯარიმო ავტოსადგომზე გადაყვანა, კერძო და იურიდიული პირების ევაკუატორით მომსახურება (ტრანსპორტირება და სადგომზე გადაყვანა). საშუალოდ ყოველდღიურად 83 შემთხვევა ფიქსირდება ადმინისტრაციული, 39 სისხლის სამართალდარღვევით. ყოველდღიურად ევაკუატორზე მოთხოვნის საშუალოდ 45 შემთხვევა ფიქსირდება. სსიპ „112“-სა და დაცვის პოლიციასთან შეთანხმებით აეწყო განგაშის სიგნალის მიღების სერვისი და საპილოტე რეჟიმში მიმდინარეობს eCall-ის პროექტი. eCall არის მოწყობილობა, რომელიც მონტაჟდება ავტოსატრანსპორტო საშუალებაში და ავტოსაგზაო შემთხვევისას ავტომატურად აგზავნის განგაშის სიგნალს 112-ში, რაც ამავდროულად წარმოადგენს სსიპ „112“-თან დაკავშირების ალტერნატიულ არხს. სამსახურეობრივი ბიზნეს პროცესების გასაანალიზებლად შეიქმნა ანალიტიკური პორტალი, რომელსაც ემატება სსიპ 112 -ში არსებული სამსახურების მოდულები. საპილოტე რეჟიმში არის გაშვებული მულტი-ფუნქციური რუკა. მიმდინარეობს თითოეულ სამსახურთან KPI ინდიკატორების შეთანხმება. შემუშავებულია ადმინისტრაციულ თანამშრომელთა შეფასების სისტემა და ინტეგრირებულია პორტალზე. მიმდინარეობს მუშაობა ტრანსნაციონალური ნომრების ბაზის შექმნაზე, რაც გულისხმობს, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქე მარტივად დაუკავშირდება რეზიდენტი ქვეყნის 112 -ს; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნებული არსებული სერვისები (გადაუდებელ შემთხვევათა სტატისტიკის აღმრიცხველი ერთიანი პროგრამა, მობილური აპლიკაცია, ევაკუატორის სერვისით მომსახურება) და გაუმჯობესებული გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრთან კომუნიკაციის არხები. eCall-ის დანერგვის გზით შემცირებული გადაუდებელ შემთხვევაზე რეაგირების დრო, სიკვდილიანობა და მძიმე დაზიანებების რაოდენობა. მიღებული შესაბამისი რეგულაციები აღნიშნული მოწყობილობის ავტომობილებში დამონტაჟების სავალდებულოობაზე. ტრანსნაციონალური ნომრების ბაზის საშუალებით საქართველოს 112-ის შესვლა ტრანსნაციონალური ნომრების ბაზაში, სხვა ქვეყნების 112-ის ცენტრების პირდაპირი წვდომა საქართველოს 112-ში დარეკვის საშუალებით და პირიქით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 1%; **შესაძლო რისკები** - მობილური აპლიკაციის გამოყენებით ცრუ ზარების განხორციელება **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - სსიპ 112-ს ეფექტური ფუნქციონირებისათვის ინციდენტის პრიორიტეტიზაციის პრობლემა ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადენს, რაც საშუალებას არ იძლევა, ობიექტურად მოხდეს გადაუდებელი შემთხვევების პროირიტეტიზაცია. ყოველდღიურად საშუალოდ 2713 მაღალი პრიორიტეტის, 1413 საშუალო პრიორიტეტის და 1381 დაბალი პრიორიტეტის საქმეები იქმნება, თუმცა მაღალია პრიორიტეტის განსაზღვრისას ცდომილების ალბათობა, რასაც შედეგად მოსდევს სასწრაფოს ბრიგადების არარაციონალური დატვირთვა.

	მაღალპრიორიტეტულ შემთხვევებში გაზრდილია რეაგირების დრო; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ი დანერგილი ინციდენტის ტიპებისა და პრიორიტეტების განმსაზღვრელი პროგრამა ProQA-ს. სსიპ „112“-ის მიერ შესყიდული და დანერგილი შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა. შესაბამისად დახვეწილი ზარის მართვის და პრიორიტეტების განსაზღვრის პროცესი. დანერგილი აღნიშნული პროგრამა და პროტოკოლები, შემცირებული პრიორიტეტების განსაზღვრის ცდომილება, შესაძლებლობას იძლევა გავცეთ სატელეფონო ინსტრუქციები შესაბამისი ბრიგადების ადგილზე მისვლამდე; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 1%; **შესაძლო რისკები** - მოსახლეობის მხრიდან დაბალი ინტერესი **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - მასშტაბური კრიზისული სიტუაციის დროს არ არსებობს ერთიანი ეფექტური შეტყობინების სისტემა, რომელიც მოახდენს მოქალაქეთა ინფორმირებას არსებული თუ მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ. რაც თავის მხრივ, მოქალაქეეთა ადრეული ევაკუაციისთვის გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - დანერგილი SMS შეტყობინებების სისტემა, რომელიც სახიფათო ტერიტორიაზე მყოფ აბონენტებს შეატყობინებს მომხდარი, ან პოტენციური საფრთხის შესახებ **4.** **საბაზისო მაჩვენებელი** - დღეს არსებული მდგომარეობით, თუ მოქალაქე 112-ში ახორციელებს სტანდარტულ ზარს და არ იყენებს 112-ის მობილურ აპლიკაციას, ვერ ხდება შემთხვევის ადგილმდებარეობის დადგენა, რაც ზრდის მისამართის მიღების დროს, შესაბამისად, იზრდება შემთხვევაზე რეაგირების დროც; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - დანერგილი AML სისტემა (გადაუდებელი შემთხვევის დროს Android და iOS სისტემების მქონე მობილური ტელეფონებიდან 112-ის აკრეფისას ქოლ-ცენტრში მომხმარებლების ზუსტი ლოკაცია გამოგზავნის შესაძლებლობა), რაც შეამცირებს რეაგირების დროს; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 0%; **შესაძლო რისკები** - მოსახლეობის მხრიდან დაბალი მიმღებლობა

რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი

კოდი	დასახელება	2020 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი
25 02	საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები	1,315,250.0	1,315,250.0	-	1,841,300.0	2,238,600.0	2,280,400.0
25 03	რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	290,215.0	262,130.0	28,085.0	224,300.0	140,000.0	103,000.0
25 04	წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია	256,800.0	256,800.0	-	319,002.0	338,001.0	365,000.0
25 07	ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია	149,000.0	149,000.0	-	107,000.0	90,000.0	90,000.0
24 15	მოსახლეობის ელექტროენერგიითა და ბუნებრივი აირით მომარაგების გაუმჯობესება	62,800.0	62,800.0	-	100,000.0	60,000.0	60,000.0
24 14	სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება	41,500.0	41,500.0	-	307,100.0	315,000.0	178,000.0
24 05	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	31,680.0	31,680.0	-	31,680.0	31,680.0	32,020.0
25 05	მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა	24,220.0	24,220.0	-	115,250.0	88,246.0	44,385.0
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - შექმნილია და ფუნქციონირებს 5 ინოვაციების ცენტრი (ხარაგაული, ბაღდადი, ჭოპორტი, ახმეტა და რუხი) და 2 რეგიონული ტექნოპარკი (ზუგდიდი, თელავი); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 1 რეგიონული ტექნოპარკის შექმნა ბათუმში და 2 ინოვაციების ცენტრის შექმნა გურჯაანსა და კასპში - 2020წ; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 30-40%; **შესაძლო რისკები** - ცენტრების გასახსნელად მოძიებული ინფრასტრუქტურის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა **2.**

	საბაზისო მაჩვენებელი - 2018 წელს გაიცა ინტერნეტში ჩართვის 16 ვაუჩერი შინამეურნეობებისთვის (სოფლის განვითარების პროექტის ფარგლებში); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 150 ლარიანი ვაუჩერის მეშვეობით დაფინანსებული ინტერნეტში ჩართვის პირველადი ინსტალაცია: 2020წ. - 2000 ფიზიკური პირი, 2021წ. - 500 ფიზიკური პირიპირი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 30%; **შესაძლო რისკები** - სამიზნე ჯგუფების დაბალი აქტივობა **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გაიცა 29 ვაუჩერი (სოფლის განვითარების პროექტის ფარგლებში); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 200 ლარიანი ვაუჩერის მეშვეობით დაფინანსებული ინტერნეტში ჩართვის პირველადი ინსტალაცია: 2020 წელი - 250 მეწარმე; 2021 წელი - 50 მეწარმე; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 30%; **შესაძლო რისკები** - სამიზნე ჯგუფების დაბალი აქტივობა **4.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 2018 წელს გადამზადდა 200 მეწარმე ელექტრონულ კომერციაში (სოფლის განვითარების პროექტის ფარგლებში); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ტრენინგი ელექტრონულ ბიზნესში: 2020 წელი - 1500 მეწარე; 2021 წელი - 500 მეწარმე; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 30%; **შესაძლო რისკები** - სამიზნე ჯგუფების დაბალი აქტივობა **5.** **საბაზისო მაჩვენებელი** - აქტივობები არ არის განხორციელებული (სოფლის განვითარების პროექტის ფარგლებში); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში გადამზადებული სპეციალისტები: 2020 წელი - 1500 სპეციალისტი; 2021 წელი - 1000 სპეციალისტი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 30%; **შესაძლო რისკები** - სამიზნე ჯგუფის დაბალი აქტივობა **6.** **საბაზისო მაჩვენებელი** - დაფინანსებული 37 სტარტაპ გრანტი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 34 სტარტაპისთვის გაცემული წილობრივი გრანტი 3 400 000 ლარის ოდენობით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 25%; **შესაძლო რისკები** - სამიზნე ჯგუფის დაბალი აქტივობა; განაცხადის კონკურსის დადგენილ კრიტერიუმებთან შეუსაბამობა **7.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ინოვაციების გრანტი არ არის გაცემული; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 8 ინოვაციურ პროექტზე გაცემული წილობრივი გრანტი 600 000 ლარის ოდენობით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 40%; **შესაძლო რისკები** - სამიზნე ჯგუფის დაბალი აქტივობა, განაცხადის კონკურსის დადგენილ კრიტერიუმებთან შეუსაბამობა

	8. **საბაზისო მაჩვენებელი** - აქტივობები არ არის განხორციელებული; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ყოველწლიურად 10 სტარტაპის აქსელერაცია - 2020-2021 წლები; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 25%; **შესაძლო რისკები** - სამიზნე ჯგუფის დაბალი აქტივობა, პროექტების დადგენილ კრიტერიუმებთან შეუსაბამობა

ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EBRD, EIB, EU) (24 13)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
აღწერა და მიზანი	სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჰესების (ენგურჰესის და ვარდნილჰესების კასკადის) რეაბილიტაცია, გვირაბზე ფილტრაციული და დაწნევის კარგვების შემცირების, აგრეგატების საიმედოობის გაზრდის, ავარიული გაჩერებების პრევენციის და ტრანსპორტირების პირობების გაუმჯობესების მიზნით.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ენგურჰესზე მიმდინარე სარეაბილიტაციო-საამშენებლო სამუშაოები
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ჰიდროელექტროსადგურები (ენგურჰესი, ვარდნილჰესების კასკადის პირველი საფეხური) რეაბილიტირებულია, გაყვანილია საპროექტო სიმძლავრეზე, ამაღლებულია სადგურის საიმედოობა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - ენგურჰესის სადაწნეო გვირაბზე დიდია ფილტრაციული დანაკარგები. მრავალ ადგილას დაზიანებულია გვირაბის ბეტონის მოსახვა. დაზიანებულია 1-ლი, მე-2 და მე-5 სატურბინე მილსადენები. წყალსაცავში დალამვის მაღალი დონის გამო შეუძლებელია მისაყრდნობი ფარის ჩაშვება. ასევე შეუძლებელი გახდება სიღრმული ფარების ექსლუატაცია; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შეცვლილი ენგურჰესის სადაწნეო გვირაბზე დაზიანებული მონაკვეთები - 2020 წელი; აღდგენილი გზის საფარი ენგურჰესამდე (14კმ.) - 2020 წელი; აღდგენილი ვარდნილის არხის მარეგულირებელი ფარები - 2020 წელი; ლამისაგან გაწმენდილი წყალსაცავი - 2020 წელი; გამართული მისაყრდნობი ფარი სიღრმული ექსპლუატაციისათვის - 2020 წელი; რეაბილიტირებული მდინარე ენგურის გადამგდები კაშხალი და ფარები - 2021 წელი; რეაბილიტირებული კაშხლის ელექტრომომარაგების სისტემა -2021 წელი; დასრულებული სამუშაოების ექსპლუატაციაში მიღების შესაბამისი პროცედურები - 2022; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20% შესრულების ვადების ცდომილება - 2020 და 2021 წლები 5% შედეგების ტექნიკური მახასიათებლების ცდომილება - 2022 წელი; **შესაძლო რისკები** - აფხაზეთის ტერიტორიზე მასალების და მოწყობილობის შეტანის გართულება - 2020 - 2021 წლები; საგარანტიო მახასიათებლების გადახრა, შესაბამისი გამოსწორებისთვის ვადების განსაზღვრა - 2022 წელი
საბოლოო შედეგის შეფასების	1.

ინდიკატორები	**საბაზისო მაჩვენებელი** - ელექტროენერგიის საშუალო წლიური გამომუშავება 3,8 მლრდ კვ/სთ; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ელექტროენერგიის საშუალო წლიური გამომუშავება გაზრდილია 5 %-თ; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20% შესრულების ვადების ცდომილება; **შესაძლო რისკები** - აფხაზეთის ტერიტორიზე მასალების და მოწყობილობის შეტანის გართულება

რეგიონებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა (25 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატი
აღწერა და მიზანი	რეგიონული განვითარების პოლიტიკის შემუშავება, განხორციელება და განხორციელების კოორდინაცია, აგრეთვე კომპეტენციის ფარგლებში მისი განხორციელების მონიტორინგი და ანალიზი; მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაციის, დეკონცენტრაციის და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და მუნიციპალიტეტებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის საკითხებზე და მუნიციპალიტეტების ინსტიტუციური გაძლიერებისთვის შესაბამისი წინადადებების შემუშავება; კომპეტენციის ფარგლებში ადგილობრივი და უცხოური წყაროებით დაფინანსებული რეგიონული პროგრამებისა და პროექტების განხორციელების კოორდინაცია და მათი ეფექტიანობის შეფასება; კომპეტენციის ფარგლებში სახელმწიფო რწმუნებულების ადმინისტრაციების და მუნიციპალიტეტების მოხელეთა სწავლების საკითხების კოორდინაცია; მუნიციპალიტეტების მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის დანერგვა, მათი კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებების უზრუნველყოფის ხელშეწყობა და კოორდინაცია; „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე სახელმწიფოს მიერ მუნიციპალიტეტებისათვის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების დარგობრივი ზედამხედველობის უზრუნველყოფა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შესაბამისად; საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ქსელის განვითარების, დაპროექტებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება; საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და დადგენილ ფარგლებში როგორც საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კომპეტენციაში შემავალი, ისე სხვა სახელმწიფო ორგანოთა გამგებლობისთვის მიკუთვნებული, ქვეყნისთვის

	მნიშვნელოვანი ცალკეული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების უზრუნველყოფა, ამ პროექტებით გათვალისწინებული ობიექტების მშენებლობის, რეაბილიტაციის და სხვა სამუშაოების კოორდინაცია, აგრეთვე კომპეტენციის ფარგლებში მათი მონიტორინგი; კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს წყლით უზრუნველყოფის და მოსახლეობის წყლით მომარაგების სისტემების დანერგვისა და განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებათა განხორციელების უზრუნველყოფა და კოორდინაცია; თავდაცვის ძალების სამობილიზაციო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობა; მუნიციპალიტეტების მიერ მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვის, სამხედრო სამსახურისათვის მომზადებისა და სამხედრო სამსახურში გაწვევის კოორდინაცია; არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელების მოწყობა, მართვა და დახურვა, ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების მოწყობა და მართვა (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა); კომპეტენციის ფარგლებში სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების თაობაზე წინადადებების მომზადება, ღონისძიებათა განხორციელება/განხორციელებაში მონაწილეობა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	რეგიონული განვითარებასა და ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებაზე შემუშავებული საჯარო პოლიტიკის დოკუმენტები; შემუშავებული და განხორციელებული ინფრასტრუქტურული განვითარების პროექტები; საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განვითარებული ინფრასტრუქტურა; საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განხორციელებული დეცენტრალიზაციის პროცესი; გაზრდილი კვალიფიციური კადრების რაოდენობა მუნიციპალიტეტებში; სარეკრეაციო ტერიტორიაზე შეთანხმებული (მშენებლობის ნებართვა გაცემის I და II სტადიაზე) მიწის ნაკვეთის სამშენებლო გამოყენების პირობების (გაპი) და არქიტექტურული პროექტები; სივრცითი მოწყობისა და მიწათმოწყობის დაგეგმვის შემუშავებული დოკუმენტაცია.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - დეცენტრალიზაციისა და საჯარო პოლიტიკის კუთხით შემუშავებული დოკუმენტები (ნორმატიული აქტები, სტრატეგია/საქმედო გეგმა და ა.შ.); 15 მუნიციპალიტეტში განხორციელებული სერვისების ეფექტიანობის შეფასება; ვებგვერდზე განთავსებული 10 ელექტრონული პუბლიკაცია; კვალიფიკაცია აიმაღლა 300-მა მოხელემ; 76 მუნიციპალიტეტს გაწეული მეთოდოლოგიური დახმარება; თვითმმართველობის მოხელეთა სასწავლო პროგრამების რეესტრში რეგისტრირებული 105 სასწავლო პროგრამება; ადგილობრივი თვითმმართველობის

	მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემით სწავლება გავლილი აქვს 1500 მოხელეს. საკონტეინერო ტერმინალის ოპერატორთან, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან და მშენებელ კომპანიებთან შესაბამისი გაფორმებული ხელშეკრულებება. სარეკრეაციო ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემის I დ ა II სტადიაზე განხილულ იქნა 1013 პროექტი (გარდა თბილისის მუნიციპალიტეტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა). შემუშავებულია ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციები. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაცია: დასრულდა პირველი და მეორე ეტაპის სამუშაოები - 4 მუნიციპალიტეტისათვის, 2 დასახლებისათვის და 28 სოფლისათვის; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** გაზრდილი კვალიფიციური კადრების რაოდენობა მუნიციპალიტეტებში; შემუშავებული და განხორციელებული ინფრასტრუქტურული განვითარების პროექტები; საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განვითარებული ინფრასტრუქტურა. მისადგომი კედლის მშენებლობის დასრულება, ტალღმტეხი კედლის მშენებლობა და სახმელეთო სამუშაოების დასრულება, მოწყობილობების დამონტაჟება. სარეკრეაციო ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემის I დ ა II სტადიაზე 150 პროექტის განხილვა. ქვეყნის სივრცითი მოწყობის გენერალური სქემის შემუშავება, 1 მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმების შემუშავება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10%; **შესაძლო რისკები -** სახელმწიფო პრიორიტეტების ცვლილება; კადრების გადინება

ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიება (24 11)

პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
აღწერა და მიზანი	ყაზბეგის მუნიციპალიტეტში და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურის ანაზღაურება შესაბამის პერიოდებში, პროგრამით განსაზღვრული ბენეფიციარებისათვის;
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტებში მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი -** პროგრამის ფარგლებში ზამთრის პერიოდში სუბსიდიის მიმღები მოსახლეობის რაოდენობა - 5700 აბონენტი; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** ყაზბეგის მუნიციპალიტეტში და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის სუბსიდირება (5700 აბონენტი) - 2020-2023წწ; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** აბონენტების რაოდენობის ცვლილება 5%; **შესაძლო რისკები -** -

საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება (24 08)

პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ-საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო
აღწერა და მიზანი	საქართველოში ინოვაციური ეკოსისტემის შექმნა, უცხოური გამოცდილების გაზიარება და საქართველოში დანერგვა; დაგეგმილი/განსახორციელებელი პროექტების შესრულებისათვის საჭირო კვალიფიციური კადრების მომზადება, დასაქმება, მათთვის პროდუქტიული სამუშაო გარემოს შექმნა და განსახორციელებელი პროექტების ადმინისტრაციული რესურსით უზრუნველოფა; ქვეყნის მასშტაბით ფართოზოლოვანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურის განვითარება.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მთელი ქვეყნის მასშტაბით გაჩნდენა ახალი ინოვაციური პროდუქტები და პროექტები; გაიზრდება ქართველი მცირე და საშუალო მეწარმეების კონკურენტუნარიანობა და ინტერნეტიზაციის პროცესი; ამაღლდება კომპიუტერული წიგნიერება და გაიზრედბა კვალიფიციური კადრების რიცხვი, რომლებსაც ექნებათ საერთაშორისო ბაზარზე დისტანციურად მუშაობის საშუალება.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი -** 2016-2019 წლებში ტექნოპარკებისა და ინოვაციების ცენტრების ბენეფიციართა რაოდენობამ შეადგინა 100 000 ერთეული; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2020-2023 წლებში ტექნოპარკებისა და ინოვაციების ცენტრების ბენეფიციართა რაოდენობის ზრდა 100 000 ერთეულით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10-20%; **შესაძლო რისკები -** სამიზნე ჯგუფის დაბალი აქტივობა **2.** **საბაზისო მაჩვენებელი -** 2015-2019 წლებში მცირე გრანტების პროგრამით ისარგებლა 331-მა ბენეფიციარმა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ფინანსებზე ხელმისაწვდომობის პროგრამით (5000 ლარამდე გრანტის ფარგლებში) 2020-2023 წლებში ისარგებლებს 400-მდე ბენეფიციარი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10-20%; **შესაძლო რისკები -** განაცხადის რაოდენობის სიმცირე, კონკურსის მოთხოვნებთან შეუსაბამობა **3.** **საბაზისო მაჩვენებელი -** შექმნილია და ფუნქციონირებს 5 ინოვაციების ცენტრი (ხარაგაული, ბაღდადი, ჭოპორტი, ახმეტა და რუხი) და 3 ტექნოპარკი (თბილისი, ზუგდიდი და თელავი); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2020 წელს დამატებით გაიხსნილი 2 ახალი ცენტრი (გურჯაანსა და კასპში) და 1 რეგიონული ტექნოპარკი (ბათუმში); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 30%-40%; **შესაძლო რისკები** - ცენტრების გასახსნელად მოძიებული ინფრასტრუქტურის არადამაკმაყოფილებელი

	მდგომარეობა

ტექნიკური და სამშენებლო სფეროს რეგულირება (24 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო
აღწერა და მიზანი	ბაზარზე განთავსებული პროდუქტის ზედამხედველობის უზრუნველყოფა საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის ტექნიკურ კანონმდებლობასთან (დირექტივები და რეგულაციები) დაახლოებით და ევროპულ ბაზარზე არსებული ზედამხედველობის სისტემის დანერგვით; მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების უსაფრთხოების დონის ამაღლების ხელშეწყობა შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტის დახვეწით; განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის სახელმწიფო ზედამხედველობის უზრუნველყოფა შესაბამისი მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების კონტროლით.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ბაზარზე ზედამხედველობის გაუმჯობესებული საკანონმდებლო ბაზა, რომელიც დაახლოებულია ევროპის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკასთან; მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტებზე ზედამხედველობის გაუმჯობესებული ნორმატიული ბაზა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი -** შემუშავებულია 6 ტექნიკური რეგლამენტი ევროკავშირის ახალი მიდგომის დირექტივების მიხედვით, შემდეგ სფეროებში: ლიფტები; საბაგირო მოწყობილობები; წყლის ახალი გამაცხელებლები (საქვაბე დანადგარები); მარტივი წნევის ქვეშ მყოფი ჭურჭლები; საქვაბე დანადგარები; სამსენებლო პროდუქტები; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** დამატებით 5 ტექნიკური რეგლამენტის შემუშავება ევროკავშირის ახალი მიდგომის დირექტივების მიხედვით, შემდეგ სფეროებში: სათამაშოები, მოწყობილობა/მექანიზმები, პერსონალური დაცვის აღჭურვილობები, აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობები, სამოქალაქო დანიშნულების ფეთქებადი მასალები - 2020წ.; დამატებით 1 ტექნიკური რეგლამენტის შემუშავება ევროკავშირის ახალი მიდგომის დირექტივების მიხედვით, შემდეგ სფეროებში: ძაბვის გარკვეული ზღვრებში გამოსაყენებელი მოწყობილობები; სამშენებლო პროდუქტები (გარდა: ცემენტი, არმატურა, ელ. კაბელი, პლასტმასის მილი) - 2022 წლის ბოლომდე; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5-10%; **შესაძლო რისკები -** პროფესიული კადრების ნაკლებობა; ტექნიკური ცოდნის მქონე პერსონალის სააგენტოდან გადინების მაღალი მაჩვენებელი 2. **საბაზისო მაჩვენებელი -** დარეგისტრირდა საქართველოს სტანდარტი „ჰაერის დაყოფის პროდუქტების წარმოებისა

	და მოხმარების შესახებ“; შემუშავებულია 1 ახალი ტექნიკური რეგლამენტის პროექტი ჰიდროენერგეტიკული ნაგებობების სფეროში; შემუშავებულია 5 ტექნიკური რეგლამენტის ცვლილებების პროექტები, რომლებიც არეგულირებენ შემდეგ სფეროებს: „ლიფტების უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ“; საამფეთქებლო სამუშაოები; ბუნებრივ გაზზე მომუშავე საავტომობილო გაზსავსები საკომპრესორო სადგურები; „კარიერების უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ“; „გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნების შესახებ“; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** ცვლილებების შეტანა 2 ტექნიკურ რეგლამენტში, რომლებიც არეგულირებენ შემდეგ სფეროებს: „ამწე მოწყობილობების მოწყობისა და უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ“; „წნევის ქვეშ მომუშავე ჭურჭლების უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ“ - 2020წ.; ცვლილებების შეტანა 3 ტექნიკურ რეგლამენტში, რომლებიც არეგულირებენ შემდეგ სფეროებს: ამიაკზე მომუშავე სამაცივრო დანადგარი; გათხევადებული ნახშირწყალბადიანი გაზების (პროპან-ბუტანი) გაზსავსები სადგურების, პუნქტების, ბალონების საშუალედო საწყობების, ავტომობილების გასამართი სადგურების, სარეზერვუარო, გაზბალონიანი დანადგარები; მადნეული და არამადნეული საბადოები - 2021წ; ცვლილებების შეტანა 3 ტექნიკურ რეგლამენტში, რომლებიც არეგულირებენ შემდეგ სფეროებს: მაგისტრალური ნავთობსადენი; „ატრაქციონის უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ“; „საქვაბე დანადგარების უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ“; „ესკალატორების მოწყობისა და უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ“ - 2022წ.; ცვლილებების შეტანა 2 ტექნიკურ რეგლამენტში, რომლებიც არეგულირებენ შემდეგ სფეროებს: „იმ მიწისქვეშა ობიექტების მშენებლობის (რეკონსტრუქციის) და ექსპლუატაციის შესახებ, რომლებიც არ არიან დაკავშირებული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან“; „ესკალატორების მოწყობისა და უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ“ - 2023წ; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5-10%; **შესაძლო რისკები -** პროფესიული კადრების ნაკლებობა; ტექნიკური ცოდნის მქონე პერსონალის სააგენტოდან გადინების მაღალი მაჩვენებელი

ბაზარზე ზედამხედველობის სფეროს რეგულირება და განხორციელების ღონისძიებები (24 19)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო
აღწერა და მიზანი	ბაზარზე განთავსებული ინდუსტრიული და სამომხმარებლო პროდუქტების ზედამხედველობის უზრუნველყოფა, საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის ტექნიკურ კანონმდებლობასთან (დირექტივები და რეგულაციები) დაახლოებისა და ევროპულ ბაზარზე არსებული ზედამხედველობის სისტემის დანერგვის გზით.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ბაზარზე ზედამხედველობის გაუმჯობესებული საკანონმდებლო ბაზა, რომელიც დაახლოებულია ევროპის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკასთან.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი -** შემუშავებულია 12 ტექნიკური რეგლამენტი ევროკავშირის ახალი მიდგომის დირექტივების მიხედვით შემდეგ სფეროებში: ლიფტები, საბაგირო მოწყობილობები, წყლის ახალი გამაცხელებლები (საქვაბე დანადგარები), მარტივი წნევის ქვეშ მყოფი ჭურჭლები, საქვაბე დანადგარები, სამშენებლო პროდუქტები (ცემენტი,

	არმატურა, ელ.კაბელი, პლასტმასის მილი), სათამაშოები; მანქანა-დანადგარები; პერსონალური დაცვის აღჭურვილობები, აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობები, სამოქალაქო დანიშნულების ფეთქებადი ნივთიერებები და სისტემები, პოტენციურად ფეთქებადსაშიშ გარემოში გამოსაყენებელი მოწყობილობების და დამცავი სისტემები. გარდა ამისა, შემუშავებულია შემდეგი ტექნიკური რეგლამენტები: ბავშვების მოხმარებისთვის რეზისტენტული სანთებელები, შეცდომაში შემყვანი პროდუქტები; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** შეტანილი იქნება ცვლილება სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკურ რეგლამენტში ევროკავშირის ახალი მიდგომის ევრორეგულაციის შესაბამისად, რომლითაც რეგლამენტი გავრცელდება დამატებით 10 სახეობის სამშენებლო პროდუქტზე - 2020-2021წ.; შემუშავდება 1 ტექნიკური რეგლამენტი ძაბვის გარკვეული ზღვრებში გამოსაყენებელი მოწყობილობებთან დაკავშირებით ევროკავშირის ახალი მიდგომის დირექტივის მიხედვით; შეტანილი იქნება ცვლილება სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკურ რეგლამენტში ევროკავშირის ახალი მიდგომის ევრორეგულაციის შესაბამისად, რომლითაც რეგლამენტი გავრცელდება ევრორეგულაციით გათვალისწინებულ დამატებით 11 სახეობის სამშენებლო პროდუქტზე - 2022წ; შეტანილი იქნება ცვლილება სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკურ რეგლამენტში ევროკავშირის ახალი მიდგომის ევრორეგულაციის შესაბამისად, რომლითაც რეგლამენტი გავრცელდება ევრორეგულაციით გათვალისწინებულ დამატებით 11 სახეობის სამშენებლო პროდუქტზე - 2023წ; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10%; **შესაძლო რისკები -** საკადრო რესურსების ნაკლებობა

ბაქო - თბილისი - ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობისათვის მარაბდა - ახალქალაქი - კარწახის მონაკვეთზე კერძო საკუთრებაში არსებული მიწების გამოსყიდვა-კომპენსაცია (24 17)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
აღწერა და მიზანი	ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობისათვის მარაბდა-ახალქალაქი-კარწახის მონაკვეთზე კერძო საკუთრებაში არსებული მიწების გამოსყიდვა-კომპენსაციის უზრუნველყოფა, რომელიც ხორციელდება ინდივიდუალურად კერძო მესაკუთრეებთან საკომპენსაციო თანხის შეთავაზების მომზადების და ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარების გზით; სარკინიგზო მაგისტრალის თოვლით დანამქვრისაგან დამცავი დამატებითი ნაგებობების მშენებლობა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	დასრულდება ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მარაბდა-კარწახის მიმართულებით თურქეთის საზღვრამდე სამშენებლო დერეფანში მოქცეული კერძო საკუთრებაში არსებული ნაგებობებისა და მწვანე ნარგავების ფართობების გამიჯვნა, შეფასება და სახელმწიფო საკუთრებაში მოქცევა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი -** ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობისათვის მარაბდა-ახალქალაქი-კარწახის მონაკვეთზე კერძო საკუთრებაში არსებული მიწებიდან გამოსყიდულია 27 ერთეული;

	მიზნობრივი მაჩვენებელი - პროექტის ფარგლებში გამოვლენილი კერძო საკუთრებებიდან სახელმწიფოს მიერ 145 ერთეული მიწის ნაკვეთის გამოსყიდვა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5-10%; **შესაძლო რისკები** - სირთულეები კერძო მესაკუთრეებთან მოლაპარაკების პროცესში

საზღვაო ტრანსპორტის რეგულირება, მართვა და განვითარება (24 22)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო
აღწერა და მიზანი	საქართველოს დროშით მცურავი საშუალებების და საქართველოს ნავსადგურების საზღვაო უსაფრთხოების და უშიშროების უზრუნველყოფა; სხვადასხვა საერთაშორისო გამოფენებსა/კონფერენციებში მონაწილეობის მიღება, საკუთარი ცნობადობის გაზრდისა და საერთაშორისო დონეზე საზღვაო სფეროში არსებული ინოვაციების გაცნობის მიზნით; საქართველოს, როგორც საზღვაო სახელმწიფოს, იმიჯის ამაღლების მიზნით საქართველოს საერთაშორისო საზღვაო ფორუმის (GIMF) ჩატარება, რომელიც წარმოაჩენს შავი ზღვის რეგიონში მიმდინარე მოვლენებსა და აგრეთვე, საქართველოს მიერ საზღვაო დარგში განხორციელებულ რეფორმებს; ევროპის საზღვაო უსაფრთხოების სააგენტოს (EMSA) აუდიტის წარმატებით გავლა და მეზღვაურთა კვალიფიკაციის/კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატების აღიარების შენარჩუნება; მეზღვაურთა მომზადებისა და სერტიფიცირების სისტემის გამართული ფუნქციონირება; გემების გრძელ მანძილზე იდენტიფიცირებისა და კვალის დადგენის სისტემის (LRIT) EMSA-ს სისტემაზე მიერთება; საქართველოს გემების სახელმწიფო ელექტრონული რეესტრის მოდიფიკაცია; საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება; 0%-იანი დაკავების კოეფიციენტის მიღწევა ქართული დროშის ქვეშ მცურავ გემებზე; საქართველოს განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში/ტერიტორიულ ზღვაში უსაფრთხო ნაოსნობის, ძებნა-გადარჩენის და გარემოს დაცვის უზრუნველყოფა საერთაშორისო მოთხოვნებისა და სტანდარტების შესაბამისად.
მოსალოდნელი	საზღვაო დროშის გაზრდილი ცნობადობა და საქართველოს დროშის ქვეშ რეგისტრირებული გემები (0%-იანი

საბოლოო შედეგი	დაკავებების კოეფიციენტი ქართული დროშის ქვეშ მცურავ გემებზე); დანერგილი საერთაშორისო სტანდარტი - ISO 9001:2015 და 27001:2011; საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებული საქართველოს საზღვაო კანონმდებლობა; საქართველოს განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში და ტერიტორიულ ზღვაში უსაფრთხო ნაოსნობის, ძებნა-გადარჩენის და გარემოს დაცვის უზრუნველყოფა საერთაშორისო მოთხოვნებისა და სტანდარტების შესაბამისად; საქართველოს დროშის ადმინისტრაციის გაზრდილი იმიჯი საერთაშორისო დონეზე. საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული გემები, PARIS MOU-სა და TOKYO MOU-ს შავი/ნაცრისფერი/თეთრი დროშის კატეგორიებში ქართული დროშის გაუმჯობესებული პოზიციები.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი -** დროშის ადმინისტრირება და სახელმწიფო კონტროლის ხარისხი - საქართველო არ ირიცხება PARIS MOU-სა და TOKYO MOU-ს დროშის კატეგორიაში; საქართველოს გემების რეესტრში დღეის მდგომარეობით ირიცხება საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული 32 მცურავი საშუალება; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** საქართველოს დროშის ადმინისტრაციის იმიჯის გაზრდა საერთაშორისო დონეზე. საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული გემების მოზიდვა, რაც ხელს შეუწყობს PARIS MOU-სა და TOKYO MOU-ს შავი/რუხი/თეთრი დროშის კატეგორიებში ქართული დროშის პოზიციების გაუმჯობესებას; მცურავი საშუალებების 10% იანი ზრდა - 2020წ.; საქართველოს დროშის ადმინისტრაციის იმიჯის გაზრდა საერთაშორისო დონეზე. საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული გემების მოზიდვა, რაც ხელს შეუწყობს PARIS MOU-სა და TOKYO MOU-ს შავი/რუხი/თეთრი დროშის კატეგორიებში ქართული დროშის პოზიციების გაუმჯობესებას;მცურავი საშუალებების 15% იანი ზრდა - 2021წ.; საქართველოს დროშის ადმინისტრაციის იმიჯის გაზრდა საერთაშორისო დონეზე. საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული გემების მოზიდვა, რაც ხელს შეუწყობს PARIS MOU-სა და TOKYO MOU-ს შავი/რუხი/თეთრი დროშის კატეგორიებში ქართული დროშის პოზიციების გაუმჯობესებას;მცურავი საშუალებების 20% იანი ზრდა - 2022წ.; საქართველოს დროშის ადმინისტრაციის იმიჯის გაზრდა საერთაშორისო დონეზე. საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული გემების მოზიდვა, რაც ხელს შეუწყობს PARIS MOU-სა და TOKYO MOU-ს შავი/რუხი/თეთრი დროშის კატეგორიებში ქართული დროშის პოზიციების გაუმჯობესებას;მცურავი საშუალებების 25% იანი ზრდა - 2023წ; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 50%-30%; **შესაძლო რისკები -** რეგიონში პოლიტიკური მდგომარეობა 2. **საბაზისო მაჩვენებელი -** მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაობა დანერგილი ხარისხის მართვის სისტემის შესაბამისობის დადგენისთვის ISO 9001:2015 სტანდარტის მოთხოვნებთან; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** ISO 9001:2015 ხარისხის მართვის სერტიფიკატის შენარჩუნება და ISO 27001 სტანდარტის დანერგვა -2020წ.; ISO 9001-2015 სტანდარტთან მიმართებაში სარესერტიფიკაციო აუდიტის გავლა და ახალი

	სერტიფიკატის მოპოვება - 2021წ **3.** **საბაზისო მაჩვენებელი -** სააგენტოს მიერ გამოცხადებულ საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებულ იქნა იტალიური კომპანია, რომლისგანაც მოხდა საზღვაო სამაშველო საკოორდინაციო ცენტრის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი აღჭურვილობების შეძენა; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** საქართველოს ტერიტორიულ წყლებში უზრუნველყოფილი უსაფრთხო ნაოსნობა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 20%; **შესაძლო რისკები -** რეგიონში პოლიტიკური მდგომარეობა **4.** **საბაზისო მაჩვენებელი -** საზღვაო ტრანსპორტის სფეროში ასოცირების შეთანხმების საფუძველზე განხორციელდა დირექტივა/რეგულაციების დანერგვა; „2003 წლის 14 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) №782/2003 რეგულაცია გემებზე ორგანოტინის ნაერთების აკრძალვის შესახებ“ – Regulation (EC) No 782/2003 of the European Parliament and of the Council of 14 April 2003 on the prohibition of organotin compounds on ships. - რეგულაცია ადგენს ზღვის გარემოს დამაზიანებელი გემის კორპუსის საღებავების და მავნე ნივთიერებების აკრძალვის საკითხს და ეფუძნება ამავე საკითხზე არსებულ საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის კონვენციას. 1992 წლის 31 მარტის საბჭოს 92/29/EEC დირექტივა გემების ბორტზე გაუმჯობესებული სამედიცინო მკურნალობის მიზნით უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების შესახებ“ - Directive 92/29/EEC of the Council of 31 March 1992 on the minimum health and safety requirements for improved medical treatment on board vessels -მეზღვაურთა სოციალური დაცვის კუთხით, დირექტივა ადგენს მეზღვაურთა გაუმჯობესებული სამედიცინო მომსახურების პირობებს გემის ბორტზე. „2004 წლის 31 მარტის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) №725/2004 რეგულაცია გემებისა და ნავსადგურების მოწყობილობების უსაფრთხოების გაძლიერების თაობაზე“ - Regulation (EC) No 725/2004 of the European Parliament and of the Council of 31 March 2004 on enhancing ship and port security -დირექტივა ეფუძნება საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის კონვენციას „ზღვაზე სიცოცხლის დაცვის შესახებ“ და ამავე კონვენციის კოდექსს „ნავსადგურისა და გემების უშიშროების დაცვის“ შესახებ. დირექტივა ადგენს ჰარმონიზებულ სტანდარტებს ნავსადგურების უშიშროების დაცვის გეგმის მიმართ. „2005 წლის 26 ოქტომბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2005/65/EC დირექტივა ნავსადგურების უსაფრთხოების გაძლიერების თაობაზე“ Directive 2005/65/EC of the European Parliament and of the Council of 26 October 2005 on enhancing port security -დირექტივა ეფუძნება საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის კონვენციას „ზღვაზე სიცოცხლის დაცვის შესახებ“ და ამავე კონვენციის კოდექსს „ნავსადგურისა და გემების უშიშროების დაცვის“ შესახებ. დირექტივა მიღებული იქნა 2 დადგენილება:,,საბუნკერო საწვავით დაბინძურების შედეგად გამოწვეული ზარალის გამო წარმოშობილი სამოქალაქო პასუხისმგებლობის შესახებ'' საერთაშორისო კონვენციასთან შეერთების თაობაზე“. „გემებზე მავნე დაბინძურების საწინააღმდეგო სისტემის კონტროლის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციასთან შეერთების და ძალაში შესვლის თაობაზე“. • განხორციელდა შემდეგი საერთაშორისო კონვენციების სარატიფიკაციო პროცედურების ინიცირება: „ათენის 2002 წლის კონვენცია ზღვით მგზავრების გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის შესახებ“; „1988 წლის პროტოკოლი, საერთაშორისო კონვენცია სატვირთო მარკის შესახებ 1966 წლის ცვლილებათა გათვალისწინებით“; • მომზადებულია საკანონმდებლო პროექტები: „გემებისა და ნავსადგურების უშიშროების წესების“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი. "მეზღვაურთა დასაქმების შესახებ" საქართველოს კანონის პროექტი. „საქართველოს

	საზღვაო კოდექსის“ ცვლილების პროექტი; „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების პროექტი; „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექში“ ცვლილების პროექტი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საზღვაო ტრანსპორტის სფეროში ევროკავშირის დირექტივების იმპლემენტაცია; საერთაშორისო საზღვაო კონვენციების რატიფიკაცია; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - რეგიონში პოლიტიკური მდგომარეობა **5.** **საბაზისო მაჩვენებელი** - მიმდინარეობს მუშაობა საზღვაო სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავებაზე, რომელიც აერთიანებს ისეთ მნიშვნელოვან საკითებს, როგორიცაა: საზღვაო ერთი-ფანჯრის პრინციპის დანერგვა საქართველოს ნავსადგურებში საზღვაო ფინანსირების მოდელის დანერგვა საქართველოს საფინანსო ინსტიტუტებში და საზღვაო დაზღვევა საქართველოს სანაოსნო ფლოტის შექმნა და დროშის განვითარება საზღვაო ინფრასტრუქტურის განვითარება ქართველ მეზღვაურთა დასაქმების ხელშეწყობა და საზღვაო განათლების დახვეწა (სასწავლებლების განვითარება) საშეღავათო საგადასახადო სისტემის შექმნა საზღვაო ინვესტივიების მოზიდვისთვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შემუშავებული და დამტკიცებული ქვეყნის საზღვაო სტრატეგიის დოკუმენტი - 2020წ.; ქვეყნის საზღვაო სტრატეგიის დოკუმენტის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება - 2021წ.-2023წ; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - რეგიონში პოლიტიკური მდგომარეობა

სამოქალაქო ავიაციის სფეროს რეგულირება და მართვა (24 21)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო
აღწერა და მიზანი	„საქართველოსა და ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ” (ECAA) შეთანხმების გათვალისწინებული რეგულაციებისა და დირექტივების ქართულ საავიაციო კანონმდებლობაში ასახვა; საქართველოს საავიაციო დარგისათვის პრიორიტეტული რეგულაციებისა და დირექტივების განსაზღვრა, მათი დანერგვის დროში გაწერა, სამართლებრივი ანალიზი და ამ მიზნით, შესაბამისი დასკვნებისა და წინადადებების შემუშავება; საქართველოს საავიაციო კანონმდებლობის ჩიკაგოს კონვენციის, მისი დანართებისა და შესწორებების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა;

	საერთო დანიშნულების ავიაციის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების შემუშავება და დანერგვა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ევროპულ მარეგულირებელ აქტებთან ჰარმონიზებული და სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანილი საავიაციო კანონმდებლობა; დანერგილი უსაფრთხოების ევროპული სტანდარტები, მგზავრთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა, პროცედურების გამარტივება, მიმზიდველი საინვესტიციო გარემო და საერთაშორისო საავიაციო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა; ICAO-ს კონვენციის, მისი დანართებისა და შესწორებების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანილი საქართველოს საავიაციო კანონმდებლობა; ამაღლებული ფრენის უსაფრთხოება და არსებული მარეგულირებელი სრულყოფილი სტრანდარტები, მათ შორის საერთო დანიშნულების ავიაციის მიმართულებით.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - იკაოს სტანდარტების ეფექტური დანერგვის მაჩვენებლია 87.64 %; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - იკაოს სტანდარტების ეფექტური დანერგვის არსებული მაჩვენებლის(87.64%) შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5-10%; **შესაძლო რისკები** - სტანდარტების დანერგვის ვადების დაუცველობა **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - იდენტიფიცერებულია 66 ევროპული რეგულაცია; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 3 ევრო რეგულაციის დანერგვა - 2020 წელი; 4 ევრო რეგულაციის დანერგვა - 2021 წელი; 5 ევრო რეგულაციის დანერგვა - 2022 წელი; 5 ევრო რეგულაციის დანერგვა - 2023 წელი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5-10%; **შესაძლო რისკები** - რეგულაციების დანერგვის პროცესში რეგულაციების ცვლილება **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ღონისძიებები არ არის განხორციელებული; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საერთო დანიშნულების ავიაციის კონკრეტული მიმართულებების (ზემსუბუქი საჰაერო ხომალდების, პირადი დანიშნულების ავიაციის, სპეციალიზირებული ექსპლუატაციის სამართლებრივი მოწესრიგება)- 2020-2021წწ; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5-10%; **შესაძლო რისკები** - საერთაშორისო სტანდარტების და მიდგომების ხშირი ცვლილება

სახმელეთო ტრანსპორტის რეგულირება, მართვა და განვითარება (24 23)

პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო
აღწერა და მიზანი	სახმელეთო ტრანსპორტის სფეროში საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის მომზადება; ელექტრონული აღრიცხვის ბაზის სისტემის სრულყოფა; სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს სპეციალისტთა და მეწარმეთა (მენეჯერები/მძღოლები) გადამზადება; თანამედროვე სიმულატორების დანერგვა; საერთაშორისო აქტივობების გაძლიერება; დარგის მონიტორინგის ეფექტური მექანიზმების შემუშავება; ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტის განვითარების ხელშეწყობა; მენეჯერების მოსამზადებლად თანამედროვე ტრენინგ-ცენტრის მშენებლობა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	გაზრდილი სატვირთო გადაზიდვების მოცულობა/სამგზავრო გადაყვანების არეალი და უსაფრთხოების დონე; ქვეყნის განახლებული ავტოპარკი; განვითარებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა; გაზრდილი კვალიფიციური მძღოლების/ტრანსპორტის მენეჯერების რაოდენობა და კონკურენტუნარიანი სატრანსპორტო კომპანიების რიცხვი. თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ტრენინგ-ცენტრის არსებობა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი -** სატვირთო და სამგზავრო გადაყვანებთან დაკავშირებით გაცემულია 85300 ნებართვა; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** გაიცემა 85 800-მდე ნებართვა - 2020 წელი; გაიცემა 86 000-მდე ნებართვა - 2021 წელი; გაიცემა 90 000-მდე ნებართვა - 2022 წელი; გაიცემა 91 000-მდე ნებართვა - 2023 წელი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10%; **შესაძლო რისკები -** სამიზნე ჯგუფების დაბალი აქტივობა 2. **საბაზისო მაჩვენებელი -** ავტოტრანსპორტის და საგზაო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებით გაუმჯობესებულია 40%-ით; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** ავტოპარკისა და საგზაო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის მიახლოება საერთაშორისო

	სტანდარტებთან 45% -ით - 2020 წელი; ავტოპარკისა და საგზაო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის მიახლოება საერთაშორისო სტანდარტებთან 55% -ით - 2021 წელი; ავტოპარკისა და საგზაო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის მიახლოება საერთაშორისო სტანდარტებთან 65% -ით - 2022 წელი; ავტოპარკისა და საგზაო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის მიახლოება საერთაშორისო სტანდარტებთან 70% -ით - 2023 წელი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 20%; **შესაძლო რისკები -** ინვესტორების დაბალი აქტივობა **3.** **საბაზისო მაჩვენებელი -** საავტომობილო და სპეციალური ტრანსპორტის გადაზიდვებისა და მგზავრთა გადაყვანების უსაფრთხოების მაჩვენებელი შეადგენს 20%; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** საავტომობილო და სპეციალური ტრანსპორტის გადაზიდვებისა და მგზავრთა გადაყვანების უსაფრთხოების მაჩვენებელის გაზრდა 30%-მდე - 2020 წელი; საავტომობილო და სპეციალური ტრანსპორტის გადაზიდვებისა და მგზავრთა გადაყვანების უსაფრთხოების მაჩვენებელის გაზრდა 35%-მდე - 2021 წელი; საავტომობილო და სპეციალური ტრანსპორტის გადაზიდვებისა და მგზავრთა გადაყვანების უსაფრთხოების მაჩვენებელის გაზრდა 40%-მდე - 2022 წელი; , საავტომობილო და სპეციალური ტრანსპორტის გადაზიდვებისა და მგზავრთა გადაყვანების უსაფრთხოების მაჩვენებელის გაზრდა 45%-მდე - 2023 წელი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** -; **შესაძლო რისკები -** -

შავ ზღვაში საქართველოს შიდა საზღვაო წყლებსა და ტერიტორიულ ზღვაზე (წყლებზე) უსაფრთხო ნაოსნობის უზრუნველყოფა (24 24)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური
აღწერა და მიზანი	შავ ზღვაში საქართველოს შიდა საზღვაო წყლებსა და ტერიტორიულ ზღვაზე (წყლებზე) თანამედროვე სანავიგაციო საშუალებების და მოწყობილობების მუდმივი ჩანაცვლებისა და განახლების უზრუნველყოფა. სპეციალიზებული ჰიდროგრაფიული გემი-სახელოსნოს შესყიდვა; უსაფრთხო ნაოსნობის უზრუნველსაყოფად პორტების აღჭურვა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მეტეოროლოგიური მოწყობილობებით; უსაფრთხო ნაოსნობის მხარდასაჭერად სანავიგაციო ქაღალდის და ელექტრონული რუქების ახალი სახეობისა და მასშტაბის განვითარება; სანავიგაცო გაფრთხილებების ინფორმაციის გადამცემი სისტემის (NAVTEX) მონიტორინგი და მისი პროგრამული განახლებების უზრუნველყოფა;

	ანაკლიის პორტში უსაფრთხო ნავიგაციის უზრუნველყოფა, ზღვაზე მეტეოროლოგიური მონაცემების მიწოდება და პორტის საზღვაო სანავიგაციო ნიშნებით მარკირება.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შავ ზღვაში საქართველოს შიდა საზღვაო წყლებსა და ტერიტორიულ ზღვაზე (წყლებზე) განთავსებული თანამდეროვე მოთხოვნების შესაბამისი სანავიგაციო მოწყობილობათა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს ნაოსნობის უსაფრთხოების დონის ამაღლებას (სხვადასხვა ტონაჟის გემების საქართველოს პორტებში უსაფრთხო შემოსვლა-გასვლა); თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მეტეოროლოგიური მოწყობილობებით აღჭურვის შემდეგ გაუმჯობესდება პროგნოზირების გამართლებადობის პროცენტი; საერთაშორისო ჰიდროგრაფიული ორგანიზაციის რეკომენდაციებისა და რეზოლუციის შესაბამისად შექმნილი ნაოსნობის უსაფრთხოების საჭიროების დამაკმაყოფილებელი საზღვაო ქაღალდისა და ელექტრონული ახალი რუქები. გამოცემული საზღვაო პუბლიკაციები, რეკომენდირებული გზების, შუქურების ჩამონათვალის, ზღვის მოქცევის სიების შესახებ. საერთაშორისო რუქების კატალოგში (MEDINTECHART) GE ლოგოთი გამოქვეყნებული და მომხმარებლამდე მიწოდებული საქართველოს საზღვაო რუქები; შავ ზღვაში საქართველოს შიდა საზღვაო წყლების და ტერიტორიული ზღვის (წყლების) თანამედროვე სანავიგაციო საშუალებებით უზრუნველყოფა, გაზრდილი წარმადობა, უსაფრთხო ნავიგაცია, საშიშროებების ოპერატიული იდენტიფიცირება და ლოკალიზაცია. სანავიგაციო გაფრთხილებების ინფორმაციის გადამცემი სისტემის NAVTEX-ის სისტემური გადამოწმების შედეგად უზრუნველყოფილი იქნება მისი გამართული მუშაობა, უსაფრთხო ნაოსნობის უზრუნველსაყოფად; გემების კაპიტნებისათვის გამარტივებული მანევრირება პორტის აკვატორიასა და მიმდებარე წყლებში. ანაკლიის პორტში გემების უსაფრთხო მანევრირება (შესვლა, დგომა, გამოსვლა).
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - საზღვაო პასუხისმგებლობის ზონაში, ნავსადგურებსა და მისასვლელ არხებში განთავსებულია სახმელეთო და მცურავი სანავიგაციო ნიშნები, რომლებსაც ნაოსნობის უსაფრთხოების დონის ზრდადი მოთხოვნების და ამ მიმართულებით მსოფლიოში დანერგილ სტადარტების შესაბამისად მუდმივად ესაჭიროება მოდერნიზაცია და ახლის დანერგვა. არსებული ჰიდროგრაფიული კატარღა არის არასპეციალიზებული, 50 წლის გამოშვება და გაუმართავ მდგომარეობაში; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სანავიგაციო საშუალებების (მათი მაკომპლექტებელინაწილების და მოწყობილობების) შეძენა/ჩანაცვლება ახალი თანამედროვე მოწყობილობა–დანადგარებით; უსაფრთხო ნავიგაციისათვის სანავიგაციო ნიშნების განთავსება ოპტიმალურ კოორდინატებში. ახალი გემი სახელოსნოს შეძენის შემდეგ მოხდება მომსახურების ხარისხისა და ოპერატიულობის გაუმჯობესება - 2020-2023წწ; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** -; **შესაძლო რისკები -** -

	2. **საბაზისო მაჩვენებელი** - ზღვაზე რთული მეტეო პირობების დროს საზღვაო მეტეო-სადგურების შეფერხებით მუშაობისას მეტეო მონაცემების მისაღებად სამსახურს არ გააჩნია თანამედროვე ტექნოლოგებით აღჭურვილი ალტერნატიული სახმელეთო მეტეოროლოგიური სადგური; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - უსაფრთხო ნაოსნობის უზრუნველსაყოფად პორტების აღჭურვა ალტერნატიული მეტეოროლოგიური სადგურებით. მეტეო პირობების შესახებ ინფორმაციის ოპერატიული მიწოდება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** -; **შესაძლო რისკები -** - **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ზღვის ბათიმეტრიული კვლევების შედეგად შექმნილია ქაღალდისა და სანავიგაციო ელექტრონული რუკები, რომლებიც გემების კაპიტნებისათვის უზრუნველყოფენ უსაფრთხო საზღვაო მარშრუტების მიწოდებას; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - რუკების პორტფოლიოში ახალი რუკების დამატება, სანავიგაციო, ელექტრონული და ქაღალდის რუკების წარმოება მაღალ პროფესიულ დონეზე; ბათიმეტრიული კვლევების ჩატარება და მონაცემების განახლება, ჰიდროგრაფიული კვლევის ერთსხივიანი ექოლოტის განახლება - 2020წ.; რუკების პორტფოლიოში ახალი რუკების დამატება, სანავიგაციო, ელექტრონული და ქაღალდის რუკების წარმოება მაღალ პროფესიულ დონეზე; ბათიმეტრიული კვლევების ჩატარება და მონაცემების განახლება - 2021წ.; რუკების პორტფოლიოში ახალი რუკების დამატება, სანავიგაციო, ელექტრონული და ქაღალდის რუკების წარმოება მაღალ პროფესიულ დონეზე; ბათიმეტრიული კვლევების ჩატარება და მონაცემების განახლება; საზღვაო მაგნიტომეტრის შეძენა - 2022წ.; რუკების პორტფოლიოში ახალი რუკების დამატება, სანავიგაციო, ელექტრონული და ქაღალდის რუკების წარმოება მაღალ პროფესიულ დონეზე; ბათიმეტრიული კვლევების ჩატარება და მონაცემების განახლება. ჰიდროგრაფიული კვლევის, გრუნტისა და ფსკერქვეშა პროფილების შემსწავლელი აპარატის შეძენა , დამონტაჟება - 2023წ; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** -; **შესაძლო რისკები -** - **4.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ანაკლიაში მეტეოროლოგიური მონაცემების (ტალღის სიმაღლე, წყალქვეშა დინებები და მიმართულებები) ონლაინ–რეჟიმში მიღებისათვის საჭირო აქტივობები არ არის განხორციელებული; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის დასრულების შემდეგ, გემების პორტში უსაფრთხო შესვლა გამოსვლის უზრუნველსაყოფად პორტის აკვატორიის და მისასვლელი არხის მარკირება საზღვაო სანავიგაციო ნიშნებით. მეტეოროლოგიური მონაცემების ონლაინ–რეჟიმში მიღება - 2021წ.; ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის დასრულების შემდეგ, გემების პორტში უსაფრთხო შესვლა გამოსვლის უზრუნველსაყოფად პორტის აკვატორიის და მისასვლელი არხის მარკირება საზღვაო სანავიგაციო ნიშნებით -2022წ.; ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის დასრულების შემდეგ, გემების პორტში უსაფრთხო შესვლა გამოსვლის უზრუნველსაყოფად პორტის აკვატორიის და მისასვლელი არხის მარკირება საზღვაო სანავიგაციო ნიშნებით - 2023წ; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** -; **შესაძლო რისკები -** -

კოდი	დასახელება	2020 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი
32 02	სკოლამდელი და ზოგადი განათლება	925,905.0	925,300.0	605.0	1,278,329.0	1,783,429.0	2,286,674.0
32 04	უმაღლესი განათლება	488,708.0	142,015.0	346,693.0	536,862.0	551,588.0	566,988.0
32 07	ინფრასტრუქტურის განვითარება	127,300.0	127,300.0	-	322,550.0	617,550.0	627,550.0
32 05	მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა	69,722.0	65,540.0	4,182.0	74,776.0	75,876.0	72,646.0
32 03	პროფესიული განათლება	74,591.0	52,850.0	21,741.0	77,685.0	82,965.0	84,985.0
32 01	განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა	40,722.0	35,415.0	5,307.0	41,307.0	41,307.0	41,307.0
32 06	ინკლუზიური განათლება	20,525.0	20,525.0	-	22,000.0	23,000.0	24,000.0
01 02	საბიბლიოთეკო საქმიანობა	9,590.0	9,590.0	-	9,590.0	9,590.0	9,590.0
30 04	სამართალდამცავი სტრუქტურებისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, გადამზადება, საარქივო ფონდების დიგიტალიზაცია, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და მოქალაქეთა მომსახურება	7,220.0	6,874.0	346.0	7,024.0	7,024.0	6,874.0
32 08	სახელოვნებო და სასპორტო დაწესებულებების ხელშეწყობა	7,522.0	6,780.0	742.0	7,733.0	7,784.0	7,733.0
48 00	სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია	4,476.0	4,050.0	426.0	4,580.0	4,580.0	4,580.0
26 04	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანამშრომელთა და სხვა დაინტერესებული პირების გადამზადება	5,075.0	2,795.0	2,280.0	4,860.0	5,260.0	4,860.0
09 02	მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება	1,909.0	1,870.0	39.0	1,910.0	1,910.0	1,910.0
23 05	საფინანსო სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება	1,485.0	935.0	550.0	1,535.0	1,585.0	1,635.0
28 02	მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო ურთიერთობების დარგში	870.0	850.0	20.0	900.0	900.0	900.0
01 03	ჰერალდიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება	450.0	450.0	-	477.0	492.0	545.0
24 16	საზღვაო პროფესიული განათლების ხელშეწყობა	7,650.0	400.0	7,250.0	7,900.0	8,200.0	8,200.0

კოდი	დასახელება	2020 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი
61 01	სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - "საქპატენტი"	11,446.8	-	11,446.8	11,446.8	11,446.8	11,446.8
61 02	ა(ა)იპ - ორიჯინ-საქართველო	300.0	-	300.0	300.0	300.0	300.0
	სულ	**1,805,466.8**	**1,403,539.0**	**401,927.8**	**2,411,764.8**	**3,234,786.8**	**3,762,723.8**

სკოლამდელი და ზოგადი განათლება (32 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური; სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის აპარატი; სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის აპარატი; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს აპარატი; სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
აღწერა და მიზანი	სკოლამდელი განათლების საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა და მეთოდოლოგიური მხარდაჭერა; აღზრდისა და განათლების ინტეგრაცია სასკოლო მზაობისთვის; ზოგადი განათლების მიმართულებით უნარებისა და ღირებულებების განვითარებაზე, კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებაზე, სწრაფად ცვალებად გარემოში ადაპტირებასა და წიგნიერებაზე ორიენტირებული „ახალი სკოლის“ მოდელის, ახალი სასწავლო პროგრამებისა და რესურსების დანერგვა; სკოლებში თანამედროვე მოთხოვნების და შესაძლებლობების საგანმანათლებლო გარემოს ჩამოყალიბება; სწავლა-სწავლების პროცესისა და სკოლების მართვის გაუმჯობესების მიზნით, სკოლის დირექტორების, როგორც საგანმანათლებლო ლიდერების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა; მაღალი საზროვნო უნარების განვითარებაზე ორიენტირებული სასკოლო სასწავლო გეგმა; უსაფრთხო, ძალადობისგან თავისუფალი და მოსწავლის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული სასკოლო გარემო; ზოგადი განათლების ხარისხის განვითარება და საყოველთაო ხელმისაწვდომობა; საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ჩართვა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების აუცილებელი ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა; მასწავლებლების პროფესიის პრესტიჟისა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე, მათ ღირსეულ ანაზღაურებაზე ზრუნვა; მასწავლებლების უწყვეტი პროფესიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება, სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და ტექნოლოგიების გამოყენება; განათლების ხარისხის ამაღლების მიზნით, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი, მაღალ სტანდარტებზე ორიენტირებული ეროვნული სასწავლო გეგმების, პროგრამების, შესაბამისი სახელმძღვანელოებისა და სხვა საგანმანათლებლო რესურსების შექმნა და დანერგვა;

	სკოლებში იმ მოსწავლეების ტრანსპორტირების პროცესის ხელშეწყობა, რომლებიც ცხოვრობენ ისეთ დასახლებულ პუნქტებში (სოფელი, დაბა) სადაც არ ფუნქციონირებს სკოლა და მანძილი სოფლებს შორის შესამჩნევია, ასევე აქვთ შეზღუდული შესაძლებლობები; სკოლებში უსაფრთხო, ინკლუზიური და მულტიკულტურული გარემოს უზრუნველყოფა, ბულინგისა და ძალადობის პრევენციასზე ორიენტირებული სერვისებისა და პროგრამების მხარდაჭერა; მოსწავლეთა ფიზიკური და ფსიქო-ემოციური უსაფრთხოების დაცვის მიზნით მანდატურისა და ფსიქოლოგიური მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება; სასკოლო ინიციატივების წახალისება, მრავალფეროვანი ციფრული რესურსებისა და დამხმარე სასწავლო მასალების შექმნა-დანერგვა; მოსწავლეებში სივრცითი, ლოგიკური და შემოქმედებითი უნარების განვითარების მიზნით, საერთაშორისოდ აღიარებული ელექტრონული სისტემების და ლაბორატორიების დანერგვა;
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	გაზრდილი სკოლების საინფორმაციო-ტექნოლოგიური შესაძლებლობები და უზრუნველყოფილია მოსწავლეებისათვის მიმზიდველი, საინტერესო სასწავლო გარემო; მნიშვნელოვნად ამაღლებული განათლების ხარისხი; მასწავლებლთა კარიერული ზრდა, მათი უწყვეტი პროფესიული განვითარების გზით; სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის სრულყოფა, სკოლამდელი განათლების ამაღლების მიზნით
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - მოსწავლეთათვის შესაბამის საფეხურზე ზოგადი განათლების მიწოდების მიზნით, ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფილია საჭირო ფინანსური რესურსებით, სასკოლო სახელმძღვანელოებით, სამუშაო რვეულებით; რიგი რაიონის სკოლის მოსწავლეები უფასო ტრანსპორტირებით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება 2. **საბაზისო მაჩვენებელი** - მიმდინარე მდგომარეობით სკოლაში დასაქმებულია 70.01% პრაქტიკოსი მასწავლებელი (40 663), 29.62 % - უფროსი მასწავლებელი (17 201), 0.35 % - წამყვანი მასწავლებელი (201), 0.01% - მენტორი მასწავლებელი (8). ეტაპობრივად მიმდინარეობს სამიზნე ჯგუფების ტრენინგები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მასწავლებლობის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა წარმატებით ხორციელდება საქართველოს ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში. 2020-2023 წლებში შეცვლილია მასწავლებლების გადანაწილება სტატუსების მიხედვით, შესაბამისად ხორცილედება

	მასწავლებლების ხელფასის ეტაპობრივი ზრდა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 3-5%; **შესაძლო რისკები** - სამიზნე სკოლების ადგილობრივი მასწავლებლების დაბალი მოტივაცია **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - საჯარო სკოლის მოსწავლეები ჩართული არიან სასკოლო ღონისძიებებსა და აქტივობებში, 217 000 მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა ეროვნულ ინტელექტ ჩემპიონატში და 98 000-მდე მოსწავლე მონაწილეობდა სასკოლო ოლიმპიადებში; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 25%; **შესაძლო რისკები** - სამიზნე ჯგუფების დაბალი აქტივობა **4.** **საბაზისო მაჩვენებელი** - საგნმანათლებლო დაწესებულების 1 370 მანდატური უზრუნველყოფდა წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას 487 საჯარო, და 3 კერძო სკოლაში, 2 პროფესიულ სასწავლებელსა და ერთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში; ფსიქო-სოციალური პრობლემების მქონე მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან ფსიქოლოგიური მომსახურებით, 429 საჯარო სკოლაში განთავსებულია ვიდეოსათვალთვალო კამერები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2020-2023 წლებში 400 ერთეულით გაზრდილი საჯარო სკოლების რაოდენობა, სადაც მანდატური უზრუნველყოფს წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას. გაგრძელდება ფსიქო-სოციალური პრობლემების მქონე მოსწავლეების ფსიქოლოგიური მომსახურებით უზრუნველყოფა; საჯარო სკოლების სრული დაფარვა, სადაც განთავსებული იქნება ვიდეო სათვალთვალო კამერა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 15%; **შესაძლო რისკები** - კადრების გადინების მაღალი მაჩვენებელი; კვალიფიციული კადრების არარსებობა; არასრულწლოვანი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უარი ბავშვისთვის ფსიქოლოგიური მომსახურების გაწევაზე, საქართველოს ყველა რაიონში ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრის არარსებობა, რაიონებში კვალიფიციური კადრების არარსებობა

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსება (32 02 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
აღწერა და მიზანი	ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსებით უზრუნველყოფა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერით, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მოსწავლეთა რაოდენობის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა რაოდენობის, მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის, სქემით განსაზღვრული შესაბამისი სტატუსის მქონე მასწავლებლების დანამატის, ადმინისტრაციული, სკოლის მოვლა-შენახვისა და სკოლის განვითარებისათვის საჭირო და სხვა ხარჯების გათვალისწინებით, რაც სკოლებს შესაძლებლობას აძლევს, სრულად შეასრულონ თავიანთი ფუნქცია-მოვალეობები.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უზრუნველყოფა აუცილებელი ფინანსური რესურსით; მოსწავლეთათვის ზოგადი განათლების მიღების უზრუნველყოფა დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურზე.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - საჯარო სკოლების 100% უზრუნველყოფილია ვაუჩერული დაფინანსებით ეროვნული სასწავლო გეგმის სრული განხორციელებისათვის; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა (32 02 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი
აღწერა და მიზანი	განათლების სისტემაში დასაქმებულ პირთა, მათ შორის ზოგადი განათლების დაწესებულებაში დაკავებული პირების (დირექტორებისა და მასწავლებლების), ასევე პროფესიული სასწავლებლების მასწავლებლების პროფესიული განვითარება და კვალიფიკაციის ხარისხის ამაღლება; ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნების სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომების დანერგვის, ხელმისაწვდომობისა და გავრცელების ხელშეწყობა; სამიზნე ჯგუფების პროფესიული ცოდნისა და საქმიანობის განმსაზღვრელი პროფესიული სტანდარტების შემუშვება, საერთაშორისო სტანდარტებისადმი და მოთხოვნებისადმი გათანაბრება და დანერგვა, მასწავლებლის პროფესიის სტატუსის ამაღლება, მიმდინარე სიახლეების გავრცელება; მასწავლებლის პროფესიის რეგულირების ხელშეწყობა შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციების შემუშავებითა და ინტერვენციების განხორციელებით; ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და სწავლა-სწავლების პროცესის ხელშეწყობა სახელმწიფო ენის გაძლიერების გზით.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	განახლებულია პროფესიული სტანდარტები; განხორციელდა მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებები, შემუშავებულია შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციები; ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების არაქართულენოვანი სკოლების

	ადგილობრივი მასწავლებლებმა გაიუმჯობესეს ქართული ენის ფლობის დონე, მეორე ენის მასწავლებლებმა კი - საგნის სწავლების მეთოდური უნარები. ამასთანავე, ნაწილობრივ შივსება არაქართულენოვანი სკოლების საკადრო დეფიციტი;
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტში ასახულია მასწავლებელთა ზოგადი/გამჭოლი კომპეტენციები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სტანდარტებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით საჭიროებებზე მორგებული და შემუშავებულია თითოეულ საგანში არანაკლებ ერთი მოდულისა და პროფესიული განვითარების სხვა რესურსების გადამუშავება/შექმნა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 3-5 % **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - „მასწავლებლობის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის“ სქემა ხორციელდება საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ქვეპროგრამის სამოქმედო გეგმის შესაბამისად მიმდინარეობს სამიზნე ჯგუფებისათვის ღონისძიების წარმატებით განხორციელების მიზნით ხელშემწყობი აქტივობები; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 3-5% **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ადგილობრივი მასწავლებლების პროფესიული განვითარება უზრუნველყოფილია სკოლებში კონსულტანტ-მასწავლებლების და დამხმარე მასწავლებლების მივლენით, სახელმწიფო ენის შემსწავლელი კურსების და ქართულის, როგორც მეორე ენის მეთოდური ტრენინგების ჩატარებით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - არაქართულენოვან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების 90%-ში წარმოდგენილია ქართულის, როგორც მეორე ენის კონსულტანტ-მასწავლებელი და დამხმარე მასწავლებელი. ყოველწლიურად ამავე სკოლების ადგილობრივი მასწავლებლების 20% იუმჯობესებს კომპეტენციებს სახელმწიფო ენის და პროფესიული უნარების მიმართულებით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 3-5% **4.** **საბაზისო მაჩვენებელი** - პროფესიული განათლების სახელმწიფო კოლეჯების მასწავლებელთა მინიმუმ 50% ს გავლილი აქვს პედაგოგიური კურსი; მათ შორის, სოფლის განვითარების 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის (RDAP 2018-2020) აქტივობის 2.1.2 საჯარო პროფესიული სასწავლებლების მასწავლებლების მინიმუმ 10%-ი და დირექტორეების 30%-ი; ლიდერობის აკადემია 2-ის ტრენინგმოდულები 1-6 გავლილი აქვს საჯარო სკოლების არაქართულენოვან დირექტორთა და ფასილიტატორთა 80%-ს საერთო რაოდენობიდან (426). ლიდერობის აკადემია 2-ის მე-6 ტრენინგმოდული გავლილი აქვს საჯარო სკოლების ქართულენოვან დირექტორთა და ფასილიტატორთა 80%-ს საერთო რაოდენობიდან (3744). ლიდერობის აკადემია 3-ის ტრენინგმოდულები 1-2 გავლილი აქვს საჯარო სკოლების დირექტორთა და ფასილიტატორთა (3744) 80%-ს. მასწავლებელთა მეორე ნაკადში რეგისტრირებული (9 546) მასწავლებლიდან (მ.შ. არაქართულენოვანი. სკოლებიდან) 80%-ს გავლილი აქვს ზოგადპროფესიული კურსის

	მეორე და მესამე ტრენინგმოდულები, ასევე საგნობრივი ტრენინგმოდული; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 1.1 პროფესიული განათლების სახელმწიფო კოლეჯების მასწავლებელთა მინიმუმ 70 % ს გავლილი აქვს პედაგოგიური კურსი; 1.2 შემუშავებულია ტრენინგ-მოდული მეწარმეობაში, განხორციელებულია პილოტაჟი. მათ შორის, სოფლის განვითარების 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის (RDAP 2018-2020) აქტივობის 2.1.2 ფარგლებში მეწარმეობის უნარების განვითარება"-ში დატრეინინგდება პროფესიული სასწავლებლების მასწავლებლების 30% და დირექტორების 50%. ლიდერობის აკადემია 3-ის ტრენინგმოდულები 1 და 2 გავლილი აქვს საჯარო სკოლების არაქართულენოვან დირექტორთა და ფასილიტატორთა 80%-ს (426-დან); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - მასწავლებელთა და დირექტორთა პროფესიული განვითარების აქტივობებში მონაწილეობის დაბალი მოტივაცია და აქტივობა; კლიმატური და სხვა ხელისშემშლელი ფაქტორები; სახელმწიფო შესყიდვის ჩავარდნა და ახალი ტენდერის გამოცხადებით გამოწვეული ვადების გადაწევა

უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფა (32 02 03)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური
აღწერა და მიზანი	საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა უსაფრთხო გარემოს შექმნა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; ქცევითი და ემოციური პრობლემების მქონე სკოლის მოსწავლეებისათვის ფსიქო-სოციალური მომსახურებით უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში შემცირებულია დარღვევების რაოდენობა; გაზრდილია მანდატურთა ჩართულობა რისკის ქვეშ მყოფი შემთხვევების მართვაში, უზრუნველყოფილია რისკის ქვეშ მყოფ შემთხვევათა სწრაფი იდენტიფიკაცია და ადეკვატური რეაგირება; ზოგადი განათლების ხელშეწყობის მიზნით უზრუნველყოფილია მოსწავლეთათვის უსაფრთხო და ჯანსაღი ფსიქო-სოციალური გარემო და ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევაში გადამისამართების პროცედურები; საზოგადოებაში გაზრდილია მანდატურის სამსახურის მიმართ ნდობა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - 588 საჯარო სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს 1570 საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 718 საჯარო სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს 1840 საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური;

	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 1.5-3%; **შესაძლო რისკები -** კადრების გადინების მაღალი მაჩვენებელი **2.** **საბაზისო მაჩვენებელი -** ფუნქციონირებს 10 ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის მოსწავლეთათვის ფსიქო-სოციალური მომსახურების გაწევას (2019 წლის ბოლომდე იგეგმება 2 ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრის გახსნა სამეგრელო-ზემო სვანეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში) მ.შ. სოფლის განვითარების 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის (RDAP 2018-2020) აქტივობა 2.2.5 ფარგლებში ფუნქციონირებს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრები შემდეგ რეგიონებში: ქვემო ქართლი, კახეთი, იმერეთი, აჭარა, შიდა ქართლი და სამეგრელო; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** ფსიქო-სოციალური პრობლემების მქონე მოსწავლეთა გამოვლენა, მათი უზრუნველყოფა ფსიქო-სოციალური მომსახურებით და რეაბილიტაცია, საჯარო სკოლებში ფსიქო-სოციალური გარემოს გაუმჯობესება, რეაბილიტირებულ ფსიქო-სოციალური პრობლემების მქონე ბენეფიციართა ზრდა. მ.შ. სოფლის განვითარების 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის (RDAP 2018-2020) აქტივობა 2.2.5 ფარგლებში ფუნქციონირებს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრები შემდეგ რეგიონებში: ქვემო ქართლი, კახეთი, იმერეთი, აჭარა, შიდა ქართლი და სამეგრელო; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 1.5-3%; **შესაძლო რისკები -** ტექნიკურ უზრუნველყოფაში შეფერხება

წარმატებულ მოსწავლეთა წახალისება (32 02 04)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს აპარატი; სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი; სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
აღწერა და მიზანი	მოსწავლეთა ინტელექტუალური განვითარების, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების სწავლებისა და თანაბრად კონკურენტულ გარემოში ახალგაზრდების შესაძლებლობების რეალიზების ხელშეწყობის, აგრეთვე საერთაშორისო დონეზე მათი წარმოჩენის მიზნით, სხვადასხვა ეროვნული და საერთაშორისო ოლიმპიადების ორგანიზება; მოსწავლეების აკადემიური მოსწრების წახალისება.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	X-XII კლასის მოსწავლეები მოტივირებულია მონაწილეობა მიიღოს ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებში და გაიღრმავოს ცოდნა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ კონკრეტულ საგნებში; სასწავლო ოლიმპიადების შედეგად, საგნების მიხედვით, გამოვლენილია მოსწავლეთა საუკეთესო ათეულები; გამოვლენილია საერთაშორისო ოლიმპიადებში მონაწილე ნაკრები გუნდების კანდიდატები; გაზრდილია ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებით მოსწავლეების დაინტერესება;

	საქართველო 100-ზე მეტ ქვეყანასთან ერთად ჩართულია ერთობლივ საგანმანათლებლო ღონისძიებაში; ქართველი მოსწავლეებს და მათ ხელმძღვანელებს შესაძლებლობა აქვთ დაამყარონ კონტაქტები უცხოელ თანატოლებთან და კოლეგებთან; წარჩინებული მოსწავლეები დაჯილდოებულნი არიან ოქროსა და ვერცხლის მედლებით.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - პროგრამის ფარგლებში ჩართულ მოსწავლეთა 100% უზრუნველყოფილია შესაბამისი სერვისით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

განსაკუთრებით ნიჭიერ მოსწავლეთა საგანმანათლებლო და საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა (32 02 05)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს აპარატი; სსიპ – ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის N199 საჯარო სკოლა
აღწერა და მიზანი	განსაკუთრებული ფიზიკა-მათემატიკური ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების მიერ საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურად რეალიზებაში დახმარების მიზნით, ხარისხიანი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	განსაკუთრებით ნიჭიერი მოსწავლეები უზრუნველყოფილი არიან შესაბამის საფეხურზე ზოგადი განათლების მიწოდებით; სკოლა-პანსიონის ბენეფიციარებისთვის უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - სსიპ – ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის N199 საჯარო სკოლის განსაკუთრებული მათემატიკური ნიჭით დაჯილდოებული 93 მოსწავლე უზრუნველყოფილია შესაბამის საფეხურზე ზოგადი განათლების მიწოდებით და პანსიონური მომსახურებით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის ზრდა 10%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - ინფრასტრუქტურული გარემოს განვითარების შეფერხება

მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა (32 02 06)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
აღწერა და მიზანი	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის თანახმად, სახელმძღვანელოს სერიის/მაკეტის რეცენზირების პროცესის უზრუნველყოფა, შესაბამისი კომპეტენციის მქონე რეცენზენტთა მოძიება; გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონული სისტემის სრულყოფა და გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა; საჯარო სკოლის ყველა კლასის მოსწავლეებისათვის, კერძო სკოლის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული სხვა კატეგორიების მოსწავლეების სასკოლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა;
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონული სისტემა სრულად პასუხობს გრიფირების პროცესის ამოცანებს და ფუნქციონირებს ტექნიკური ხარვეზების გარეშე; სახელმძღვანელოს სერიის/მაკეტის რეცენზირების პროცესი ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებისა და ვადების შესაბამისად; უფასო/ხელმისაწვდომი ზოგადი განათლების მიღება საქართველოს ყველა საჯარო სკოლის მოსწავლისათვის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული სხვა კატეგორიების მოსწავლეების, ასევე კერძო სკოლის იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც არიან სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისა და 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული მეომრების შვილები.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - “მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში “ პროგრამის ბენეფიციართა 100% იქნა/იქნება უზრუნველყოფილი სასკოლო სახელმძღვანელოებით. საანგარიშო პერიოდში 2018-2019 სასწავლო წლისთვის მოსწავლეების უზრუნველსაყოფად შესყიდული და მოთხოვნის შესაბამისად საქართველოს ყველა საჯარო სკოლისათვის დარიგებული იქნა 5 121 799 ცალი სახელმძღვანელო და რვეული; შესყიდულია 57 რელიეფური ნახატით დაბეჭდილი დამხმარე სასწავლო მასალა და 849 ცალი ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი სასკოლო სახელმძღვანელო, რომელიც სრულად გადაეცა სსიპ ქალაქ თბილისის N202 საჯარო სკოლას; შეძენილი და გადაცემული იქნა 4 რელიეფური ნახატით დაბეჭდილი დამხმარე სასწავლო მასალა და 50 ცალი ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი სასკოლო სახელმძღვანელო სსიპ ქალაქ ბათუმის N3 საჯარო სკოლისთვის; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - პროგრამის ბენეფიციართა 100% უზრუნველყოფილ იქნება სასკოლო სახელმძღვანელოებით

დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად (32 02 07)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
აღწერა და მიზანი	აქტიური დასვენებისა და განათლების პროცესის შერწყმით მოსწავლეთა სხვადასხვა სოციალური და საგნობრივი უნარებისა და კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობა; ცხოვრების ჯანსაღი წესის, როგორც ფასეულობის განმტკიცება და შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავება; შრომით საქმიანობასთან დაკავშირებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარების, შესაბამისი ფასეულობებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბების ხელშეწყობა; ადაპტაციის, დამოუკიდებელი მუშაობისა და სოციალური უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა; მოსწავლეთა შემოქმედებით საქმიანობაში ჩაბმის ხელშეწყობა შესაბამისი უნარ-ჩვევების განვითარება.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	პროგრამის ფარგლებში მონაწილე მოსწავლეები გაივლიან აკადემიური / არააკადემიური პროგრამების მოკლე კურსს; პროგრამის ფარგლებში მონაწილე მოსწავლეები შეიძენენ შესაბამის უნარებს და გამოცდილებას და მიღებულ გამოცდილებას გაუზიარებენ თავიანთ თანატოლებს სკოლებში დაბრუნების შემდეგ; პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები ხელს შეუწყობს მათი ინტერესების ზრდას და აქტიურ ჩართვას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - პროგრამის „დავისვენოთ და ვისწავლოთ“ ერთად ფარგლებში მონაწილე 1800 მოსწავლე. მ.შ. სოფლის განვითარების 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის (RDAP 2018-2020) აქტივობა 2.2.6 ფარგლებში საზაფხულო სკოლებში საქართველოს რეგიონებიდან მონაწილეობას მიიღებს არანაკლებ 1 600- მდე ბენეფიციარი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 8%; **შესაძლო რისკები** - შესაძლოა, მშობლების / მეურვეების თანხმობის შემთხვევაში, მოსწავლე (სამინისტროსთვის წინასწარი შეტყობინების გარეშე) მაინც არ გამოცხადდეს საზაფხულო სკოლაში

ოკუპირებული რეგიონების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარება (32 02 08)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
აღწერა და მიზანი	გალის რაიონისა და 2008 წლის აგვისტოს მოვლენებამდე ახალგორის რაიონის ფუნქციონირებადი სკოლების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარებით უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ოკუპირებული რეგიონების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარება;
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - ოკუპირებულ რეგიონებში ფუნქციონირებადი სკოლების 850 მასწავლებელი და 253 ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი უზრუნველყოფილი იქნა ფინანსური დახმარებით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

ბრალდებული და მსჯავრდებული პირებისათვის ზოგადი განათლების მიღების ხელმისაწვდომობა (32 02 09)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
აღწერა და მიზანი	პენიტენციურ დაწესებულებებში ბრალდებული და მსჯავრდებული მოსწავლეების ზოგადი განათლების უფლების უზრუნველყოფა მნიშვნელოვანია მათი პიროვნული და აკადემიური განვითარებისთვის; პენიტენციურ დაწესებულებებში ყოფნის პერიოდში ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა უნდა შეიძინოს ის უნარები, რომლებიც მას დაეხმარება გათავისუფლების შემდეგ დასაქმებაში; პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი ბრალდებული/მსჯავრდებული მოსწავლეებისთვის ზოგადი განათლების მომსახურების მიწოდება და მათი საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხელშეწყობა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი არასრულწლოვნები 100% უზრუნველყოფილია სრული ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობით, რაც მათ განათლების შემდგომ საფეხურებზე სწავლის გაგრძელების და/ან დასაქმების საშუალებას მისცემს.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - ბრალდებული/მსჯავრდებული მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან უწყვეტი განათლების მიღების შესაძლებლობით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - ბენეფიციართა არარსებობა ან უარი სასწავლო პროცესში ჩართვაზე

ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარება და დანერგვის ხელშეწყობა (32 02 10)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
აღწერა და მიზანი	ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარება, რაც გულისხმობს, როგორც საგნობრივი სასწავლო გეგმების რევიზიას ზოგადი განათლების საშუალო საფეხურზე, ისე სხვა მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელებას დაწყებით და საბაზო საფეხურებზე, როგორებიცაა: საკონსულტაციო მხარდაჭერა სკოლებისთვის, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, თანამშრომლობა სხვა უწყებებთან ეროვნულ სასწავლო გეგმასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ექსპერტული შეფასების წარმოება და ა.შ. ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მხარდაჭერა სამუშაო შეხვედრების მოწყობის, სასწავლო გეგმის პრიორიტეტული თემების პილოტირების, საგნობრივი გზამკვლევების და სხვა ტიპის ინსტრუქციების მომზადების გზით.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარებისა და დანერგვის მიზნით გადამუშავებულია საშუალო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმა, გაწეულია კონსულტაციები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების წარმომადგენლებისთვის, ჩატარებულია საინფორმაციო შეხვედრები ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმასთან დაკავშირებით, განხორციელებულია ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტული თემების პილოტირება სკოლებში, შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი გზამკვლევები.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - დასამტკიცებლად მომზადებულია საშუალო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - დამტკიცებულია საშუალო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმა. საჭიროების მიხედვით დამატებით შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი პროგრამები. შემუშავებულია დაწყებითი საფეხურის საგნობრივი სასწავლო გეგმების გადამუშავების გეგმა **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგი ჩატარდა 2013-2016 წლებში დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე ქართულენოვან სკოლებში. გაკეთდა შესაბამისი ანალიზი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მომზადებულია დაწყებით საფეხურზე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგის ინსტრუმენტი ქართულენოვანი და არაქართულენოვნი სკოლებისთვის; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10% **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პილოტირება განხორციელებულია დაწყებით და საბაზო საფეხურებზე. გაანალიზებულია მიღებული მონაცემები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ჩატარებულია გამოკითხვა საბაზო საფეხურის (მე-7 კლასი) ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესებთან დაკავშირებით, დამუშავებულია მონაცემები, გაკეთებულია ანალიზი;

	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10%

საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა (32 02 11)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
აღწერა და მიზანი	დასახლებულ პუნქტებში (სოფელი, დაბა) სადაც არ ფუნქციონირებს სკოლები და მანძილი სოფლებს შორის შესამჩნევია მოსწავლეთა ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	გაზრდილია ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის ხარისხი, განსაკუთრებით რთული გეოგრაფიული მდებარეობისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე საჯარო სკოლის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისათვის; გაზარდილია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა დასწრების მაჩვენებელი. მინიმუმამდეა დაყვანილი გაკვეთილებზე დაგვიანების ფაქტები; მინიმუმამდე დაყვანილია გაკვეთილებზე დაგვიანების ფაქტები და მოსწავლეთა გაკვეთილებზე დასწრების მაჩვენებელი გადააჭარბებს 95 %-ს; უზრუნველყოფილია რთული გეოგრაფიული და კლიმატური პირობების მქონე დასახლებების მოსწავლეთა სკოლამდე უსაფრთხო გადაადგილება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი -** საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამაში 2018-2019 სასწავლო წლის მე-2-ე სემესტრში ჩართულია საქართველოს (თბილისის და აჭარის რეგიონი) 201 საჯარო სკოლის 14929 მოსწავლე, მათ შორის 161 შშმ ბენეფიციარი მ.შ. სოფლის განვითარების 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის (RDAP 2018-2020) აქტივობის 2.2.3 ფარგლებში პროგრამის ბენეფიციართა 100% უზრუნველყოფილი იყო ტრანსპორტით; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** პროგრამის ბენეფიციართა 100% უზრუნველყოფილია ტრანსპორტით. მ.შ. სოფლის განვითარების 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის (RDAP 2018-2020) აქტივობის 2.2.3 ფარგლებში ყოველწლიურად პროგრამის ბენეფიციართა 100% უზრუნველყოფილია ტრანსპორტით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 1%; **შესაძლო რისკები -** მეტეოროლოგიური პირობები და უამინდობა; შიდა საგზაო ინფრასტრუქტურა; კონტრაქტორის მიერ შეუსრულებელი მომსახურება

პროგრამა "ჩემი პირველი კომპიუტერი" (32 02 12)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
აღწერა და მიზანი	საჯარო სკოლების პირველკლასელი მოსწავლეების და მათი დამრიგებლების უზრუნველყოფა პორტაბელური კომპიუტერებით (ნოუთბუქებით), ხოლო წარჩინებული მოსწავლეების წახალისება სხვადასხვა კომპიუტერული ტექნიკით;
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	პირველკლასელი მოსწავლეები და მათი დამრიგებლები უზრუნველყოფილია პორტაბელური კომპიუტერებით (ნოუთბუქებით) , ხოლო წარჩინებული მოსწავლები სხვადასხვა კომპიუტერული ტექნიკით.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - პროგრამა „ჩემი პირველი კომპიუტერი“-ს ფარგლებში საქართველოს საჯარო სკოლის პირველკლასელებისთვის და მათი დამრიგებლებისთვის შესყიდულ იქნება 55 000 ცალი პორტაბელური კომპიუტერი (ბუკი), ხოლო საბაზო საფეხურის კურსდამთავრებული წარჩინებული მოსწავლეებისთვის 3700 ცალი პორტაბელური კომპიუტერი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შესაბამისი სასწავლო წლის ბენეფიციართა 100% უზრუნველყოფილი იქნება პერსონალური კომპიუტერებით

ზოგადი განათლების ხელშეწყობა (32 02 13)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს აპარატი; სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო; სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი
აღწერა და მიზანი	საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა საერთაშორისო დაცვის მქონე არასრულწლოვან პირთათვის ქართული ენის სწავლება. შსს მიგრაციის დეპარტამენტში დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსებული არასრულწლოვან პირთათვის ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; ზოგადი განათლების პოპულარიზაციისთვის სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება; სასწავლო წლისთვის საკლასო ჟურნალითა და სხვა საინფორმაციო ბეჭდური რესურსებით ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების უზრუნველყოფა; არაფორმალური განათლების განვითარების გზით სკოლებში საინტერესო და სახალისო გარემოს შექმნის ხელშეწყობისთვის მუნიციპალიტეტის დონეზე არაფორმალური განათლების ცენტრის ორგანიზება, მთის სტატუსის მქონე სკოლების მხარდაჭერა მათ საჭიროებებზე მორგებული პროექტების მომზადებისა და განხორციელების პროცესში;

	მოსწავლეებისთვის სხვადასხვა ფორმატისა და შინაარსის კონკურსების შეთავაზება; კონკურსებში წარმატებული მოსწავლეების წახალისება; ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსწავლეებისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სრული ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობის გაზრდა, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა; სკოლისგარეშე სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა მოსწავლეთა ჯგუფებისთვის მუზეუმებსა და თეატრებში ვიზიტების ორგანიზების გზით; მცხეთა-მთიანეთის დუშეთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ბაზაზე, დამატებითი მომსახურების სახით პანსიონური მომსახურების წარმართვისას, მოსწავლეების მიერ საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურად რეალიზებაში დახმარების მიზნით, ხარისხიანი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ზოგადი განათლების მიღებით უზრუნველყოფილნი არიან თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე და შსს მიგრაციის დეპარტამენტში დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსებული არასრულწლოვნები; თანაბარი პირობების მქონე შეჯიბრში, სხვადასხვა ფორმატისა და შინაარსის ღონისძიებებში მონაწილეობით მოსწავლეებში გაიზრდება მოტივაციის დონე და საკუთარი თავის/სკოლის და ქალაქისა თუ სოფლის წარმოჩენის სურვილი; სასწავლო წლისთვის საკლასო ჟურნალითა და სხვა საინფორმაციო ბეჭდური რესურსებით უზრუნველყოფილია ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთა სასკოლო კონკურსებში ჩართულობის მოტივაციის გაზრდა და ცნობიერების ამაღლება სხვადასხვა პრიორიტეტული მიმართულებით; მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების გამოვლენა და განვითარება; სკოლებში გაზრდილია არაფორმალური განათლების როლი; მოსწავლეებში გაზრდილია ინტერესი თეატრალური ხელოვნების მიმართ, ასევე სამუზეუმო ექსპონანტების შესწავლის გზით გაღრმავებულია ცოდნა ჰუმანიტარულ და საბუნებისმეტყველო დისციპლინებში; გაზრდილია გალის რაიონში სკოლების დამამთავრებელი კლასების მოსწავლეთა კონკურენტუნარიანობა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე; ბენეფიციარებში უზრუნველყოფილია სრული ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობა, შექმნილია ოჯახურ

	გარემოსთან მიახლოებული სადღეღამისო მომსახურების პირობები.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი -** პროგრამის ფარგლებში ჩართული 30 000-ზე მეტი ბენეფიციარისათვის უზრუნველყოფილია ზოგადი განათლების ხელშეწყობა. მ.შ. სოფლის განვითარების 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის (RDAP 2018-2020) აქტივობა 2.2.7* ფარგლებში მოსწავლეებისათვის საინტერესო და სახალისო გარემოს შექმნისა და საჯარო სკოლების გაძლიერების მიზნით, დაფინანსდა სასკოლო ინიციატივები, რომელშიც ჩართული იყო 20 000 - მდე მოსწავლე (სოფლის სკოლებიდან); **მიზნობრივი მაჩვენებელი -** საბაზო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10%; **შესაძლო რისკები -** ბენეფიციართა არარსებობა

ზოგადი განათლების რეფორმის ხელშეწყობა (32 02 14)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს აპარატი; სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა; სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო; სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი; სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი
აღწერა და მიზანი	სკოლებში თანამედროვე მოთხოვნების და შესაძლებლობების საგანმანათლებლო გარემოს ჩამოყალიბება, რომელიც უკლებლივ ყველა მოზარდს საკუთარი პოტენციალის რეალიზების საშუალებას მისცემს და XXI საუკუნის გამოწვევათა მისაღებად საჭირო ცოდნითა და უნარებით შეაიარაღებს; სწავლა-სწავლების პროცესში კონსტრუქტივისტული საგანმანათლებლო პრინციპებისა და მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული შეფასების სისტემის დანეგვის ხელშეწყობა; სკოლების მხარდამჭერი ჯგუფის წევრებთან თანამშრომლობით მასწავლებლები შეიმუშავებენ სკოლის ორიგინალურ სასწავლო გეგმას, რომლის ფარგლებშიც წახალისდება ციფრული ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში ინტეგრირება; დაინერგება ცნებების პედაგოგიკა, რომელიც მყარი, სისტემური ცოდნის კონსტრუირებისა და აზროვნების განვითარების ეფექტიან საშუალებას წარმოადგენს; სასწავლო პროცესში ელექტრონული რესურსებისა და სერვისების ხელმისაწვდომობის მიზნით, საჯარო სკოლებში ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ინტერნეტკავშირის გაუმჯობესება;

	საქართველოს მასშტაბით საგანმანათლებლო დაწესებულებებში ცენტრალიზებული, ელექტრონული გამოცდებისა და კონკურსების ორგანიზება/ტექნიკური მხარდჭერა;
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სკოლებში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად; შექმნილია ინსტრუმენტები, რომლებიც სკოლებში მიმდინარე პროცესებზე დაკვირვებისა და მათი დიაგნოსტირების საშუალებას იძლევა; განათლების სისტემაში არსებობს ელ. დამხმარე რესურსები სკოლის განვითარების მხარდასაჭერად (მაგ. გზამკლვევები და სხვა); სკოლებში სასწავლო პროცესში ინტეგრირებულია ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები; სკოლები აღჭურვილია ციფრული ტექნოლოგიებით; გაზრდილია სასწავლო პროცესში ადგილობრივი და საერთაშორისო საგანმანათლებლო ელ. რესურსებისა და აპლიკაციების ხელმისაწვდომობა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - განხორციელებულია ქვეპროგრამის მოდელის პილოტირება, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია და 166 სკოლაში დაინერგა: ა) ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ინსტრუმენტები; ბ) მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშემწყობი შეფასების სისტემა; გ) ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში ინტეგრირების სისტემა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის ზრდა 400 საჯარო კოლით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - პროგრამის ადმინისტრირების პროცესის შეფერხება **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 166 საჯარო სკოლაში 2400 ლეპტოპი და 550 პროექტორი დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებისთვის, 1560 ლეპტოპი და 470 პროექტორი საბაზო საფეხურის მასწავლებლებისთვის, ამავე საჯარო სკოლების კომპიუტერული ლაბორატორიებში 1700 ლეპტოპი, 165 პროექტორი და 80 დამტენი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2. სკოლებისთვის გადაცემულია: ა) დაწყებით საფეხურზე (I-IV კლასი) თითოეულ კლასზე ერთი ლეპტოპი; ჯამში 4625 ლეპტოპი ბ) დაწყებით საფეხურზე (I-IV კლასი) 5 კლასზე 1 პროექტორი; ჯამში 1180 პროექტორი გ) V-VI კლასებსა და საბაზო საფეხურზე საგნობრივი კათედრებისთვის (თითო სკოლაში 7 კათედრა) ლეპტოპები; ჯამში 2800 ლეპტოპი დ) V-VI კლასებსა და საბაზო საფეხურზე 5 კლასზე 1 ლეპტოპი და 1 პროექტორი; ჯამში: 1400 ლეპტოპი და 1400 პროექტორი ე) კომპიუტერული ლაბორატორიების განახლება/შევსება, ჯამში: 7000ლეპტოპი, 400 პროექტორი და 400 კარადა; **შესაძლო რისკები** - შესაბამისი შესყიდვის პროცესის გახანგრძლივება/ შემსრულებლის მიერ მომსახურების მოწოდების ვადების გადაცდომა

	3. **საბაზისო მაჩვენებელი** - სკოლების 100% ინტერნეტიზირებულია და ჩართულია ერთიან საგანმანათლებლო ქსელში. მათგან ოპტიკური კავშირით და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით სარგებლობს სკოლების 45% (30 Mb); ხოლო დანარჩენ სკოლებში სადაც კავშირი უზრუნველყოფილია რადიო ტექნოლოგიით კავშირის სიჩქარე (1-2 Mb); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მაღალ გამტარიანი ოპტიკური არხებით უზრუნველყოფილი იქნება სკოლების 53 % (30 Mb), ხოლო დანარჩენი სკოლების შემთხვევაში, სადაც კავშირი უზრუნველყოფილია რადიო ტექნოლოგიით, გაუმჯობესდება კავშირის სიჩქარე კავშირის სიჩქარე: 2- 5 Mb; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 3-5%; **შესაძლო რისკები** - ოპტიკური კავშირების დანერგვის დაბალი ტემპი რეგიონებში, შესაბამისად, მომწოდებელთა შეზღუდული შესაძლებლობები **4.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 300 საჯარო სკოლაში მოწყობილია კორპორატიული სტანდარტის უსადენო (Wi-Fi) ქსელი (12%) , ხოლო 475 მცირეკონტოგენტიან სკოლაში მოქმედებს ლოკალური უსადენო (Wi-Fi) ქსელი. მ.შ. სოფლის განვითარების 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის (RDAP 2018-2020) აქტივობა 2.1.4 ფარგლებში განხორციელდება 80 საჯარო სკოლის უსადენო (Wi-Fi) ქსელის მოწყობა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 670 საჯარო სკოლაში მოწყობილია კორპორატიული სტანდარტის უსადენო (Wi-Fi) ქსელი (24%), მ.შ. სოფლის განვითარების 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის (RDAP 2018-2020) აქტივობა 2.1.4 ფარგლებში განხორციელდება 80 საჯარო სკოლის უსადენო (Wi-Fi) ქსელის მოწყობა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5-7%; **შესაძლო რისკები** - შესაბამისი შესყიდვის პროცესის გახანგრძლივება/ შემსრულებლის მიერ მომსახურების მოწოდების ვადების გადაცდომა

უმაღლესი განათლება (32 04)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო აპარატი; სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი; სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრი
აღწერა და მიზანი	საგამოცდო პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება; უმაღლესი განათლების დაფინანსების ახალი, ეფექტიანი მოდელების შემუშავება და დანერგვა, რომელიც ორიენტირებულია იმ მიმართულებებისა და სპეციალობების გაძლიერებაზე, რაც ქვეყნის განვითარების საჭიროებებთან, საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ეკონომიკის გაძლიერებასთან არის დაკავშირებული; უნივერსიტეტების საბაზო დაფინანსების მოდელის დანერგვა, რაც ხელს შეუწყობს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების მჭიდრო კავშირს;

	საქართველოს რეგიონალურ საგანმანათლებლო ცენტრად პოზიციონირებისთვის, უცხოელი სტუდენტების საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში მოსაზიდად რიგი ღონისძიებების განხორციელება; უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის სწავლების ხელშეწყობით საერთაშორისო კავშირების განმტკიცება, განათლების სფეროში თანამშრომლობის ხელშეწყობა; ქვეყნის საჯარო და საზოგადოებრივი სექტორის გაძლიერება მაღალკვლიფიციური კადრებით, სხვადასხვა საერთაშორისო პროგრამებსა და კურსებზე მომზადების, კვალიფიკაციის ამაღლების გზით; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინტელექტუალური და მატერიალური პოტენციალის ინტეგრაციის ხელშეწყობა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	განვითარებულია საგამოცდო სისტემა, გაიზრდილია თანამედროვე ტექნოლოგიების როლი გამოცდების ჩატარების პროცესში; უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა განათლებისა და მომზადების მაღალი დონე; უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საგრანტო და პროგრამული დაფინანსების სრულყოფილი სისტემა; განსაკუთრებით ნიჭიერი სტუდენტების ხელშეწყობა; უმაღლესი განათლების ხარისხის ეტაპობრივი განვითარება; საქართველოს, როგორც მაღალი ხარისხის განათლების, უსაფრთხო და კომფორტული საგანმანათლებლო ცენტრის იმიჯის ეტაპობრივი ფორმირება; უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უცხოენოვანი საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამები პასუხობს საერთაშორისო მოთხოვნებს.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - ერთიანი ეროვნული, საერთო სამაგისტრო, პროფესიული და მასწავლებელთა საგნის გამოცდის მომზადებისა და ჩატარების ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ერთიანი ეროვნული, საერთო სამაგისტრო, პროფესიული და მასწავლებელთა საგნის გამოცდების მომზადებისა და ჩატარების ხარისხის გათანაბრება საერთაშორისო სტანდარტებთან; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - მინიმალური ცდომილების ალბათობა, ვინაიდან დაგროვებულია სისტემების შემუშავების გამოცდილება და სისტემების განვითარების პროცესში ჩართულნი არიან კვალიფიციური სპეციალისტები

	2. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2017 წელს დაფინანსდა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული 33 000-მდე ბაკალავრი, პრიორიტეტულ პროგრამულ მიმართულებებზე დაფინანსდა 18 000-მდე სტუდენტი, სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსდა 2 000-მდე მაგისტრანტი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ყოველწლიურად მინიმუმ საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 3%; **შესაძლო რისკები** - სტუდენტთა სტატუსების ცვლილება **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის განახლებული სტანდარტების შესაბამისად მომზადებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით უმაღლესი საგანმანათლენბლო პროგრამების აკრედიტაცია

გამოცდების ორგანიზება (32 04 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი
აღწერა და მიზანი	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთათვის ერთიანი ეროვნული, საერთო სამაგისტრო და მასწავლებლის გამოცდების ჩატარება; სტუდენტთა საგრანტო კონკურსის ჩატარება, რომელიც გულისხმობს გრანტის ნაწილობრივი ოდენობის მფლობელ სტუდენტისათვის, საგრანტო კონკურსის შედეგად მეტი ოდენობის გრანტის მოპოვების ხელშეწყობას; საერთაშორისო კვლევების (შეფასებების) განხორციელების უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ჩატარებულია ერთიანი ეროვნული, საერთო სამაგისტრო, პროფესიული ტესტირება და მასწავლებლის საგნის გამოცდები; განხორციელებულია სტუდენტთა საგრანტო კონკურსი და საერთაშორისო კვლევები (შეფასებები)
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ყოველწლიურად სხადასხვა გამოცდებზე დარეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობა აღემატება - 195 000, გამოცდებზე გამოცხადებული აპლიკანტების რაოდენობა აღემატება - 173 000, რომელიც უზრუნველყოფილ იქნა საგამოცდო სერვისით, ხოლო 135 000 -ს აღემატება იმ აპლიკანტების რაოდენობა, რომლებმაც გადალახეს მინიმალური ზღვარი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - გამოცდაზე დარეგისტრირებული და გამოცდაზე გამოცხადებულ აპლიკანტთა სრული დაფარვა;

	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - მინიმალური ცდომილების ალბათობა, ვინაიდან დაგროვებულია სისტემების შემუშავების გამოცდილება და სისტემების განვითარების პროცესში ჩართულნი არიან კვალიფიციური სპეციალისტები; **შესაძლო რისკები** - გამოცდაზე დარეგისტრირებულთა და გამოცდაზე გამოცხადებულ პირთა სხვაობა

სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტები და ახალგაზრდების წახალისება (32 04 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
აღწერა და მიზანი	პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება; სტუდენტთა სასწავლო პროცესებში აქტიურად ჩართულობის ხელშეწყობა და წახალისება; უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის სწავლების ხელშეწყობით საერთაშორისო კავშირების განმტკიცება, განათლების სფეროში თანამშრომლობის ხელშეწყობა; მასწავლებლობის მსურველთა პროფესიული მოღვაწეობისათვის მომზადება; ამერიკული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა და საქართველოს სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუტების გაძლიერება; ახალგაზრდების ხელშეწყობა განათლების მიმართულებით სწავლის გასაგრძელებლად.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტით უზრუნველყოფა; წარჩინებული სტუდენტების სტიპენდიით უზრუნველყოფა; უცხო ქვეყნის მოქალაქეების სწავლების ხელშეწყობა, რომლებიც საერთაშორისო შეთანხმებებით, ხელშეკრულებებით, პროგრამებით, აგრეთვე, მემორანდუმებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში ისწავლიან/სწავლობენ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე; გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსებით უზრუნველყოფა; უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების დაფინანსება, რომლებმაც საკუთარი სურვილით აიღეს სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის ვალდებულება;

	საქართველოს, როგორც მაღალი ხარისხის განათლების, უსაფრთხო და კომფორტული საგანმანათლებლო ცენტრის იმიჯის ფორმირება; ქართველი სტუდენტების განათლების ხარისხის ამაღლება კონკურენტული გარემოს ფორმირების ფონზე; ამერიკული საბაკალავრო ხარისხების გაცემა საბუნებისმეტყველო, საინჟინრო და ტექნოლოგიური მეცნიერებების სფეროში; საქართველოს სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო აკრედიტაცია; უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უცხოენოვანი საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამების ხელშეწყობა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - ყოველწლიურად სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით, მათ შორის სოციალური და პირორიტეტული პროგრამების ფარგლებში უზრუნველყოფილია 33 000 - ზე მეტი სტუდენტი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - სტუდენტის სტატუსის შეჩერება 2. **საბაზისო მაჩვენებელი** - აშშ-ის სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოს პარტნიორ სახელმწიფო უნივერსიტეტებთან (თსუ, სტუ, ისუ) ერთად საქართველოში ახორციელებს ბაკალავრიატის ამერიკულ საგანმანათლებლო პროგრამებს ელექტრულ ინჟინერიაში, კომპიუტერულ მეცნიერებაში, ქიმიაში (ბიოქიმიის განხრით), კომპიუტერულ ინჟინერიაში, სამოქალაქო ინჟინერიასა და სამრეწველო ინჟინერიაში; სან დიეგოს 6 საბაკალავრო პროგრამებზე სწავლობს 369 ქართველი და უცხოელი სტუდენტი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სან დიეგოს საბაკალავრო პროგრამებზე ჩარისცულ სტუდენტთა რაოდენობა გაზრდილია 50%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%

უმაღლესი განათლების ხელშეწყობა (32 04 03)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს აპარატი
აღწერა და მიზანი	საქართველოს სახელმწიფო ენის განვითარებისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობის პროგრამების (მათ შორის

	ლექსიკოგრაფიული პროგრამების) შემუშავება, მათი განხორციელება და შესრულების კონტროლი - ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროგრამა „ირბახის“ განხორციელება; ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლებისა და შესწავლის ხელშეწყობა, რაც ითვალისწინებს ვებგვერდის www.geofl.ge ახალი სასწავლო-მეთოდური მასალით მუდმივად შევსებასა და განახლებას; ქართული ენის პოპულარიზაცია და ქართული ენის შესწავლით დაინტერესების ხელშეწყობა უცხოეთში; ქართული ენის შემსწავლელების მოტივაციის ამაღლება; უმაღლესი განათლების ხელშეწყობა; ტუდენტთა ხელშეწყობა, ქვეპროგრამაში „სტუდენტური ბარათი“ ჩაბმული საწარმოების/ორგანიზაციების მიერ პირადი მოხმარების საქონელსა და მომსახურეობის გაწევაზე შეთავაზებული ფასდაკლების შესახებ სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდება; „ევროსტუდენტის“ ეროვნული პროექტის ფარგლებში საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის და მათი ცხოვრების პირობების შესწავლა და ანგარიშის მომზადება, სწავლასთან და მათ საერთაშორისო მობილობასთან დაკავშირებული საკითხების კვლევა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	დასრულებული სასწავლო მასალები განთავსებულია ვებგვერდზე geofl.ge, რათა ისინი ხელმისაწვდომი იქნეს ქართული ენის ნებისმიერი უცხოელი შემსწავლელისთვის; განხორციელდება ქართული ენისა და კულტურის პოპულარიზაცია საზღვარგარეთ, უცხოეთის ცენტრებში ენების ევროპული დღის (26 სექტემბერი) ღონისძიებებზე პროგრამა „ირბახის“ ფარგლებში ამ დღისთვის მომზადებული მასალების წარმოდგენა და სასაჩუქრად გადაცემა; გაიზრდება ქართული ენის შესწავლის მოტივაცია და შესაბამისად, ქართული ენის შემსწავლელთა რაოდენობა; ყველა ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტისთვის ხელმისაწვდომია დამატებითი სოციალური შეღავათები; შემუშავებულია ეროვნული კვლევა, სტანდარტიზებული მეთოდით ჩატარებულია გამოგითხვა, უზრუნველყოფილია საერთაშორისო სემინარებში და კონსორციუმის კონფერენციაში მონაწილეობა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - დასრულებული იქნება შემდეგი სასწავლო მასალები: ვებგვერდის geofl.ge ახალი ფორმატის შექმნა; ქართული ენის განმარტებით-თარგმნით-აუდიო სასწავლო ელექტრონული ლექსიკონი (C1.1 დონე); ონლაინსავარჯიშოები ენის ელემენტარულად ფლობის დონეებისთვის; ინტერაქციული სავარჯიშოების კრებულები

	A1, A2, A2+ დონეებისთვის; შემსწავლელის გრამატიკა (ნაწილი I); ქართულ და ინგლისურ ენებზე ითარგმნება გერმანული ბროშურა „ქართული ენა უცხოელის თვალით“, გაფორმდება მხატვრულად და გამოიცემა; შეიქმნება A1 და A2 დონეების სახელმძღვანელოების („აღმართის“ სერია) ახალი მხატვრული დიზაინი; შეიქმნება საინფორმაციო სასაჩუქრე მასალა ქართული ენის შესახებ და გადაეცემა საგარეო საქმეთა სამინისტროს; განხორციელდება კულტურულ-შემეცნებითი პროგრამა ქართული ენის შემსწავლელი უცხოელი სტუდენტების საქართველოში ჩამოყვანა 1 კვირით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - გაგრძელდება ვებგვერდის ადმინისტრირება; შეიქმნება სახელმძღვანელო - შემსწავლელის გრამატიკა (ნაწილი II); გაგრძელდება მუშაობა ქართული ენის განმარტებით-თარგმნით-აუდიო სასწავლო ელექტრონული ლექსიკონზე (C1.2 დონე); შეიქმნება ინტერაქციული სავარჯიშოების კრებული B1.1 დონისთვის; შეიქმნება ქართული ფლობის ენის თვითშეფასების სისტემა (ტაბულა, რვეულები) მოზარდი შემსწავლელების-თვის (ორენოვანი - ქართულ- ინგლისური); შეიქმნება საინფორმაციო სასაჩუქრე მასალა ქართული ენის შესახებ და გადაეცემა საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ უზრუნველყოს საქართველოს საელჩოები ენების ევროპული დღის ღონისძიებაში მონაწილეობისათვის. განხორციელდება კულტურულ-შემეცნებითი პროგრამა ქართული ენის შემსწავლელი უცხოელი სტუდენტების საქართველოში ჩამოყვანა 1 კვირით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - პროგრამის მონაწილის ავადმყოფობა **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 130 000-მდე სტუდენტს ჰქონდა შესაძლებლობა ესარგებლა პროგრამაში ჩართული კომპანიების ფასდაკლებებით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტთა საერთო რაოდენობის ცვლილება **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - კვლევის ჩატარების ინსტრუმენტები და მეთოდოლოგია, ევროსტუდენტის მე-6 ტალღის შედეგების პუბლიკაცია, ეროვნული კვლევის პირველადი შედეგები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტთა საერთო რაოდენობის შემცირება ან გაზრდა

საზღვარგარეთ განათლების მიღების ხელშეწყობა (32 04 04)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრი
აღწერა და მიზანი	სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის კურსდამთავრებულთა ინტეგრირება საუნივერსიტეტო საქმიანობაში; საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობით ქვეყნის აკადემიური

	სივრცისთვის საჭირო აკადემიური, სამეცნიერო და ადმინისტრაციული პერსონალის მომზადება და საქართველოში უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია; უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ, უცხო ქვეყნის სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამაგისტრო, სადოქტორო და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამებზე განათლების მიღების ხელშეწყობა; ქვეყნის საჯარო და საზოგადოებრივი სექტორის გაძლიერება მაღალკვლიფიციური კადრებით, სხვადასხვა საერთაშორისო პროგრამებსა და კურსებზე მომზადების, კვალიფიკაციის ამაღლების გზით; საქართველოს ახალგაზრდობის საერთაშორისო აკადემიურ და ახალგაზრდულ პროგრამებში მონაწილეობის ხელშწყობა; საზღვარგარეთ მიღებული ცოდნის სახელმწიფოში რეალიზაცია და მაღალკვალიფიციური საკადრო რესურსების ზრდა; რეგიონული უნივერსიტეტების საგანმანათლებლო ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა და მხარდაჭერა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	გაზრდილია უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ, პრიორიტეტულ უცხო ქვეყნის სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამაგისტრო, სადოქტორო და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამებზე დაფინანსებული პირების რაოდენობა, საზღვარგარეთ მიღებული ცოდნის სახელმწიფოში რეალიზაცია და მაღალკვალიფიციური საკადრო რესურსი.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - სასტიპენდიო პროგრამები- სსიპ განათლების საერთაშორიცო ცენტრის სტიპენდიანტების რაოდენობის ზრდა და სწავლის დასრულების შემდგომ დიპლომის/სერთიფიკატის წარმოდგენა და ცენტრის მიერ დაფინანსებული მიმართულებით დასაქმება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - არსებული მაჩვენებლის შენარჩუნება; შესაბამისი საფეხურის აკადემიური პროგრამებისა და მიმართულებების დიპლომის რაოდენობა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5-10%; **შესაძლო რისკები** - კონკურსანტთა დაბალი აქტივობა; დაბალი კონკურენტული გარემო 2. **საბაზისო მაჩვენებელი** - მცირე საგრანტო პროგრამა - ერთიანი გრანტი კურსდამთავრებულთათვის; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მცირე საგრანტო პროექტის განხორციელების ანგარიშები; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5-10%; **შესაძლო რისკები** - კონკურსანტთა დაბალი აქტივობა; დაბალი კონკურენტული გარემო 3. **საბაზისო მაჩვენებელი** - ინგლისურის თანა-მასწავლებლის ფულბრაითის პროგრამა;

	მიზნობრივი მაჩვენებელი - პროექტში მონაწილე დაწესებულებების რაოდენობა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5-10%; **შესაძლო რისკები** - კანდიდატთა ნაკლები აქტივობა

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის უმაღლესი განათლების მიღების ხელშეწყობა (32 04 05)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
აღწერა და მიზანი	საქართველოს მთავრობის სამშვიდობო ინიციატივის - „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ ფარგლებში საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის უმაღლესი განათლების მიღების უფლების რეალიზაცია; სკოლისშემდგომი მომზადების პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით სარგებლობენ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, რომლებიც ბოლო 2 წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში და რომელთა სრული ზოგადი განათლება აღიარებულ იქნა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის ინფორმირება, საგანმანათლებლო სისტემასთან დაკავშირება და უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობა; საქართველოსა და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სამოქალაქო ინტეგრაცია.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - გაიზრდება ოკუპირებული ტერიტორიებიდან საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული პირების რაოდენობა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტთა საერთო რაოდენობის შემცირება ან გაზრდა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა (32 04 06)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს აპარატი
აღწერა და მიზანი	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემის ხელშეწყობა, ინტელექტუალური და მატერიალური პოტენციალის ინტეგრაცია;

	უმაღლესი განათლების დაფინანსების მექანიზმების დახვეწა და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა; უმაღლესი განათლების ხარისხისა და სამეცნიერო პოტენციალის ამაღლება; მატერიალური ბაზის რეაბილიტაცია და მათი აღჭურვა, თანამედროვე ტექნოლოგიების გავრცელება; სამეცნიერო-ტექნოლოგიური კვლევების განხორციელების ხელშეწყობა, კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ალტერნატიული ფორმების ამოქმედება; სამეცნიერო და საგანმანათლებლო საერთაშორისო თანამშრომლობის წახალისება.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მიზნობრივად გამოყენებულია არსებული ადმინისტრაციული, ინტელექტუალური და სამეცნიერო პოტენციალი; გაუმჯობესებულია საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის საჭირო პირობები; გაძლიერებულია საერთაშორისო თანამშრომლობა
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური ბაზის ავტორიზაციის სტანდარტებთა შესაბამისობის ხელშეწყობა; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის ხელშწყობა. გაუმჯობესებული საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურა. სამეცნიერო პუბლიკაციები, ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

ინფრასტრუქტურის განვითარება (32 07)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
აღწერა და მიზანი	საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლების უზრუნველყოფის მიზნით, სასკოლო საგანმანათლებლო და სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და ახალი სკოლების მშენებლობა; სამინისტროს სისტემაში შემავალი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების მშენებლობა -

	რეაბილიტაცია, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, ინვენტარითა და ტექნიკით მომარაგება; საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიული ორგანოების ინფრასტრუქტურის განვითარება; სახელოვნებო-შემოქმედებითი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურული მოდერნიზება და ტექნიკური გადაიარაღება; საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სპორტული მოედნების, დარბაზების და სპორტის სასახლეების, ასევე მასობრივი სპორტული ობიექტების (გარე სავარჯიშო ტრენაჟორები, მინიმოედნები, სარბენი და ველობილიკები) მშენებლობა; სპორტული ინფრასტრუქტურის მართვის ქმედითი მოდელის შექმნა, რომელიც საჯარო და კერძო სექტორის ეფექტიან თანამშრომლობაზე იქნება დაფუძნებული.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ყველა სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში უზრუნველყოფილია სრულყოფილი, სასწავლო პროცესის შესაბამისი გარემო; განხორციელებულია სპორტული და კულტურული ობიექტიდან, როგორც ნაწილის რეაბილიტაცია, ასევე ახალი ობიექტების მშენებლობა სრულყოფილი ინფრასტრუქტურით, ხელი შეეწყობა საზოგადოებისა და ახალგაზრდობის აქტიურ მონაწილეობას კულტურისა და სპორტის სფეროში.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვილი საჯარო სკოლები; სასკოლო ავეჯითა, სპორტული ინვენტარითა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით აღჭურვილი საჯარო სკოლები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საჯარო სკოლების 90% შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, სასკოლო ავეჯით, სპორტული ინვენტარითა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით; **შესაძლო რისკები** - შეფერხება ტექნიკური უზრუნველყოფის კუთხით **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - რეაბილიტირებული და ახალაშენებული საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - გაიზრდება ახალ აშენებული და რეაბილიტირებული საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებები; **შესაძლო რისკები** - შეფერხება ტექნიკური უზრუნველყოფის კუთხით **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - რეაბილიტირებული და ახალაშენებული კულტურული და სპორტული ობიექტები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - გაზრდილი რეაბილიტირებული და ახალაშენებული კულტურული და სპორტული ობიექტების რაოდენობა; **შესაძლო რისკები** - ელექტრონული შესყიდვისას გამარჯვებულის გამოვლენის პროცედურების გახანგრძლივება, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (32 07 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
აღწერა და მიზანი	საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობა და რეაბილიტაცია; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სხვადასხვა სახის ინვენტარითა და აღჭურვილობით უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 7 ერთეულამდე გაიზრდება ახალი აშენებული საჯარო სკოლების რაოდენობა, დაიწყება 7 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, დასრულდება 1 ,,ახალი განათლებისა და მეცნიერების ქალაქი“ მშენებლობა, ექვს ახალ ლოკაციაზე მომზადდება განათლების ქალაქის საპროექტო დოკუმენტაცია, რომლიდანაც 3 ერთეულის სამშენებლო პროცედურები დაიწყება მიმდინარე წელს; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - განხორციელდება 7 ერთეული საჯარო სკოლის მშენებლობა და 6 ერთეული განათლების ქალაქის მშენებლობა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - შეფერხება ტექნიკური უზრუნველყოფის კუთხით; დაქირავებული სამშენებლო კომპანი(ებ)ის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშოების არაჯეროვანი, ან დაგვიანებით შესრულება.მოსწავლეთა განსახლების უზრუნველყოფა **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - განხორციელდება საჯარო სკოლებისთვის სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები მათ ზოგადი გაგანთლების რეფორმის ხელსეწყობის ფარგლებში ქ.თბილისში განხორციელდება 64 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია; ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდება ქ. თბილისში 35 საჯარო სკოლას. განხორციელდება 2 საჯარო სკოლის (რეგიონი) სრული რეაბილიტაცია . განხორცილდება 10 საჯარო სკოლის სახანძრო უსაფრთხოების სისტემის მონტაჟი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - განხორციელედება 35-მდე ქ. თბილისის საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია და 150 საჯარო სკოლის სახანძრო უსაფრთხოების სისტემების მონტაჟი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - შეფერხება ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით; მიმდინარე სასწავლო პროცესის პარალელურად სამუშაოების წარმართვა **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - განხორციელდება 1254 საჯარო სკოლის სასკოლო მერხითა და სკამით , 265 საჯარო სკოლის სასკოლო დაფებით; 6 ახალი სკოლის საოფისე ავეჯით და 35 საჯარო სკოლის კომპიუტერით აღჭურვა. ჩატარდება

	საჯარო სკოლების 90%-ის ვიდეოსამეთვალყურეო სისტემების პროექტირება და ნაწილობრივი მონტაჟი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - განხორციელდება ზოგადსაგანმანათლებო დაწესებულებების უზრუნველყოფა სხვადასხვა სახის ინვენტარით მოთხოვნის შესაბამისად. საჯარო სკოლების 100% უზრუნველყოფილია ვიდეოსათვალთვალო კამერებით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - შეფერხება ტექნიკური უზრუნველყოფის კუთხით

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (32 07 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
აღწერა და მიზანი	საქართველოს სხვადასხვა რეგიონში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების, მათ შორის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით არსებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაზაზე ფუნქციონირებადი კოლეჯების მშენებლობა და რეაბილიტაცია; პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სხვადასხვა სახის ინვენტარითა და აღჭურვილობით უზრუნველყოფა; პროფესიულ განათლებაზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობა და შესაბამისი ინვენტარითა და აღჭურვილობით უზრუნველყოფა
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	პროფესიული საგანანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - ერთი ერთეულით გაიზრდება პროფესიული სასწავლებლების რაოდენობა, დაიწყება 3-მდე ახალ ლოკაციაზე პროფესიული სასწავლებლების მშენებლობა და დასრულდება 4 პროფესიული სასწავლებლის მშენებლობის პროექტირება. მ.შ. სოფლის განვითარების 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის (RDAP 2018-2020) აქტივობა 2.2.2* ფარგლებში. 2 პროფესიული სასწავლებელის საერთო საცხოვრებლის მსენებლობა, 1 კოლეჯის სასწავლო კორპუსისა და სახელოსნოს მშენებლობა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - დასრულდება 3 ახალი პროფესიული სასწავლებლის მშენებლობა;დაიწყება 4-მდე ახალი პროფისიული სასწავლებლის მშენებლობა; მ.შ. სოფლის განვითარების 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის (RDAP 2018-2020) აქტივობა 2.2.2* ფარგლებში სულ მცირე ერთ მუნიციპალიტეტში განვითარებულია ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება (რეაბილიტაცია, აღჭურვა); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - შეფერხება ტექნიკური უზრუნველყოფის კუთხით; დაქირავებული სამშენებლო კომპანი(ებ)ის

	მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშოების არაჯეროვანი, ან დაგვიანებით შესრულება. სამშენებლო ტერიტორიის მოძიება და სანებართვო პროცედურები **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - განხორციელდება 1 პროფესიული სასწავლებლის სრული რეაბილიტაცია და 8 პროფესიულ სასწავლებელში და მათ ფილიალებში შესრულდება სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 6-მდე პროფესიულ სასწავლებელში და მათ ფილიალებში განხოციელდება სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - შეფერხება ტექნიკური უზრუნველყოფის კუთხით **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - შესაბამისი ინვენტარით მომარაგდა 15-მდე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მოთხოვნის შესაბამისად ინვენტარით მომარაგდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებები; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - შეფერხება ტექნიკური უზრუნველყოფის კუთხით

სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიული ორგანოების ინფრასტრუქტურის განვითარება (32 07 03)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
აღწერა და მიზანი	სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიული ორგანოების მშენებლობა - რეაბილიტაცია, სხვადასხვა სახის ინვენტარითა და აღჭურვილობით უზრუნველყოფა
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიული ორგანოების ინფრასტრუქტურის განვითარება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - განხორციელდება არანაკლებ 15 ერთეული სამინისტროს სისტემაში შემავალი სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიული ორგანოების რეაბილიტაცია; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - განხორციელდება არანაკლებ 10 ერთეული სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიული ორგანოების რეაბილიტაცია; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 50%; **შესაძლო რისკები** - შეფერხება ტექნიკური უზრუნველყოფის კუთხით; შეფერხება ტენდერით გამოვლენილი მომწოდებლების მიერ

უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (32 07 04)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
აღწერა და მიზანი	უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების დაფინანსესება სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებისა და სხვადასხვა სახის ინვენტარით აღჭურვის უზრუნველყოფის მიზნით.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	უმაღლესი და სამეცნიერო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - დაფინანსებულია არანაკლებ 4 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებისა და საჭირო ინვენტარით აღჭურვის მიზნით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - დაფინანსდება არანაკლებ 4 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებისა და საჭირო ინვენტარით აღჭურვის მიზნით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 25%; **შესაძლო რისკები** - შეფერხება ტექნიკური უზრუნველყოფის კუთხით

საჯარო სკოლების ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის სისტემის განვითარება (32 07 05)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
აღწერა და მიზანი	საჯარო სკოლების ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის სისტემის განვითარების ხელშეწყობა; საჯარო სკოლების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი მხარეების შესაძლებლობების განვითარება; ინვენტარიზაცია და ინვენტარიზაციასთან დაკავშირებული პროგრამული უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ღონისძიებები.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	საჯარო სკოლების ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის სისტემის დანერგვა ხელს შეუწყობს ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის სისტემის ჩამოყალიბებასათვის საწყისი ამოცანების შესრულებას, რაც უზრუნველყოფს შემდგომ წლებში მის მდგრად მუშაობას.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - საქართველოს ყველა საჯარო სკოლაში განხორციელდა შენობების სრული ინვენტარიზაცია, განხორციელდება საჯარო სკოლების ტექნიკური მდგომარეობის შეფასება და აღნიშნული ინფორმაცია სრულად

	იქნება ასახული უკვე არსებულ მოვლა-პატრონობის პროგრამულ უზრუნველყოფაში. 2019 წელს მოვლა პატრონობის საპილოტე პროგრამაში ჩაერთო 126 საჯარო სკოლა. ასევე 2019 წლის განმავლობაში დასრულდება თიანეთის, ყაზბეგის, ონის, ქარელის, ოზურგეთის, ჩოხატაურის, ხაშურის, ბაღდათის, მარტვილის, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტების 56 საჯარო სკოლაში ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის პროგრამის ფარგლებში სარეაბილიტაციო სამუშაოები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 450-დე საჯარო სკოლაში განხორციელდება სამუშაოები ოპერირებისა და მოვლა პატრონობის პროგრამის ფარგლებში; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - შფერხება ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით

კულტურაში ინვესტიციებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების მხარდაჭერა (32 07 06)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
აღწერა და მიზანი	კულტურის სფეროში ინფრასტრუქტურის განვითარება (ახალი ობიექტების მშენებლობა, არსებული ობიექტებისთვის სარეაბილიტაციო ღონისძებების განხორციელება) და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სსიპ სახელოვნებოს ორგანიზაციების ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზების მოწესრიგება, მათი უსაფრთხო, სრულყოფილი და ეფექტური ფუნქციონირებისათვის მომზადება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - განხორციელდა კულტურის 13 ობიექტის ინფრასტრუქტურის განვითარება-განახლება/ ტექნოლოგიური აღჭურვა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - განხორციელდება კულტურის 13 ობიექტის ინფრასტრუქტურის განვითარება-განახლება/ ტექნოლოგიური აღჭურვა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 15%; **შესაძლო რისკები** - შემსრულებლისგან სახელშეკრულებო პირობების დარღვევა/ შეუსრულებლობა, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და ფიზიკური სამუშაოების შესრულებისთვის საჭირო კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადები

სპორტში ინვესტიციებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების მხარდაჭერა (32 07 07)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
აღწერა და მიზანი	სპორტის სფეროში ინფრასტრუქტურის განვითარება და მისი რეაბილიტაცია;

	სპორტული ფედერაციებისთვის და რეგიონული სპორტული ორგანიზაციებისთვის გადასაცემად სპორტული ინვენტარის და ეკიპირების შეძენა;
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	განვითარებულია სპორტული ინფრასტრუქტურა; გადამზადებული კვალიფიციური კადრები (მსაჯები, მწვრთნელები, სამედიცინო პერსონალი) გაუმჯობესებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (ინვენტარი; ეკიპირება)
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - საქართველოს რეგიონებში 3 სპორტის სასახლე (ხელშეკრულების გრაფიკის შესაბამისად ანაზღაურდება ხელშეკრულების ღირებულების 30%); 10 რაგბის/ფეხბურთის მოედანი (ხელშეკრულების გრაფიკის შესაბამისად ანაზღაურდება ხელშეკრულების ღირებულების 30%); სოფლის განვითარების 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის (RDAP 2018-2020) აქტივობა 2.2.10 და 2.2.11 ფარგლებში მიმდინარეობს 2 ორდარბაზიანი მულტიფუნქციური სპორტული დარბაზის მშენებლობა ქ. გორში და ქ. თელავში და სულ მუნიციპალიტეტებში დამონტაჟებულია 59 გარე სავარჯიშო მოწყობილობა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სპორტული ობიექტების გაზრდილი რაოდენობა, არანაკლებ 5 ერთეულით, მ.შ. სოფლის განვითარების 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის (RDAP 2018-2020) აქტივობა 2.2.11* ფარგლებში რეგიონებში დაიწყება 15 ფეხბურთისა და რაგბის მოედნების მშენებლობა. სოფლის განვითარების 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის (RDAP 2018-2020) აქტივობა 2.2.10* ფარგლებში დამონტაჟება 15 გარე სავარჯიშო მოწყობილობა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - შემსრულებლისგან სახელშეკრულებო პირობების დარღვევა/შეუსრულებლობა. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და ფიზიკური სამუშაოების შესრულებისთვის საჭირო კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადები **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 40 - მდე სპორტული ფედერაციისათვის და 10-მდე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის სხვადასხვა სახის სპორტული ინვენტარის და ეკიპირების გადაცემა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **შესაძლო რისკები** - შემსრულებლისგან სახელშეკრულებო პირობების დარღვევა/შეუსრულებლობა. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და ფიზიკური სამუშაოების შესრულებისთვის საჭირო კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადები

მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (32 05)

პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; სსიპ – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია; სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი; სსიპ – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი; სსიპ – გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა

	და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები
აღწერა და მიზანი	სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ინტელექტუალური და მატერიალური პოტენციალის ინტეგრაციის ხელშეწყობა; საზღვარგარეთ სამეცნიერო ცენტრებსა და უნივერსიტეტებთან სამეცნიერო თანამშრომლობის და ერთობლივი პროექტების განხორციელების ხელშეწყობა; უცხოელი მეცნიერების სამეცნიერო კვლევებს საქართველოში და ქართველი მეცნიერებისას - მსოფლიო მნიშვნელობის სამეცნიერო ცენტრებში, აგრეთვე ქართველი მეცნიერების მიერ უცხოელ მკვლევარებთან ერთობლივი კვლევითი პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა; სამეცნიერო გრანტების დაფინანსებით ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო ტექნოლოგიური კვლევების განხორციელების ხელშეწყობა; ახალგაზრდების ხელშეწყობა მეცნიერებაში მიზნობრივი პროგრამების დანერგვის გზით, თანამშრომლობის გაძლიერება სხვადასხვა სამეცნიერო ფონდებთან საზღვარგარეთ და ერთობლივი პროექტების განხორციელება; ევროკომისიის კვლევისა და ინოვაციის პროგრამის ,,Horizon-2020“-ის ფარგლებში თანამშრომლობა; მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის საგრანტო დაფინანსება; სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ხელშეწყობა; სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში მეცნიერების ინფრასტრუქტურული შესაძლებლობების, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა; სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა; საზღვარგარეთ ქართველოლოგიური კათედრებისა და ქართველოლოგის შემსწავლელი მეცნიერების გაძლიერება; უზრუნველყოფილი იქნება ახალგაზრდების მონაწილეობის ხელშეწყობა მეცნიერებაში მიზნობრივი პროგრამების დანერგვით; საინოვაციო პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა.
მოსალოდნელი	სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა;

საბოლოო შედეგი	ქვეყნის მატერიალური, კულტურული და სულიერი მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაცია; ქართველი მეცნიერების საერთაშორისო კვლევებში ჩართვისა და სართაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის ხელშეწყობა; სამეცნიერო ელექტრონულ ჟურნალთა მონაცემთა ბაზების პროდუქტების წვდომის უზრუნველყოფა ქართველ მეცნიერთა საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირებისა და კვლევების ხარისხის გაზრდის მიზნით; საგრანტო კონკურსების ადმინისტრირება.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - სამეცნიერო გრანტების გაცემისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის მიზნით დაფინანსებული საგრანტო პროექტების რაოდენობა. 2015-2018 წლებში გამარჯვებული და დაფინანსებული პროექტების რაოდენობა აღემატება 1 700-ს; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - რიგ სამეცნიერო (ქვე)მიმართულებებში მეცნიერთა არასაკმარისი რესურსი **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციების ხელშეწყობის მიზნით ჩატარდა სამეცნიერო-კვლევითი, შემეცნებითი ღონისძიებები - კონფერენციები, სემინარები, ტრენინგები, საჯარო ლექციები, გამოფენები - რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს და უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების წამყვანმა წარმომადგენლებმა; მეცნიერებისა და ინოვაციების კვირეულის, ფარგლებშიც გამართული ღონისძიებები რაოდენობა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - თბილისის მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის ორგანიზება; საქართველოს და უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების, სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით არანაკლებ ორმოცი სამეცნიერო-კვლევითი, ინოვაციური და შემეცნებითი ღონისძიების ჩატარება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 3%; **შესაძლო რისკები** - წარმოდგენილი პროექტების არაჯეროვანი შესრულება **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 43 დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 3%; **შესაძლო რისკები** - წარმოდგენილი პროექტების არაჯეროვანი შესრულება

სამეცნიერო გრანტების გაცემისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (32 05 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი
აღწერა და მიზანი	სამეცნიერო გრანტების გაცემისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა; კონკურსის წესით ღია, გამჭვირვალე და თავისუფალი კონკურენციის პრინციპების შესაბამისად სახელმწიფო გრანტების გზით გამორჩეული ხარისხის სამეცნიერო კვლევების დაფინანსება; ქვეყნის მატერიალური, კულტურული და სულიერი მემკვიდრეობის დაცვისა და პოპულარიზაციის, ასევე საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების განვითარების უზრუნველყოფის ხელშეწყობა; სამეცნიერო თანამშრომლობის გაღრმავება, ქართული მეცნიერების პოპულარიზაცია, ახალგაზრდა მეცნიერთა (პოსტ-დოქტორანტთა, დოქტორანტთა, მაგისტრანტთა) კვლევებისა და მათი კარიერული განვითარების ხელშეწყობა
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	საქართველოს სახელით და/ან საქართველოს მეცნიერთა თანაავტორობით გამოქვეყნებულია პუბლიკაციები საერთაშორისო რეფერირებად, რეცენზირებად, იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში; კვლევითი პროექტებიდან დარეგისტრირებულია საპატენტო განაცხადების და მიღებული ინტელექტუალური საკუთრების პროდუქტები; გაზრდილია საქართველოს შემსწავლელ მეცნიერებათა პროგრამების რაოდენობა; უზრუნველყოფილია ახალგაზრდა მეცნიერთა საგანმანათლებლო კომპონენტი.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - საქართველოს სახელით და/ან საქართველოს მეცნიერთა თანაავტორობით გამოქვეყნებული პუბლიკაციების რაოდენობა 112 პუბლიკაცია; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 120 პუბლიკაცია; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - საერთაშორისო ჟურნალებში პუბლიკაციების რაოდენობის აღნიშნული ტემპით ზრდის შეფერხება **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - კვლევითი პროექტებიდან დარეგისტრირებული საპატენტო განაცხადების და მიღებული ინტელექტუალური საკუთრების პროდუქტების რაოდენობა შეადგენს 7 ერთეულს; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საპატენტო განაცხადების და ინტელექტუალური საკუთრების პროდუქტების რაოდენობა შეადგენს 8 ერთეულს; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%;

	შესაძლო რისკები - აღნიშნული რაოდენობის საპატენტო განაცხადების და ინტელექტუალური საკუთრების პროდუქტების დარეგისტრირების შეფერხება **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - საქართველოს შემსწავლელ მეცნიერებათა ერთობლივი პროგრამების რაოდენობა შეადგენს 2-ს; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საქართველოს შემსწავლელ მეცნიერებათა ერთობლივი საერთაშორისო პროგრამების რაოდენობა შეადგენს 3-ს; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 50%; **შესაძლო რისკები** - ბილატერალური პარტნიორობის ფარგლებში შესაძლო ორგანიზაციული სირთულეები **4.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ამჟამად არ არსებობს სრულად აღწერილი საქართველოს უსდ-ებსა და სამეცნიეორ -კვლევით ინსტიტუტებში არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურის სრულყოფილი რეესტრი, 5 სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის განახლებული სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 40%; **შესაძლო რისკები** - სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურის მაღალი ღირებულება

სამეცნიერო დაწესებულებების პროგრამები (32 05 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი; სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი; სსიპ – გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი
აღწერა და მიზანი	ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო კვლევების წარმოება, სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განახლება, ახალგაზრდა მეცნიერთა ხელშეწყობა; სამეცნიერო კვლევებში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება; საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო ფორუმების, კონგრესების, კონფერენციებისა და სემინარები გამართვა; სამეცნიერო და პოპულარული გამოცემები; კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური, წყაროთმცოდნეობითი და ხელოვნებათმცოდნეობითი ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევები; ბიბლიოგრაფიულ-საენციკლოპედიო, საგამოფენო-საგანმანათლებლო მიმართულებების განვითარება; საარქივო, საფონდო, სამუზეუმო და საბიბლიოთეკო საქმისწარმოება;

	ხელნაწერთა რესტავრაცია-კონსერვაცია; ფონდების დიგიტალიზაცია; ფუნდამენტური გამოკვლევების ჩატარება ბაქტერიოფაგიას, მიკრობიოლოგიასა და ვირუსოლოგიაში; ადამიანის და ცხოველების, ასევე, მცენარეების სხვადასხვა ბაქტერიული ინფექციის, მათ შორის ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტული ბაქტერიული შტამებით გამოწვეული ინფექციების ეთიოლოგიური სტრუქტურის შესწავლა; ბაქტერიული შტამების - გამომწვევების კვლევა და ამ შტამების საწინააღმდეგოდ სპეციფიური ფაგების გამოყოფა, მათი დეტალური შესწავლა და ფაგური პრეპარატების შექმნა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სამეცნიერო სტატიები, როგორც ქართულ ასევე უცხოურ ჟურნალებში; თეზისები საერთშორისო სიმპოზიუმებში, კონფერენციებსა და ფორუმებში მონაწილეობა საქართველოში და უცხოეთში; მონოგრაფიები, კრებულები, სამეცნიერო წიგნები; კონკურენტული კვლევითი გარემო; ახალგაზრდა მეცნიერთა ამაღლებული კვალიფიკაცია; მოდერნიზებული სამეცნიერო ინფრასტრუქტურა; სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნწერთა ეროვნული ცენტრის ამაღლებული ცნობადობა, როგორც ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი სამეცნიერო კულტურული დაწესებულების, საქართველოში და საზღვარგარეთ; საერთაშორისო და ადგილობრივი (საქართველო) სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება და ჩატარება; მაღალაქტიური, ეფექტური და სპეციფიური ბაქტერიოფაგების კოლექციის გამდიდრება, ახალი ფაგური პრეპარატების შექმნა და მათი პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობების დადგენა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - სსიპ – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის მიერ საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნდა 55 სტატია უცხოურ და 40 სტატია ადგილობრივ სამეცნიერო ჟურნალებში. გამოქვეყნდა 60 სამეცნიერო თეზისი საერთაშორისო ფორუმებში და 10 თეზისი საქართველოში ჩატარებულ სამეცნიერო

	კონფერენციებში მონაწილეობისათვის; ორგანიზება გაეწია და ჩატარდა სამი საერთაშორისო და ორი ადგილობრივი სამეცნიერო კონფერენცია. გამოქვეყნდა ცენტრის შრომათა კრებულის მე-2 ტომი, ინგლისურ ენაზე; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** საბაზისო მაჩვნებელის შენარჩუნება **2.** **საბაზისო მაჩვენებელი -** სსიპ – გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტის მიერ განხორციელდა სხვადასხვა ინფექციური დაავადებების ბაქტერიული გამომწვევების კვლევა, ამ გამომწვევების, მათ შორის, ანტიბიოტიკო-რეზისტენტული ბაქტერიული შტამების მიმართ აქტიური ფაგების გამოყოფა, შერჩევა და დეტალური დახასიათება. ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშომლებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, წარადგინეს თეზისები. გამოქვეყნებული იქნა სამეცნიერო სტატიები, მათ შორის მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში. მიიღო მონაწილეობა სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო საგრანტო კონკურსებში. ჩატარდა საერთაშორისო საზაფხულო სკოლა სტუდენტებისა და ახალგაზრდა მეცნიერთათვის; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** სამეცნიერო კვლევების ჩატარება, საერთაშორისო და ეროვნულ სამეცნიერო საგრანტო კონკურსებში საპროექტო განაცხადების წარდგენა, კვლევითი კონტრაქტების მოძიება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5%; **შესაძლო რისკები -** გამარჯვებული საპროექტო განაცხადების სიმცირე **3.** **საბაზისო მაჩვენებელი -** სსიპ – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო კვლევები; ორგანიზებული და ჩატარებული სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციები, ფორუმები, საიუბილეო დღეები და სხვა ღონისძიებები; საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით შემუშავებულია ხელნაწერთა აღწერილობები, აღწერილობითი კატალოგები, ტექსტოლოგიურ-კოდიკოლოგიური კვლევების სტანდარტები. სამუზეუმო მიმართულებით საერთაშორისო თუ ადგილობრივი სტანდარტების დაცვით მოწყობილია საგამოფენო ინფრასტრუქტურა - საგამოფენო დარბაზები; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** საბაზისო მაჩვნებელის შენარჩუნება

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ხელშეწყობა (32 05 03)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია
აღწერა და მიზანი	აგროსასურსათო სექტორში გამოყენებითი და ფუნდამენტური კვლევების ხელშეწყობა; სამეცნერო ხასიათის შეხვედრები აგრონომიის, აგროინჟინერიის, სასურსათო ტექნოლოგიებისა და სურსათის უვნებლობის, მეცხოველეობის და ვეტერინარიის, ეკონომიკის და სატყეო საქმის სამეცნიერო მიმართულებით; სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგად რეკომენდაციების შემუშავება, კვლევითი საქმიანობისა და სწავლების ერთობლივი ფუნქციონირების მხარდაჭერა, საერთაშორისო და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის გაღრმავება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი	საქართველოში სოფლის მეურნეობის (აგრარული) მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა მსოფლიო მეცნიერების მიღწევათა შესაბამისად.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი -** მომზადდა და გამოიცა პუბლიკაციები: „სსმმ აკადემიის 2018 წლის ანგარიში", სახელმწიფო პროგრამული რეკომენდაცია "მარცვალი", აკადემიის სამეცნიერო შრომათა კრებული "მოამბე - ორი ტომი", ოთხი სახელმძღვანელო, 15-მდე მონოგაფია, 250-მდე სამეცნიერო სტატია, 20 რეკომენდაცია და 20 ბროშურა. აკადემიის მეცნიერ - თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში - მომზადდა და გამოიცა კონფერენციის მასალები, ჩატარდა 9 სემინარი (მ.შ. 3 გამსვლელი) და 13 შეხვედრა მრგვალი მაგიდის ფორმატით; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 1. აკადემიის მიერ გამოქვეყნებული აგრარული პროფილის სამეცნიერო ნაშრომების, ენციკლოპედიებისა და ჟურნალების 5%-ით გაზრდა

სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (32 05 04)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
აღწერა და მიზანი	სამეცნიერო - კვლევითი დაწესებულებების/ერთეულების ხელშეწყობის მიზნით მეცნიერული კვლევების პრიორიტეტული მიმართულებების გამოკვეთა, სამეცნიერო პერსონალისთვის თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებზე დამყარებული უნარ-ჩვევების გამომუშავება; სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის, მათ შორის, სამეცნიერო საქმიანობისათვის საჭირო ტექნიკური ხასიათის მხარდაჭერის უზრუნველყოფა და შესაფერისი პირობების შექმნა; კვლევის პროცესში ინოვაციების გამოკვეთა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	დაფინანსდება 42 დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საქმიანობა (სამეცნიერო პროგრამა), რაც ნიშნავს სამეცნიერო მიმართულებათა ფართო სპექტრის მხარდაჭერას; გაიზრდება სამეცნიერო კვლევების ეფექტიანობა (პუბლიკაციები მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში, ციტირების ინდექსი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების, სიმპოზიუმებისა და ფორუმების ორგანიზება, მათში მონაწილეობა და სხვ.); გაიზრდება ქართველი მეცნიერების ცნობადობა საზღვარგარეთ; გაიზრდება ქართველი მეცნიერების პროდუქტიულობა (მონოგრაფიები, წიგნები, კრებულები და სხვ.);

	გაიზრდება სამეცნიერო კვლევებში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა; სამეცნიერო ინფრასტრუქტურა გაუმჯობესდება და მიუახლოვდება საერთაშორისო სტანდარტებს; გაიზრდება სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ცნობადობა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ; გაძლიერდება კავშირები ეკონომიკის პრაქტიკულ საჭიროებებსა და შესაბამისი პროფილის სამეცნიერო კვლევებს შორის.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - სსიპ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ სამეცნიერო-კვლევით ერთეულთა წლიური სამეცნიერო საქმიანობის შეფასების შედეგები. ანგარიშის თანხმად, უმაღლესი შეფასება მიიღო 28 სამეცნიერო კვლევითმა ერთეულმა, დამაკმაყოფილებელი შეფასება - 13, უარყოფითი შეფასება 0, ხოლო არ შეფასდა 1 სამეცნიერო კვლევითი ერთეული; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შეფასების 10%-ით გაუმჯობესებული მაჩვენებლები; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ან ქვეპროგრამის გაუქმება **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების მიერ პროგრამით გამოყოფილი დაფინანსების ათვისების მაჩვენებლები შეადგენს 90%-ს; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - გაუმჯობესდება სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების მიერ პროგრამით გამოყოფილი დაფინანსების ათვისების მაჩვენებლები; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ან ქვეპროგრამის გაუქმება

მეცნიერების პოპულარიზაცია (32 05 05)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
აღწერა და მიზანი	საქართველოში მეცნიერების პოპულარიზაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით ყოველწლიური მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის ჩატარება, რომელიც მიზნად ისახავს სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციების პოპულარიზაციას, ქვეყნის სამეცნიერო და ინოვაციური პოტენციალის წარმოჩენას, ქართველ და უცხოელ მკვლევართა მიღწევების გაცნობას ფართო საზოგადოებისათვის, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სფეროების დაახლოებას.
მოსალოდნელი	გაიზრდილია ქართველი მეცნიერების ცნობადობა სკოლის მოსწავლეებში, ახალგაზრდებსა და ფართო

შუალედური შედეგი	საზოგადოებაში, მეცნიერების მოტივაცია და მეცნიერების პროფესიის პრესტიჟი; გაიზრდილია სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასა და ინოვაციებში ჩართული სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტების რაოდენობა, ასევე ახალგაზრდების, სტუდენტებისა და სკოლის მოსწავლეების დაინტერესება სამეცნიერო კვლევებითა და ინოვაციებით
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა 150-მდე ღონისძიება; ფესტივალში მონაწილეობა მიიღო 40-მდე ორგანიზაციამ; ფესტივალმა უმასპინძლა რამდენიმე ათასს სტუმარს; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ფესტივალის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებების, მონაწილე სუბიექტებისა და ვიზიტორების რაოდენობა საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 10%-ით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - მოწვეული სტუმრებისა და საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ფესტივალის ღონისძიებებში მონაწილეობის ინტერესის შემცირება

პროფესიული განათლება (32 03)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს აპარატი; სსიპ – ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა; სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი; პროფესიული პროგრამების განმახორციებელი საგანმანათლებლო დაწესებულებები
აღწერა და მიზანი	ქვეყნის სოციო-ეკონომიკური განვითარების მხარდასაჭერად, საქართველოს მოქალაქეების ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა პროფესიული და ზოგადი უნარების განვითარების გზით; პროფესიული განათლების ინკლუზიურობის უზრუნველსაყოფად ახალი სერვისების განვითარება, როგორც მოზარდებისა და ახალგაზრდების, ისე ზრდასრულების საგანმანათლებლო საჭიროებების შესაბამისად; პროფესიული განათლებისა და მომზადების ერთიანი, ხარისხიანი და ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება; განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიის, პროფესიული განათლების რეფორმის 2013–2020 წლების სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმების განხორციელების ხელშეწყობა; პროფესიული განათლების მიღების მსურველთა მზარდი მოთხოვნის საპასუხოდ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება;

	მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და გეოგრაფიული დაფარვის გაუმჯობესება; პროფესიული განათლების ინკლუზიურობის უზრუნველსაყოფად ახალი სერვისების განვითარება, როგორც მოზარდებისა და ახალგაზრდების, ისე ზრდასრულების საგანმანათლებლო საჭიროებების შესაბამისად; პროფესიული განათლების სისტემაში დუალური ანუ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომით დანერილი პროგრამების რაოდენობის ზრდა საჯარო-კერძო პარტნიორობის გზით; ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა და სხვა დაინტერესებულ პირთა სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლება და ადგილობრივ დონეზე სახელმწიფო ადმინისტრირების მიმართულებით საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულ და სხვა დაინტერესებულ პირთა პროფესიული ცოდნის და უნარების გაუმჯობესება
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	გაზრდილია პროფესიულ განათლებაზე გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობა ყველა სამიზნე ჯგუფისთვის; პროფესიული კვალიფიკაციები ფორმირებულია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობის მიზნით დანერგილია სამუშაოზე დაფუძნებული/დუალური პროგრამები და გაუმჯობესებულია სამეწარმეო სწავლება; გაუმჯობესებულია სწავლა სწავლების ხარისხი; უზრუნველყოფილია პროფესიული განათლების მასწავლებლის უწყვეტი პროფესიული განვითარება; უზრუნველყოფილია პროფესიული განათლების კავშირი განათლების სხვა საფეხურებთან; გაუმჯობესებულია საჯარო-კერძო პარტნიორობა და გაზრდილია ერთობლივად განხორციელებული პროექტების მასშტაბი; შექმნილია ზრდასრულთა განათლების სისტემა და ფორმალური/არაფორმალური განათლების აღიარების ეფექტური მექანიზმები; განვითარებულია პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სერვისი
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - სახელმწიფო სასწავლებლებში, პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა მაჩვენებელი წლიურად აღწევს 8500-ს, ხოლო კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი აღწევს 60%-ს; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საანგარიშო პერიოდში საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა მაჩვენებელი გაიზრდება 20%-ით, ხოლო კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი

	შეადგენს არანაკლებ 60%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - ბენეფიციარების ნაკლები ინტერესი პროფესიული განათლების არსებული იმიჯის გამო; სამუშაო ადგილების სიმცირე და კვალიფიკაციების არარელევანტურობა; **შესაძლო რისკები** - საზოგადოების ნაკლები ინფორმირება და სტერეოტიპები; არსებული ქსელის გეოგრაფიული გაფართოების და სამოსწავლო ადგილების გაზრდის შეფერხება **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - დანერგილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების 100% -ზე მეტი არის დამსაქმებლის მონაწილეობით შექმნილი მოდულური (საიდანაც მინიმუმ 20 არის დუალური) პროგრამები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - დანერგილი დუალური პროგრამების რაოდენობა გაზრდილია 50%-ით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - მიზნობრივ მაჩვენებელზე შესაძლოა გავლენა მოახდინოს კერძო სექტორის ნაკლებმა ინტერესმა დუალური პროგრამების მიმართ, ასევე საკანონმდებლო ცვლილებების შეფერხებამ; **შესაძლო რისკები** - კერძო სექტორის ნაკლები ინტერესი სისტემაში ჩასართავად რეფორმირებისადმი რეზისტენტობა გადაწყვეტილების მიმღებთა მხრიდან, განსაკუთრებით დაწესებულებების ადმინისტრაციის დონეზე ფინანსური რესურსების შემცირება **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი სახელმწიფო დაწესებულებების რაოდენობა შეადგენს 41-ს (12 ფილიალით), მათ შორის 3 საჯარო-კერძო პარტნიორობის ფარგლებში; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სასწავლებლების რაოდენობა გაზრდილია მინ 3 ახალი ლოკაციით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - მიზნობრივ მაჩვენებელზე შესაძლოა გავლენა მოახდინოს კერძო სექტორის ნაკლებმა ინტერესმა და დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების შეფერხებამ; **შესაძლო რისკები** - კერძო სექტორის ნაკლები ინტერესი, სამშენებლო სამუშაოების გახანგრძლივება

პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობა (32 03 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	პროფესიული კოლეჯები; სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს აპარატი
აღწერა და მიზანი	პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, არსებული პროფესიული საგანმანათლებლო ქსელის ფუნქციონირების, განვითარებისა და გაფართოების ხელშეწყობა; შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი მოდულური და დუალური პროგრამების დანერგვის ხელშეწყობა პროფესიულ სტუდენტთა სწავლების სახელმწიფო დაფინანსების უზრუნველყოფა; პროფესიულ განათლებაში სოციალური პარტნიორობის განვითარებისა და საჯარო-კერძო პარტნიორობის მხარდაჭერა; პროფესიული განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა - ინოვაციური სასწავლო გარემოს და სამეწარმეო

	განათლების, სასწავლო ინფრასტრუქტურის განვითარება; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ახალი მოდელისა და ხარისხის უზრუნველყოფის გაუმჯობესებული მექანიზმების დანერგვა; ინკლუზიური პროფესიული განათლების დანერგვის ხელშეწყობა და მოწყვლადი ჯგუფებისათვის მათ საჭიროებებზე მორგებული საგანმანათლებლო სერვისების მიწოდება; სკოლის მოსწავლეებისათვის პროფორიენტაციული სერვისის მიწოდება და პროფესიული განათლების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება; ზოგადი განათლების სასწავლო შედეგების პროფესიულ პროგრამებში ინტეგრირების ხელშეწყობა; ზრდასრულთათვის პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების განვითარება და არაფორმალური განათლების აღიარების მექანიზმების შექმნა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	გაუმჯობესებულია სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო ქსელის გეოგრაფიული დაფარვა მათ შორის საჯარო-კერძო პარტნიორობის ფორმატში და არსებულ ქსელში ყველა სამიზნე ჯგუფისათვის, უზრუნველყოფილია თანამედროვე სასწავლო გარემო; გაზრდილია პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა და კურსდამთავრებულთა დასაქმების/თვითდასაქმების მაჩვენებელი; უზრუნველყოფილია მოდულური (დამსაქმებლების მონაწილეობით შექმნილი) საგანმანათლებლო პროგრამების სრული დანერგვის მხარდაჭერა და გაზრდილია დანერგილი დუალური საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა; ხორციელდება პროფესიული განათლების საკომუნიკაციო სტრატეგია; გაზრდილია კერძო სექტორთან პარტნიორობით განხორციელებული პროექტების რაოდენობა; პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის შემუშავებულია პროფესიული განვითარების ახალი მოდელი; დანერგილია ხარისხის უზრუნველყოფის გაუმჯობესებული მექანიზმები და უზრუნველყოფილია ინოვაციური და სამეწარმეო სწავლების ხელშემწყობი მექანიზმები; განვითარებულია მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებზე მორგებული საგანმანათლებლო სერვისები;

	გაზრდილია პროფესიული უნარების განვითარების კურსებში ჩართული მოსწავლეებისა და საჯარო სკოლების რაოდენობა; პროფესიულ პროგრამებში ინტეგრირებულია ზოგადი განათლება; დანერგილია ზრდასრულთა განათლების და არაფორმალური განათლების აღიარების სისტემა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - სახელმწიფო სასწავლებლებში, პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხულია 8500-მდე სტუდენტი. სოფლის განვითარების 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის (RDAP 2018-2020) აქტივობა 2.1.3* ფარგლებში პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ (სოფლად მცხოვრებ) სტუდენტთა რაოდენობა 2018 წლის მაჩვენებელთან შედარებით გაიზრდება სულ მცირე 2%-ით ; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით ბენეფიციარების რაოდენობა გაზრდილია მინიმუმ 5%-ით. სოფლის განვითარების 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის (RDAP 2018-2020) აქტივობა 2.1.3* ფარგლებში პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ (სოფლად მცხოვრებ) სტუდენტთა რაოდენობა 2019 წლის მაჩვენებელთან შედარებით გაიზრდება სულ მცირე 2%-ით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2%; **შესაძლო რისკები** - ბენეფიციარების ნაკლები ინტერესი; სასწავლო ადგილების არასაკმარისი რაოდენობა. არასაკმარისი სერვისები ან/და არასათანადო ხარისხი და ხელმისაწვდომობა **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - შემუშავებულია პროფესიული განათლების მასწავლებლის მომზადების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის მოდელი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ახალი სისტემის ფარგლებში პროფესიული განათლების მასწავლებელთა 50% ჩართულია მომზადების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის მოდელში; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - პროფესიული განათლების მასწავლებლის მომზადების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სისტემის დამტკიცების შეფერხება **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - დანერგილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების 100% არის დამსაქმებლის მონაწილეობით შექმნილი მოდულური (საიდანაც მინიმუმ 29 არის დუალური (29 უნიკალური)) პროგრამები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - დანერგილია წელიწადში მინიმუმ 2 ახალი დუალური პროგრამა; **შესაძლო რისკები** - კერძო სექტორის ნაკლები ინტერესი სისტემაში ჩასართავად; რეფორმირებისადმი რეზისტენტობა გადაწყვეტილების მიმღებთა მხრიდან, განსაკუთრებით დაწესებულებების ადმინისტრაციის დონეზე; ფინანსური რესურსების შემცირება **4.** **საბაზისო მაჩვენებელი** - დაწყებულია ინტეგრირებული პროფესიული პროგრამების დანერგვა (ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები ინტეგრირებულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში);

	მიზნობრივი მაჩვენებელი - ინტეგრირებული პროგრამები ხორციელდება მინიმუმ 2 საგანმანათლებლო დაწესებულებაში; **შესაძლო რისკები** - პროცესების მართვისა და მონიტორინგის, ხარისხის უზრუნველყოფის სუსტი მექანიზმები, პედაგოგების არასაკმარისი კომპეტენციები ზოგადი განათლების ინტეგრირების საკითხში **5.** **საბაზისო მაჩვენებელი** - მე-8 - მე-12 კლასის მოსწავლეების პროფესიული უნარების განვითარების მიზნით განხორციელდა 300-ზე მეტი პროექტი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების მიზნით განხორციელებულია მინიმუმ 350 პროექტი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - სკოლების ნაკლები ინტერესი პროგრამაში ჩასართავად; არასაკმარისი რესურსები (ადამიანური, ფინანსური, ინფრასტრუქტურული) **6.** **საბაზისო მაჩვენებელი** - არაფორმალური განათლების აღიარება ხორციელება ორ სფეროში; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - არაფორმალური განათლების აღიარება შესაძლებელია დამატებით ერთ სფეროში; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - ქვეპროგრამის მიზნების განხორციელებისათვის საჭირო კადრების აყვანის გაჭიანურება. „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების დამტკიცების გაჭიანურება. არაფორმალური განათლების აღიარების მსურველთა ნაკლები ჩართულობა **7.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ფორმალიზირებულია პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - უზრუნველყოფილია პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელება მოთხოვნის შესაბამისად; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 15%; **შესაძლო რისკები** - ქვეპროგრამის მიზნების განხორციელებისათვის საჭირო კადრების აყვანის გაჭიანურება. „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების დამტკიცების გაჭიანურება. ზრდასრული მოსახლეობის ტრენინგებში ჩართვის დაბალი მოტივაცია

მსჯავრდებული პირებისათვის და ყოფილი პატიმრებისათვის პროფესიული განათლების მიღების ხელმისაწვდომობა (32 03 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	პროფესიული პროგრამების განმახორციებელი საგანმანათლებლო დაწესებულებები; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს აპარატი
აღწერა და მიზანი	პროფესიული მომზადების პროგრამების მეშვეობით სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულთა სხვადასხვა პროფესიის დაუფლების ხელშეწყობა და ამ გზით მათი რესოციალიზაციის ხელშეწყობა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბენეფიციარებისათვის სახელმწიფო დაფინანსებით, ხელმისაწვდომია მრავალფეროვანი პროფესიული მომზადება/გადამზადების კურსები.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - შესაბამისი მომართვის საფუძველზე, სრულად არის უზრუნველყოფილი ბენეფიციართა პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შესაბამისი მომართვის საფუძველზე, სრულად არის უზრუნველყოფილი ბენეფიციართა პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10 %; **შესაძლო რისკები** - ბენეფიციარების დაბალი მოტივაცია ან/და პარტნიორი უწყების მხრიადან შესაბამისი მოთხოვნის შეფერხება

ეროვნული უმცირესობების პროფესიული გადამზადება (32 03 03)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა
აღწერა და მიზანი	საქართველოს რეგიონებში სახელმწიფო და ადგილობრივი მართვის სფეროში არსებული საკადრო დეფიციტის დაძლევა; საქართველოს მაღალმთიან და ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მცხოვრებ მოქალაქეთა ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობა; ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის სახელმწიფო ენის სწავლება.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამის ფარგლებში გადამზადებულია საჯარო მოხელეები, შესაბამისად, ამაღლებულია მათი კვალიფიკაციისა და პროფესიული უნარ-ჩვევების დონე; გადამზადებულია სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის ფარგლებში საჯარო მოხელეები, სკოლის და ბაღის პედაგოგები და სხვა დაინტერესებული პირები, რომლებმაც გაიუმჯობესეს ქართული ენის ფლობის დონე, ასევე დაეუფლენ დარგობრივი მიმართულებების ლექსიკას.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამის კურსდამთავრებულთა რაოდენობა - 300 (2018 წლის ფაქტობრივი მაჩვენებელი) სოფლის განვითარების 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის (RDAP 2018-2020) აქტივობა 2.1.4 ფარგლებში საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამის კურსდამთავრებულთა რაოდენობა - 300;

	მიზნობრივი მაჩვენებელი - საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამის კურსდამთავრებულთა რაოდენობა - 400. მ.შ სოფლის განვითარების 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის (RDAP 2018-2020) აქტივობა 2.1.4 ფარგლებში საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამის კურსდამთავრებულთა რაოდენობა - 350; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - სამიზნე ჯგუფის პროფესიულ განვითარებაში მონაწილეობის დაბალი აქტივობა; გარე ფაქტორები (შეფერხებები დაფინანსებაში, პოლიტიკური ცვლილებები) **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის კურსდამთავრებულთა რაოდენობა - 3400 (2018 წლის ფაქტობრივი მაჩვენებელი). მათ შორის: სოფლის განვითარების 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის (RDAP 2018-2020) აქტივობა 2.1.4 ფარგლებში სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის კურსდამთავრებულთა რაოდენობა - 3 300; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის კურსდამთავრებულთა რაოდენობა - 3500. მათ შორის სოფლის განვითარების 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის (RDAP 2018-2020) აქტივობა 2.1.4 ფარგლებში სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის კურსდამთავრებულთა რაოდენობა - 3 400; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - სხვა ალტერნატიული პროგრამების არსებობა; ბენეფიციართა დაბალი მოტივაცია **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - დამტკიცებული სასწავლო პროგრამების რაოდენობა - 16; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - პროგრამების რაოდენობა - 20; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - შეფერხებები დაფინანსებაში **4.** **საბაზისო მაჩვენებელი** - გადამზადებულ მსმენელთა 40% კაცია, 60% ქალი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 45%-55%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - ბენეფიციართა დაბალი მოტივაცია

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა (32 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; საგანმანთლებლო რესურსცენტრები; სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა; სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
აღწერა და მიზანი	განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება;

	განათლების სისტემის კომპლექსური რეფორმის ეტაპობრივი განხორციელება, რომელიც გულისხმობს სისტემურ ცვლილებებს განათლების ყველა მიმართულებისა და საფეხურისთვის; სამინისტროს კომპეტენციის შესაბამისი სფეროს/დარგის/მიმართულების განვითარების ხელშეწყობა, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა; აღზრდისა და განათლების ინტეგრაცია სასკოლო მზაობისთვის; ზოგადი განათლების მიმართულებით უნარებისა და ღირებულებების განვითარებაზე, კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებაზე, სწრაფად ცვალებად გარემოში ადაპტირებასა და წიგნიერებაზე ორიენტირებული „ახალი სკოლის“ მოდელის, ასევე ინკლუზიური და სამოქალაქო განათლების პრინციპებზე დაფუძნებული ახალი სასწავლო პროგრამებისა და რესურსების დანერგვა; სკოლებში თანამედროვე მოთხოვნების და შესაძლებლობების საგანმანათლებლო გარემოს ჩამოყალიბება; მასწავლებლების პროფესიის პრესტიჟისა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე, მათ ღირსეულ ანაზღაურებაზე ზრუნვა; სამინისტროს სისტემაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების და საჯარო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი; განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მართვის სისტემების განვითარების ხელშეწყობა; საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კულტურისა და სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; განათლების სისტემაში თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება; განათლების მართვის საინფორმაციო სისტემებისა და მონაცემთა ბაზების ფორმირება საგანმანათლებლო სისტემაში ბიზნესს პროცესების ეფექტიანი მართვისა და ინფორმაციული უზრუნველყოფისათვის; საზოგადოებრივ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალგაზრდების აქტიური ჩართვის ხელშეწყობა; ახალგაზრდებისათვის შესაბამისი და მაღალხარისხიანი განათლების მიღების, დასაქმებისა და პროფესიული ზრდის ხელშეწყობა; განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის პოლიტიკის და მისი აღსრულების ეფექტიანი მექანიზმების

	შემუშავების, მონიტორინგის „კარგი მმართველობის“ პრინციპით უზრუნველყოფა; საქართველოს განათლების სისტემაში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ხელშეწყობა, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და სწავლების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა; ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვასა და ახალგაზრდებისადმი კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა; კულტურული დიპლომატიის მეშვეობით ქართული კულტურის ინტერნაციონალიზაციასა და ქვეყნის პოპულარიზაციას საერთაშორისო დონეზე ხელშეწყობა
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სფეროში სახელმწიფოს ერთიან ხედვასა და სტრატეგიასთან შესაბამისობაში განხორციელებული სახელმწიფო პოლიტიკა; საგანმანათლებლო დაწესებულებების მონიტორინგის და კონტროლის სისტემის გაუმჯობესება და მიღებული გადაწყვეტილებების გამჭვირვალობისა და ხარისხის უზრუნველყოფა; განათლების ხარისხის შიდა და გარე მექანიზმების შედეგებზე ორიენტირებული სისტემის დანერგვა და მისი მეშვეობით საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება, ახალი მოთხოვნებიდან გამომდინარე ექსპერტების გადამზადება და საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერა; ხარისხიანი და თანაბრად ხელმისაწვდომი განათლების ხარისხზე ორიენტირებული სასწავლო გეგმებისა და პროგრამების დანერგვა; განათლების სისტემაში თანამედროვე ინფორმაციული-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება; ახალგაზრდული საქმიანობის უწყვეტი მხარდაჭერა, მათ შორის შშმ პირების ინკლუზიაზე ორიენტირებული არაფორმალური განათლების პროგრამების მხარდაჭერა; არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობის გაუმჯობესება ახალგაზრდული პროექტების ხელშეწყობისა და განვითარებისთვის; ერთიანი საინფორმაციო სისტემის შექმნა, მართვის ელექტრონული სისტემების დანერგვა/ განვითარება; განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სფეროში პოლიტიკის დაგეგმვის და განხორციელების ეფექტიანობის ზრდა, დაფინანსების, ადმინისტრირების, ანგარიშგებისა და მონიტორინგის მექანიზმების დახვეწა, საზოგადოების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და

	სპორტის პოლიტიკის შემუშავებასა და მართვაში.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მიმართულებით პოლიტიკისა და სტრატეგიის მუდმივი შემუშავება, განხორციელების კოორდინაცია და ანგარიშგება. ეროვნული და რეგიონული პროგრამებისა და პროექტების კოორდინაცია; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სწავლა-სწავლების ხარისხისა და მოსწავლეების შედეგების გაუმჯობესება; განათლების ყველა მიმართულებით თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. აქტივობების რაოდენობა (საერთაშორისო, თეატრალური, მუსიკალური, კინო, ლიტერატურული ფესტივალები; გამოფენები, კონკურსები, გამოცემები, ახალი დადგმები, გასტროლები, საიუბილეო ღონისძიებები; შშმპ და ეთნიკურ უმცირესობათა ხელშეწყობა; საქართველოს რეგიონებში კულტურული და სპორტული ღონისძიებები) **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - მიმდინარეობდა მუშაობა: ადრეული და სკოლამდელი განათლების სისტემის შექმნისა და განვითარების, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სისტემების სრულყოფისა, მეცნიერების განვითარებისა და სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის განხორციელების მიზნით; ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარებაზე, დანერგვასა და დანერგვის მონიტორინგზე, ინკლუზიური განათლების დანერგვის ხელშეწყობაზე სკოლამდელ, ზოგად, პროფესიულ და უმაღლესი განათლების საფეხურებზე; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 2019-2020 სასწავლო წელს არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების I-VI კლასისა დ ხოლო ქართულენოვანი სკოლების/სექტორების VII კლასის მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან ახალი გრიფირებული სახელმძღვანელოებით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ზოგადი განათლების სამივე საფეხური უზრუნველყოფილია განახლებული გრიფირებული სახელმძღვანელოებით **4.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის სისტემაში მოქმედებს მასწავლებელთა შეფასების ელექტრონული სისტემა და პილოტურ რეჟიმში ელექტრონული ჟურნალის მოდული. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემა მორგებულია მოდულური სწავლების ამოცანებსა და პრინციპებზე; შემუშავებულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის საინფორმაციო სისტემის პლატფორმა. ვებგვერდის საშუალებით ხელმისაწვდომია ზოგადსაგანმანათლებლო ინდიკატორებისა და სტატისტიკის შესახებ ინფორმაცია; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი **5.** **საბაზისო მაჩვენებელი** - განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის პოლიტიკის სფეროებში შემუშავებული/დამტკიცებული გრძელვადიანი და მოკლევადიანი სტრატეგიული განვითარების დოკუმენტები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შემუშავებული/დამტკიცებულიგანათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის პოლიტიკისადა მეთოდოლოგიური/ სახელმძღვანელო დოკუმენტები; შესწავლილი და გაანალიზებული ეფექტური

	მართვის მოდელები; ჩატარებული კვლევები და შექმნილი მონაცემთა ელექტრონული ბაზა

ინკლუზიური განათლება (32 06)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი
აღწერა და მიზანი	საჯარო სკოლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლების ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვა, მათთვის შესაბამისი გარემოს უზრუნველყოფა, შესაბამისი სერვისების შეთავაზება განათლების ყველა საფეხურზე. ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული, ეფექტური და ეფექტიანი საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველყოფა; საჯარო სკოლების მოსწავლეების, სტუდენტებისა, სოციალური ფაქტორებით გამოწვეული, დევნილი, რეპატრირებული და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი განსაკუთრებული საჭიროებების, საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების/სტუდენტები/პირების ინტეგრაცია და სოციალიზაცია, სათემო აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება; რესურსსკოლების მოსწავლეების უზრუნველყოფა სრული სახელმწიფო სადღეღამისო ან დღის მომსახურებით, ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან აკადემიური, ფუნქციური და სოციალური უნარების განვითარება.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის მათ საჭიროებებზე მორგებული საგანმანთლებლო გარემოს შექმნა და მხარდაჭერა; სსსმ პირებისადმი მიმღებლობის ზრდა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება; რესურსსკოლების სააღმზრდელო ნაწილის მომსახურების უზრუნველყოფა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - სსსმ მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის მათ საჭიროებებზე მორგებული საგანმანთლებლო გარემოს შექმნა და მხარდაჭერა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ზოგადი და პროფესიული განათლების საფეხურზე შესაბამისი მომართვის საფუძველზე შეფასებულია ყველა მოსწავლე და სტუდენტი, მათთვის უზრუნველყოფილია ინდივიდუალურ საჭიროებაზე მორგებული განათლების პროცესი. განხორციელებულია ინკლუზიური განათლების საინფორმაციო და მეთოდოლოგიური მხარდაჭერა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - სსსმ მოსწავლეთა მკვეთრად გაზრდილი რაოდენობა **2.**

	საბაზისო მაჩვენებელი - 8 რესურსსკოლა ინდივიდუალური საჭიროებების, ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი იქნენ სრული სახელმწიფო სადღეღამისო ან დღის მომსახურებით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

საბიბლიოთეკო საქმიანობა (01 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა
აღწერა და მიზანი	საბიბლიოთეკო ფონდების ორგანიზება, სისტემატური შევსება, დაცვა და მათი საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; მონაცემთა ბაზების შექმნა და საზღვარგარეთის საბიბლიოთეკო ფონდების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორგანიზება ბიბლიოთეკათმცოდნეობის, წიგნთმცოდნეობის და ბიბლიოგრაფიის დარგებში; საერთაშორისო საბიბლიოთეკო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა; საბიბლიოთეკო დარგში ინოვაციური პროცესების მართვის ხელშეწყობა; საბიბლიოთეკო კადრების კვალიფიკაციის ამაღლება; საქართველოს ეროვნული ელექტრონული ბიბლიოთეკისა და ციფრული მემკვიდრეობის არქივის შექმნა; საბიბლიოთეკო პროცესებსა და მკითხველთა მომსახურებაში ინტერნეტის გამოყენება; საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ოფიციალური ვებგვერდის სრულყოფა და მხარდაჭერა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საბიბლიოთეკო სფეროს თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობა
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ელექტრონული ბაზების გაზრდილი მოცულობა; საგანმანათლებლო-სამეცნიერო და კულტურული ღონისძიებების რაოდენობა; მკითხველთა რაოდენობა ადგილზე და ელექტრონულად

სამართალდამცავი სტრუქტურებისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, გადამზადება, საარქივო ფონდების დიგიტალიზაცია, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და მოქალაქეთა მომსახურება (30 04)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია
აღწერა და მიზანი	პროფესიული და სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, საშუალო რგოლის კვალიფიციური და პროფესიონალი საპოლიციო, ასევე სამოქალაქო უსაფრთხოების საკითხებში, კადრების მომზადება და გადამზადება.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	• სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის ეფექტიანი ფუნქციონირება; • სამინისტროსთვის მომზადებული და გადამზადებული პროფესიონალი კადრები; • სამოქალაქო უსაფრთხოების საკითხებში მომზადებული და გადამზადებული პროფესიონალი კადრები; • ეფექტიანი ხარისხის კონტროლის მექანიზმი; • რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურა
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2019 წლამდე აკადემიაში მოქმედებდა პოლიციაში მისაღები კანდიდატების მომზადების რამდენიმე საბაზისო პროგრამა - პატრულ-ინსპექტორის, მესაზღვრე-კონტროლიორის, უბნის ინსპექტორის, მართლწესრიგის ოფიცრის, მესაზღვრის მომზადების საბაზისო პროგრამები. 2019 წელს აკადემიაში დაინერგა პოლიციელის მომზადების ერთიანი საბაზისო პროგრამა, რომელსაც ყველა პოლიციელი გაივლის. აგრეთვე აკადემიაში იფუნქციონირებს მესაზღვრის მომზადების საბაზისო პროგრამა და გამომძიებლის მომზადების პროგრამა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - პოლიციელების მომზადების ერთიან საბაზისო პროგრამაზე ჩარიცხული 2 400 კურსანტი; გამომძიებლის სპეციალიზაციის პროგრამაზე ჩარიცხული 300 კურსანტი; მესაზღვრის პროგრამაზე ჩარიცხული 800 კურსანტი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 25%; **შესაძლო რისკები** - რეალური მოთხოვნების გათვალისწინებით აკადემიაში არსებულ სხვადასხვა კურსებზე მოთხოვნილების შემცირება ან გაზრდა 2. **საბაზისო მაჩვენებელი** - დღეის მდგომარეობით სამინისტროში არ მოქმედებს თანამშრომელთა სავალდებულო პერიოდული გადამზადების მექანიზმი. თანამშრომელთა გადამზადება ხდება მხოლოდ საკანონმდებლო ცვლილებებისა თუ სამინისტროში განხორციელებულ რეფორმებთან გაცნობის მიზნით ხელმძღვანელი პირის გადაწყვეტილებით. მიზანშეწონილია მოხდეს პოლიციელისთვის სავალდებულო უნარ-ჩვევებისა და ცოდნის იდენტიფიცირება და წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით განხორციელდეს პოლიციელთა გადამზადება და შეფასება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შემუშავებული პერიოდული გადამზადების მექანიზმი; შემუშავებული შესაბამისი სასწავლო პროგრამები; მომზადებული ინსტრუქტორები; გადამზადებული 800 პოლიციელი;

ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 25%;
შესაძლო რისკები - რეალური მოთხოვნების გათვალისწინებით აკადემიაში არსებულ სხვადასხვა კურსებზე მოთხოვნილების შემცირება ან გაზრდა
3.
საბაზისო მაჩვენებელი - აკადემიაში ფუნქციონირებს სხვადასხვა თემატური სასწავლო პროგრამები, კურსები და ტრენინგები, რომლებიც შემუშავდა სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების ინტერესებიდან გამომდინარე. აღნიშნული პროგრამები საჭიროებს პერიოდულ განახლებას და საჭიროების შემთხვევაში და გამოწვევების საპასუხოდ ახალი პროგრამების შემუშავებას;
მიზნობრივი მაჩვენებელი - ტრეინინგ მოდულების განვითარება - ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ტრეინინგ მოდული; ნარკოტიკულ დანაშაულთან ბრძოლის ტრეინინგ მოდული; სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულის გამოძიების ტრეინინგ მოდული; პოლიციის როლი მრავალფეროვან საზოგადოებაში; ლგბტ პირებთან კომუნიკაციის თავისებურებები;
ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10 %;
შესაძლო რისკები - რეალური მოთხოვნების გათვალისწინებით ტრეინინგის რიცხოვნობის შემცირება ან გაზრდა
4.
საბაზისო მაჩვენებელი - მიმდინარეობს სასწავლო პროგრამების გადამუშავება/განახლება, რათა აქცენტი გაკეთდეს არა მხოლოდ თეორიული ცოდნის, არამედ პრაქტიკული უნარების განვითარებაზე. შესაბამისად საჭიროა შესაბამისი ინსტრუქტორების გადამზადება სწავლების ახალ მოდელზე გადასვლის მიზნით;
მიზნობრივი მაჩვენებელი - 50 გადამზადებული ინსტრუქტორი;
ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 20 %;
შესაძლო რისკები - რეალური მოთხოვნების გათვალისწინებით ინსტრუქტორთა რიცხვის შემცირება ან გაზრდა
5.
საბაზისო მაჩვენებელი - აკადემიის ინფრასტრუქტურა საჭიროებს მუდმივ განახლებას, რათა პასუხობდეს თანამედროვე მოთხოვნებს. პერმანენტულად საჭიროებს მიმდინარე რემონტს ზოგიერთი სასწავლო აუდიტორია, საცურაო აუზი, კიბის უჯრედები. 2019 წელს დასრულდება სავარჯიშო დარბაზის კაპიტალური რემონტი, რომელსაც დასჭირდება ტრენაჟორებით აღჭურვა;
მიზნობრივი მაჩვენებელი - გარემონტებული საცურაო აუზი; გარემონტებული 8 სასწავლო აუდიტორია; გარემონტებული კიბის უჯრედი; გარემონტებული და აღჭურვილი სავარჯიშო დარბაზი
6.
საბაზისო მაჩვენებელი - სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის მსმენელების 100% უზრუნველყოფილია შეუფერხებელი და ეფექტიანი სასწავლო პროცესით;
მიზნობრივი მაჩვენებელი - არსებული მაჩვენებლის შენარჩუნება
7.
საბაზისო მაჩვენებელი - შსს აკადემია წარმოადგენს პოლიციაში დასაქმების წინაპირობასა და ერთგვარ ფილტრს, აკადემიაში სწავლისას პირმა უნდა შეიძინოს საჭირო ცოდნა და შესაბამისი უნარები. აღნიშნულის მისაღწევად აუცილებელია რომ აკადემიაში მოქმედებდეს ეფექტიანი ხარისხის კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროგრამების, სწავლების მეთოდოლოგიის და ინსტრუქტორების ცოდნის შესაბამისობას

	სათანადო სტანდარტებთან. აღნიშნული პროცესის წარმართვა სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) მიერ შემუშავებული საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შემუშავებული ინსტრუქტორების სამსახურში მიღების წესი და საკვალიფიკაციო მოთხოვნები; შემუშავებული სასწავლო პროგრამების შემუშავების წესი და სასწავლო პროცესისა და სწავლების მეთოდოლოგიის მონიტორინგის მექანიზმი. ISO 21001:2018 სტანდარტის სერთიფიკატის მიღება **8.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 2019 წელს აკადემიას შეუერთდა საგანგებო სიტუაციების სასწავლო მომზადების ცენტრი, რისთვისაც შეიქმნა სამოქალაქო უსაფრთხოების საკითხებში მომზადება-გადამზადების სამმართველო. საჭიროა საბაზისო და სპეციალური კურსების შექმნა, მოსაწყობია სასწავლო ინფრასტრუქტურა და შესაბამისად აღჭურვა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სამოქალაქო უსაფრთხოების საკითხებში მომზადების სამმართველოს სრულად დაკომპლექტება, შემუშავებული საბაზისო კურსი, შემუშავებული სპეციალური კურსები

სახელოვნებო და სასპორტო დაწესებულებების ხელშეწყობა (32 08)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ სკოლისგარეშე სახელოვნებო და სასპორტო საგანმანათლებლო სასწავლებლები
აღწერა და მიზანი	სახელოვნებო და სასპორტო საგანმანათლებლო სასწავლებლების ხელშეწყობა, თითოეული მათგანის მისიის შესაბამისი, შედეგებზე ორიენტირებული პროგრამების მხარდაჭერით (კონცერტები, გამოფენები, სპექტაკლები, კონკურს-ფესტივალები, მასტერკლასები, სპორტული ღონისძიებები); სახელოვნებო და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებების მდგრადი განვითარების და ხარისხიანი სწავლების უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებული საფეხურეობრივი განვითარების სტრატეგიული გეგმა; საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლების უზრუნველყოფის მიზნით ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და სწავლების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა; ახალგაზრდების დასაქმებისათვის საჭირო უნარებისა და კომპეტენციების განვითარება, პროფესიული შესაძლებლობების ზრდა; ხარისხზე ორიენტირებული, ახალგაზრდის შემოქმედებით და სპორტულ უნარებზე მორგებული, დაფინანსების მოქნილი მოდელების შემუშავების გზით მაღალკვალიფიციური, შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი სახელოვნებო და სასპორტო დარგების სპეციალისტების აღზრდა. თანამედროვე სასწავლო ინფრასტრუქტურის განვითარება; ხარისხიანი სწავლების პროცესის უზრუნველსაყოფად სწავლებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სასწავლებლების აღჭურვა;

	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პოპულარიზაცია და მხარდაჭერა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სახელოვნებო და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებების მდგრადი განვითარების და ხარისხიანი სწავლების უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებულია და ხორციელდება განვითარების სტრატეგიული გეგმა. განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამების საბაკალავრო საფეხურზე განხორციელებისათვის, ერთეულ სტუდენტის საჭიროებაზე გათვლილი სწავლის ღირებულება; შემუშავებულია უმაღლეს სახელოვნებო და საგანმანათლებლო სასწავლებლებში სწავლებაზე დაშვების წინაპირობად უნივერსიტეტების მიერ შემოქმედებითი და სპორტული ტურის ჩატარების და შეფასების მექანიზმები. დაფინანსების მოქნილი სისტემა მორგებულია ახალგაზრდის შემოქმედებითი და სასპორტო უნარების მაღალ მაჩვენებლებს. უზრუნველყოფილია აკადემიური პერსონალისა და მოწვეული პედაგოგების შრომის შესაბამისი ანაზღაურება; თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვით უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური სახელოვნებო და სასპორტო დარგის სპეციალისტების კონკურენტუნარიანობა დასაქმების ბაზარზე. გაზრდილია სახელოვნებო და სასპორტო პროფესიული პროგრამებისადმი ინტერესი. სსიპ სახელოვნებო და სასპორტო საგანმანათლებლო უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლების მიღწევების განმტკიცება. საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის რაოდენობის შენარჩუნება საბაზისო მაჩვენებელის დონეზე; სსიპ სახელოვნებო და სასპორტო საგანმანათლებლო უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლების მიღწევების განმტკიცება და ღონისძიებების რაოდენობის შენარჩუნება საბაზისო მაჩვენებელის დონეზე; სსიპ სახელოვნებო და სასპორტო სკოლისგარეშე საგანმანათლებლო სასწავლებლების მიღწევების განმტკიცება საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის და აქტივობების რაოდენობის შენარჩუნება საბაზისო მაჩვენებელის დონეზე.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - სახელოვნებო და სასპორტო განათლების სასწავლებლების ფუნქციონირების ყოველწლიური დაფინანსება; სასწავლებლების მიერ განხორციელებული აქტივობების რაოდენობა - 900 მ.შ. სოფლის განვითარების 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის (RDAP 2018-2020) აქტივობა 2.1.9 ფარგლებში არანაკლებ 2 სახელოვნებო და სასპორტო განათლების სასწავლებლების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯით უზრუნველყოფა;

	მიზნობრივი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის ზრდა 10%-ით, მ.შ. სოფლის განვითარების 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის (RDAP 2018-2020) აქტივობა 2.1.9 ფარგლებში არანაკლებ 2 სახელოვნებო და სასპორტო განათლების სასწავლებლების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯით უზრუნველყოფა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 3%; **შესაძლო რისკები** - ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობა, დაბალი მოსწრება **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - საბაკალავრო საფეხურზე განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის, ერთეული სტუდენტის საჭიროებაზე, მის შემოქმედებით და სასპორტო უნარებზე მორგებული დაფინანსების ალტერნატიული მოდელი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სახელოვნებო-შემოქმედებით და სასპორტო მიმართულებით ხარისხიანი სწავლების დანერგვის მიზნით განხორციელებული ცვლილებები; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 3%; **შესაძლო რისკები** - შედეგების გრძელვადიანი პერსპექტივა ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობა

სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია (48 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
აღწერა და მიზანი	მეცნიერების განვითარების პროგნოზირება და სახელმწიფო პრიორიტეტების შესახებ წინადადებების მომზადება; ეკონომიკური და სოციალური პროექტების მეცნიერული შეფასება და რეკომენდაციების წარდგენა; უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების სამეცნიერო საქმიანობის წლიური შედეგების საექსპერტო შეფასება და რეკომენდაციების წარდგენა; მეცნიერული მონაპოვრის წარმოებაში დანერგვის ხელშეწყობა; სამეცნიერო ნაშრომების, სამეცნიერო ჟურნალების, ენციკლოპედიების და ლექსიკონების გამოცემა; საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესებისა და კონფერენციების გამართვა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანამშრომელთა და სხვა დაინტერესებული პირების გადამზადება (26 04)	
აღწერა და მიზანი	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აპარატის, სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების, პენიტენციური და პრობაციის სისტემების და სხვა ორგანიზაციების თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება, ტრენინგების სრული ციკლის (ტრენინგსაჭიროებათა ანალიზი,

	დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება) მართვის, აგრეთვე, საკონკურსო და საკვალიფიკაციო ტესტირებათა ორგანიზების საშუალებით; საქართველოში მიმდინარე სამართლებრივი რეფორმის და ქართული სამართლის საერთაშორისო სამართლის სტანდარტებსა და ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის სახელმწიფო პოლიტიკის ხელშეწყობა სასწავლო პროგრამების განხორციელების გზით; კერძო სექტორის, ასევე, საბიუჯეტო დაფინანსებზე მყოფი ორგანიზაციების წარმომადგენლების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ტესტური დავალებების, ტრენინგმოდულების, სასწავლო კურსებისა და პროგრამების შექმნა და მუდმივად განახლება, მათ შორის, უცხოური სერტიფიცირებული პროგრამების შეძენის გზით; სპეციფიკითა და შინაარსით ტრენინგების როგორც საჯარო მოხელეების, ისე სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და კერძო პირების საჭიროებებზე მორგება, რაც ხელს შეუწყობს მართლშეგნების ამაღლებასა და პიროვნული სამუშაო კომპეტენციების განვითარებას არა მარტო საჯარო სტრუქტურებში, არამედ ფართო საზოგადოებრივ წრეებშიც; სერტიფიკატის განახლების მიზნით, კვალიფიკაციის ამაღლებისა და პერიოდული გადამზადების კურსების ჩატარება სპეციალური პენიტენციური სამსახურისა და პენიტენციური დაწესებულებების მოქმედი მოსამსახურეებისათვის.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	იუსტიციის სამინისტროს სისტემის, სხვა საჯარო თუ კერძო ორგანიზაციების თანამშრომელთა და დაინტერესებულ პირთა კვალიფიკაციის ამაღლება, პიროვნული და პროფესიული განვითარება, პრაქტიკული უნარების გაძლიერება; იუსტიციის სამინიტროს სისტემისა და სხვა საჯარო და კერძო ორგანიზაციებისთვის კვალიფიცირებული კადრების შეფასებისა და შერჩევის უზრუნველყოფა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 2019 წელს ტრენინგს გაივლის 9 300 მსმენელი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2020 წელს ტრენინგს გაივლის 8 200 მსმენელი 2021 წელს ტრენინგს გაივლის 8 400 მსმენელი 2022 წელს ტრენინგს გაივლის 9 800 მსმენელი 2023 წელს ტრენინგს გაივლის 8 600 მსმენელი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** +/- 2%; **შესაძლო რისკები** - კვალიფიციური კადრების გადინება; სხვა სასწავლო ცენტრების მიერ გაწეული კონკურენციის შედეგად მსმენელების რაოდენობის შემცირება **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 2019 წელს ტესტირებას გაივლის 7000 აპლიკანტი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2020-2023 წლებში ყოველწლიურად ტესტირებას გაივლის 7000 აპლიკანტი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** +/-2%; **შესაძლო რისკები** - საჯარო და კერძო სტრუქტურებში თანამდებობის დასაკავებლად გამოსაცხადებელი კონკურსების რაოდენობის შემცირება

მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება (09 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - იუსტიციის უმაღლესი სკოლა
აღწერა და მიზანი	იუსტიციის მსმენელების (მოსამართლეობის კანდიდატების) პროფესიული სასწავლო კურსის რეგულარული განხორციელება; მოქმედი მოსამართლეების, მოსამართლეთა თანაშემწეების, სასამართლოს მენეჯერების და სასამართლოს სისტემის სხვა მოხელეების პროფესიული გადამზადება რეგულარული სასწავლო აქტივობების – ტრენინგების საშუალებით;
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სასამართლო კორპუსის კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა; მართლმსაჯულების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - პროცესი უწყვეტია და ყოველწლიურად ხორციელდება არანაკლებ 15 იუსტიციის მსმენელის (მოსამართლეობის კანდიდატის) მომზადება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ყოველწლიურად მოხდება მინიმუმ 15 იუსტიციის მსმენელის (მოსამართლეობის კანდიდატის) მომზადება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 0-30%. სკოლაში შესაძლოა ჩაირიცხოს თხუთმეტზე მეტი ან ნაკლები იუსტიციის მსმენელი; **შესაძლო რისკები** - იუსტიციის უმაღლეს სკოლაში შესაძლოა არ ჩაირიცხონ იუსტიციის მსმენელები **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - პროცესი უწყვეტია და ყოველწლიურად ხორციელდება არანაკლებ 85 სასწავლო აქტივობის (ტრენინგის) განხორციელება (მოსამართლეობის კანდიდატის) მომზადება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - წლის მანძილზე განხორციელდება მინიმუმ 85 სასწავლო აქტივობა (ტრენინგი); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 0-8%. პროცესში ჩართული დაინტერესებული მხარეების რაოდენობა; **შესაძლო რისკები** - საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად შესაძლოა საჭირო გახდეს დაგეგმილზე მეტი ტრენინგის ჩატარება,

საფინანსო სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება (23 05)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემია
აღწერა და მიზანი	ფინანსთა სამინისტროს სისტემის წარმომადგენელთა კვალიფიკაციის ამაღლება ტრენინგის საჭიროებათა ანალიზის

	განხორციელების ხელშეწყობისა და გეგმით გათვალისწინებული სასწავლო პროექტების განხორციელების გზით, ასევე, პროფესიულ განვითარებაზე მიმართული პროგრამების ორგანიზების საშუალებით. ფინანსთა სამინისტროს სისტემის, ასევე, სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების ხელშეწყობა ახალი კადრების შერჩევაში პროფესიული და საკვალიფიკაციო ტესტირების პროცესების ორგანიზების გზით. ფინანსთა სამინისტროს მიერ ინიცირებული რეფორმების ხელშეწყობა მათ დანერგვასთან დაკავშირებული ტრენინგების ორგანიზების საშუალებით. კერძო სექტორის განვითარების, ასევე, საბიუჯეტო დაფინანსებზე მყოფი ორგანიზაციების წარმომადგენლების კვალიფიკაციის ამაღლებისკენ მიმართული სასწავლო - შემეცნებითი, სემინარული და საკონფერენციო ტიპის პროექტების განხორციელება. პროფესიული ცოდნის დონის ამაღლების მიზნით, საერთაშორისო და უცხოურ ორგანიზაციებთან და სასწავლო დაწესებულებებთან ერთად სასწავლო პროგრამების შემუშავება-განხორციელება, მათ შორის, ნიდერლანდების ფინანსთა სამინისტროსთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ერთად განხორციელებული სასწავლო პროგრამის ფარგლებში.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	1. ფინანსთა სამინისტროს სისტემა უზრუნველყოფილია სათანადოდ მომზადებული/გადამზადებული კადრებით; 2. ფინანსთა სამინისტროს სისტემა, ასევე, სხვა დაინტერესებული ორგანიზაციები უზრუნველყოფილი არიან სწორად შერჩეული კადრებით; 3. ფინანსთა სამინისტროს მიერ ინიცირებული რეფორმების წარმატებით დანერგვის მიზნით, საფინანსო სექტორში დასაქმებულები უზრუნველყოფილი არიან შესაბამისი სასწავლო პროგრამებით / ტრენინგებით; 4. საბიუჯეტო და კერძო ორგანიზაციები უზრუნველყოფილი არიან საჯარო ფინანსებთან დაკავშირებული მომზადება/გადამზადების და სხვა სასწავლო პროექტებით; 5. საჯარო ფინანსების მართვის საკითხების სწავლების მიმართულებით, გათვალისწინებულია საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილება და ცოდნა, საქართველოში ხორციელდება საერთაშორისო ტრენინგები, საქართველო ყალიბდება რეგიონალურ ცენტრად საფინანსო მიმართულების სწავლების განხორციელების კუთხით.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესაბამისად ფინანსთა სამინისტროს სისტემის 2081 თანამშრომლის გადამზადება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ფინანსთა სამინისტროს სისტემისთვის გადამზადებული კადრების რაოდენობის 5%-იანი ზრდა წინა წლის ფაქტიურ მონაცემებთან შედარებით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 1.5%; **შესაძლო რისკები** - ტრენინგის საჭიროებათა ანალიზის საფუძველზე გამოვლენილი გადასამზადებელი თანამშრომლების რაოდენობის შემცირება 2.

	საბაზისო მაჩვენებელი - საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესაბამისად ფინანსთა სამინისტროს სისტემისა და სხვა ორგანიზაციებისთვის მინიმუმ 30 ტესტირების ჩატარება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სამინისტროს სისტემაში და სხვა ორგანიზაციებში განხორციელებული ტესტირებების რაოდენობის 2%-იანი ზრდა წინა წლის ფაქტიურ მონაცემებთან შედარებით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 1%; **შესაძლო რისკები** - კადრების გადინებისა და კონკურსების რაოდენობის შემცირება, შესაძლო ცვილელებები საჯარო მოსამსახურეთა შერჩევის პროცესში **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესაბამისად ფინანსთა სამინისტროს მიერ ინიცირებული რეფორმების ფარგლებში მინიმუმ 890 მსმენელის გადამზადება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - გადამზადებული პირების რაოდენობის 2%-იანი ზრდა წინა წლის ფაქტიურ მონაცემებთან შედარებით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 1%; **შესაძლო რისკები** - საჯარო სექტორში გადამზადებულთა რაოდენობა დამოკიდებულია რეფორმების რაოდენობასა და მასშტაბებზე **4.** **საბაზისო მაჩვენებელი** - საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესაბამისად მინიმუმ 3091 დაინტერესებული პირის (მათ შორის ფიზიკური პირების, კერძო სექტორისა და სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების წარმომადგენლების) გადამზადება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - გადამზადებული პირების რაოდენობის 2%-იანი ზრდა წინა წლის ფაქტიურ მონაცემებთან შედარებით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 1%; **შესაძლო რისკები** - საჯარო სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლებისკენ მიმართული ტრენინგების განხორციელება დამოკიდებულია დაფინანსების წყაროებსა და შესყიდვების პროცედურებზე **5.** **საბაზისო მაჩვენებელი** - საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესაბამისად საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტების, ადგილობრივ და უცხოურ სასწავლო დაწესებულებებთან, სტუდენტურ ორგანიზაციებთან ერთად განხორციელებული პროექტების ფარგლებში 646 მსმენელის გადამზადება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტების, ადგილობრივ და უცხოურ სასწავლო დაწესებულებებთან, სტუდენტურ ორგანიზაციებთან ერთად განხორციელებული პროექტებში მონაწილეთა რაოდენობის 2%-იანი ზრდა წინა წლის ფაქტიურ მონაცემებთან შედარებით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 1%; **შესაძლო რისკები** - საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტრენერთა დატვირთულობამ შესაძლებელია გამოიწვიოს განსახორციელებელ ღონისძიებათა რაოდენობის ცვლილება; ტრენინგების განხორციელება დამოკიდებულია საერთაშორისო და უცხოური ინსტიტუციების გადაწყვეტილებებსა და დაფინანსების საშუალებებზე. სტუდენტური პროექტების განხორციელება დამოკიდებულია აკადემიის საკმარის ფინანსურ რესურსებზე

მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო ურთიერთობების დარგში (28 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტი
აღწერა და მიზანი	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მომზადება გადამზადება და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში დასაქმებულ სხვა საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა; საქართველოს საგარეო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების ეფექტიანად დაგეგმვისა და წარმართვისთვის საგარეო საქმეთა სამინისტროს, სამთავრობო უწყებებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის ანალიტიკური და კვლევითი პროდუქტების შექმნა და მიწოდება.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისა და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში დასაქმებულ სხვა საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარება და კვალიფიკაციის ამაღლება; საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისათვის თემატური ბიბლიოთეკის გამდიდრება; დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტის განვითარება (კვლევითი კომპონენტის განვითარება, არსებული პროგრამების განახლება და ახალი პროგრამების/მოდულების შემუშავება, კარიერული განვითარების გეგმის შესაბამისად, ინსტიტუტის თანამშრომლების კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლება); მჭიდრო თანამშრომლობის დამყარება მსოფლიოს წამყვან დიპლომატიურ სკოლებთან და აკადემიებთან საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით;
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - ტრენინგების, სემინარების და ლექციების შედეგად შესაბამისი მიმართულებით გადამზადებული სამინისტროს თანამშრომლებისა და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში დასაქმებულ სხვა საჯარო მოხელეთა რაოდენობა; სათანადო ლიტერატურით გამდიდრებული ბიბლიოთეკა; ინსტიტუტის ეფექტური მუშაობა როგორც სასწავლო, ისე კვლევითი მიმართულებით; მსოფლიოს წამყვან დიპლომატიურ სკოლებთან და აკადემიებთან გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმების რაოდენობა და მემორანდუმების გაფორმების შედეგად განხორციელებული ერთობლივი პროექტებია რაოდენობა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 7 კურსი დიპლომატებისთვის; 2 პროგრამა საქართველოში მაცხოვრებელი უცხოელებისთვის; 10 ფასიანი კურსი; სამინისტროში განხორციელებული თანამშრომელთა შეფასების შედეგად გამოვლენილი საჭიროებების 100% -ით უზრუნველყოფა; 5 უცხოელი ექსპერტის ჩამოყვანა 10 ანალიტიკური სტატიის მომზადება 5 საერთაშორისო, საექსპერტო კონფერენციის ორგანიზება, მინიმუმ 3 უცხო ენის სწავლება

ჰერალდიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება (01 03)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო
აღწერა და მიზანი	ქვეყანაში ჰერალდიკური ნიშნებისა და სიმბოლოების მოწესრიგება და დამკვიდრება ევროპული სტანდარტების

	შესაბამისად; სახელმწიფო ცერემონიების, ოფიციალური ღონისძიებების და სამხედრო აღლუმების ჩატარებისას საჭირო სახელმწიფო სიმბოლოების და სხვა ჰერალდიკური ნიშნების, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებათა ჰერალდიკური ნიშნების, საქართველოს სახელმწიფო სამხედრო და სპეციალურ უწყებათა სპეციალური ფორმის ტანსაცმლის (უნიფორმის) და ემბლემების შექმნისა და გამოყენების წესების დადგენაში მონაწილეობა, სათანადო რეკომენდავიებისა და დასკვნების გაცემა; საქართველოს ტერიტორიული ჰერალდიკის სისტემური განვითარების უზრუნველყოფა; ჰერალდიკის საკითხებზე სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა; ქვეყანაში სახელმწიფო სიმბოლიკისა და მისი მნიშვნელობის პოპულარიზაცია; ჰერალდიკის საკითხებზე ისტორიული მასალების (წყაროების) მოძიება (საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ) და ანალიზი; სახელმწიფო სიმბოლოებისა და განმასხვავებელი ნიშნების ნიმუშების ჰერალდიკური ექსპერტიზის, აგრეთვე მათი შექმნისა და გამოყენების შესახებ დასკვნების მომზადება.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	პოპულაროზაციის ხელშეწყობის ღონისძიებები

საზღვაო პროფესიული განათლების ხელშეწყობა (24 16)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია
აღწერა და მიზანი	საერთაშორისო და ნაციონალური საგანმანათლებლო და საზღვაო კანონმდებლობის შესაბამისად, უმაღლესი საზღვაო და მომიჯნავე დარგების კვალიფიციური კადრების მომზადება; წამყვან ევროპულ უნივერსიტეტებთან ერთად ორმაგი დიპლომირების ინგლისურენოვანი პროგრამების მომზადება. თანამშრომლობის ფარგლებში სასწავლო მასალების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება და პედაგოგ-მასწავლებლების გადამზადება საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების შესაბამისად; სასწავლო პროცესის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამებით უზრუნველყოფა; სტუდენტებისთვის მართვისა და კვლევისათვის აუცილებელი ანალიზის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საზღვაო სავაჭრო ფლოტსა და საზღვაო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურაში დასაქმებული კვალიფიციური კადრები; ორმაგი დიპლომირების პროგრამის შემუშავების შედეგად ამაღლებული სწავლის ხარისხი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. საზღვაო აკადემიის ამაღლებული პრესტიჟი და რეიტინგი. სტუდენტების გაზრდილი რაოდენობა და მოზიდული უცხოელი სტუდენტები ახალ საგანმანათლებლო პროგრამებზე. კურსდამთავრებულების დასაქმების ბაზრის ზრდა; საკრუინგო კომპანიების გაზრდილი რიცხვი; საზღვაო-სავაჭრო ფლოტსა და საზღვაო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურაში დასაქმებული კვალიფიციური კადრები STCW კონვენციისა და „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - მომზადებულია 2 870 კვალიფიციური კადრი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2020-2023 წლებში მომზადდება 12 800 კვალიფიციური კადრი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - მიზნობრივი ჯგუფების დაბალი აქტივობა; ეკონომიკური კრიზისი საზღვაო ინდუსტრიის სფეროში

ა(ა)იპ - ორიჯინ-საქართველო (61 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ორიჯინ-საქართველო
აღწერა და მიზანი	საქართველოში გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის სისტემის განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა; ქვეყანაში კონკურენტუნარიანი, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების ხელშეწყობა; საქართველოს რეგიონებში პოტენციური გეოგრაფიული აღნიშვნების წარმოჩენა და მათი სამართლებრივი დაცვის ხელშეწყობა; ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის სისტემის გრძელვადიანი განვითარების გეგმების ფორმირების ხელშეწყობა; გეოგრაფიული აღნიშვნების გარშემო ფერმერთა და მწარმოებელთა გაერთიანებების შექმნაში მონაწილეობა და მათ

	საქმიანობაში ბრენდინგის თანამედროვე ფორმების დამკვიდრების ხელშეწყობა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საქართველოს რეგიონებში წარმოჩენილი და სამართლებრივად დაცული გეოგრაფიული აღნიშვნები
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - გეოგრაფიული აღნიშვნების დამცავი დოკუმენტების დროულად გაცემისათვის ხელშეწყობა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - გეოგრაფიული აღნიშვნების სამართლებრივი დაცვის ხელშწყობა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 0,1%; **შესაძლო რისკები** - არსებულ რეალობასთან შეუსაბამო გეოგრაფიული აღნიშვნების დამცავი დოკუმენტების შექმნა

სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - "საქპატენტი" (61 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი "საქპატენტი"
აღწერა და მიზანი	ფიზკური და იურიდიული პირების სამართლებრივი დაცვა ინტელექტუალური საკუთრების სფეროში (გამოგონება, სასარგებლო მოდელი, დიზაინი, მცენარეთა ახალი ჯიში, ცხოველთა ახალი ჯიში, სასაქონლო ნიშანი, ადგილწარმოშობის დასახელება, გეოგრაფიული აღნიშვნა, ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგია, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებები, საავტორო და მომიჯნავე უფლებები); ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების სამართლებრივი უზრუნველყოფა; ქვეყანაში ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სისტემის განვითარებისა და სრულყოფისათვის კონკრეტული ღონისძიებების განხორციელება; ინტელექტუალური საკუთრების სფეროში პოლიტიკის განსაზღვრა და მისი განხორციელება, პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრა და მათი განხორციელების ორგანიზება, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საზღვარგარეთის ქვეყნებთან თანამშრომლობის პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრა და საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულების ორგანიზება; საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის სახელმწიფო ორგანოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;

	ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე უფლების მოპოვების სამართლებრივი უზრუნველყოფის მიზნით ქვეყნის სამეცნიერო-ტექნოლოგიური და მხატვრულ-შემოქმედებითი პოტენციალის განვითარებისა და ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნის ხელშეწყობა; ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ საზოგადოების ინფორმაციით უზრუნველყოფა და სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება; ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე განაცხადის კანონმდებლობით დადგენილი წესით ექსპერტიზა, შესაბამისი დოკუმენტების გაცემა და ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების რეესტრების წარმოება; ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებთან დაკავშირებით განმცხადებლებისა და მესამე პირების სააპელაციო საჩივრების განხილვა და გადაწყვეტილებების მიღება „საქპატენტთან“ არსებულ სააპელაციო პალატაში; ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ საერთაშორისო შეთანხმებებსა და ხელშეკრულებებში საქართველოს მონაწილეობის შესახებ წინადადებების მომზადება; „საქპატენტის“ დებულებით გათვალისწინებული და კანონმდებლობიდან გამომდინარე ფუნქციების შესრულების მიზნით, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე პროექტებისა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება; ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაცვასთან დაკავშირებით მასალების გამოქვეყნება, მათ შორის საქართველოს სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენის გამოცემა; საერთაშორისო განაცხადებთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელება; ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული კანონპროექტებისა და სხვა ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება; საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო აქტებისა და საერთაშორისო შეთანხმებების კომენტარების მომზადება და გამოცემა; ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების მონაცემთა ავტომატიზებული ბაზების შექმნა და ფუნქციონირების უზრუნველყოფა; პატენტრწმუნებულთა ატესტაცია, რეგისტრაცია, მათი რეესტრის შექმნა და წარმოება; საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელების, მათი მემკვიდრეებისა და სხვა უფლებამონაცვლეების ქონებრივი უფლებების დაცვისათვის, კოლექტიურ საფუძველზე, მმართველი ორგანიზაციების (საზოგადოებების)

	საქმიანობის ხელშეწყობა; საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროს განვითარების ხელშეწყობა; ინტელექტუალური საკუთრების სფეროში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესრულება, საინფორმაციო და შემეცნებითი ბროშურებისა და სხვა მასალების გამოქვეყნება და გავრცელება; საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების განხორციელება.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სამართლებრივად დაცული იქნება ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებები ინტელექტუალური საკუთრების სფეროში.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - გამოგონების დაპატენტებასთან დაკავშირებული დამცავი დოკუმენტების დროულად გაცემა შესაბამისი ბენეფიციარებისათვის; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - გამოგონების სამართლებრივი დაცვა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 0.1 %; **შესაძლო რისკები** - ქვეყანაში და ქვეყნის გარეთ გამოგონების უკანონოდ მითვისება **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - სასარგებლო მოდელის დაპატენტებასთან დაკავშირებით დამცავი დოკუმენტაციის გაცემა შესაბამისი ბენეფიციარებისათვის; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სასარგებლო მოდელის სამართლებრივი დაცვა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 0.1%; **შესაძლო რისკები** - ქვეყანაში და ქვეყნის გარეთ სასარგებლო მოდელის უკანონოდ მითვისება **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - დიზაინის რეგისტრაციასთან დაკავშირებული დამცავი დოკუმენტაციის დროულად გაცემა შესაბამისი ბენეფიციარებისათვის; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - დიზაინის სამართლებრივი დაცვა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 0.01%; **შესაძლო რისკები** - ქვეყანაში და ქვეყნის გარეთ დიზაინის უკანონოდ მითვისება **4.** **საბაზისო მაჩვენებელი** - სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციასთან დაკავშირებული დამცავი დოკუმენტაციის დროულად გაცემა შესაბამისი ბენეფიციარებისათვის; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სასაქონლო ნიშნების სამართლებრივი დაცვა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 1.5%; **შესაძლო რისკები** - ქვეყანაში და ქვეყნის გარეთ სასაქონლო ნიშნების უკანონოდ მითვისება **5.** **საბაზისო მაჩვენებელი** - საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის

	რეგისტრაციასთან დაკავშირებული დამცავი დოკუმენტაციის დროული გაცემა შესაბამისი ბენეფიციარებისათვის; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის სამართლებრივი დაცვა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 0.01%; **შესაძლო რისკები** - ქვეყანაში და ქვეყნის გარეთ საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის უკანონოდ მითვისება **6.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ნაწარმოებისა და მონაცემთა ბაზის დეპონირებასთან დაკავშრებული დამცავი დოკუმენტაციის დროული გაცემა შესაბამისი ბენეფიციარებისათვის; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ნაწარმოებისა და მონაცემთა ბაზის დეპონირების სამართლებრივი დაცვა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 0%; **შესაძლო რისკები** - ქვეყანაში და ქვეყნის გარეთ ნაწარმოებისა და მონაცემთა ბაზის დეპონირების უკანონო მითვისება

კოდი	დასახელება	2020 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი
24 06	სახელმწიფო ქონების მართვა	100,105.0	91,105.0	9,000.0	92,405.0	92,405.0	92,405.0
24 07	მეწარმეობის განვითარება	57,550.0	57,550.0	-	57,550.0	57,550.0	57,550.0
23 02	შემოსავლების მობილიზება და გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესება	165,800.0	40,800.0	125,000.0	165,800.0	165,800.0	165,800.0
23 01	სახელმწიფო ფინანსების მართვა	20,745.0	20,745.0	-	20,745.0	20,745.0	20,745.0
24 01	ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება	15,860.0	15,860.0	-	15,860.0	15,860.0	15,860.0
40 02	სახელმწიფო ობიექტების მოვლა-შენახვა	8,000.0	8,000.0	-	8,500.0	8,500.0	8,500.0
23 04	ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა	10,570.0	7,900.0	2,670.0	10,900.0	10,900.0	10,900.0
47 01	სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვა და მართვა	5,935.0	5,730.0	205.0	6,400.0	6,900.0	7,500.0
47 02	სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა	4,500.0	4,500.0	-	4,800.0	5,300.0	5,700.0
24 18	ორმხრივი ხელშეკრულებების ფარგლებში აღიარებული ვალდებულებების დაფარვასთან დაკავშირებული ღონისძიებები	3,725.0	3,725.0	-	3,725.0	3,725.0	3,800.0
43 00	სსიპ – კონკურენციის სააგენტო	2,200.0	2,200.0	-	2,200.0	2,200.0	2,200.0
38 00	სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური	2,110.0	2,110.0	-	2,150.0	2,150.0	2,150.0
49 00	საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა	1,630.0	1,180.0	450.0	1,650.0	1,650.0	1,650.0
23 06	ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობა	1,135.0	1,135.0	-	1,135.0	1,135.0	1,135.0
24 03	სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროს განვითარება	2,331.0	980.0	1,351.0	2,206.0	2,206.0	2,206.0
03 00	საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი	700.0	700.0	-	700.0	700.0	700.0
24 09	ნავთობისა და გაზის სექტორის რეგულირება და მართვა	1,060.0	580.0	480.0	1,040.0	1,040.0	1,040.0
53 00	სსიპ - საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტო	500.0	500.0	-	500.0	500.0	500.0
24 04	აკრედიტაციის პროცესის მართვა და განვითარება	1,904.0	140.0	1,764.0			

კოდი	დასახელება	2020 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი
					1,390.0	1,390.0	1,390.0
63 00	სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	8,500.0	-	8,500.0	8,500.0	8,500.0	8,500.0
23 07	მიქცეული ქონების ეფექტური განკარგვა	8,078.0	-	8,078.0	8,700.0	8,700.0	8,700.0
	სულ	**422,938.0**	**265,440.0**	**157,498.0**	**416,856.0**	**417,856.0**	**418,931.0**

სახელმწიფო ქონების მართვა (24 06)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
აღწერა და მიზანი	სახელმწიფო ქონების მართვა/განკარგვა და სახელმწიფო საწარმოთა მართვა. სააგენტოს მართვაში რიცხული ლიკვიდური, გადახდისუუნარო და მომგებიანი საწარმოების კლასიფიკაცია მისი ქონებრივი და ფინანსური მდგომარეობის მიხედვით. არამომგებიანი საწარმოების რაოდენობის შემცირება ლიკვიდაციის, გაკოტრების ან რეორგანიზაციის გზით; გამოუყენებელი აქტივების ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართვისა და მასზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; სახელმწიფო ქონების განკარგვის პროცესების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება. სახელმწიფო ქონების მოვლა-პატრონობა და დაცვის უზრუნველყოფა; სვანეთში, გუდაურსა და ბაკურიანში საბაგიროების და სასრიალო ტრასების მშენებლობა და ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც უზრუნველყოფს ტურისტული სეზონის გახანგრძლივებას, ქვეყნის კულტურული ცხოვრების ხელშეწყობას, რეგიონში ეკონომიკური ფონის ამაღლებას მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის;
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სახელმწიფო საწარმოების კლასიფიკაციის და მათი ეფექტური მართვის/განკარგვის სწორი სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება; საქართველოში შექმნილია სათხილამურო კურორტები განვითარებული ინფრასტრუქტურით და მიმდინარეობს მათი პოპულარიზაცია, ადგილობრივი და უცხოელი ტურისტების მოზიდვა და შემოსავლების გაზრდა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2018 წელს პრივატიზების სახელმწიფო გეგმა შესრულდა 151.6%-ით (სახელმწიფო ბიუჯეტში შესულია 88 714 889 ლარი); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - პრივატიზების გეგმის შესრულება 100%-ით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10-20%; **შესაძლო რისკები** - საპრივატიზებო ვალდებულების შეუსრულებლობა/არაკეთილსინდისიერი შესრულება 2. **საბაზისო მაჩვენებელი** - სააგენტოს მართვაშია სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი 101 საწარმო; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საწარმოთა ოპტიმიზაციის პროცესის დასრულების შედეგად სახელმწიფოს მართვაში იქნება მხოლოდ სახელმწიფოსათვის სტრატეგიული მნიშვნელობის საწარმოები (დაახლოებით 60 საწარმო); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10-20%;

	შესაძლო რისკები - საწარმოთა კაპიტალში არსებული ხარვეზები და მათი გაკოტრების პროცესში წარმოქმნილი სირთულეები; პარტნიორებთან წარმოქმნილი სირთულეები

მეწარმეობის განვითარება (24 07)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - აწარმოე საქართველოში
აღწერა და მიზანი	კერძო სექტორის, როგორც ეკონომიკური ზრდისა და განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალის, ჩამოყალიბებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნა, მისი კონკურენტუნარიანობის გაზრდის ხელშეწყობა და იმ სფეროების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, სადაც კერძო სექტორის შესაძლებლობები სუსტი და შეზღუდულია; ქვეყნის მდგრადი განვითარებისა და ინკლუზიური ზრდის მისაღწევად მეწარმეობის (მათ შორის, მცირე და საშუალო ბიზნესის) განვითარება, კერძო სექტორისათვის ფინანსების ხელმისაწვდომობის გაზრდა, საქართველოს ეკონომიკის რეგიონალური და გლობალური კონკურენტუნარიანობის ზრდის ხელშეწყობა; ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გამარტივებისა და ტექნიკური დახმარების გზით საქართველოში არსებული საწარმოების გაფართოება/გადაიარაღების ხელშეწყობა. ახალი საწარმოების შექმნა, რომელიც მოიცავს ფინანსებზე ხელმისაწვდომობისა და ტექნიკური დახმარების კომპონენტებს. საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება, DCFTA-ს მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად მცირე და საშუალო ბიზნესის შესაძლებლობების გაზრდა; ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების და მაღალი დამატებითი ღირებულების მქონე პროდუქციის შექმნისკენ მიმართული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობა; თანამედროვე და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა და მომსახურების სფეროს განვითარება, რაც უზრუნველყოფს ეკონომიკური განვითარების პროცესში მოსახლეობის მონაწილეობას; ექსპორტის ხელშეწყობისათვის ქართული კომპანიების უცხოურ ბაზრებზე წარდგენა და მათი საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობის უზრუნველყოფა, რაც მნიშვნელოვანია უცხოელ იმპორტიორებთან ურთიერთობების დამყარებისათვის; ექსპორტზე ორიენტირებულ კომპანიებთან რეგულარული კომუნიკაცია და მათთვის დახმარების გაწევა ექსპორტის დასაგეგმად საჭირო მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდებით; საქართველოს საწარმოო პოტენციალის პოპულარიზაცია მასშტაბური საერთაშორისო მარკეტინგული კამპანიების

	წარმოებით და პროდუქციის/მომსახურების პოპულარიზაციით; მეწარმეობის განვითარების წახალისება, დამწყები და არსებული მცირე და საშუალო საწარმოების სათანადო ხელშეწყობა პროდუქტიულობისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდისათვის; საქართველოს საინვესტიციო პოტენციალის პოპულარიზაცია ქვეყნის გარეთ. მიზნობრივი ბაზრების იდენტიფიცირება, პოტენციურ ინვესტორ კომპანიებთან მჭიდრო თანამშრომლობა და ინვესტიციების განხორციელებაში დახმარების გაწევა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	კონკურენტუნარიანი ადგილობრივი წარმოება, გაზრდილი საექსპორტო პოტენციალი; გაზრდილი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და სამუშაო ადგილები.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015-2019 წლებში სულ დაფინანსებულია 6 300-ზე მეტი საგრანტო პროექტი, რომლის ფარგლებში ტრენინგი გაიარა 17 000-ზე მეტმა ბენეფიციარმა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - თანადაფინანსებული 9800-მდე ერთეული ბიზნეს-პროექტი და ტექნიკურად მხარდაჭერილი 24500-მდე ბენეფიციარი - 2015-2023წწ; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - ბიზნეს პროექტის განაცხადების სიმცირე **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - სოფლად სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიების მიმართულებით (კრედიტისა და ლიზინგის საგნის პროცენტის თანადაფინანსება) 2019 წელს თანადაფინანსებული იქნება არანაკლებ 10 ახალი ან არსებული საწარმო (გაფართოება /გადაიარაღება /მოდერნიზება); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ყოველწლიურად თანადაფინანსებული არანაკლებ 10 ახალი ან არსებული საწარმო (გაფართოება/გადაიარაღება/მოდერნიზება); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - ბიზნეს პროექტების განაცხადების სიმცირე **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ სასტუმრო ინდუსტრიის მიმართულებით 2019 წელს თანადაფინანსებული იქნება არანაკლებ 15 ახალი ან არსებული სასტუმრო (გაფართოება/გადაიარაღება/მოდერნიზება); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ყოველწლიურად თანადაფინანსებული არანაკლებ 15 ახალი ან არსებული სასტუმრო (გაფართოება/გადაიარაღება/მოდერნიზება); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - სასტუმროების ბიზნეს პროექტების განაცხადების სიმცირე **4.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 2019 წელს ექსპორტის ხელშეწყობის ნაწილში საერთაშორისო ღონისძიებებში კომპანიების

	მონაწილეობის რაოდენობა იქნება 120 ერთული; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ექსპორტის ხელშეწყობის ნაწილში საერთაშორისო ღონისძიებებში კომპანიების მონაწილეობის რაოდენობა: 2020 წელი - 140; 2021 წელი - 155; 2022 წელი - 170; 2023 წელი - 185; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - მწარმოებელი კომპანიების დაბალი აქტივობა; არასტაბილური ეკონომიკური ვითარება **5.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 2019 წელს საინვესტიციო პროექტების განხორციელების შედეგად შექმნილი იქნება ახალი 500-მდე სამუშაო ადგილი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2020 წელს შეიქმნება ახალი 650-მდე სამუშაო ადგილი, 2021 წელს - 800-მდე სამუშაო ადგილი, 2022 წელს - 900-მდე სამუშაო ადგილი და 2023 წელს - 1000-მდე სამუშაო ადგილი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - ცვლილებები მეზობელ ქვეყნებში, რეგიონში არასტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური ბიზნეს გარემო; სამიზნე ჯგუფების დაბალი აქტივობა

შემოსავლების მობილიზება და გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესება (23 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - შემოსავლების სამსახური
აღწერა და მიზანი	მომსახურების პოტენციალის გაძლიერების და გადამხდელთა კმაყოფილების ხარისხის ამაღლების მიზნით, მომსახურების ოფისების თანამედროვე სტანდარტებით მოწყობა, მოძრავი სერვის-ცენტრების პროექტის გაფართოება, ახალი ელექტრონული სერვისების ინიცირება, საჭიროებისამებრ არსებული ელექტრონული სერვისების გაუმჯობესება რაც კიდე უფრო კომფორტულს გახდის მომსახურების პროცესს გადამხდელებისათვის. გადამხდელთა მაღალი საგადასახადო კულტურის ჩამოყალიბების მიზნით, საგადასახადო სფეროში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება; აუდიტის პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის დანერგვა, რაც საშუალებას მოგვცემს გამარტივდეს ელექტრონული კონტროლი შემოწმების პროცედურებზე და წარიმართოს უფრო ეფექტიანად. აუდიტორთა რიცხოვნობის გაზრდა და კვალიფიკაციის ამაღლება. საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფა და ერთიანი მეთოდოლოგიის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს გადასახადის გადამხდელთა ნებაყოფლობითი გადახდევინების მაჩვენებელის გაზრდას და საგადასახადო ადმინისტრირების პროცესის გამარტივებას. დროული დეკლარირებისთვის უზრუნველსაყოფად საჭირო პროცედურების ჩამოყალიბება, რაც ხელს შეუწყობს დეკლარირების /გაანგარიშებების დროულ და სრულ წარმოდგენას.

	არსებული პროგრამული მოდულების დახვეწა და ახალი პროგრამული მოდულების შექმნის ინიცირება, რომლებიც ხელს შეუწყობს საბაჟო კონტროლის ეფექტურობის ამაღლებას და პროცედურების გამარტივებას. რისკზე დაფუძნებული მიდგომა, უზრუნველყოფს საგადასახადო და სახელმწიფო საზღვრის კვეთის შედეგად წარმოშობილი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებულ კანონშესაბამისობას. კინოლოგიური მომსახურებით უზრუნველყოფის გაუმჯობესება; საზღვრის კვეთასთან დაკავშირებული აკრძალვებისა და შეზღუდვების ეფექტური მართვის მიზნით, ფიტოსანიტარული და ვეტერინარული კონტროლის ევროსტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა. საბაჟო-გამშვები პუნქტების და გაფორმების ეკონომიკური ზონების შეუფერხებელი ფუნქციონირების მიზნით შესაბამისი კაპიტალური და მიმდინარე სამშენებლო-სარემონტო და სამონტაჟო სამუშაოების წარმოება. საქართველოს ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზების პროცესში მონაწილეობის მიღება, ასოცირების დღის წესრიგით და მთავრობის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	გადასახადის გადამხდელებს შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ ამომწურავი ინფორმაცია საკანონმდებლო ცვლილებების თაობაზე, მოისმინონ პასუხები მათთვის საინტერესო საკითხებზე. მეწარმეები უშუალოდ შეხვდებიან არა მხოლოდ შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლებს, არამედ მათ საშუალება მიეცემათ შეხვდნენ სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებსაც, რომლებთან შეხვედრას ბიზნეს-სექტორი აქტუალურად და სასარგებლოდ მიიჩნევს. ,,გადავიხადოთ გადასახადი უკეთესი მომავლისათვის“ პროექტის ფარგლებში სკოლის მოსწავლეთა ინფორმირებულობის გაზრდა - საგადასახადო კანონმდებლობის ცალკეული საკითხების გაცნობის გზით. მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება, გადასახადის გადამხდელთათვის უფრო პრაქტიკული და მოქნილი სერვისის შეთავაზება. გადასახადის გადამხდელთა უფრო ფართო სეგმენტის ათვისება; შემოწმებების ხარისხის ამაღლება; ადამიანური და დროის რესურსის უფრო ეფექტურად გამოყენება. გაიზრდება საგადასახადო შემოწმების აქტების ხარისხი, მათი დროულად დასრულების მაჩვენებელი,გაიზრდება საგადასახადო შემოწმებების რაოდენობა.გაიზრდება საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შეფასების საკითხების შემოწმებების რაოდენობა, ხარისხი და გაიზრდება ბიუჯეტის სასარგებლოდ მობილიზებული თანხები. კანონით გათვალისწინებული გადამხდელების მიზნობრივი ჯგუფებისათვის განახლდება და სრულყოფილი სახით ჩამოყალიბდება გადამხდელთა სპეციალური რეჟიმების პროცედურები, აღნიშნული შეეხება არსებული დღგ-ს ზედმეტობის ანალიზსა და ამ ზედმეტობის მართვას, დღგ-ის ზედმეტობის დაბრუნების პროცედურების დახვეწა - გამარტივებას, ახლად რეგისტრირებული (განახლებული) ან გამოვლენილი გადამხდელების კონტროლის პროცედურების დახვეწას, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის პროცედურების დახვეწას. დეკლარირების/გაანგარიშებების დროული და სრული წარმოდგენის უზრუნველყოფის ხელშეწყობით წახალისდება ნებაყოფლობითი კანონმორჩილება. გამარტივდება პროცედურები საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილე მხარეებს შორის

	▯ საბაჟო კონტროლის განხორციელების ეფექტურობის ზრდა, საბაჟო პროცედურების გამარტივება; რისკების მართვაზე დაფუძვნებული მიდგომით საბაჟო კონტროლის ეფექტურობის ზრდა და კანონიერი ვაჭრობის ხელშეწყობა; კინოლოგიური მომსახურებით აღჭურვილი საბაჟო გამშვები პუნქტების რაოდენობის ზრდა; საბაჟო გამშვებ პუნქტებზე ფიტოსანიტარული და ვეტერინარული კონტროლის ეფექტური განხორციელება. არსებული პროგრამული მოდულების დახვეწა და ახალი პროგრამული პროდუქტების შექმნა უზრუნველყოფს სამსახურის ძირითადი ფუნქციების მხარდაჭერას, გაიზრდება დიდი მოცულობის მონაცემებთან მუშაობის შესაძლებლობა და მისი ფისკალური ეფექტი; რისკზე დაფუძნებული მიდგომით კი, საგადასახადო ვალდებულებების მქონე არარეგისტრირებულ პირთა გამოვლენა, დეკლარირებული მონაცემების სისწორის უზრუნველყოფა, დავალიანების მართვა და გადასახადის გადახდისაგან თავის არიდების მცდელობების აღკვეთა უზრუნველყოფს საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას და კანონშესაბამისობის დონის ამაღლებას. ▯ ასოცირების შეთანხმებით და ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება კომპეტენციის ფარგლებში.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - ჩატარებული „ღია კარის“ დღეების რაოდენობა შეადგენს 20-ს; მომსახურების ცენტრებში მომსახურება გაეწია 680 000 ვიზიტორს; საინფორმაციო სატელეფონო ცენტრის მიერ მომსახურებულ იქნა 380 000 ზარი; სკოლებში ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა შეადგენს 80-ს; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ჩატარებული „ღია კარის“ დღეების რაოდენობა შეადგენს 30-ს; მომსახურების ცენტრებში მომსახურება გაეწია 400 000 ვიზიტორს; საინფორმაციო სატელეფონო ცენტრის მიერ მომსახურებულ იქნა 500 000 ზარი; სკოლებში ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა შეადგენს 80-ს; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - ხშირად ცვალებადი საგადასახადო კანონმდებლობა 2. **საბაზისო მაჩვენებელი** - შესაბამისი აღჭურვილობის მქონე ავტომანქანების რაოდენობა შეადგენს 2 ერთეულს. დარბაზების საერთო რაოდენობაში, თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი დარბაზების რაოდენობა შეადგენს 90%- ს; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შესაბამისი აღჭურვილობის მქონე ავტომანქანების რაოდენობა შეადგენს 3 ერთეულს. დარბაზების საერთო რაოდენობაში, თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი დარბაზების რაოდენობა შეადგენს 100%-ს; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - ტექნიკური პრობლემები 3. **საბაზისო მაჩვენებელი** - დატრეინინგებული აუდიტორების რაოდენობა შეადგენს 150 თანამშრომელს; საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიის დეპარტამენტთან ერთობლივად მიმდინარეობს აუდიტის პროცესის მართვის ელექტრონული ნაწილობრივ დანერგილია; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ყოველწლიურად ტრეინინგდება არანაკლებ 150 აუდიტორი; საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიის დეპარტამენტთან ერთობლივად მიმდინარეობს აუდიტის პროცესის მართვის ელექტრონული

	სრულად დანერგილია; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5%-10 %; **შესაძლო რისკები -** კადრების შესაძლო გადინება **4.** **საბაზისო მაჩვენებელი -** 2019 წლის იანვრიდან წარმოშობილი დღგ-ის ზედმეტობის ავტომატურად დაბრუნება (2019 წელი რაოდენობის 90%); გადასახადების ჭრილში დროულად დეკლარირების %-ული მაჩვენებელი (სამიზნე მაჩვენებელია 60%); AEO სტატუსი აქვს 1 ოპერატორს; თურქეთთან გავლილია ურთიერთაღიარების გეგმის მე-2 ეტაპი; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** მიმდინარე პერიოდში წარმოშობილი ზედმეტობის ავტომატურად დაბრუნება (რაოდენობის 90%-ის შენარჩუნება); გადასახადების ჭრილში დროულად დეკლარირების მაღალი%-ული მაჩვენებელის შენარჩუნება; AEO სტატუსი მიიღო 19 ოპერატორმა; თურქეთთან ურთიერთაღიარების რეჟიმი ამოქმედებულია; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 20%-30%; **შესაძლო რისკები -** ზედმეტობის რეალობის გადამოწმების (შეფასების) მექანიზმი; საკანონმდებლო ჩარჩო **5.** **საბაზისო მაჩვენებელი -** 2020 წლის საქონლის გაშვების შემდგომი გეგმა შემუშავებულია; მგზავრების შესახებ წინასწარი ინფორმაციისა (Advance Passenger Information – API) და მგზავრის პირადი მონაცემების ჩანაწერის (Passenger Name Record – PNR) სისტემების ნაწილობრივ დანერგილია; სპეციალურად გაწრთვნილი სამსახურებრივი ძაღლების რაოდენობა (40 ერთეული); ევრო-სტანდარტებით მოწყობილი და აღჭურვილია ფიტო-ვეტ კონტროლის სასაზღვრო ინსპექტირების 5 პუნქტი; 18 ობიექტზე (სგპ/გეზ) განხორციელდა სხვადასხვა სახის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები.; შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შერჩეულ გადამხდელებს შორის ბაზებში არსებული მონაცემების სისწორის %-ული მაჩვენებელი გაზრდილია 15%-ით; შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შერჩეული შემოწმებული დეკლარაციების %-მაჩვენებელი არასწორ დეკლარირებასთან; საგადასახადო დანაკარგების ანალიზი (TAX GAP) და დანაკარგის შემცირება. ხანდაზმული ნარჩენის ოდენობის შემცირება 5 %; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** ყოველწლიურად საქონლის გაშვების შემდგომი გეგმის შემუშავება; სპეციალურად გაწრთვნილი სამსახურებრივი ძაღლების რაოდენობა შეადგენს 60 ერთეულს; ევრო-სტანდარტებით მოწყობილი და აღჭურვილია ფიტო-ვეტ კონტროლის სასაზღვრო ინსპექტირების 9 პუნქტი; ყოველწლიურად 10 ობიექტზე (სგპ/გეზ) ხორციელდება სხვადასხვა სახის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები; შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შერჩეულ გადამხდელებს შორის ბაზებში არსებული მონაცემების სისწორის %-ული მაჩვენებელი გაზრდილია 80%-ით; შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შერჩეული შემოწმებული დეკლარაციების %-მაჩვენებელი არასწორ დეკლარირებასთან ; საგადასახადო დანაკარგების ანალიზი (TAX GAP) და დანაკარგის შემცირება ; 12 თვეზე ხანდაზმული ნარჩენის ოდენობის შემცირება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10%-30%; **შესაძლო რისკები -** პროგრამულ-ტექნიკური სირთულეები **6.** **საბაზისო მაჩვენებელი -** 2020 წლის ასოცირების დღის წესრიგის სამოქმედო გეგმა; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2023 წლის ასოცირების დღის წესრიგით და მთავრობის სამოქმედო გეგმით

	განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - ასოცირების დღის წესრიგით და მთავრობის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ვალდებულებების პრაქტიკაში შესაბამის დონეზე იმპლემენტაციასთან დაკავშირებული პრობლემების წარმოშობა

სახელმწიფო ფინანსების მართვა (23 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
აღწერა და მიზანი	მაკროეკონომიკური პროგნოზირების მეთოდოლოგიის დახვეწა; საშუალოვადიანი მაკროეკონომიკური პროგნოზების მომზადება და სცენარების შედგენა; მაჩვენებლების არეალის გაფართოება და მაკროეკონომიკური პოლიტიკის ეფექტურად დაგეგმვა; საერთო წონასწორობის დინამიკური სტოქასტური მოდელის (DSGE) დანერგვა პოლიტიკის ანალიზისათვის; საშუალოვადიანი ფისკალური პოლიტიკის შემუშავება და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება. სოციალურ-ეკონომიკური გადაწყვეტილებების შეფასებასა და სტრატეგიების შემუშავებაში მონაწილეობა მაკროეკონომკური პროგნოზირების კუთხით; ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ტენდენციების შესახებ ანალიტიკური ინფორმაციის მომზადება. ხარჯების საშუალოვადიანი გეგმებისა და წლიური ბიუჯეტების პროექტების მომზადება, სახელმწიფოს ფუნქციებისა და ვალდებულებების შესასრულებლად სათანადო რესურსების მობილიზებისა და ეფექტურად განაწილების მიზნით. სახელმწიფო ფინანსების მართვა და ფისკალური წესების შემდგომი რეგულირება სტაბილური ფისკალური პარამეტრების მიღწევის მიზნით, საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო გამოცდილების შესაბამისად. საბიუჯეტო პროცესის კალენდრით გათვალისწინებული ეტაპების შესრულება. გადამუშავებული პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიის შესაბამისად მხარჯავი დაწესებულებების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მიერ პროგრამული ბიუჯეტის განახლებული ფორმატით მომზადების კოორდინაცია;საჯარო ფინანსების მართვის რეფორმების შემდგომი ეტაპების დაგეგმვა საბიუჯეტო პროცესის, ბიუჯეტის დაგეგმვისა და აღსრულების შემდგომი განვითარების მიზნით. ფისკალური რისკების შეფასების და ანალიზის სისტემის დანერგვა, ბიუჯეტის წინაშე მდგარი ფისკალური რისკების იდენტიფიცირება, იდენტიფიცირებული ფისკალური რისკების შემცირების და მართვის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება, ფისკალური რისკების შესახებ ანალიტიკური დოკუმენტის მომზადება და

	საჯაროობის უზრუნველყოფა. საგადასახადო კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფა და შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავება; ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ევროკავშირის დირექტივებთან საგადასახადო კანონმდებლობის ჰარმონიზება; პრიორიტეტულ სახელმწიფოებთან „შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ“ შეთანხმების გაფორმება, ხოლო პრიორიტეტულ სახელმწიფოებთან არსებული შეთანხმების განახლება. სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის სრულყოფა, შიდა აუდიტის სუბიექტების საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის სრულყოფილი ფუნქციონირება. სათანადო ფინანსური რესურსის მობილიზებისათვის დონორ ორგანიზაციებთან და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან ეფექტური თანამშრომლობის შენარჩუნება საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტული პროგრამების და ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად. დამატებითი საინვესტიციო რესურსების მოზიდვის პარალელურად მთავრობის ვალის მდგრადობის შენარჩუნება, როგორც საშუალოვადიან, ასევე გრძელვადიან პერიოდში. მთავრობის ფასიანი ქაღალდების ბაზრის შემდგომი განვითარების ხელშეწყობის მიზნით, სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენება. ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხების შესრულების კოორდინაცია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში და აღებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი. ქვეყნის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესების მიზნით სტრატეგიის დამუშავების კოორდინაცია და საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებთან ურთიერთობის კოორდინაცია. დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული სააღრიცხვო სისტემის შემოღება და IPSAS სტანდარტებთან სრული შესაბამისობის მიღწევა. სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის (PFMS) შემუშავება.
მოსალოდნელი	• სახელმწიფოს ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით სათანადო რესურსების მობილიზების

საბოლოო შედეგი	უზრუნველყოფა. • სტაბილური მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების მიღწევა. • ქვეყნისათვის სტაბილური და იაფი ფინანსური რესურსის ხელმისაწვდომობა. • საერთაშორისო საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფა. • საჯარო ფინანსების მართვის ეფექტიანობის გაზრდა. • სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის სრულყოფა. • საბიუჯეტო პროცესი შეესაბამება საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი -** სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან – 2.3%-ის ფარგლებში (კანონით დადგენილი ზღვარი - არაუმეტეს 3%); **მიზნობრივი მაჩვენებელი -** სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან – არა უმეტეს 2.2%; **შესაძლო რისკები -** რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები **2.** **საბაზისო მაჩვენებელი -** ღია ბიუჯეტის ინდექსის (OBI) მაჩვენებელი - 82 ქულა; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/გაუმჯობესება; **შესაძლო რისკები -** - შეფასების მეთოდოლოგიის გამკაცრება და მსოფლიოს სხვა ქვეყნების მაჩვენებლის მნიშვნელოვნად გაუმჯობესება **3.** **საბაზისო მაჩვენებელი -** სახელმწიფო ვალის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან – 42.6%; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** სახელმწიფო ვალის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან – არა უმეტეს 40.2%; **შესაძლო რისკები -** რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები **4.** **საბაზისო მაჩვენებელი -** საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიის Standard & Poor's შეფასებით საქარტველოს მინიჭებული აქვს „BB-პოზიტიური“ რეიტინგი (გაუმჯობესდა „BB- სტაბილური“-დან 2019 წლის აპრილში). საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიის Fitch-ის მიერ მინიჭებული აქვს „BB სტაბილური“ რეიტინგი (გაუმჯობესდა „BB- პოზიტიური“-დან 2019 წლის თებერვალში). საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია Moody's-ის შეფასებით კი საქართველოს მინიჭებული აქვს "Ba2 (რაც წარმოადგენს BB-ის ანალოგია) სტაბილური“ ; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიების არსებული მაჩვენებლების შენარჩუნება/გაუმჯობესება; **შესაძლო რისკები -** **5.** **საბაზისო მაჩვენებელი -** ყოველწლიურად მზადდება სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისთვის მოდიფიცირებული საკასო მეთოდის შესაბამისი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** დანერგილია დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული საჯარო სექტორის ბუღალტრული

	აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 25%; **შესაძლო რისკები** - სტანდარტების დანერგვის სირთულე

ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება (24 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
აღწერა და მიზანი	საქართველოს ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისათვის ეკონომიკური ზრდის პოლიტიკის დაგეგმვის პროცესის წარმართვა, ანალიზი, პოლიტიკის კოორდინაცია, პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ეკონომიკის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი მიმართულებების იდენტიფიცირება და ქვეყანაში მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა; სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს შენარჩუნება; ეფექტიანი კოორდინაციით მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის და შესაბამისი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება; კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის მიზნით საჯარო-კერძო დიალოგის პლატფორმის ფარგლებში კერძო სექტორთან აქტიური თანამშრომლობა და აგრეთვე, კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის და სახელმწიფო და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება; საკანონმდებლო ინიციატივებზე რეგულირების გავლენის შეფასება (RIA); საერთაშორისო რეიტინგებში საქართველოს პოზიციების გაუმჯობესების/შენარჩუნების/ხელშეწყობის მიზნით სტრატეგიის და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება; შრომის ბაზრის ტენდენციების შესწავლა და ანალიზი, შრომის ბაზრის შესაბამისი კვლევების განხორციელელბა, შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის შემდგომი განვითარება; ეკონომიკაში მიმდინარე ტენდენციების ანლიზი, გამოწვევებისა და განვითარების შესაძლებლობების იდენტიფიცირება, ეკონომიკურ ზრდაზე ორიენტირებული რეფორმების შემუშავება და განხორციელება, რომელშიც იგულისხმება თანმიმდევრული ნაბიჯების გადადგმა საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისა და კერძო სექტორის განვითარებისთვის; ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისთვის საქართველოს, როგორც საერთაშორისო საინვესტიციო, საკომუნიკაციო, სატრანსპორტო, ლოგისტიკური, ენერგეტიკული, ტექნოლოგიური, ტურისტული და საფინანსო

	კვანძის პოპულარიზაცია, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის სატრანსპორტო-სატრანზიტო პოტენციალის სრულყოფილ ათვისებას, ეროვნული წარმოების განვითარებას, ესქპორტის ზრდას, უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, ქვეყანაში თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვას და საერთაშორისო ეკონომიკურ პროცესებში ქვეყნის სრულფასოვანი მონაწილეობის ხელშეწყობას; გარემოსა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების ხელშეწყობისა და სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით, საყოფაცხოვრებო მოწყობილობების ენერგო ეტიკეტირების კანონმდებლობისა და მისი აღსრულებისათვის საჭირო მარეგულირებელი ნორმატიული აქტების შემუშავება და აღსრულების პროცესის ხელშეწყობა; ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან დაახლოების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების (2018 წლის 31 დეკემბრიდან დირექტივა 2010/30/EU-ის მოთხოვნების შესრულების ვალდებულება) გატარება და ეროვნულ კანონმდებლობაში იმპლემენტაცია, „ენერგოეფექტურობისა და მდგარდი ენერგეტიკის მხარდაჭერა საქართველოში“ პროექტზე მუშაობა, რომელიც ევროკავშირის დირექტივების შესაბამისად ითვალისწინებს საყოფაცხოვრებო მოწყობილობების მიერ ენერგიის მოხმარების აღმნიშვნელი მარკირების სისტემის შემუშავებასა და დანერგვას; საქართველოს ბაზარზე განთავსებული ან/და საქართველოში ექსპლუატაციაში გაშვებული ენერგომომხმარებელი პროდუქტის შესაბამისობის უზრუნველყოფა კანონითა და შესაბამისი 16 ტექნიკური რეგლამენტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან და აღნიშნულის თაობაზე მომხმარებლების ინფორმირება; საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციისათვის სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება; საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესება; საქართველოს ენერგეტიკის სფეროში, ნავთობისა და გაზის რესურსების ათვისების და ნავთობის გადამუშავების სფეროში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა; ელექტროენერგიის განახლებადი და ალტერნატიული წყაროების მოძიების, უპირატესი ათვისებისა და ამ კუთხით დარგის სტაბილური განვითარების უზრუნველსაყოფად სამოქმედო გეგმის შემუშავება; ქარის და მზის ელექტროსადგურების და ბიომასის თბოელექტროსადგურის მშენებლობა; საქართველოს ენერგეტიკული ბაზრების მარეგულირებელი კანონმდებლობის ევროკავშირის საკანონმდებლო ბაზასთან დაახლოება და ეტაპობრივი დანერგვა;

	მშენებლობაში, მრეწველობასა და ტრანსპორტის სფეროებში ენერგოეფექტურობის საკანონმდებლო ბაზის შექმნა და რესურსდამზოგავი ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა, რომელიც უზრუნველყოფს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით; სამშენებლო სექტორის შემდგომი განვითარება, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე, უზრუნველყოფს ქვეყანაში მშენებლობის ხარისხის/უსაფრთხოების გაუმჯობესებას, დასაქმების ზრდასა და მოსახლეობის ადგილებზე შენარჩუნებას; ქვეყნებს შორის ერთიანი სატრანსპორტო სისტემების შექმნის და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ხელშეწყობა, კონკურენტუნარიანი გადაზიდვის ტარიფების დაწესება; ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების, ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადობის ჩამოყალიბების პროცესების დაჩქარება, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების, მეწარმეობის და კონკურენციის განვითარების ხელშეწყობა. ევროპასა და აზიას შორის ფართოზოლოვანი გლობალური ინერნეტ ინფრასტრუქტურის განვითარება; საფოსტო სფეროს და საფოსტო ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა, ფოსტის სფეროში საერთაშორისო ორგანიზაციების მსოფლიოს საფოსტო სტანდარტების შესაბამისი უნივერსალური საფოსტო მომსახურებების დანერგვა, დანიშნული საფოსტო ოპერატორისთვის ერთიანი საფოსტო წესების დადგენა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მაკროეკონომიკური სტაბილურობა და გაუმჯობესებული საინვესტიციო გარემო; შემუშავებული ეკონომიკური რეფორმები მდგრადი ეკონომიკური განვითარებისთვის; ქვეყანაში ჩამოყალიბებული ხელსაყრელი და საიმედო ბიზნეს გარემო; გაუმჯობესებული საქართველოს სავაჭრო ბალანსი; საქართველოს საყოფაცხოვრებო მოწყობილობების ენერგო ეტიკეტირების შემუშავებული კანონმდებლობა და დანერგილი წინასწარ განსაზღვრული საყოფაცხოვრებო მოწყობილობების მიერ ენერგიის მოხმარების აღმნიშვნელი მარკირების სისტემა; შემცირებული ქვეყნის ენერგოდამოკიდებულების დონე და გაუმჯობესებული ენერგოუსაფრთხოების პარამეტრები. გაზრდილი წარმოებული ელექტროენერგიის მოცულობა. უწყვეტი ენერგომომარაგებით უზრუნველყოფილი მომხმარებელი. ენერგიაზე მოთხოვნილების მართვა; გაუმჯობესებული ენერგეტიკული ბაზრების მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც დაახლოებულია

	ევროპის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკასთან; არქიტექტურულ-სამშენებლო სფეროში ევროპულ და საერთაშორისო ნორმებთან დაახლოებული საქართველოს კანონმდებლობა; შემუშავებული ევროდირექტივების შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტები/სტანდარტები; გაფორმებული სამთავრობათაშორისო შეთანხმებები, მოზიდული ტვირთნაკადები და ქვეყნის განვითარებული სატრანზიტო პოტენციალი; განვითარებული ელექტრონული კომუნიკაციები, საინფორმაციო ტექნოლოგიები, მაუწყებლობა და საფოსტო სფეროი. დანერგილი ახალი ტექნოლოგიები, მომსახურების ახალი სახეობები და სრულყოფილი მომსახურების არსებული სახეობები.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი -** 2018წლის მონაცემებით საქართველოს მთლიანმა შიდა პროდუქტმა 41 077.5 მლნ ლარი შეადგინა. 2018 წელი - ეკონომიკური ზრდა 4.7%; საერთაშორისო რეიტინგებში საქართველოს პოზიციები: მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთების 2019“ ანგარიშის მიხედვით, საქართველომ 83.28 ქულით მსოფლიოს 190 ქვეყანას შორის მე-6 ადგილი დაიკავა. საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიის ფრეზერის ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებული 2018 წლის ანგარიშით „მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლება“, საქართველო 162 ქვეყანას შორის 8,02 ქულით მე-7 პოზიციაზეა. 2018 წელს Heritage Foundation „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის“ რეიტინგში, საქართველო ევროპის რეგიონის 44 ქვეყანას შორის მე-9 ადგილზეა, მსოფლიოს 180 ქვეყანას შორის კი 76.2 ქულით მე-16 პოზიციაზეა „უმეტესად თავისუფალი“ სტატუსით; მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის“ 2018 წლის მიხედვით, საქართველო 60.9 ქულით 140 ქვეყანას შორის 66-ე პოზიციაზეა; საერთაშორისო გამჭვირვალობის „კორუფციის აღქმის ინდექსი“ 2018 წლის რეიტინგის მიხედვით საქართველომ მსოფლიოს 180 ქვეყანას შორის 56 ქულით 46-ე ადგილი დაიკავა; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს შენარჩუნება; სამიზნე მაჩვენებლების შენარჩუნება/გაუმჯობესება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5%; **შესაძლო რისკები -** ეკონომიკის ზრდაზე ზეგავლენის მქონე საგარეო ფაქტორების გაუარესება, მათ შორის რეგიონსა და უმთავრეს პარტნიორ ქვეყნებში არახელსაყრელი ეკონომიკური მდგომარეობა

სახელმწიფო ობიექტების მოვლა-შენახვა (40 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტო
აღწერა და მიზანი	სამთავრობო რეზიდენციებში საქართველოს პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის, პრეზიდენტის ადმინისტრაციის,

	ასევე ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირთა უზრუნველყოფა მათი საქმიანობისათვის საჭირო, საერთაშორისო სტანდარტების შესატყვისი პირობებით , სამთავრობო რეზიდენციების აღჭურვა თანამედროვე დონის ინვენტარ დანადგარებით.

ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა (23 04)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საფინანსო-ანალიტიკური სამსახური
აღწერა და მიზანი	სახელმწიფო ფინანსების მართვის (ელექტრონული) სისტემის (PFMS) და სხვა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მდგრადობის, უსაფრთხოების და საიმედო ფუნქციონირების უზრუნველყოფა, მ.შ.: - ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის მოდერნიზება და ფუნქციონალური განახლება - სახელმწიფო ხაზინის მომსახურების ელექტრონული სისტემის მოდერნიზება და ფუნქციონალური განახლება. - სახელმწიფო ვალის და საინვესტიციო პროექტების მართვის სისტემის დანერგვა ფინანსთა სამინისტროში. - ადამიანური რესურსების მართვის სისტემის მოდერნიზება, ფუნქციონალური განახლება, დანერგვა და მხარდაჭერა; უძრავ-მოძრავი ქონების გაყიდვის ელექტრონული აუქციონის სისტემის მოდერნიზება და ფუნქციონალური განახლება; საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის მოდერნიზება, ფუნქციონალური განახლება, დანერგვა და მხარდაჭერა; ბუნებრივი რესურსების მართვის სისტემის მოდერნიზება, ფუნქციონალური განახლება, დანერგვა და მხარდაჭერა; ვებგვერდების და სხვა საინფორმაციო სისტემების შემუშავება, დანერგვა და მხარდაჭერა; საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარება, ბიზნეს-უწყვეტობის უზრუნველყოფა და ტექნიკური მხარდაჭერა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მაღალი მდგრადობა; საჯარო ფინანსების მართვის სისტემის ეფექტური ფუნქციონირება; მიწოდებული სერვისების ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - ხორციელდება საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების, ასევე სსიპ-ების და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტებისა და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების ფინანსური მონაცემების ინტეგრირებული მართვა. შემუშავებული და დანერგილია სისტემის ახალი ვერსია;

	მიზნობრივი მაჩვენებელი - მიზნობრივი მაჩვენებელი არსებული ფუნქციონალის მონაცემთა ანალიზის ახალი მექანიზმების შემუშავება; სისტემის მოქმედების არეალს მიღმა დარჩენილი საბიუჯეტო პროცესების ავტომატიზება და ახალი მოდულების დამატება; საჯარო ფინანსების მართვის პროცესის მოდერნიზების ფარგლებში სხვა ელექტრონულ სისტემებთან ინტეგრაციის გაუმჯობესება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი; **შესაძლო რისკები** - .მიმდინარე ახალი ამოცანების ინიცირება დამკვეთის მხრიდან და პრიორიტეტების ცვლილება; ახალი პროგრამული პროდუქტების შექმნის და ტესტირების შესაძლო სიძნელეები; კვალიფიციური ადამიანური რესურსის გადინება **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ხორციელდება დოკუმენტებისა და დანართების ელექტრონულ ფორმატში წარდგენა და საბიუჯეტო სახსრების მართვა. მხარჯავი დაწესებულებები ახდენენ სახელმწიფო ფულადი სახსრების ონლაინ რეჟიმში გადარიცხვას. სისტემას დამატებული 10-მეტი ახალი მოდულო (არასახელფასო დაკავება, დაგროვებითი საპენსიო სქემა, ფულის მართვის მოდული და სხვ.). დასრულებული 8 მსხვილი ამოცანა (მენიუს მართვა, პირველადი დოკუმენტების ჩატვირთვის და დამუშავების ლოგიკა, მწვანე დერეფნის ფუნქციონალი და სხვ.); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ბუღალტრული აღრიცხვის საკასო მეთოდიდან დარიცხვის მეთოდზე სრულად გადასვლა; სისტემის ფუნქციონალისა და შესაბამისი მოდულების მოდერნიზება/ახალი მოდულების დამატება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი; **შესაძლო რისკები** - მიმდინარე ახალი ამოცანების ინიცირება დამკვეთის მხრიდან და პრიორიტეტების ცვლილება; ახალი პროგრამული პროდუქტების შექმნის და ტესტირების შესაძლო სიძნელეები; კვალიფიციური ადამიანური რესურსის გადინება **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ერთიან სივრცეში თავმოყრილი სახელმწიფო სესხზე, ვალზე და გრანტებზე არსებულ ყველა სახის მონაცემები. უზრუნველყოფილი ფინანსური ინფორმაციის სრული სახით მიღება. ჩატარებული DMNAT-ის მონაცემთა ბაზის სრული მიგრაცია. შემუშავებული ახალი სერვისები eTreasury და eBudget სისტემებთან (პირველადი დოკუმენტების გენერირება, ინვოისების ავტომატური შექმნა, გაგზავნა, ავტომატური მიმოცვლის სერვისი და სხვ.). პროექტების, საინვესტიციო ხაზების და კომპონენტების სტრუქტურის ჩატარებული რეფაქტორინგი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ვალების მართვის სფეროში არსებული საფინანსო სისტემების გაერთიანება, ინფორმაციის აღრიცხვისა და მართვის გამარტივება/გაუმჯობესება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი; **შესაძლო რისკები** - მიმდინარე ახალი ამოცანების ინიცირება დამკვეთის მხრიდან და პრიორიტეტების ცვლილება; ახალი პროგრამული პროდუქტების შექმნის და ტესტირების შესაძლო სიძნელეები; კვალიფიციური ადამიანური რესურსის გადინება **4.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 300-ზე მეტ სახელმწიფო ორგანიზაციაში ადამიანური რესურსების მართვა ხორციელდება სისტემის მეშვეობით. შემუშავებული ახალი ვერსია. დამატებული თანამშრომლის პორტალი (Self-Service). დანერგილი SMS ავტორიზაციის მეთოდი. შემუშავებული 10-მდე მსხვილი ფუნქციონალური მოდული (პროფესიული საჯარო მოხელეების კლასები, ორგანიზაციების გაუქმება, თანამშრომელთა შეფასების ჯამური ასახვა

	და სხვ.); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სისტემის ახალი ვერსიის გავრცელება მომხმარებელ ორგანიზაციებში; შერჩევის, შეფასების, სწავლებისა და კარიერის განვითარების მართვის მოდულების დანერგვა; სხვა სისტემებთან (eDocument, eTreasury) ინტეგრირება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი; **შესაძლო რისკები** - შესაბამისი ადამიანური რესურსის არარსებობა; არაეფექტური უწყებათაშორისი კოორდინაცია **5.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 70 000-მდე ფიზიკური და 8 300-მდე იურიდიული პირი და 60-მდე პარტნიორი ორგანიზაცია ახორციელებს ელექტრონულ ვაჭრობას სისტემის მეშვეობით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სისტემის ფუნქციონალისა და დიზაინის შესაბამისობა ტექნიკურ დავალებასა და დაინტერესებული მხარის მოთხოვნებთან; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი; **შესაძლო რისკები** - მიმდინარე ახალი ამოცანების ინიცირება დამკვეთის მხრიდან და პრიორიტეტების ცვლილება; ახალი პროგრამული პროდუქტების შექმნის და ტესტირების შესაძლო სიძნელეები; კვალიფიციური ადამიანური რესურსის გადინება **6.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 200-ზე სახელმწიფო ორგანიზაციის და 25.000-ზე მეტი მომხმარებლის ელექტრონულად განხორციელებული შიდა და გარე მიმოწერა. შემუშავებული და გავრცელებული სისტემის ახალი ვერსია. ფუნქციონალური განვითარება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სისტემის ფუნქციონალობის შესაბამისობა დამკვეთის მოთხოვნებთან; სისტემის ახალი ვერსიის დანერგვა ყველა მომხმარებელ ორგანიზაციაში და განვითარება; სხვა საინფორმაციო სისტემებთან ინტეგრაციის უზრუნველყოფა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი; **შესაძლო რისკები** - მიმდინარე ახალი ამოცანების ინიცირება დამკვეთის მხრიდან და პრიორიტეტების ცვლილება; ახალი პროგრამული პროდუქტების შექმნის და ტესტირების შესაძლო სიძნელეები; კვალიფიციური ადამიანური რესურსის გადინება **7.** **საბაზისო მაჩვენებელი** - სისტემას ჰყავს 3900-მდე მომხმარებელი, რომლებიც ახორციელებენ ინფორმაციის ელექტრონულად დამუშავებას სხვადასხვა მიმართულებით (ხე-ტყის, სახერხი საამქროს, ატმოსფერული ჰაერი). მიმდინარეობს სისტემის ახალ ტექნოლოგიაზე გადაწერა და ახალი ამოცანების დამუშავება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სისტემის ფუნქციონალისა და დიზაინის შესაბამისობა ტექნიკურ დავალებასა და დაინტერესებული მხარის მოთხოვნებთან; თევზჭერის მართვისა და მონიტორინგის სისტემის შემუშავება; წყლის სახელმწიფო აღრიცხვის მართვისა და მონიტორინგის სისტემის შემუშავება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი; **შესაძლო რისკები** - შესაბამისი ადამიანური რესურსის არარსებობა; არაეფექტური უწყებათაშორისი კოორდინაცია **8.** **საბაზისო მაჩვენებელი** - შექმნილი და მხარდაჭერილი 40-მდე ვებგვერდი, პორტალი და/ან ელექტრონული სისტემა;

	მიზნობრივი მაჩვენებელი - ვებგვერდების და საინფორმაციო სისტემების ფუნქციონალისა და დიზაინის შესაბამისობა ტექნიკური დავალების და დაინტერესებული მხარეების მოთხოვნებთან; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი; **შესაძლო რისკები** - ახალი ამოცანების ინიცირება დამკვეთის მხრიდან და პრიორიტეტების ცვლილება; არაეფექტური უწყებათაშორისი კოორდინაცია; კვალიფიციური ადამიანური რესურსის გადინება **9.** **საბაზისო მაჩვენებელი** - უზრუნველყოფილი ინფრასტრუქტურის განვითარება და ტექნიკური მხარდაჭერა. დანერგილი ITIL სტანდარტის ცვლილებების მართვის სისტემა მაიკროსოფტის სისტემ- ცენტრის ტექნიკურ პლატფორმაზე. განხორციელებული მონაცემთა შენახვის სისტემის მოცულობის და სიმძლავრის გაზრდა. დანერგილი მონაცემთა ბაზის ოპერირების ახალი ტექნოლოგია; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის სერვერული და ქსელური ინფრასტრუქტურის განახლება და სიმძლავრეების კრიტიკული სისტემების მოთხოვნებთან და საჭიროებებთან შესაბამისობაში მოყვანა. დანერგილი უსაფრთხოების პოლიტიკა. ბიზნეს-პროცესების განხორციელება ITIL სტანდარტების შესაბამისად; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი; **შესაძლო რისკები** - შესაძლო ლოგისტიკური სიძნელეები; კვალიფიციური ადამიანური რესურსის გადინება

სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვა და მართვა (47 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - საქსტატი
აღწერა და მიზანი	სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამის შემუშავება; სტატისტიკური კვლევების დაგეგმვა, მართვა, წარმოება, გავრცელება და ანგარიშგება; მეთოდოლოგიური და სტატისტიკური სტანდარტების შემუშავება; დასახული ამოცანებისა და მიზნების მისაღწევად საჭირო საკადრო, ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური და საინფორმაციო-ტექნოლოგიური რესურსებით უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	განხორციელდება კვლევების მართვა და მიიღება შესაბამისი სტატისტიკური მაჩვენებლები.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საერთაშორისო ინსტიტუტების შეფასება; ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების ხარისხი და სანდოობა

სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა (47 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - საქსტატი
აღწერა და მიზანი	ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის ძირითად მახასიათებელს წარმოადგენს მთლიანი შიდა პროდუქტი; ქვეყნის საგარეო ვაჭრობისა და ქვეყანაში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის გაანგარიშება; მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ მონაცემების მოპოვება; სამომხმარებლო ფასებისა და მწარმოებელთა ფასების ინდექსების გაანგარიშება; ფასების საერთაშორისო შედარების განხორციელება; ბიზნეს სექტორში (აგრეთვე არაკომერციულ ორგანიზაციების სექტორში) მიმდინარე მოვლენების და პროცესების ანალიზი; ენერგორესურსების მოხმარების შესახებ სტატისტიკური გამოკვლევის განხორციელება და საქართველოს ენერგეტიკული ბალანსის შემუშავება; არაფინანსური კორპორაციების ფინანსური მაჩვენებლების გაანგარიშება; სამაცივრე, სასაკლაო მეურნეობებისა და ელევატორების საქმიანობის გამოკვლევა; საფინანსო საქმიანობთ დაკავებული საწარმოების და ლომბარდების საქმიანობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება; საავტომობილო ტრანსპორტის ნატურალური მაჩვენებლების და ამავე დარგში ენერგორესურსების საბოლოო მოხმარების შესახებ ინფორმაციის შეგროვება; შინამეურნეობებში ენერგორესურსების მოხმარების შესახებ ინფორმაციის შეგროვება; შრომის სტატისტიკის მაჩვენებლების გაანგარიშება; შრომის ბაზრისა და სამუშაო ძალის დეტალური გამოკვლევა; მიმდინარე დემოგრაფიული გამოკვლევა; შინამეურნეობების მდგომარეობის შესახებ სტატისტიკური მონაცემების მოპოვება, დამუშავება და გავრცელება (შინამეურნეობების შემოსავლები და ხარჯები, მოსახლეობის სიღარიბის და უთანაბრობის მაჩვენებლები და სხვა); სოფლის მეურნეობის შესახებ მიმდინარე სტატისტიკური მონაცემების მოპოვება, დამუშავება და გავრცელება; საქართველოს რეზიდენტი და უცხოელი ვიზიტორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტების, ასევე, საქართველოს რეზიდენტების მიერ ქვეყნის გარეთ განხორციელებული ვიზიტების შესახებ მონაცემების მოპოვება, დამუშავება და გავრცელება; საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება შინამეურნეობებსა და ბიზნესში; საწარმოთა ინოვაციური აქტივობის გამოკვლევა; დაუკვირვებადი ეკონომიკის გამოკვლევა სხვადასხვა სექტორში.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მიღებულ იქნება მონაცემები ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის შესახებ; ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით მაღალი ხარისხის სტატისტიკური მაჩვენებლები, რომელთა ბაზაზეც გაიანგარიშება ძირითადი სტატისტიკური ინდიკატორები; მონაცემები მიმდინარე ფასების შესახებ; მიღებულ იქნება მოსახლეობის სიღარიბისა და უთანაბრობის მაჩვენებლები, მოსახლეობის ცხოვრების დონის

	(შინამეურნეობების შემოსავლები და ხარჯები) და მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის (დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლები) მაჩვენებლები, ეროვნული ანგარიშების მაჩვენებლების გასაანგარიშებლად საჭირო მონაცემები; სამომხმარებლო კალათის დადგენისათვის საჭირო მონაცემები; მიღებული იქნება როგორც მიმდინარე (წინასწარი), ისე საბოლოო სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობაში არსებული მდგომარეობის შესახებ. მიღებულ იქნება ბიზნეს სექტორის (ასევე არაკომერციული ორგანიზაციების სექტორის) საქმიანობის ამსახველი სხვადასხვა სახის მაჩვენებლები; მიღებულ იქნება მონაცემები ინოვაციური აქტივობების და ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ სხვადახვა სექტორში. მიღებული იქნება სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოს რეზიდენტი და უცხოელი ვიზიტორების შესახებ, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნით გარეთ. .
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **მიზნობრივი მაჩვენებელი -** მონაცემთა ანალიზი და შედარებები; ერთობლივი საკონტროლო ღონისძიებები ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელ სხვა სამთავრობო დაწესებულებებთან ერთად; მონაცემთა გამოყენება სამთავრობო დაწესებულებათა და სხვა მომხმარებელთა მიერ; საერთაშორისო ექსპერტული შეფასებები; შესრულებული საერთშორისო ვალდებულებები

ორმხრივი ხელშეკრულებების ფარგლებში აღიარებული ვალდებულებების დაფარვასთან დაკავშირებული ღონისძიებები (24 18)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
აღწერა და მიზანი	საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის „ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ გაფორმებული შეთანხმებისა და „სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და ,,TURKISH ELECTRICITY TRADING AND CONTRACTING CO.”-ს შორის გასაფორმებელი ოქმის პროექტის მოწონების შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და თურქეთის ელექტროენერგიით ვაჭრობისა და ხელშემკვრელ კომპანიას (TETAS) შორის გაფორმებული ოქმის საფუძველზე, თურქეთის რესპუბლიკის მიმართ საქართველოს მთავრობის მიერ აღიარებული ელექტროენერგიის დავალიანების (1 000 000 000 კვტ. სთ ელექტროენერგიის) დაბრუნება (2019 წლიდან მომდევნო 17 წლის მანძილზე ყოველწლიურად 50 მლნ კვტ. სთ ელექტროენერგია).

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სახელმწიფოს მიერ დაფარული თურქეთის რესპუბლიკის მიმართ წარმოქმნილი აღიარებული ელექტროენერგიის დავალიანება.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - თურქეთის რესპუბლიკის მიმართ წარმოქმნილი აღიარებული ელექტროენერგიის დავალიანება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - დაფარული დავალიანება

სსიპ – კონკურენციის სააგენტო (43 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - კონკურენციის სააგენტო
აღწერა და მიზანი	თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის ხელშეწყობა; ბაზრის ლიბერალიზაციის ხელშეწყობისათვის სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციული, სამართლებრივი და დისკრიმინაციული ბარიერების დაწესების დაუშვებლობა; ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში თანასწორუფლებიანობის პრინციპების დაცვა, რაც ითვალისწინებს: დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების დაუშვებლობას; კონკურენციის შემზღუდავი ხელშეკრულებების, გადაწყვეტილებებისა და შეთანხმებული ქმედებების დაუშვებლობას; სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ კონკურენციის არამართლზომიერად შემზღუდავი ექსკლუზიური უფლებამოსილების მინიჭების დაუშვებლობას; კონკურენციის შემაფერხებელი სახელმწიფო დახმარებების დაუშვებლობას; კონკურენციის სააგენტოს მიერ გადაწყვეტილებების მიღების საჯაროობის, ობიექტურობის, არადისკრიმინაციულობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა; ქვეყანაში კონკურენციის მარეგულირებელი კანონმდებლობის სრულყოფა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად უზრუნველყოფილი იქნება საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაცია, თავისუფალი ვაჭრობა და კონკურენციის ხელშეწყობა; ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში დაცული იქნება თანასწორუფლებიანობის პრინციპები.
შუალედური შედეგის	

შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - სააგენტოში მიმდინარეობდა 2 სასაქონლო ბაზრის მოკვლევა რომელთაგან ერთი დასრულდა, ამჟამად მიმდინარეობს ჯევერს დეველოპმენტი (სარეკლამო ბაზარი) საჩივრის საფუძველზე ბაზრის მოკვლევა, მიმდინარეობს საქონლის/მომსახურების 6 ბაზრის (ხორბლის და პურპროდუქტების; ჩვილბავშვთა კვების; ავტო დაზღვევის (CASCO); ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტების; ბენზინის, დიზელის და საავტომობილო გაზის; საცალო ვაჭრობის ქსელური ობიექტების ბაზრის სექტორული მონიტორინგი) მონიტორინგი; მონაწილეობა იქნა მიღებული 9 სასამართლო დავაში სააგენტოს მიერ მიღებულ 8 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით; კონკურენციის სამართლის შესახებ საჯარო და კერძო სექტორის ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით გაიმართა 9 სემინარი/კონფერენცია სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების და ბიზნეს-სუბიექტების წარმომადგენლების მონაწილეობით; სააგენტოს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით ჩატარდა 14 ღონისძიება ტრენინგი. ევროკავშირის პროექტის ფარგლებში. სააგენტოში მიმდინარეობდა 5 განცხადება/საჩივრის მატერიალური დასაშვებობის საკითხის შესწავლა მოკვლევის დაწყების მიზანშეწონილობის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობის, ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში თანასწორუფლებიანობის პრინციპების დაცვის მიზნით, კერძოდ-ბაზარზე ეკონომიკური აგენტის თავისუფალი დაშვების დათანადო პირობების უზრუნველყოფა; სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციული, სამართლებრივი და დისკრიმინაციული ბარიერების დაუშვებლობა; ეკონომიკური აგენტების თანასწორუფლებიანობის დაცვა; ეკონომიკურ აგენტთა შორის არამართლზომიერი შეზღუდვის დაუშვებლობა; სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ ეკონომიკური აგენტებისათვის კონკურენციის არამართზომიეი შემზღუდველი ექსკლუზიური უფლებების მინიჭების დაუშვებლობა

სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური (38 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური
აღწერა და მიზანი	საქართველოში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის, ტერორიზმის დაფინანსების და მათთან დაკავშირებული სხვა დანაშაულებრივი ფაქტების გამოვლენა და პრევენცია; საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო – ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) – სტანდარტებთან და ევროკავშირის შესაბამის დირექტივებთან ჰარმონიზაცია; უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის სფეროში ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა (49 00)

პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა
აღწერა და მიზანი	მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერა და ექსპორტ-იმპორტის ხელშეწყობა რეგიონალურ და საერთაშორისო ბაზრებში მათი ინტეგრაციისათვის; სხვადასხვა ქვეყნის სავაჭრო-სამრეწველო პალატებთან და ბიზნესგაერთიანებებთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარება და მჭიდრო თანამშრომლობა; ბიზნესფორუმების, კონფერენციების, გამოფენებისა და ორმხრივი შეხვედრების ორგანიზება ქართული და უცხოური ბიზნესწრეების წარმომადგენელთა მონაწილეობით, აგრეთვე ქართული კომპანიების საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობის ხელშეწყობა და „როუდშოუების“ ორგანიზება; ქართულ და უცხოურ კომპანიებს შორის ბიზნესკავშირების დამყარების ხელშეწყობა, პარტნიორის მოძიება და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის საერთაშორისო ბიზნესგაერთიანებებში ინტეგრაცია რეგიონალური/საერთაშორისო ფინანსური, ადამიანური და ბუნებრივი რესურსების ხელმისაწვდომობისათვის; ორმხრივი ეკონომიკური მთავრობათაშორისი კომისიების მუშაობაში მონაწილეობა; საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობისა და შრომის ბაზრის გაუმჯობესების მიზნით საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა; მეწარმე სუბიექტების ინტერესების გათვალისწინებით, არსებული სერვისების გაუმჯობესება/ახალი სერვისების შემუშავება და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ვებგვერდის მეშვეობით ელექტრონული სერვისების დანერგვა; მეწარმე სუბიექტების ბიზნესკატალოგის შექმნა; საქართველოს ბიზნესსუბიექტების ინტერესების დაცვისა და მეწარმე სუბიექტების ხელშეწყობის მიზნით სამთავრობო კომისიების, ინვესტორთა საბჭოს, დავების განხილვის საბჭოს და სამინისტროებთან არსებული საკონსულტაციო საბჭოების საქმიანობაში მონაწილეობა; ერთი ფანჯრის პრინციპზე დაფუძნებული DCFTA-ს საინფორმაციო ცენტრების სრულფასოვანი ამოქმედება, რომლის მიზანია DCFTA-თი გათვალისწინებულ მთავარ საკითხებთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, ევროკავშირში საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაციისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობების ხელშეწყობა, აგრეთვე კერძო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობა და საკანონმდებლო ცვლილებებთან ადაპტაციის ხელშეწყობა;

	საქართველოს რეგიონების ბიზნესკომპანიებთან შეხვედრების, ტრენინგების, სემინარების, ფორუმებისა და პრეზენტაციების გამართვა, აგრეთვე კონსულტაციების გაწევა მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობისა და პრობლემური საკითხების გაცნობის მიზნით; კომერციული და საინვესტიციო ხასიათის საერთაშორისო დავების განსახილველად საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის განვითარება; დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვისა და განვითარების ხელშეწყობა; ქვეყნის ფარგლების გარეთ ქართული კულტურის პოპულარიზაციის ხელშეწყობა; სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებაზე საქართველოს კულტურული ფასეულობების წარდგენა და მათში ხელოვანთა მონაწილეობის ხელშეწყობა; იმ ღონისძიებათა განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობს ქართული ხელოვნებისა და კულტურის შესახებ საერთაშორისო ცნობადობის ამაღლებას; ქართული კულტურის მოღვაწეთა და ქართული კულტურის განვითარებისთვის უცხო ქვეყნის კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეთა დამსახურებების სხვადასხვა ფორმით აღნიშვნა და წახალისება; კულტურასა და ბიზნესს შორის პარტნიორული ურთიერთობების გამყარება; ხელოვნების დარგების წარმომადგენელთა მიერ კავშირების დამყარება ინსტიტუციურ და კერძო ინვესტორებთან, ბიზნესმენებთან, რომლებიც დაინტერესებული არიან კულტურის სფეროში საინვესტიციო პროექტებით; სხვადასხვა ქვეყნის კულტურის პალატებთან და შოუბიზნესის წარმომადგენლებთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარება და მჭიდრო თანამშრომლობა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ქართული კომპანიების მიერ გაფართოვებული ბიზნეს-კავშირები, საქართველოში წარმოებული პროდუქციის ცნობადობის გაზრდა საერთაშორისო ბაზრებზე და საზღვარგარეთ მოძიებული პარტნიორების გაზრდილი რიცხვი; ევროკავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაცია, ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავება და კერძო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობა; კომერციული და საინვესტიციო ხასიათის საერთაშორისო დავების ეფექტურად და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განხილვის შესაძლებლობა; დუალური პროფესიული განათლების პოპულარიზაცია, ბიზნესთან გაუმჯობესებული კოორდინაცია და

	ჩართულობის გაზრდა; საქართველოს ხელოვნებისა და კულტურის სფეროს წარმომადგენელთა მიერ გაფართოვებული ბიზნეს-კავშირები და საზღვარგარეთ მოძიებული პარტნიორების გაზრდილი რიცხვი; ევროკავშირში საქართველოს კულტურული ინტეგრაცია, საქართველოსა და ევროკავშირს ქვეყნებს შორის შორის ორმხრივი ურთიერთობები და კერძო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობა ხელოვნებისა და კულტურის დარგში.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი -** საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორგანიზებით 2019 წელს ჩატარდა 20-ზე მეტი ბიზნეს-ფორუმი, როგორც საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 1000-მდე კომპანიამ. აღნიშნული ღონისძიებების ფარგლებში გაიმართა ორმხრივი შეხვედრები და დამყარდა კავშირები, რამაც ბიზნეს-სუბიექტებს ხელი შეუწყო საქმიანობის ეფექტურად წარმართვაში; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** საზღვარგარეთ ქართული კომპანიების მიერ ბიზნეს-კავშირების გაფართოვება და ბიზნეს-პარტნიორების რიცხვის გაზრდა; ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 5%; **შესაძლო რისკები -** საერთაშორისო ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება, მათ შორის რეგიონში; ძირითადი ნედლეულის ფასების ვარდნა საერთაშორისო ბაზარზე 2. **საბაზისო მაჩვენებელი -** საქართველოს კულტურის პალატის და საზღვარგარეთის ქვეყნების წარმომადგენლების მიერ განხორციელებული ერთობლივი საინვესტიციო პროექტები ხელოვნებისა და კულტურის კუთხით; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** საქართველოს კულტურის პალატის და საზღვარგარეთის ქვეყნების წარმომადგენლების მიერ განხორციელებული ერთობლივი საინვესტიციო პროექტები ხელოვნებისა და კულტურის კუთხით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5%; **შესაძლო რისკები -** საერთაშორისო ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება, მათ შორის რეგიონში

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობა (23 06)	
პროგრამის განმახორციელებელი	ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური
აღწერა და მიზანი	აუდიტისადმი დაქვემდებარებული სუბიექტების ფინანსური ანგარიშგების სანდოობის ამაღლებისათვის აუდიტის ზედამხედველობის ეფექტიანი სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს აუდიტორული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტებთან, აუდიტორების პროფესიული განათლების საერთაშორისო სტანდარტებთან, ეთიკის ნორმებთან და ევროკავშირის სათანადო დირექტივასთან შესაბამისობას. ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებების პორტალის შექმნა „გარკვეული კატეგორიის საწარმოების წლიური ფინანსური ანგარიშგების, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და დაკავშირებული ანგარიშგებების

	შესახებ“ 2013 წლის 26 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2013/34/EU დირექტივასთან დაახლოების (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, ფინანსური და მმართველობითი ინფორმაციის სანდოობის ამაღლება სწორი ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების) მიზნით.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ფინანსური და მმართველობითი ანგარიშგებების პორტალის შექმნა; წარდგენილი ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებების გასაჯაროება; აუდიტორული მომსახურების ხარისხის გაზრდა; საინვესტიციო და საკრედიტო ურთიერთობების გამარტივება და განვითარება.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ქართულ ენაზე ნათარგმნი და სამოქმედოდ შემოღებული: • 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები(IFRS); • 2018 წლის ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტი (ISQC1) დააუდიტის საერთაშორის სტანდარტები (ISA, ISRE, ISAE და ISRS); • 2018 წლის პროფესიული ბუღალტრების ეთიკის კოდექსი (IESBA Code); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ქართულ ენაზე ნათარგმნი და სამოქმედოდ შემოღებული: • ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) განახლებული ვერსია; • ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტი (ISQC1) და აუდიტის საერთაშორის სტანდარტების (ISA, ISRE, ISAE და ISRS) განახლებული ვერსია; • პროფესიული ეთიკის კოდექსის (IESBA Code) განახლებული ვერსია; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - • გამოცემული ახალი სტანდარტების თარგმნის ვერ განხორციელება; • კანონით დადგენილ ვადებში სტანდარტების სამოქმედოდ ვერ შემოღება **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - აუდიტორების და აუდიტორული ფირმების ზედამხედველობა და მონიტორინგი: • აუდიტორების და აუდიტორული ფირმების რეესტრში რეგისტრირებული 480 აუდიტორი და 270 აუდიტორული ფირმა; • 50 აუდიტორის და 100 აუდიტორული ფირმის მიმართ კანონთან და დადგენილ წესებთან შესაბამისობის კუთხით განხორციელებული მოკვლევა; • 40-მდე აუდიტორული ფირმის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტოტინგი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - აუდიტორების და აუდიტორული ფირმების ზედამხედველობა და მონიტორინგი: • აუდიტორების და აუდიტორული ფირმების რეესტრში რეგისტრირებული 520 აუდიტორი და 290 აუდიტორული ფირმა; • 450 აუდიტორის და 290 აუდიტორული ფირმის მიმართ კანონთან და დადგენილ წესებთან შესაბამისობის კუთხით განხორციელებული მოკვლევა; • 180-მდე აუდიტორული ფირმის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტოტინგი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 30%; **შესაძლო რისკები** - • შესაბამისი რაოდენობის აუდიტორების და აუდიტორული ფირმების მიერ რეგისტრაციის შესახებ განაცხადის არ გაკეთება; • პერსონალი კვალიფიკაცია და გამოუცდელობა **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - სამსახურის მიერ აღიარებული 9 განგრძობითი განათლების პროგრამა, 3 სასერტიფიკაციო პროგრამა და საგამოცდო პროცესი და მათი მონიტორინგი;

	მიზნობრივი მაჩვენებელი - სამსახურის მიერ აღიარებული 21 განგრძობითი განათლების პროგრამა, 3 სასერტიფიკაციო პროგრამა და საგამოცდო პროცესი და მათი მონიტორინგი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - შესაბამისი რაოდენობის ასაღიარებელი პროგრამების არარსებობა **4.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ანგარიშგებების წარდგენის სისტემის შექმნა და მისი მეშვეობით წარმოდგენილი 20,000 ანგარიშგება. ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებების პორტალზე განთავსებული 20,000 ანგარიშგება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ანგარიშგებების წარდგენის სისტემის მეშვეობით წარმოდგენილი 40,000 ანგარიშგება. ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებების პორტალზე განთავსებული 40,000 ანგარიშგება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 30%; **შესაძლო რისკები** - • ანგარიშგებების წარდგენის სისტემის შეფერხებით ფუნქციონირება; • სუბიექტების მიერ ანგარიშგებების წარუდგენლობა

სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროს განვითარება (24 03)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო
აღწერა და მიზანი	საქართველოს სტანდარტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მომსახურების სფეროს და დიაპაზონის გაფართოება; სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტში ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ზოგადი პრინციპების დანერგვა ISO 9001 სტანდარტის შესაბამისად და ქვეყნის ეკონომიკური პრიორიტეტების შესაბამისად სტანდარტიზაციის სფეროში ტექნიკური კომიტეტების ჩამოყალიბება, საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების მიღება საქართველოს სტანდარტებად; მეტროლოგიისა და სტანდარტიზაციის სფეროში საერთაშორისო აღიარების მისაღწევად ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) და ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში (TBT) ნაწილის მოთხოვნების შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	გაზომვების პრიორიტეტულ სფეროებში ახალი და გაფართოებული დიაპაზონის მომსახურების შეთავაზება; მომსახურების შეთავაზება ხარისხის მენეჯმენტის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. განვითარებული ელექტორნული მენეჯმენტის სისტემები; გაზრდილი ხელმისაწვდომობა საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებზე.
საბოლოო შედეგის შეფასების	**1.**

ინდიკატორები	**საბაზისო მაჩვენებელი** - 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით - საერთაშორისო დონეზე აღიარებული 8 მეტროლოგიური ლაბორატორია; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - აღიარების შენარჩუნება 8 სფეროში (2020-2023წწ.); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 50%; **შესაძლო რისკები** - საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციების (BIPM, COOMET) მხრიდან აღიარების პროცესის ვადების და პროცედურების შეცვლა **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტში აღჭურვილი და განახლებულია ლაბორატორიები შემდეგი 10 მიმართულებით: წნევა, ტენიანობა, სიგრძე, დიდი მასები, მცირე მოცულობა, რადიოფიზიკა, ნივთიერებათა ხარჯი (აირის საწარმოო მრიცხველები), ფიზ-ქიმიური გაზომვები, რადიოფიზიკა (ხმაურის გაზომვები) და მექანიკა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ყოველწიურად დამატებით განახლებული 1 ლაბორატორია; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 18%; **შესაძლო რისკები** - შესაძლოა ვერ მოხერხდეს შესაბამისი აღჭურვილობის დროული შეძენა, მათი ტექნიკური სპეციფიურობიდან გამომდინარე **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 2019 წლის იანვრის მდგომარეობით სულ საქართველოს სტანდარტად მიღებულია 13 660 საერთაშორისო და ევროპული სტანდარტი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2020 წლის ბოლოსათვის საქართველოს სტანდარტად მიღებული იქნება სულ 15600 საერთაშორისო და ევროპული სტანდარტი, 2021 წლის ბოლოსათვის - 17600 სტანდარტი, 2022 წლის ბოლოსათვის - 19600 სტანდარტი და 2023 წლის ბოლოსათვის - 20000 სტანდარტი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - შესაძლოა შეიზღუდოს საერთაშორისო/ევროპულ სტანდარტების ბაზაზე ხელმისაწვდომობა საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობის შეფერხებით ან ამავე ორგანიზაციების მიერ განხორციელდეს სტანდარტების გაუქმება **4.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სტანდარტების დეპარტამენტთან არსებობს 7 ტექნიკური კომიტეტი: ტკ 1-ელექტროტექნიკური კომიტეტი; ტკ 2 - მენეჯმენტი და შესაბამისობის შეფასება; ტკ 3 - სასურსათო პროდუქცია; ტკ 4 - ტურიზმი და მასთან დაკავშირებული მომსახურებები; ტკ 5 - მშენებლობა და მომეტებული საფრთხის შემცველი ობიექტები; ტკ 6 - ბუნებრივი გაზი; ტკ 7 - ენერგოეფექტურობა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ქვეყნის ეკონომიკური პრიორიტეტების შესაბამისად დამატებით 3 ტექნიკური კომიტეტის შექმნა (2020-2023 წწ); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 30-50%; **შესაძლო რისკები** - შესაბამისი კვალიფიკაციის მქონი პირების დაბალი აქტივობა **5.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ევროკავშირის საკანონმდებლო ბაზასთან დაახლოება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მეტროლოგიის სფეროში მისაღები 2 დირექტივისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება

	(2020-2022წწ); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 50%; **შესაძლო რისკები** - საკანონმდებლო დაახლოების პროცესის გაჭიანურება პასუხისმგებელი უწყების მიერ

საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი (03 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი
აღწერა და მიზანი	საქართველოს ტერიტორიაზე პირის მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის ხელშეწყობა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სამეწარმეო სუბიექტების მიერ დასმული პრობლემური საკითხების გადაწყვეტის და სამეწარმეო უფლებების დაცვის ხელშეწყობა
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - სამეწარმეო სუბიექტების მიერ დასმული საკითხების შესახებ ბიზნესომბუდსმენის პოზიციის სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების მაჩვენებელი 65%; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სამეწარმეო სუბიექტების მიერ დასმული საკითხების შესახებ ბიზნესომბუდსმენის პოზიციის სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების მაჩვენებელი 75%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%

ნავთობისა და გაზის სექტორის რეგულირება და მართვა (24 09)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო
აღწერა და მიზანი	ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზიის მოსაპოვებლად შავი ზღვის შელფზე (შავი ზღვის პროექტი) და ხმელეთის თავისუფალ ბლოკებზე ღია საერთაშორისო ტენდერის გამოცხადება; ნავთობის გადამუშავების ლიცენზიის, ბუნებრივი გაზის დამუშავების ლიცენზიის, ნავთობის ტრანსპორტირების ლიცენზიის ან ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზიის (საქმიანობის ლიცენზია) გაცემა; ნავთობისა და გაზის სფეროში სტანდარტების შემუშავება; ნავთობისა და გაზის სფეროში მონაცემებისა და ინფორმაციის ცენტრალური საინფორმაციო ბანკის შექმნა და მართვა;

	„წევრი სახელმწიფოებისთვის ნედლი ნავთობის ან/და ნავთობპროდუქტების მინიმალური სარეზერვო მარაგების უზრუნველყოფის ვალდებულების დაკისრების შესახებ“ საბჭოს 2009 წლის 14 სექტემბრის 2009/119/EC დირექტივის შესრულება.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობისთვის გაცემული გენერალური ლიცენზიები; ნავთობისა და გაზის გადამუშავებისა და ტრანსპორტირებისთვის გაცემული ლიცენზიები; შექმნილი ნედლი ნავთობისა და/ან ნავთობპროდუქტების მინიმალური სარეზერვო მარაგები.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი -** 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გაცემულია ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის 23 გენერალური ლიცენზია; ნავთობისა და გაზის გადამუშავების 4 და ტრანსპორტირების 2 ლიცენზია. დასრულებულია ლიკვიდირებული ჭაბურღილების პროგრამა; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** შავი ზღვის შელფზე ტენდერში გამარჯვებულ კომპანიებთან პროდუქციის წილობრივი განაწილების გაფორმებული ხელშეკრულებები და გაცემული გენერალური ლიცენზიები; ხმელეთის თავისუფალ ბლოკებზე გამოცხადებული ტენდერი - 2020წ.; ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის 2 ახალი გენერალური ლიცენზიის გაცემა - 2021წ.; ნედლი ნავთობისა და/ან ნავთობპროდუქტების მინიმალური სარეზერვო მარაგების უზრუნველყოფის ვალდებულების შესახებ 2009/119 /EC დირექტივის ინპლემენტაცია - 2022წ.; ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის 2 ახალი გენერალური ლიცენზიის გაცემა - 2023წ; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10-12%; **შესაძლო რისკები -** საქართველოში წარმოებული ნავთობპროდუქტების კონკურენტუნარიანობა საერთაშორისო სატანდარტებთან და ნორმებთან - 2020 - 2021წწ.; სატენდერო და იურიდიული პროცედურები - 2022წ.; საქართველოში წარმოებული ნავთობპროდუქტების კონკურენტუნარიანობა საერთაშორისო სატანდარტებთან და ნორმებთან - 2023წ

სსიპ - საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტო (53 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტო
აღწერა და მიზანი	საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის იდენტიფიცირება და უფლებამოსილი ორგანოსთვის შეთავაზება, ასევე უფლებამოსილი ორგანოს და კერძო ინიციატორის მხარდაჭერა შესაძლო საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის იდენტიფიცირებაში და შესაბამისი პროცედურების განხორციელებაში; უფლებამოსილი ორგანოს მიერ წარდგენილი პროექტის კონცეფციის ბარათების შეფასება, საჭიროებისამებრ შენიშვნების მომზადება და რეკომენდაციების შემუშავება;

	საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების ერთიანი და ყოვლისმომცველი მონაცემთა ბაზის შექმნა და ანალიტიკის წარმოება; ინსტიტუციური პოტენციალის განვითარების მიზნით, საჯარო და კერძო თანამშრომლობის სფეროში უფლებამოსილი ორგანოს ცოდნის ამაღლების ხელშეწყობისათვის შესაბამის ღონისძიებების განხორციელება; საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებული ინსტრუქციების და სახელმძღვანელოების შემუშავება, მათ შორის, პროექტის იდენტიფიცირებისა და მომზადების, კერძო პარტნიორის შერჩევის, პროექტის განხორციელების, მონიტორინგისა და შემდგომი შეფასების ეფექტიანობის ხელშესაწყობად; საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საფინანსო ინსტიტუტებთან თანამშრომლობა, საჯარო და კერძო თანამშრომლობის მიმართულებით საქართველოს შესაბამის სარეიტინგო მაჩვენებლების გაუმჯობესება. საჯარო და კერძო თანამშრომლობის სფეროს მარეგულირებელი, სამართლებრივი ჩარჩოს გაუმჯობესების მიზნით ცვლილებების შემუშავება და შესაბამის ორგანოებისთვის წარდგენა.

აკრედიტაციის პროცესის მართვა და განვითარება (24 04)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი
აღწერა და მიზანი	შესაბამისობის შემფასებელი პირების აკრედიტაციის სამუშაოების წარმართვა კანონით რეგულირებად და ნებაყოფლობით სფეროში საერთაშორისოდ აღიარებული მოთხოვნების შესაბამისად - შესაბამისობის შეფასების ბაზარზე აკრედიტაციის ახალი მიმართულებების შეთავაზება; ევროპის აკრედიტაციის რეგიონული ორგანიზაციის - EA-ს მიერ აკრედიტაციის საერთაშორისოდ აღიარებული სფეროების შენარჩუნება და აკრედიტაციის ახალი მიმართულებების აღიარება. აკრედიტაციის სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში აღიარებისთვის დასკვნითი ღონისძიებების განხორციელება; EA (European Cooperation for Accreditation)-ს მიერ აკრედიტაციის ახალი სფეროს სსტ ისო 15189: 2012/2015 „სამედიცინო ლაბორატორიები - კერძო მოთხოვნები“ აღიარების შემდეგ, აკრედიტაციის ცენტრის მიერ ILAC-ში (International Laboratory Accreditation Cooperation) განაცხადის გაკეთება ორმხრივ აღიარებაზე.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	აკრედიტაციის ცენტრის გაძლიერებული ინსტიტუციური შესაძლებლობითა და საერთაშორისო მოთხოვნის მიხედვით შესაბამისობის შემფასებელი პირების აკრედიტაცია; EA-სთან აქტიური თანამშრომლობითა და საერთაშორისო სტანდარტებისა და სახელმძღვანელოების შესაბამისად აკრედიტაციის ცენტრის მენეჯმენტის გაუმჯობესებული და განახლებული სისტემა;

	აკრედიტაციის შედეგების თანმიმდევრული საერთაშორისო აღიარება.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი -** დანერგილია აკრედიტაციის სქემა სსტ ისო/იეკ 17043 სტანდარტის შესაბამისად; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** ISO/IEC 17025:2017 სტანდარტის ახალი ვერსიის მიხედვით დასრულებული სამუშაოები. ყველა აკრედიტირებული შესაბამისობის შემფასებელი პირების ოპერირება ISO/IEC 17025:2017 სტანდარტების მიხედვით - 2020წ.; ISO 50001და ISO 50003 სტანდარტის ახალი ვერსიის მიხედვით დაწყებული აკრედიტაციის სამუშაოები შესაბამისი გარდამავალი დებულებებით - 2021 - 2022წწ; აკრედიტაციის ცენტრის წესებში და პროცედურებში აკრედიტაციის სქემები შემდეგი მიმართულებებით: ISO 50003, OHSAS 18001 და ISO 14001 სტანდარტების ახალ ვერსიაზე გადასვლის დასრულებული სამუშაოები. შესაბამისობის შემფასებელი პირების ოპერირება საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით - 2023წ; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5-10% - 2020-2021წწ.; 10-15% - 2022-2023წწ; **შესაძლო რისკები -** დასაკალიბრებელი ლაბორატორიების მოუმზადებლობა ახალ სტანდარტზე გადასასვლელად 2020-2021წწ.; სტანდარტების ქართულ ენაზე თარგმნისა და რეგისტრაციის დროს შესაძლო შეფერხებები ან/და აკრედიტაციის მიღებაში დაინტერესების უქონლობა - 2022-2023წწ **2.** **საბაზისო მაჩვენებელი -** აკრედიტაციის სამუშაოების მიმდინარეობს კანონმდებლობით რეგულირებად და ნებაყოფლობით სფეროებში; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** ასოცირების შეთანხმების თანახმად მიღებული ახალი მიდგომის ტექნიკური რეგლამენტების სფეროში აკრედიტაციის განხორციელება - აკრედიტაციის განხორციელება მთავრობის მიერ დამტკიცებული ახალი მიდგომის ტექნიკური რეგლამენტების სფეროში; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5-10%; **შესაძლო რისკები -** ტექნიკური რეგლამენტების მოქმედების შეჩერება ან/და აკრედიტაციის მიღებაში დაინტერესების უქონლობა **3.** **საბაზისო მაჩვენებელი -** EA-ს მიერ შეფასებულია სტანდარტი - სსტ ისო 15189 : 2012/2015 „სამედიცინო ლაბორატორიები - კერძო მოთხოვნები ხარისხისა და კომპეტენტურობის მიმართ"; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** ILAC (International Laboratory Committee) ან/და IAF (International Accreditation Forum) წევრობის დაკმაყოფილებული პირობები და ორმხრივ აღიარებაზე განცხადება შემდეგ სტანდარტებზე: სსტ ისო/იეკ 17011:2017/2017 „საგამოცდო და საკალიბრებელი ლაბორატორიები"; ISO/IEC 17020:2012/2013 „ინსპექტირების ორგანოები"; ISO/IEC 15189:2012/2015 „სამედიცინო ლაბორატორიები" - 2020წ.; ILAC წევრობის დაკმაყოფილებული პირობები და ორმხრივად აღიარების მიღება, განცხადებულ სფეროებზე. აკრედიტებული პირების ოპერირება საერთაშორისო/აღიარებული სტანდარტების შესაბამისად და მათზე სავალდებულო პერიოდული ყოველწლიური შეფასების ჩატარება -2021 -2022წწ.; აკრედიტაციის ცენტრსა და EA-ს (ევროპული თანამშრომლობა აკრედიტაციაში) შორის გაფორმებული ორმხრივი თანამშრომლობის ხელშეკრულება - EA-ს მხრიდან აკრედიტაციის ცენტრის გეგმიური შეფასების ჩატარება და აღიარებული სფეროების შენარჩუნება - 2023წ;

	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10-15%; **შესაძლო რისკები -** EA-ს პროცედურების მკვეთრი ცვლილება

სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო (63 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
აღწერა და მიზანი	სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების კანონიერების მონიტორინგი; გადაწყვეტილების მიღებისას საჯაროობა, ობიექტურობა, არადისკრიმინაციულობა და გამჭვირვალობა; სახელმწიფო შესყიდვების მიმდინარეობისას საჯაროობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპების დაცვა, კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების ზუსტად შესრულებისა და ანგარიშგების, სახელმწიფო შესყიდვების მონაწილეთა არადისკრიმინაციული გარემოს შესაძლებლობის უზრუნველყოფა ჯანსაღი კონკურენციის პირობებში; სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამართულად ფუნქციონირება, განვითარება და მის მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლება; სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის სრულყოფა, საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან, ევროდირექტივების მოთხოვნებთან და საუკეთესო პრაქტიკასთან მისი შესაბამისობის უზრუნველყოფა. სახელმწიფო შესყიდვების ცენტრალიზებული წესით შესყიდვის ორგანიზება.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვა; უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება; მაქსიმალურად უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომა; დაიხვეწება სახელმწიფო შესყიდვების ჩატარების საჯაროობა; განმტკიცდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი -** სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სისტემის „eProcurement"-ის შემდგომმა გაუმჯობესებამ

	მნიშვნელოვნად გაზარდა კონკურენცია პრეტენდენტთა შორის, მინიმუმამდე დაიყვანა კორუფციის რისკები და ქვეყანას მნიშვნელოვანი საბიუჯეტო დანაზოგი მოუტანა; ბიზნესის ინტერესის ზრდაზე სახელმწიფო ტენდერების მიმართ მიგვანიშნებს წლების მიხედვით სისტემაში რეგისტრირებულ შემსყიდველ ორგანიზაციათა და მიმწოდებელთა რაოდენობის ზრდის დინამიკა, აღნიშნული შედეგის მიღწევა შესაძლებელი გახდა სააგენტოს მიერ გატარებული წარმატებული რეფორმებისა და სისტემის მოდერნიზაციის ხარჯზე. ეს ყველაფერი, სხვა ფაქტორებთან ერთად, უახლოეს მომავალში პოზიტიურად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, რაც უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრების სტაბილურ ხარჯვას და სახელმწიფო შესიდვებში მეწარმეთა მუდმივ ჩართულობას; საჯარო ორგანიზაციების შესყიდვების სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და ცოდნის გაზიარების მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში ფუნქციონირებს სასწავლო ცენტრი; სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს მიმართ ბიზნეს-სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების ნდობის ამაღლების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა საჩივრების რაოდენობა; სახელმწიფო შესყიდვებში ახალი საშუალებებისა და მეთოდების დანერგვა. მოცემულ პერიოდში შემუშავდა ახალი კანონქვემდებარე ნორმატიული ბაზა, რომლის შედეგადაც დაინერგა ელექტრონული ტენდერის ჩატარების ახალი ვადები და პროცედურები, რომელმაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ტენდერის ჩატარების ეფექტურობა. ასევე მოწესრიგდა და ახლებურად განისაზღვრა დავების განხილვის საბჭო, ევროკავშირის მონეტარული ზღვრების ზემოთ არსებულ ტენდერებზე გაიზარდა საბჭოს შემადგენლობა. შემუშავდა და გამოიცა მნიშვნელოვანი რეკონემდაციები და მეთოდური მითითებები სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციებისათვის, მათ შორის: ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით, სახელმწიფო შესყიდვებში სტანდარტების გამოყენებასთან დაკავშირებით, მცირე და საშუალო ბიზნესისათვის ტენდერში მონაწილეობის მიზნით და ა.შ; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას საჯაროობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპების დაცვის უზრუნველყოფა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - მინიმალური
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სისტემის „eProcurement"-ის შემდგომმა გაუმჯობესებამ მნიშვნელოვნად გაზარდა კონკურენცია პრეტენდენტთა შორის, მინიმუმამდე დაიყვანა კორუფციის რისკები და ქვეყანას მნიშვნელოვანი საბიუჯეტო დანაზოგი მოუტანა; ბიზნესის ინტერესის ზრდაზე სახელმწიფო ტენდერების მიმართ მიგვანიშნებს წლების მიხედვით სისტემაში რეგისტრირებულ შემსყიდველ ორგანიზაციათა და მიმწოდებელთა რაოდენობის ზრდის დინამიკა, აღნიშნული შედეგის მიღწევა შესაძლებელი გახდა სააგენტოს მიერ გატარებული წარმატებული რეფორმებისა და სისტემის მოდერნიზაციის ხარჯზე. ეს ყველაფერი, სხვა ფაქტორებთან ერთად, უახლოეს მომავალში პოზიტიურად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, რაც უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრების სტაბილურ ხარჯვას და სახელმწიფო შესიდვებში მეწარმეთა მუდმივ ჩართულობას; საჯარო ორგანიზაციების შესყიდვების სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და ცოდნის გაზიარების მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში ფუნქციონირებს სასწავლო ცენტრი; სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს მიმართ ბიზნეს-სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების ნდობის ამაღლების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა საჩივრების რაოდენობა; სახელმწიფო შესყიდვებში ახალი საშუალებებისა და მეთოდების დანერგვა, მაგალითად: ორეტაპიანი ტენდერი, რომელიც საშუალებას იძლევა

	გამარჯვებული გამოვლინდეს ფასისა და ხარისხის კრიტერიუმების ერთობლიობით, რის შედეგადაც ვიღებთ ეკონომიკურად ყველაზე მომგებიან წინადადებას. დაინერგა ელექტრონული ტენდერების ახალი მიმართულება, რომლის თანახმადაც აღარ არსებობს ვაჭრობის რაუნდები, ხოლო ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის გარდა ყველა მონაცემი დაფარულია ტენდერში ხელშეკრულების დადებამდე. ტენდერის აღნიშნულმა ფორმამ მნიშვნელოვანწილად უზრუნველყო პრეტენდენტეს შორის, ასევე შემსყიდველსა და პრეტენდენტს შორის შესაძლო კორუფციული რისკების შემცირება და უზრუნველყო ტენდერში რეალური ფასის მქონე წინადადებების წარმოდგენა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას საჯაროობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპების დაცვის უზრუნველყოფა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - მინიმალური

მიქცეული ქონების ეფექტური განკარგვა (23 07)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო
აღწერა და მიზანი	სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული და პრივატიზებული ქონების მიღებიდან რეალიზაციამდე არსებული პროცესების ეფექტურად მართვა. მოძრავი ქონების განკარგვის გამჭირვალე, კონკურენტული და გამარტივებული პროცესების უზრუნველყოფა; სასაწყობე ტერიტორიის მოდერნიზაცია ქონების განთავსებისა და სათანადო დონეზე დაცულობის მიზნით. მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების, ვებგვერდ eAuction.ge-ს მომხმარებელთათვის სერვისების მიწოდებისა და ქონების განკარგვის პროცედურების გამარტივების მიზნით, ვებგვერდის მოდერნიზაციის კუთხით სხვადასხვა ქმედების განხორციელება, ახალი სერვისების დამატება. მოსახლეობაში არსებული სერვისების შესახებ ცნობადობის ამაღლება.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მომხმარებელთა რიცხვის ზრდა; სერვისების განვითარება; პორტალის ბრუნვის ზრდა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - ვებ-გვერდ eAuction.ge-სა და ERP-ის სისტემის ინტეგრაციის შედეგად ფასდაკლებული ლოტების ავტომატური გამოცხადების ამოქმედებული სისტემა, სერვისების გამარტივების მიზნით ვებ-გვერდზე დამატებული ახალი ფუნქცია; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მომხმარებელთა მოთხოვნების გათვალისწინებით ახალი და არსებული სერვისების/ფუნქციონალების დახვეწა/მოდერნიზება; მომხმარებელთა რიცხვის 10%-15%-ით ზრდა. სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების განკარგვის პროცესების გამარტივება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - ტექნიკური შეზღუდულობა

	2. **საბაზისო მაჩვენებელი** - 7000კვ/მ-ით არის გაზრდილი სააგენტოს საკუთრებაში არსებული სასაწყობე სივრცე, შესაბამისად გაზრდილია საქონლის დასაწყობების წარმადობა, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს მოსალოდნელი შემოსავლების ზრდას. განახლებული სამეთვალყურეო სისტემების საშუალებით არის უზრუნველყოფილია სააგენტოს საკუთრებაში არსებული სრული პერიმეტრისა და მასზე განთავსებული ქონების უსაფრთხოება და დაცულობა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ქონების მიღებიდან რეალიზაციამდე არსებული პროცესების ოპტიმიზაცია; სახელმწიფო ქონების უსაფრთხოების დონს გაუმჯობესება; სახ. საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების ზრდა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - ა)ატმოსფერული უხვი ნალექების შედეგად ლოგისტიკური პროცესების შეფერხება ბ)არალიკვიდური საქონლის არსებობა **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - მომზადებული არის მემორანდუმი და იგეგმება სერვისების განვითარების სააგენტოსთან თანამშრომლობის შესახებ მისი გაფორმება. მომზადდა მომხმარებელთათვის სახელმძღვანელოები, რომელიც განთავსდება საზოგადოებრივ ცენტრებში და უზრუნველყოფს პროცესების მიმდინარეობის გამარტივებას; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საგენტოს ცნობადობის დონის ამაღლება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - მომხმარებელთა დაინტერესების დაბალი მაჩვენებელი

მოსახლეობისა და საცხოვრისების საყოველთაო აღწერა (47 03)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - საქსტატი
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **მიზნობრივი მაჩვენებელი** - აღწერის მონაცემთა სიზუსტე და მათი გამოყენება აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სამეცნიერო საზოგადოების, საერთაშორისო ორგანიზაციების, მეწარმეებისა და მოქალაქეების მიერ

ინსტიტუციონალური განვითარება და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერა

კოდი	დასახელება	2020 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი
01 01	საკანონმდებლო საქმიანობა	53,696.0	53,696.0	-	62,380.8	65,500.0	68,775.0
06 04	არჩევნების ჩატარების ღონისძიებები	42,760.7	42,760.7	-	42,912.2	-	-
26 01	სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა, მათ შორის, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განხორციელება	23,170.0	23,170.0	-	23,200.0	23,200.0	23,200.0
04 00	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	16,500.0	16,500.0	-	16,500.0	16,500.0	16,500.0
05 01	სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აპარატი	16,165.0	16,165.0	-	16,650.0	17,150.0	17,664.0
06 03	პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსება	14,308.7	14,308.7	-	14,308.8	14,308.8	14,308.8
06 01	საარჩევნო გარემოს განვითარება	14,078.3	14,078.3	-	15,000.0	16,500.0	17,000.0
41 01	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ფუნქციონირების გაძლიერების ღონისძიებები (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი)	8,000.0	8,000.0	-	8,500.0	7,500.0	8,000.0
51 00	სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური	8,000.0	8,000.0	-	9,000.0	10,000.0	11,000.0
26 03	ეროვნული საარქივო ფონდის დაცულობის, მომსახურების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	9,765.0	6,300.0	3,465.0	9,650.0	9,650.0	9,650.0
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	6,000.0	6,000.0	-	6,000.0	6,000.0	6,000.0
36 00	სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური	6,600.0	6,600.0	-	7,000.0	7,500.0	8,000.0
26 07	იუსტიციის სახლის მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა	24,298.0	4,615.0	19,683.0	25,000.0	25,000.0	25,000.0
26 05	ელექტრონული მმართველობის განვითარება	2,736.0	2,525.0	211.0	2,635.0	2,635.0	3,000.0
44 00	ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-	2,460.0	2,460.0	-	2,460.0	2,460.0	2,460.0

კოდი	დასახელება	2020 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი
	ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია - სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია						
35 00	სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო	1,600.0	1,600.0	-	1,600.0	1,600.0	1,600.0
06 02	საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა	1,422.0	1,422.0	-	1,500.0	1,600.0	1,650.0
01 04	საქართველოს პარლამენტის ანალიტიკური და კვლევითი საქმიანობის გაძლიერება	1,000.0	1,000.0	-	1,000.0	1,000.0	1,000.0
11 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში	890.0	890.0	-	890.0	890.0	890.0
18 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში	880.0	880.0	-	880.0	880.0	880.0
13 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში	790.0	790.0	-	790.0	790.0	790.0
14 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში	760.0	760.0	-	760.0	760.0	760.0
12 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში	680.0	680.0	-	680.0	680.0	680.0
19 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში	660.0	660.0	-	660.0	660.0	660.0
15 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში	650.0	650.0	-	650.0	650.0	650.0
17 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში	650.0	650.0	-	650.0	650.0	650.0
16 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში	640.0	640.0	-	640.0	640.0	640.0
52 00	სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტი	500.0	500.0	-	500.0	500.0	500.0
05 02	საჯარო სექტორის აუდიტორთა სეტრიფიცირების პროგრამა	580.0	290.0	290.0	719.0	958.0	987.0
26 12	ნორმატიული აქტების სისტემატიზაცია და მთარგმნელობითი ცენტრის განვითარება	1,995.0	-	1,995.0	1,950.0	1,950.0	2,000.0
26 09	სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს	70,300.0	-	70,300.0			

კოდი	დასახელება	2020 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი
	მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა				65,257.0	65,357.0	65,357.0
26 08	ერთიანი სახელმწიფო საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება	4,430.0	-	4,430.0	4,200.0	4,600.0	5,000.0
59 00	სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური	5,494.0	-	5,494.0	6,000.0	6,000.0	6,000.0
26 10	სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა	53,626.0	-	53,626.0	53,870.0	50,870.0	50,870.0
	სულ	**396,084.7**	**236,590.7**	**159,494.0**	**404,392.8**	**364,938.8**	**372,121.8**

საკანონმდებლო საქმიანობა (01 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს პარლამენტის აპარატი
აღწერა და მიზანი	საქართველოს საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება; ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა; საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში საქართველოს მთავრობის საქმიანობის კონტროლი და სხვა უფლებამოსილებების განხორციელება; ევროკავშირის დირექტივებთან ჰარმონიზაცია; კონსტიტუციური პრინციპების შესაბამისად, ქვეყნის სრული პოლიტიკური სისტემის სტაბილურობა, მის მართვა-გამგეობაში პოლიტიკური ძალების ფართოდ წარმოდგენა; მოქალაქეთა მდგომარეობის გაუმჯობესების, ქვეყნის მდგრადი განვითარების და ცხოვრების ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა; საპარლამენტო საქმიანობის ღიაობა, ინფორმაციის გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა; მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდის ხელშეწყობა, ანგარიშვალდებულება; თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა; საჯარო ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სახელმწიფოს საკანონმდებლო ბაზისსრულყოფა და საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაცია

საკანონმდებლო, წარმომადგენლობითი და საზედამხედველო საქმიანობა (01 01 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს პარლამენტის აპარატი
აღწერა და მიზანი	საქართველოს მოსახლეობის მიერ საქართველოს პარლამენტისათვის მინდობილი ინტერესების დაცვის

	უზრუნველყოფა; კანონშემოქმედებითი საქმიანობის უზრუნველყოფა; ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა; საქართველოს ოკუპირებული რეგიონების ე. წ. დამოუკიდებლობის არაღიარების პოლიტიკით და საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართულობით ქვეყნის დეოკუპაციის მისაღწევად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება; საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში საქართველოს მთავრობის საქმიანობის კონტროლი და სხვა უფლებამოსილებების განხორციელება; საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირება და მათთან შეერთება; საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის მიღება და მისი შესრულების საპარლამენტო კონტროლი; საქართველოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების ყოველწლიური ანგარიშების მოსმენა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება; საერთაშორისო საპარლამენტთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვა სახელმწიფოთა პარლამენტების წევრებთან აქტიური თანამშრომლობა; საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრებისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, ევროკავშირსა და ნატოსთან ინტეგრაციის პროცესების გაღრმავება და მათ დირექტივებთან ჰარმონიზაცია.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	საქართველოს საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება, ევროკავშირის დირექტივებთან ჰარმონიზება, მოქალაქეთა მდგომარეობის გაუმჯობესება, ქვეყნის მდგრადი განვითარება და ცხოვრების ხარისხის ამაღლება.

საპარლამენტო ფრაქციების და მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების საქმიანობა (01 01 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს პარლამენტის აპარატი
აღწერა და მიზანი	საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საქართველოს პარლამენტის ფრაქციების და მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების საქმიანობის ხელშეწყობისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, აგრეთვე მათი ხელშეწყობა საქართველოს პარლამენტისა და მისი ორგანოების საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად, კანონშემოქმედებითი და მაკონტროლებელი (საზედამხედველო) საქმიანობის განსახორციელებლად;

	საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიების საქმიანობის უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	კონსტიტუციური პრინციპების შესაბამისად, ქვეყნის სრული პოლიტიკური სისტემის სტაბილურობა, ქვეყნის მართვა-გამგეობაში პოლიტიკური ძალების ფართოდ წარმოდგენა.

საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერა (01 01 03)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს პარლამენტის აპარატი
აღწერა და მიზანი	საქართველოს პარლამენტის ბიუროს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა და მისი მოადგილეების, საქართველოს პარლამენტის წევრების, კომიტეტების, ფრაქციების, უმრავლესობისა და უმცირესობის, საგამოძიებო და სხვა დროებითი კომისიების საქმიანობის ორგანიზაციული, სამართლებრივი, დოკუმენტური, საინფორმაციო, საფინანსო, მატერიალურ-ტექნიკური და სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების უზრუნველყოფა; საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომების მომზადება, კანონპროექტებით უზრუნველყოფა და საკითხების განხილვისას გამოთქმული წინადადებებისა და შენიშვნების აღრიცხვა; საქართველოს პარლამენტის წევრების მიერ უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობა; საქართველოს პარლამენტის საქმიანობის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გაშუქება და დოკუმენტების გამოქვეყნება; საქართველოს პარლამენტისა და მისი აპარატის საქმიანობის თანამედროვე ინფორმაციული ინფრასტრუქტურის შექმნის, გამართული მუშაობისა და განვითარების უზრუნველყოფა; საქართველოს პარლამენტის ვებგვერდის მართვა, განვითარება და ტექნიკური უზრუნველყოფა; საქართველოს კანონმდებლობით საქართველოს პარლამენტის გამგებლობისთვის მიკუთვნებული სხვა საკითხების გადაწყვეტის ხელშეწყობა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	საპარლამენტო საქმიანობის ღიაობა, ინფორმაციის გამჭირვალობა და ხელმისაწვდომობა, მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა, ანგარიშვალდებულება, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, საჯარო ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა.

არჩევნების ჩატარების ღონისძიებები (06 04)	
აღწერა და მიზანი	არჩევნების დაგეგმვა – სამართლებრივი, ორგანიზაციული, ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური

	უზრუნველყოფა; არჩევნების ჩატარებისათვის საჭირო ინვენტარის შესყიდვა; კომპეტენციის ფარგლებში საარჩევნო დავების განხილვა; საარჩევნო პერიოდში საიმიჯო კამპანიის წარმოება; ამომრჩევლის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება; ინკლუზიური საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფა; გენდერულად დაბალანსებული და თანაბარი გარემოს ხელშეწყობა; საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა კვალიფიკაციის ამაღლება.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სამართლიანად შემდგარი არჩევნები; საარჩევნო პროცესის მონაწილე ყველა სუბიექტის კანონიერი უფლების დაუბრკოლებელი რეალიზაცია; საარჩევნო ადმინისტრაციის კვალიფიციური მოხელეები: არჩეული საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირები.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ კანონმდებლობის შესაბამისად წარმოებული და განხილული დავების რაოდენობა **2.** **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის გამო საარჩევნო კომისიის წევრთა უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევების რაოდენობა ზემდგომი კომისიის ან სასამართლოს მიერ **3.** **მიზნობრივი მაჩვენებელი** - კენჭისყრის დღეს ამომრჩეველთა მხრიდან ხმის მიცემის პროცედურებთან დაკავშირებით ცესკოს კონტაქტ ცენტრში შემოსული ზარების რაოდენობა **4.** **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სასწავლო პროგრამებში მონაწილე საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელთა რაოდენობა **5.**

	მიზნობრივი მაჩვენებელი - არჩევნებში ჩართული სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის ჩატარებული სასწავლო პროგრამების რაოდენობა **6.** **მიზნობრივი მაჩვენებელი** - დამოუკიდებელი დამკვირვებელი ორგანიზაციების მხრიდან დადებითი შეფასებები

სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა, მათ შორის, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განხორციელება (26 01)

აღწერა და მიზანი	ეფექტიანი სამართალშემოქმედებითი საქმიანობის განხორციელება; საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება; ეროვნულ, ასევე, საერთაშორისო და უცხო ქვეყნების სასამართლოებსა და არბიტრაჟებში სახელმწიფო წარმომადგენლობა; სახელმწიფოსა და სახელმწიფო უწყებების მიერ გასაფორმებელი საერთაშორისო და კერძო ხასიათის (მრავალმილიონიანი ან/და საარბიტრაჟო ინსტიტუტის შემცველი) ხელშეკრულებების სამართლებრივი ექსპერტიზა და ეფექტიანი უწყებათაშორისი კოორდინაცია; სამართლის ცალკეული დარგის განვითარების აუცილებლობისა და პერსპექტივების შესწავლა; სხვადასხვა პრიორიტეტული სფეროს განვითარების მიზნით საკანონმდებლო ინიციატივების, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება; საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული ასოცირების შეთანხმების შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება; საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის სამართალთან დაახლოებისთვის მომზადებული სახელმძღვანელოს ბოლო რედაქციის დამუშავება და წარდგენა საქართველოს მთავრობისთვის; სახელმწიფო წარმომადგენლობა არბიტრაჟებსა და უცხო ქვეყნის სასამართლოებში კომერციულ და საინვესტიციო დავებზე, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსა და გაერო-ს სახელშეკრულებო ორგანოებში სახელმწიფოთაშორის ან/და ინდივიდუალურ დავებზე. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან თანამშრომლობა. ეროვნულ სასამართლოში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ შეტანილ სარჩელებზე სამინისტროს ინტერესების დაცვა, ხოლო ხელისუფლების დაწესებულებების წინააღმდეგ მიმართულ დავებში ჩართვა – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კომპეტენციის გათვალისწინებით; სახელმწიფოსა და სახელმწიფო უწყებების მიერ გასაფორმებელი საერთაშორისო და კერძო ხასიათის (მრავალმილიონიანი ან/და საარბიტრაჟო ინსტიტუტის შემცველი) ხელშეკრულებების პროექტების სამართლებრივი შეფასება/ექსპერტიზა მისი საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ხელშეკრულების პროექტის სამართლებრივი შეფასება მასში არსებული სამართლებრივი რისკების კონტექსტში და შესაბამისი დასკვნის პროექტის მომზადება; მართლმსაჯულების სექტორის, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების, პენიტენციური, პრობაციისა და დანაშაულის პრევენციის სისტემების, ანტიკორუფციული და კარგი მმართველობის მიმართულებით განვითარების აუცილებლობისა და პერსპექტივების შესწავლა, საზღვარგარეთის სახელმწიფოთა კანონმდებლობის შესწავლა და

	ანალიზი. შედარებით-სამართლებრივი კვლევების მომზადება, სტრატეგიული მნიშვნელობის შესაბამისი საკანონმდებლო აქტების მომზადება და რეფორმების განხორციელება, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციებში წარმომადგენლობა; სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოსა და ანტიკორუფციული საბჭოს საქმიანობის ადმინისტრირება, ორგანიზაციული და ანალიტიკური მხარდაჭერა, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სექტორული სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების ყოველწლიური განახლება, წლიური პროგრესის შესახებ ანგარიშების მომზადება; ანტიკორუფციული საბჭოს სტრატეგიის განახლება და ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავება, წლიური მონიტორინგისა და შეფასების ანგარიშების მომზადება; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის კომენტარების მომზადება და შესაბამისი ღონისძიებების გატარება, მართლმსაჯულების სექტორის რეფორმის საბიუჯეტო დახმარების პროგრამის ფინანსური შეთანხმების პირობების შესრულების შესახებ ანგარიშის მომზადება და ევროპის კავშირის დელეგაციისათვის წარდგენა; ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონის შემუშავება; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის იმპლემენტაციის ხელშეწყობა; სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილებების (და სისხლის მართლმსაჯულების კანონმდებლობის სხვა ცვლილებების) შემუშავება; ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის გაძლიერებაზე ზრუნვა; გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის იმპლემენტაციის ხელშეწყობა; ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის პოლიტიკის შემუშავება, მისი განხორციელების ხელშეწყობა და მონიტორინგი; ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული დაბალანსებული ნარკოპოლიტიკის შემუშავება.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება; საქართველოს და საერთაშორისო სასამართლოებში მიმდინარე დავების წარმატებით დასრულება; ინსტიტუციური განვითარება და ეფექტიანი უწყებათაშორისი კოორდინაცია.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 2019 წლის განმავლობაში ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ევროკავშირის სამართლის 60 აქტთან დაახლოება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ევროკავშირის სამართლის 150 აქტთან დაახლოება (2020 წელი – 55 აქტთან დაახლოება; 2021 წელი – 40 აქტთან დაახლოება; 2022 წელი – 30 აქტთან დაახლოება; 2022 წელი – 25 აქტთან დაახლოება); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 30%; **შესაძლო რისკები** - შესაბამისი უწყებების არასაკმარისი ჩართულობა **2.**

	საბაზისო მაჩვენებელი - საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებული საქმეების 80% დასრულებულია იუსტიციის სამინისტროს /სახელმწიფოს სასარგებლო შედეგით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ყოველწლიურად წარმოებული საქმეების 80% დასრულებულია იუსტიციის სამინისტროს /სახელმწიფოს სასარგებლო შედეგით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 30% **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - საერთაშორისო სასამართლოებში დასრულებული საქმეების არანაკლებ 80%-ისა არის საქართველოსთვის წარმატებული; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ყოველწლიურად საერთაშორისო სასამართლოებში დასრულებული საქმეების არანაკლებ 80%-ისა არის საქართველოსთვის წარმატებული; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - სასამართლოს მიერ დიდი რაოდენობის ერთგვაროვან საქმეებზე დარღვევის დადგენა **4.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ინსტიტუციური რეფორმების მიმდინარეობა; შესაბამისი მიმართულებების უწყებათაშორისი კოორდინაცია; შესაბამისი საკანონმდებლო საქმიანობა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ინსტიტუციური რეფორმების განხორციელება; შესაბამისი მიმართულებების სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები და მათი შესრულების ანგარიშები; შესაბამისი საკანონმდებლო აქტები; **შესაძლო რისკები** - შესაბამისი უწყებების მხრიდან ნაკლები ჩართულობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აპარატი (05 01)

პროგრამის განმახორციელებელი	სახელმწიფო აუდიტის სამსახური
აღწერა და მიზანი	საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამედროვე, დამოუკიდებელ, უმაღლეს აუდიტორულ ორგანოდ ჩამოყალიბება, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და სარგებლობს საზოგადოების მაღალი ნდობით; უმაღლესი აუდიტორული ორგანოების თანამედროვე სანიმუშო პრაქტიკის გაცნობა და აუდიტორთა პროფესიული შესაძლებლობების ამაღლება აუდიტორული ცოდნითა და უნარებით; გარე აუდიტის შესაძლებლობებისა და საკანონმდებლო მანდატის გაძლიერება; მაღალხარისხიანი აუდიტორული საქმიანობის შედეგად საჯარო ფინანსების მართვის თვისობრივი გაუმჯობესება, კერძოდ, სახელმწიფო სახსრების, სახელმწიფოს სხვა მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერების მიზნობრიობის დაცვის და ეფექტიანობის ხელშეწყობა;

	აუდიტორული საქმიანობით გაცემული რეკომენდაციების შედეგად მოტანილი სარგებლის ზრდა; ინფორმაციული სისტემების (IT) აუდიტის გაძლიერება; თანამშრომელთა ანალიტიკური შესაძლებლობების გაუმჯობესება, მათ შორის, დიდ მონაცემთა ანალიტიკის გაძლიერება; პარლამენტთან თანამშრომლობის გაღრმავება; შიდა კონტროლის სისტემისა და ინფორმაციული უსაფრთხოების გაუმჯობესება; საერთაშორისო და დონორ პარტნიორ ორგანიზაციებთან პროფესიული თანამშრომლობის გაღრმავება; წლიური აუდიტორული გეგმის ფორმირებისას მოქალაქეთა ჩართულობის გაძლიერება.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად წარმართვა; საჯარო ფინანსების მართვის განვითარების ხელშეწყობა.

პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსება (06 03)	
აღწერა და მიზანი	„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის განვითარებისა და ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა; არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის საარჩევნო თემატიკაზე საგრანტო კონკურსების ჩატარება და გრანტებისათვის ბიუჯეტით განსაზღვრული თანხების განაწილების უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ქალების, მოწყვლადი ჯგუფებისა და ზოგადად ამომრჩევლების საარჩევნო პროცესში ჩართულობის ზრდის ხელშეწყობა; საარჩევნო სფეროში პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით ჩატარებული საგრანტო კონკურსები არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - დაფინანსებული საგრანტო პროექტების რაოდენობა

საარჩევნო გარემოს განვითარება (06 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
აღწერა და მიზანი	მიუკერძოებელი, გამჭვირვალე და მაღალ პროფესიულ დონეზე ადმინისტრირებული არჩევნების საქართველოს კანონმდებლობის დაცვით ჩატარება და ყველა პირობის შექმნა, რათა ამომრჩევლებმა და საარჩევნო პროცესებში ჩართულმა სხვა მხარეებმა თავისუფლად განახორციელონ საარჩევნო უფლება; ინსტიტუციური გაძლიერება: საარჩევნო ადმინისტრაციის დამოუკიდებლობის, პროფესიონალიზმისა და სანდოობის განმტკიცება, ეფექტიანი საბიუჯეტო პოლიტიკის და უწყვეტ ორგანიზაციულ და პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული სისტემის დამკვიდრება, დემოკრატიული პროცესების განვითარებაში წვლილის შეტანა; სამოქალაქო და ამომრჩევლის განათლება: საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებით საარჩევნო პროცესებში სამოქალაქო ჩართულობის გაზრდა, ამომრჩეველთა აქტივობის ზრდის და ინფორმირებული არჩევანის გაკეთების ხელშეწყობა; საარჩევნო გარემო: საარჩევნო პროცესებში ჩართული მხარეების აქტიური მონაწილეობით მაქსიმალურად ინკლუზიური საარჩევნო გარემოს შექმნა, საქართველოს კანონმდებლობის დახვეწის პროცესის ხელშეწყობა; საარჩევნო პროცესების დაგეგმვა, ყველა ტიპის არჩევნების ჩატარების ორგანიზაციული, სამართლებრივი და ტექნიკური უზრუნველყოფა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ფუნქციონირების გაძლიერების ღონისძიებები (41 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი
აღწერა და მიზანი	საქართველოს ტერიტორიაზე, თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობაზე გეგმური და მოულოდნელი (დაუგეგმავი) მონიტორინგის განხორციელება; წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის პრევენციისათვის რეკომენდაციების შემუშავება; მონიტორინგის ანგარიშების მომზადება და წარდგენა; საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშების გამოცემა და სხვადასხვა დონეზე წარდგენა; ადამიანის უფლებათა სავარაუდო დარღვევების შესახებ განცხადებების/საჩივრების მიღება, განხილვა და შესაბამისი რეაგირება; შემუშავებული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი, მათი განხორციელების შეფასება; საქართველოს სახალხო დამცველის რეგიონული ოფისების მუშაობის მხარდაჭერა და მათი გაზრდა; ადამიანის უფლებათა სფეროში საგანმანათლებლო კამპანიების განხორციელება, მათ შორის, სოციალური რეკლამის დამზადება და მასმედიით გავრცელება; სამიზნე აუდიტორიისთვის საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელება; სხვადასხვა პუბლიკაციის გამოცემა და

	გავრცელება; ტოლერანტობის კულტურის განვითარების და თანასწორუფლებიანი გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა; უმრავლესობისა და უმცირესობის ჯგუფებს შორის მრავალმხრივი დიალოგის ხელშეწყობა; ეროვნული და რელიგიური უმცირესობების ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა; რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების მდგომარეობის მონიტორინგი, არსებული ტენდენციების გამოკვეთა და ანალიზი, ტოლერანტობის საკითხებზე რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავება და შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისათვის წარდგენა; ქვეყანაში ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის ზედამხედველობა; არასრულწლოვანთა პენიტენციური დაწესებულებების მონიტორინგის გაძლიერება; სკოლამდელი დაწესებულებების მონიტორინგი; 24-საათიანი სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი არასრულწლოვნების სამზრუნველო დაწესებულებიდან გასვლისთვის მომზადების ზედამხედველობა; საქართველოში გენდერული თანასწორობის დაცვის სფეროში არსებული ეროვნული და საერთაშორისო აქტების შესრულების მონიტორინგი, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შემოსული, გენდერული თანასწორობის დარღვევასთან დაკავშირებული განცხადებების/საჩივრების შესწავლა და შესაბამისი დასკვნების/რეკომენდაციების/წინადადებების პროექტების მომზადება; საქართველოში და მისი ფარგლების გარეთ გენდერული თანასწორობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანოებისა და ორგანიზაციების საქმიანობისა და გამოცდილების განზოგადება და საქართველოში დანერგვის ორგანიზება; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის მონიტორინგი; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ ეფექტიანი სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბების ხელშეწყობა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტერესების ადვოკატირება; გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ მოთხოვნების შესრულების მონიტორინგი; ე. წ. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესწავლა და მონიტორინგი; „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულება; თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის მონიტორინგი.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ადამიანის უფლებების დარღვევბვის აღმოჩენა და დაფიქსირება; საქართველოს ტერიტორიაზე თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის გამოყენების პრაქტიკის აღმოფხვრა და მათი პრევენცია; დისკრიმინაციისა და ქსენოფობიის გამოვლინების პრევენცია; რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესება და მათი სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის გაძლიერება; სახალხო დამცველის მიერ განხილული და შესწავლილი ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების სახალხო დამცველის ანგარიშში და რეკომენდაციებში ასახვა.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური (51 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური
აღწერა და მიზანი	სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების კონტროლი, ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა

	ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლი და დანაშაულთა მოუკერძოებელი და ეფექტიანი გამოძიება; სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობას მიკუთვნებული სისხლის სამართლის საქმეების გამოძიება, მათ შორის სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი ისეთი დანაშაულების გამოძიებას, როგორიცაა წამება, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება ან უფლებამოსილების გადამეტება ჩადენილი ძალადობით, იარაღის გამოყენებით ან დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით და სხვა; დაინტერესებული პირებისთვის კონსულტაციების გაწევა პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასა და დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე; პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული განცხადებების განხილვა; პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმება (ინსპექტირება); ფარული საგამოძიებო მოქმედებების და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლი მონაცემთა დამმუშავებლის/უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმებით (ინსპექტირებით) და „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლში მითითებული სხვა გზებით; პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხებზე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და საზოგადოების ინფორმირება პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობისა და მასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	საჯარო და კერძო ორგანიზაციებში დანერგილი პერსონალური მონაცემების დაცვის სტანდარტი; მოქალაქეთა ამაღლებული ცნობიერება პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ; მონაცემთა დამუშავებასა და დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე ტრენინგების, შეხვედრების ჩატარება, საინფორმაციო მასალის მომზადება და სხვა ღონისძიებების განხორციელება; მოქალაქეთა განცხადებებზე რეაგირება და შემოწმებების (ინსპექტირება) რეგულარულად ჩატარება პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას დარღვევების გამოვლენისა და მათზე რეაგირების მიზნით; ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლი „სახელმწიფო ინსპექტორის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით დადგენილი წესით;

	„სახელმწიფო ინსპექტორის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ დანაშაულთა ეფექტური და მიუკერძოებელი გამოძიება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - საჯარო და კერძო სუბიექტების მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასა და დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე კონსულტაციის მოთხოვნით მომართვის რაოდენობა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საჯარო და კერძო სუბიექტებისთვის გაწეული კონსულტაციების გაზრდილი რაოდენობა პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასა და დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - მოქალაქეთა განცხადებებით მომართვიანობის მაჩვენებელი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - განცხადებების განხილვის და შემოწმებების (ინსპექტირების) გაზრდილი რაოდენობა და გამოვლენილი სამართალდარღვევების მაჩვენებელი **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ჩატარებული შემოწმებების (ინსპექტირებების) რაოდენობა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - განცხადებების განხილვის და შემოწმებების (ინსპექტირების) გაზრდილი რაოდენობა და გამოვლენილი სამართალდარღვევების მაჩვენებელი **4.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ფარული საგამოძიებო მოქმედებების და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლის მიზნით ჩატარებული შემოწმებების (ინსპექტირებების) რაოდენობა და შეჩერების მექანიზმის გამოყენების რაოდენობა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ფარული საგამოძიებო მოქმედებების და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლის მიზნით ჩატარებული შემოწმებების რაოდენობა და შეჩერების მექანიზმის გამოყენების რაოდენობა **5.** **საბაზისო მაჩვენებელი** - პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების და მასში მონაწილეთა რაოდენობა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების და მასში მონაწილეთა გაზრდილი რაოდენობა **6.** **საბაზისო მაჩვენებელი** - სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარე სისხლის სამართლის დანაშაულზე დაწყებული გამოძიების რაოდენობა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარობას მიკუთვნებული სისხლის სამართლის დანაშაულზე დაწყებული და დასრულებული გამოძიების რაოდენობა

სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური (36 00)

პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური
აღწერა და მიზანი	საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე, სოციალურად დაუცველი პირებისათვის, არასრულწლოვნებისათვის და კანონით გათვალისწინებული სხვა პირებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში, მათ შორის, სამოქალაქო სამართლის და ადმინისტრაციული სამართლის გარკვეულ საქმეებზე, იურიდიული დახმარების გაწევა. მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდისათვის ინფრასტრუქტურის, ინფორმაციული ტექნოლოგიების და საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება. იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატის გაფართოების და საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით, სამსახურში დასაქმებული ადვოკატების სათანადო პროფესიული გადამზადების უზრუნველყოფა. იურიდიული დახმარების სისტემის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	უფასო იურიდიული დახმარება გახდება ხელმისაწვდომი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მცხოვრები პირებისათვის თანაბრად, გაუმჯობესდება მომსახურების ხარისხი, გაიზრდება საზოგადოების ინფორმირებულობა, არასრულწლოვნებისა და სპეციალური საჭიროების მქონე პირებისათვის მოხდება სამსახურის ინფრასტრუქტურის ადაპტაცია, განვითარდება ინფორმაციული ტექნოლოგიები სამსახურის ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის გაუმჯობესდება უწყებათაშორისი კომუნიკაცია, გაიზრდება სამსახურის საერთაშორისო ცნობადობა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - უფასო იურიდიული დახმარება გახდება უფრო მეტად ხელმისაწვდომი და გაუმჯობესდება მომსახურების ხარისხი. გაიზრდება საზოგადოების ინფორმირებულობის დონე უფასო იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლების შესახებ; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ინფრასტრუქტურის განვითარება; ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება; მომსახურეობის ხარისხის გაუმჯობესება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - ცდომილების დაბალი ალბათობა; **შესაძლო რისკები** - არასაკმარისი კვალიფიციური ადამიანური რესურსი; შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოუძიებლობა

ეროვნული საარქივო ფონდის დაცულობის, მომსახურების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (26 03)

პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი
აღწერა და მიზანი	ეროვნული საარქივო ფონდის შევსება მატერიალური ან/და ელექტრონულ მატარებელზე გადატანილი დოკუმენტებით, საარქივო ფონდის დოკუმენტების ელექტრონული ბაზის ფორმირება და მისი მუდმივი განახლება, დოკუმენტების აღწერა და ცენტრალიზებული აღრიცხვა, ფონდის დოკუმენტების დაცვისა და შენახვის სათანადო პირობების უზრუნველყოფა; საარქივო დოკუმენტების ელექტრონულ მატარებლებზე გადაყვანა, რაც უზრუნველყოფს დოკუმენტების დედნების დაუზიანებლად შენარჩუნებასა და ეროვნული მეხსიერების დაცულობას, ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების ელექტრონული ასლების ხელმისაწვდომობას. ადგილობრივ არქივებში დაცული დოკუმენტების გადატანა/განთავსება რეგიონული არქივების გარემონტებულ შენობებში, სადაც საარქივო დოკუმენტების დაცვისა და შენახვის სათანადო პირობებია შექმნილი; შიდა ქართლის რეგიონული არქივის შენობის მშენებლობა და აღჭურვა; მოქალაქეზე ორიენტირებული მომსახურების დანერგვისა და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით მოქალაქეთა მომსახურების ელექტრონული სისტემის, მკვლევართა აღრიცხვისა და მართვის, გენეალოგიური მონაცემების აღრიცხვისა და ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტებში არსებული მონაცემების აღრიცხვის ელექტრონული სისტემის და ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების (ტექსტური, ფოტოფონოვიდეოდოკუმენტები, რუკები) ელექტრონული კატალოგების შექმნა და განვითარება; ერთიანი ელექტრონული საარქივო ფონდის შექმნისა და ელექტრონული დოკუმენტაციის მაქსიმალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით ეროვნული არქივის დაკომპლექტების წყარო ორგანიზაციებიდან და ეროვნული საარქივო ფონდისადმი მიკუთვნებული დოკუმენტების მფლობელი სხვა პირებიდან ელექტრონული დოკუმენტების აღწერის, აღრიცხვისა და არქივირების ავტომატიზებული სისტემის შექმნა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად დაცულ გარემოში განთავსებული არქივის დოკუმენტები; მომსახურების გაუმჯობესების მიზნით შემუშავებული, დახვეწილი და განახლებული პროგრამული სისტემები; შექმნილი ელექტრონული არქივი და ელექტრონული მასალების ხელმისაწვდომობის მაღალი დონე.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - აშენდა/გარემონტდა და აღიჭურვა 5 არქივი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - '2020 წელს აშენდება შიდა ქართლის რეგიონული არქივი; ცენტრალიზაციას დაექვემდებარება 3 (ახალქალაქი, კასპი, ხაშური);

	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - დაგეგმილი პროექტის ვადის ცვლილება 2-3 თვე; **შესაძლო რისკები** - სამშენებლო-სარემონტო და სხვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებების შეფერხება **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 2019 წლის ბოლოსათვის მოქმედი ელექტრონული სერვისები: საარქივო დოკუმენტების ელექტრონული რეესტრი; აფხაზეთის ვირტუალური არქივი; 5 ელექტრონული კატალოგი: ფოტოდოკუმენტების, საეკლესიო ჩანაწერების, საკომლო წიგნების, საარქივო ფონდებისა და ანაწერების ელექტრონული კატალოგები; „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წევრების ელექტრონული საძიებელი; პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დოკუმენტების ელექტრონული ბაზა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ყოველწლიურად დამატებით ორი ელექტრონული სერვისის გაშვება/გაუმჯობესება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 1 სერვისი; **შესაძლო რისკები** - პროექტთა პრიორიტეტიზაციის ცვლილება **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 2019 წლის ბოლოსათვის ელექტრონული დოკუმენტების არქივის შექმნის ფარგლებში დასკანირებული 6 000 ათას დოკუმენტზე მეტი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ყოველწლიურად ელექტრომატარებლებზე იქნება გადატანილი დამატებით 700 ათასი გვერდი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 4%-5%; **შესაძლო რისკები** - მწყობრიდან გამოსული ძვირადღირებული სკანერული აპარატურის სწრაფად ჩაუნაცვლებლობა. სკანირების ჯგუფში ადამიანური რესურსების მკვეთრი კლება **4.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ელექტრონულ არქივირებასთან დაკავშირებით სტრუქტურული ერთეულის ნაწილობრივ ფორმირება და ნაწილობრივ პროგრამული უზრუნველყოფის სტანდარტები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ელექტრონული არქივაციის შესახებ შემუშავებული კანონპროექტი, შექმნილი ელექტრონული არქივირების სტრატეგიული დოკუმენტი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაგეგმილი პროექტის ვადის ცვლილება 2-3 თვე; **შესაძლო რისკები** - ინფრასტრუქტურული/ პროგრამული/საკანონმდებლო ინიციატივების შეფერხება და ადამიანური რესურსის ნაკლებობა

იუსტიციის სახლის მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა (26 07)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - იუსტიციის სახლი
აღწერა და მიზანი	სახელმწიფო სერვისების მიწოდების მაღალი სტანდარტის შენარჩუნება და შემდგომი გაუმჯობესება, ახალი პროდუქტების/სერვისების დანერგვა და დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

	სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობა და ადმინისტრაციულ პროცედურებზე გაწეული დროითი დანახარჯების შემცირება. დამატებით რამდენიმე კერძო და სახელმწიფო სერვისის ინტეგრაცია: სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს, ენერგეტიკისა და წყლის კომპანიების, სსიპ - შსს მომსახურების სააგენტოსა და კერძო სექტორის სერვისები. იუსტიციის სახლის სერვისების პოპულარიზაცია, ცნობადობის ამაღლება და იუსტიციის სახლის კონცეფციის ექსპორტი დაინტერესებულ ქვეყნებში; ინფრასტრუქტურული ხარვეზების აღმოფხვრა, რაც ხელს შეუწყობს იუსტიციის სახლის მომხმარებლებისთვის მომსახურების შეუფერხებელ მიწოდებას.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მომხმარებელთა კმაყოფილების მაღალი მაჩვენებელი.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი -** 2019 წელს მომხმარებელთა კმაყოფილების დონე, სავარაუდოდ, შეადგენს 88%-ს; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** ყოველწლიურად მომხმარებელთა კმაყოფილების დონე შეადგენს 86-88%-ს; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 3.5%; **შესაძლო რისკები -** ინოვაციებისა და სიახლეების ნაკლებობა. არასაკმარისი საკადრო რესურსი

ელექტრონული მმართველობის განვითარება (26 05)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტო
აღწერა და მიზანი	სახელმწიფო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების, კერძო სექტორისა და მოქალაქეებისათვის ელექტრონული სერვისების და მონაცემთა გაცვლის ეფექტიანად და უსაფრთხოდ უზრუნველყოფა ერთი ფანჯრის პრინციპით; ინფორმაციული უსაფრთხოების აუდიტის განხორციელება; ინფორმაციული უსაფრთხოების შეღწევადობის (მდგრადობის) ტესტირება; კომპიუტერული ინციდენტების აღმოჩენაზე გამიზნული ქსელური სენსორის დაყენება და მართვა; კიბერუსაფრთხოების საკითხების რეგულირება; ინციდენტებზე დახმარების ეროვნული ჯგუფის მიერ კომპიუტერული ინციდენტების გამოვლენა, პრევენცია და შედეგების მართვა; მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის გამოყენება, რომლის შემადგენელი კომპონენტებია სამი სახის აპარატურულ-პროგრამული მიმართულება/ინსტრუმენტი: „საქართველოს სამთავრობო კარიბჭე“ - ელექტრონული სერვისების მეშვეობით უსაფრთხო გარემოში სხვადასხვა სახის ინფორმაციის გაცვლა; „მოქალაქის პორტალი“ - სახელმწიფო და ბიზნესსექტორის მიერ რეალიზებული სხვადასხვა სახის ელექტრონული სერვისები, რომლებზეც შესაძლებელია ყველა დაინტერესებული პირის უსაფრთხოდ წვდომა ერთი ფანჯრის პრინციპით და „საერთაშორისო ვაჭრობის მხარდამჭერი სისტემა“ - ამ ეტაპზე ინტეგრირებულია საკონტეინერო გადაზიდვები და ეტაპობრივად დაემატება სახმელეთო და საჰაერო გადაზიდვები (სისტემა ინტეგრირებულია მსგავსი პროფილის საერთაშორისო

	სისტემებთან); ვებგვერდის (data.gov.ge) სრული მხარდაჭერა, რომელზეც სამოქალაქო და ბიზნესსექტორისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი საჯარო, სტრუქტურიზებული ინფორმაცია ქვეყნდება; ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის – „რეესტრთა რეესტრის პორტალის“, ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობა. რეესტრის სუბიექტის მონაცემთა ბაზების, რეესტრების, მომსახურებისა და ინფორმაციული სისტემების წარმოების ერთიანი სტანდარტების დადგენისა და შესრულების კოორდინაცია. რეესტრის სუბიექტის მიერ მომსახურების შექმნის, გაუმჯობესებისა და ოპტიმიზაციის შესახებ რეკომენდაციების შემუშავება და წარდგენა, პროგრამული უზრუნველყოფის განვითარება, პირველადი მხარდაჭერის ქსელის აწყობა და სახელმწიფო დაწესებულებების ტრენინგმოდულებით მხარდაჭერა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობა მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის მეშვეობით; კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტების კომპიუტერულ ინციდენტებზე დროული და ეფექტური რეაგირება; ღია მონაცემების პორტალზე გამოქვეყნებული ცხრილების რაოდენობის ზრდა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 2019 წელს ჯამში მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში ინტეგრირებული 460 სერვისისერვისი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში ხელმისაწვდომია 2020 წელს - 475 სერვისი, 2021 წელს - 485 სერვისი, 2022 წელს - 500 სერვისი, 2023 წელს - 510 სერვისი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - სერვისიების ინტეგრაციის შეფერხება **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 2019 წელს კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი დახმარების ჯგუფმა სულ რეაგირება მოახდინა 1000 ინციდენტზე. დაზარალებულ ორგანიზაციებს ინციდენტებზე მიეწოდათ ინფორმაცია სხვადასხვა რეკომენდაციის და რეაგირების გზების მეთოდების შესახებ; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ორგანიზაციების საჭიროებიდან გამომდინარე, ყოველწლიურად არანაკლებ 1 000 ინციდენტზე მოხდება რეაგირება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტების მხრიდან ვერ დაფიქსირდა კომპიუტერული ინციდენტი **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 2019 წელს ღია მონაცემების პორტალზე (data.gov.ge) ატვირთული 750 მონაცემთა ცხრილი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2020 წელს ღია მონაცემების პორტალზე გამოქვეყნებული - 770 მონაცემთა ცხრილი, 2021

	წელს – 790 მონაცემთა ცხრილი, 2022 წელს – 800 მონაცემთა ცხრილი, 2023 წელს – 810 მონაცემთა ცხრილი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5%; **შესაძლო რისკები -** სახელმწიფო ორგანიზაციების მხრიდან არასაკმარისი ნება

სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო (35 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო
აღწერა და მიზანი	საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის და ადამიანური რესურსების წლიური გეგმის შემუშავების პროცესების კოორდინაცია, საჯარო სამსახურის ინსტიტუციური მოწყობის სრულყოფა, მოხელისა და მის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების და მოხელეთა სწავლების ერთიანი სისტემის, აგრეთვე მოხელეთა კლასიფიკაციისა და ანაზღაურების ერთიანი სისტემის დანერგვა; თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების კანონით გათვალისწინებული სავალდებულო რაოდენობის მონიტორინგი; საჯარო სამსახურის ბიუროს თანამშრომელთა გადამზადება.

საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა (06 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი
აღწერა და მიზანი	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება არჩევნებში ჩართული მხარეებისათვის; ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა; საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების ჩატარება; „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული ფონდის ფუნქციების შესრულება.

საქართველოს პარლამენტის ანალიტიკური და კვლევითი საქმიანობის გაძლიერება (01 04)	
პროგრამის	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრი

განმახორციელებელი	
აღწერა და მიზანი	საქართველოს საპარლამენტო სუბიექტებისა და პარლამენტის აპარატის მიმართვებზე/შეკითხვებზე პასუხებისა და მათთან დაკავშირებული საინფორმაციო-ანალიტიკური მასალების მომზადება; პროაქტიული საქმიანობის განხორციელება; პოლიტიკის კვლევის დოკუმენტის შექმნა; ინტეგრირებული, ინტერდისციპლინური კვლევის წარმოება და განხილვის პროცესში მყოფ საკითხებზე პოლიტიკის კვლევის დოკუმენტის შექმნა, მიმდინარე აქტუალურ თემებზე, რომლებიც შეეხება საჯარო პოლიტიკის საკითხებს, ანალიტიკური მიმოხილვების მომზადება.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საქართველოს პარლამენტის კანონშემოქმედებით პროცესში, კონტროლის განხორციელებასა და პოლიტიკის აღსრულებაში დახმარების გაწევა.

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციები (11 00 – 19 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციები
აღწერა და მიზანი	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციების მიერ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან კოორდინაციით თვითმმართველი ერთეულების განვითარების სტრატეგიებისა და პრიორიტეტების დოკუმენტების შემუშავება; ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარების და ტურისტული პოტენციალის წარმოჩენის მიზნით წინადადებების მომზადება; სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის პროცესისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის მონიტორინგი.

სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტი (52 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტი
აღწერა და მიზანი	სახელმწიფო ენის კონსტიტუციური სტატუსის დაცვა;

	ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დადგენა და დამკვიდრება; სახელმწიფო ენის ფლობის დონის ამაღლების ხელშეწყობა; ქართველური ენობრივი მრავალფეროვნების დაცვა, შენახვა, სიტემური კვლევა და განვითარება; საქართველოში და საერთაშორისო ასპარეზზე ქართული ენის როგორც უნიკალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და წარმოჩენა.

საჯარო სექტორის აუდიტორთა სერთიფიცირების პროგრამა (05 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტი
აღწერა და მიზანი	სექტორის აუდიტორთა სერთიფიცირების სისტემის სრულყოფა, კვალიფიკაციის ასამაღლებელი (მათ შორის სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი) სასწავლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საჯარო ფინანსების და აუდიტის სისტემის განვითარების ხელშეწყობა, სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტის ინსტიტუციური განვითარება.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა (26 09)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო
აღწერა და მიზანი	სახელმწიფო სერვისების განვითარების ხელშეწყობა, ახალი და ინოვაციური სერვისების დანერგვა და აღნიშნული სერვისების ყველა დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომობა; 2019 წელს დაწყებული ჭიათურის, ხარაგაულის, აბაშისა და ხობის საზოგადოებრივი ცენტრების მშენებლობის დასრულება. მუნიპიცალური სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ადგილობრივ თვითმმართველობებში ელექტრონული მმართველობის სისტემის (მმს) დანერგვა; სააგენტოს მონაცემთა ბაზების დახვეწის, ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პერსონალური მონაცემების დაცვის ხელშეწყობის მიზნით, თითოეული მოქალაქის რეგისტრაციის მონაცემების დაკავშირება ახალ მისამართებთან (ფორმირებული მობილური ჯგუფების მიერ საველე სამუშაოების შედეგად თითოეულ მისამართზე რეგისტრირებულ პირთა იდენტიფიცირება) და ამ მისამართების გადატანა სააგენტოს საინფორმაციო სისტემაში; სამოქალაქო აქტების დიგიტალიზაცია;

	ახალი, ცენტრალიზებული პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება, რომელიც ერთიან ჩარჩოში მოაქცევს სააგენტოში მიმდინარე ყველა ბიზნესპროცესს და შექმნის უფრო თანამედროვე პლატფორმას. სერვისებზე უფრო მაღალი ხელმისაწვდომობის და ახალ მოთხოვნილებებზე სწრაფი რეაგირების მიზნით, საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის მოდერნიზება და განვითარება; ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის გაუმჯობესება, სანდო და კვალიფიციური სანდო მომსახურების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა და სერტიფიცირება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ერთიანი ავთენტიფიკაციის სისტემის გაუმჯობესება, მონაცემთა შენიღბვის სისტემის დანერგვა და ახალი თაობის საიდენტიფიკაციო დოკუმენტების (პასპორტი, პირადობის მოწმობა) გაცემა; მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის შესაძლებლობათა განვითარების მიზნით, კომისიის როგორც ანალიტიკური, ისე ადმინისტრაციული მხარდაჭერა, მიმდინარე წლის მიგრაციის სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება, შემდგომი წლების სტრატეგიის დოკუმენტის და სამოქმედო გეგმის შემუშავება.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად, საქართველოში მიგრაციის მართვის მექანიზმების გაუმჯობესება.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი -** 2019 წლის ბოლოსათვის დასრულებულია 2016-2020 წწ. მიგრაციის სტრატეგიის 2018 წლის სამოქმედო გეგმის შეფასების პროცესი; დამტკიცებულია მიგრაციის სტრატეგიის 2020 წლის სამოქმედო გეგმა; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2020 წელს – შემუშავდება და დამტკიცდება 2021-2030 წწ. მიგრაციის სტრატეგია და მისი 2021 წლის სამოქმედო გეგმა; 2021 წელს – შემუშავდება და დამტკიცდება 2022 წლის სამოქმედო გეგმა; 2022 წელს – შემუშავდება და დამტკიცდება 2023 წლის სამოქმედო გეგმა; 2023 წელს – შემუშავდება და დამტკიცდება 2024 წლის სამოქმედო გეგმა. ყოველ წელს შეფასდება წინა წლის სამოქმედო გეგმა; **შესაძლო რისკები -** ადამიანური რესურსებისა და შესაბამისი უწყებების ჩართულობის ნაკლებობა

სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა (26 10)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
აღწერა და მიზანი	უძრავ ნივთებზე უფლებათა, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის, საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის, მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისა და სამისამართო რეესტრების, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) რეესტრისა და მუნიციპალიტეტების რეესტრის ფორმირება და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა; ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის (NSDI) შექმნა და განვითარება. მონაცემების გახსნილი, დეცენტრალიზებული, მაგრამ, ამავე დროს, კოორდინირებული მართვა, რომელიც ორიენტირებულია მრავალფუნქციურ მოხმარებასა და გაზიარებაზე. მაღალი ხარისხის ჰარმონიზებული სივრცითი მონაცემების წარმოება და ხელმისაწვდომობა ვებპორტალის (გეოპორტალის) საშუალებით სახელმწიფო უწყებების,

	ბიზნესსექტორის, აკადემიური წრეებისა და მოქალაქეებისთვის; ეროვნული სანავიგაციო სისტემის შექმნა, რომელიც დააკმაყოფილებს სანავიგაციო სისტემის მიმართ შიდა და გარე მომხმარებლების არსებულ მოთხოვნებს და თავსებადი იქნება გლობალურ სანავიგაციო სისტემებთან. მომხმარებლებისთვის ადგილმდებარეობის იდენტიფიცირების გაადვილება, დახმარება დანიშნულების ადგილამდე მისასვლელი ოპტიმალური მარშრუტის შერჩევაში მინიმალური დროის ან მინიმალური მანძილის კრიტერიუმების გათვალისწინებით; მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული იურიდიული პირების სარეგისტრაციო მასალების დამუშავება, ბაზებში არსებული არაზუსტი მონაცემების შესწორება და ციფრულ მატარებლებზე გადატანა, რაც უზრუნველყოფს სარეგისტრაციო დოკუმენტაციაზე ხელმისაწვდომობის ზრდას და დისტანციური გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა დიგიტალიზებული საარქივო დოკუმენტაციის განთავსება სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და მათი ხელმისაწვდომობა ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის; IT ინფრასტრუქტურის სრულყოფა, რაც უზრუნველყოფს არსებული ელექტრონული სერვისების უწყვეტად და სწრაფად მიწოდებას და სამომავლო მზარდი დატვირთვებისთვის ინფრასტრუქტურის გაფართოებას; საქართველოს ეროვნული გეოდეზიური (გეგმურ-სიმაღლური) საფუძველის (ქსელის) შექმნა და განახლება, რომელიც წარმოადგენს ყველა მასშტაბის ტოპოგრაფიული აგეგმვების მთავარ გეოდეზიურ საფუძველს და ქმნის ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე კოორდინატებისა და სიმაღლეების განვრცობის ერთიან სისტემას; აეროგადაღების სამოქმედო გეგმის მიხედვით საქართველოს ტერიტორიის ურბანული არეალების (სადაც აქტიურად მიმდინარეობს ცვლილებები) დაფარვა ახალი აეროგადაღების მასალებით და მათი დამუშავების შედეგად ზუსტი ორთოფოტოგეგმების შექმნა; სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 1 100-მდე თანამშრომლის ცენტრალიზებულად განთავსების და შესაბამისად ხარჯების ოპტიმიზაციის მიზნით, სათავო ოფისის მშენებლობის დასრულება და აღჭურვა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურისა და ეროვნული სანავიგაციო სისტემის შექმნა; ეროვნული გეოდეზიური გეგმურ-სიმაღლური საფუძვლის შექმნა და განახლება, საქართველოს ტერიტორიის აქტუალური რეგიონების ციფრული აეროგადაღება და ციფრული ორთოფოტოგეგმების მომზადება;
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი -** ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის 2.0 ვერსია; ეროვნული სანავიგაციო სისტემის 2.0 ვერსია; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2020 წელს – ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის 3.0 ვერსია; ეროვნული სანავიგაციო სისტემის 3.0 ვერსია; 2021 წელს – ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის 4.0 ვერსია; ეროვნული სანავიგაციო სისტემის 4.0 ვერსია; 2022 წელს – ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის 5.0 ვერსია; ეროვნული სანავიგაციო სისტემის 5.0 ვერსია; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** ეროვნული სანავიგაციო სისტემისა და ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის კონკრეტული ვერსიების შემუშავების დროში გადავადება;

	შესაძლო რისკები - პოლიტიკური მხარდაჭერის შესუსტება; საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხრიდან ტექნიკური და ფინანსური დახმარების შეწყვეტა; სხვადასხვა უწყების, როგორც ეროვნული სივრცითი ინფრასტრუქტურის სუბიექტების, მიერ მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების არასრულფასოვნად შესრულება **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - სიმაღლური ქსელის წერტილები სრულად მოკვლეულია, დაახლოებით, 6000 წერტილიდან ადგილზე დამაგრებული 123 წერტილი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2020-2023 წლებში, ყოველწლიურად, 300 ერთეული სიმაღლური ქსელის წერტილების ადგილზე დამაგრება ან/და დაზიანებულის აღდგენა და 10 000 კვ. კმ-ზე ორთოფოტოს განახლება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5-10%; **შესაძლო რისკები** - რთული მეტეოროლოგიური პირობები, კვალიფიციური კადრების ნაკლებობა, ტექნიკური აღჭურვილობის უკმარისობა, საჭირო თანხების არარსებობა

სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური (59 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური
აღწერა და მიზანი	დაზღვევის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარება; სადაზღვევო ბაზრის ფინანსური სტაბილურობისათვის ხელის შეწყობა; ევროდირექტივებთან (მათ შორის არასახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის მიმართულებით) საქართველოს სადაზღვევო კანონმდებლობის ჰარმონიზაცია; სავალდებულო დაზღვევების შესახებ სტანდარტების შემუშავება. მომხმარებელთა უფლებების დაცვა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ნორმატიული ბაზის განვითარება/სტანდარტიზაცია და ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია; სადაზღვევო ბაზრის სტაბილურობა; კონკურენტუნარიანი გარემოს არსებობა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ნორმატიული ბაზის განვითარება/სტანდარტიზაცია და ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია. სადაზღვევო ბაზრის სტაბილურობა;

	კონკურენტუნარიანი გარემოს არსებობა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - სადაზღვევო ბაზრის გადახდისუნარიანობის უზრუნველყოფა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - არსებული საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა და დახვეწა

ნორმატიული აქტების სისტემატიზაცია და მთარგმნელობითი ცენტრის განვითარება (26 12)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნე
აღწერა და მიზანი	ნორმატიული აქტების სახელმწიფო აღრიცხვა, სისტემატიზაცია და კანონმდებლობით დადგენილი წესით სამართლებრივი სისტემის საჯაროობის უზრუნველყოფა; ნორმატიული აქტებისათვის იურიდიული ძალის მინიჭების მიზნით მათი სრული ტექსტის პირველადი გამოქვეყნება ოფიციალურ ვებგვერდზე (https://matsne.gov.ge); ხელმისაწვდომი, დაცული, მუდმივად განახლებადი ოფიციალურ ვებგვერდის ადმინისტრირება, სადაც მომხმარებელს შეუძლია, იხილოს საქართველოს ყველა უწყების მიერ მიღებული ვებგვერდზე განთავსებული და ოფიციალურად გამოქვეყნებული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, საერთაშორისო ხელშეკრულებები, ევროკავშირის კანონმდებლობის (დირექტივა, რეგულაცია, გადაწყვეტილება, რეკომენდაცია) ქართულენოვანი ვერსიები, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, ადგილობრივი თვითმმართველობის აქტები, საჯარო განცხადებები და საინფორმაციო ხასიათის სხვა დოკუმენტები; საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების განხორციელება და შემდგომ ანგარიშგებასთან დაკავშირებული ევროკავშირის შესაბამისი კანონმდებლობის ქართულ ენაზე თარგმნა, ხოლო საქართველოს კანონმდებლობის/კანონპროექტების – ინგლისურ ენაზე თარგმნა. „SDL Trados Studio“-ს სერვერზე, რომელიც წარმოადგენს მთარგმნელობით მეხსიერებას (TM) და ტერმინოლოგიურ ბაზას (TB), ახალი ტერმინების მუდმივად დამუშავება და განახლება; დაინტერესებული პირებისა თუ მიზნობრივი ჯგუფების პროფესიული საქმიანობისა და საინფორმაციო მიზნებისათვის სხვადასხვა ნორმატიული აქტის, წიგნისა და იურიდიული ლიტერატურის ბეჭდური ვერსიების გამოცემა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სამართლებრივი აქტების და სხვა დოკუმენტების ხელმისაწვდომობის ზრდა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2019 წელს ვებგვერდზე რეგისტრირებული იქნება 6000 ავტორიზებული მომხმარებელი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2020-2023 წლებში ყოველწლიურად ავტორიზებულ მომხმარებელთა 100 ერთეულით

	ზრდა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** +/- 30 მომხმარებელი; **შესაძლო რისკები -** ახალი პროგრამული ფუნქციონალების დამატების შეფერხება

ერთიანი სახელმწიფო საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება (26 08)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სმართ ლოჯიქი
აღწერა და მიზანი	სახელმწიფოს საქმიანობაში თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვა, მათზე გაწეული დანახარჯების შემცირება, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების საშუალებით სახელმწიფოს გამართული ფუნქციონირების ხელშეწყობა; სახელმწიფო უწყებების მომსახურება IT სერვისების სრული სპექტრით, რაც მოიცავს ქსელურ უზრუნველყოფას, ინტერნეტის მიწოდებას, ელფოსტის სერვისს, ონლაინკომუნიკაციის საშუალებებს, ტელევიდეოკონფერენციას, დროისა და დავალებების მართვის პროგრამულ უზრუნველყოფას, უსაფრთხოების ერთიანი პოლიტიკის გატარებას, არასასურველი და მავნე ელექტრონული ფოსტის პროგრამებისა და ვირუსებისგან დაცვას, სახელმწიფო სტრუქტურებისათვის ერთიანი IT მხარდაჭერის ქოლცენტრის შექმნასა და ინციდენტების მართვას, ციფრული ტელეფონიის სერვისს, სახელმწიფო ორგანიზაციებში დასაქმებულთა კომპიუტერული ტექნიკის ადგილზე მომსახურებას და სხვ; სახელმწიფო ორგანიზაციებში პროცესების ავტომატიზებისა და ელექტრონულ მმართველობაზე გადასვლის მიზნით შესაბამისი კვლევების ჩატარება და კონკრეტული ინოვაციური ბიზნესგადაწყვეტილებების შემუშავება, რომლებიც მორგებული იქნება დამკვეთის ბიზნესპროცესებზე. ახალი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა და არსებულის გაუმჯობესება; დანერგილი ქლაუდტექნოლოგიის (ღრუბლოვანი ტექნოლოგია) მიმართულებით ტექნოლოგიის განვითარება როგორც პროგრამული, ისე გამოთვლითი სიმძლავრეებისა და მასშტაბების კუთხით. ქლაუდინფრასტრუქტურით (IaaS) სარგებლობა დაინტერესებული ორგანიზაციებისთვის.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საინფორმაციო ტექნოლოგიების, ასევე, პროგრამული უზრუნველყოფის შექმნისა და განვითარების მომსახურებების მიმღები ორგანიზაციების რაოდენობის ზრდა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი -** მომსახურება გაწეულია 33 ორგანიზაციისთვის; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2020 წელი – მომსახურება გაეწევა 40 ორგანიზაციას 2021 წელი – მომსახურება გაეწევა 45 ორგანიზაციას 2022 წელი – მომსახურება გაეწევა 50 ორგანიზაციას 2023 წელი – მომსახურება გაეწევა 55 ორგანიზაციას;

	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) – 3 ორგანიზაცია; **შესაძლო რისკები** – მომსახურებაზე აყვანილი ორგანიზაციის ბიუჯეტის დეფიციტი; ბაზარზე კონკურენტი ორგანიზაციის მიერ ფასების შემცირება (თვითღირებულებაზე ქვემოთ); მომსახურებაზე აყვანილი ორგანიზაციის შიდა პოლიტიკის მიდგომის ცვლილება აუთსორსიდან საკუთარ IT ჯგუფზე გადასვლაზე

იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა სახელმწიფო მხარდაჭერა და რეინტეგრაციის ხელშეწყობა

კოდი	დასახელება	2020 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი
27 06	იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობა	66,735.0	66,735.0	-	75,000.0	85,000.0	100,000.0
25 06	იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა	55,000.0	55,000.0	-	60,000.0	60,000.0	80,000.0
22 01	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	1,950.0	1,950.0	-	1,950.0	1,950.0	1,950.0
22 02	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ განსახორციელებელი პროგრამები	1,000.0	1,000.0	-	1,000.0	1,000.0	1,000.0
	სულ	**124,685.0**	**124,685.0**	**-**	**137,950.0**	**147,950.0**	**182,950.0**

იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობა (27 06)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
აღწერა და მიზანი	საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარება;

	ეკომიგრანტების საცხოვრებელი სახლებით უზრუნველყოფა; დევნილთა გრძელვადიანი განსახლება; იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთათვის სოციალური და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება; საერთაშორისო დაცვის, თავშესაფრის მაძიებლებისა და საქართველოში სტატუსის მქონე, მოქალაქეობის არმქონე პირთა ინტეგრაციის მიზნით, სხვადასხვა სახის სერვისების შექმნა და განვითარება; სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება მესაკუთრეთა უფლებების აღდგენის ხელშეწყობის მიზნით.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარება; ეკომიგრანტების საცხოვრებელი სახლებით უზრუნველყოფა მათი უსაფრთხო გარემოში განსახლების გზით; დევნილი მოსახლეობისთვის ღირსეული ცხოვრების პირობების მხარდაჭერა; საერთაშორისო სამართლით აღიარებული ვალდებულებები შესრულებულია, იდენტიფიცირებულია არაკონტროლირებად ტერიტორიებზე ქონების კანონიერი მესაკუთრეები და დაცულია მათი უფლებები; დაბრუნებული მიგრანტების სოციალურ-ეკონომიკური რეინტეგრაცია; საერთაშორისო დაცვის, თავშესაფრის მაძიებლებისა და საქართველოში სტატუსის მქონე, მოქალაქეობის არმქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაცია. .
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - მიმდინარეობს პოლიტიკის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების შეუფერხებლად განხორციელება; ხორციელდება: ეკომიგრანტების საცხოვრებელი სახლებით უზრუნველყოფა, დაბრუნებული მიგრანტების სოციალურ-ეკონომიკური რეინტეგრაციის და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობა, მიმდინარეობს დევნილთა გრძელვადიანი განსახლება და მათთვის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების პროცესი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - პოლიტიკის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები განხორციელდება შეუფერხებლად; ეკომიგრანტები უზრუნველყოფილ იქნენ საცხოვრებელი სახლებით; დაბრუნებულ მიგრანტებს გაუმარტივდათ სოციალურ-ეკონომიკური რეინტეგრაციის პროცესი; საერთაშორისო დაცვის, თავშესაფრის მაძიებლებისა და საქართველოში სტატუსის მქონე, მოქალაქეობის არმქონე პირებს გაუმარტივდათ ინტერგრაციის პროცესი; განხორციელდება დევნილთა გრძელვადიანი განსახლება და მათთვის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების პროცესი

სარეინტეგრაციო დახმარება საქართველოში დაბრუნებული მიგრანტებისათვის (27 06 01)	
ქვეპროგრამის	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის

განმახორციელებელი	სამინისტრო
აღწერა და მიზანი	ევროკავშირის ქვეყნებიდან და სხვა გეოგრაფიული არეალიდან დაბრუნებული ქართველი მიგრანტების სოციალურ-ეკონომიკური რეინტეგრაციის ხელშეწყობა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	დაბრუნებული ქართველი მიგრანტების სოციალურ-ეკონომიკური რეინტეგრაციის მიზნით სხვადასხვა სახის სარეინტეგრაციო მომსახურებების გაწევა, მათ შორის: სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტების დაფინანსება, ასევე ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია; შემოსავლის წყაროს გაჩენისა და თვითდასაქმების ხელშეწყობის მიზნით სოციალური პროექტების დაფინანსება; პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა; საცხოვრისით დროებითი უზრუნველყოფა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი -** 150 დაბრუნებული ქართველი მიგრანტი სოციალურ-ეკონომიკური რეინტეგრაციის მიზნით სარგებლობს სხვადასხვა სახის მომსახურებით, მათ შორის: სამედიცინო მომსახურება, შემოსავლის წყაროს გაჩენისა და თვითდასაქმების ხელშეწყობის მიზნით სოციალური პროექტების დაფინანსება, ბენეფიციარებისთვის პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა; დაბრუნებისთანავე დროებითი განთავსება; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** საბაზისო მაჩვენებელი შენარჩუნებულია; **შესაძლო რისკები -** ბენეფიციარების დაბალი მიმართვიანობა

ეკომიგრანტთა მიგრაციის მართვა (27 06 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
აღწერა და მიზანი	განხორციელდება სტიქიური მოვლენებით გამოწვეული ეკომიგრაციული პროცესების ეფექტიანი მართვა, დაზარალებული ოჯახებისთვის სამინისტროს მიერ 2012 წლამდე შესყიდული სახლების კერძო საკუთრებაში გადაცემა; ეკომიგრანტთათვის საცხოვრებელი სახლების შეძენა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სტიქიით დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების საცხოვრებელი სახლებით უზრუნველყოფა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი -** განსახლების მოთხოვნით სამინისტროს მომართა 6000-მდე ოჯახმა,საცხოვრებლით დაკმაყოფილდება ეკომიგრანტთა 175-მდე ოჯახი;

	მიზნობრივი მაჩვენებელი - საცხოვრებლით დაკმაყოფილდება ეკომიგრანტთა 190-მდე ოჯახი (მათ შორის 90-მდე ეკომიგრანტი ოჯახის საცხოვრებლით უზრუნველყოფა სოფლის განვითარების სტრატეგიის ფარგლებში); **შესაძლო რისკები** - საცხოვრებელ სახლებზე საბაზრო ფასების ზრდა

განსახლების ადგილებში დევნილთა შენახვა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება (27 06 03)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
აღწერა და მიზანი	იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელება; იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლების, სოციალური და საცხოვრებელი პირობების შექმნა, რომელიც ითვალისწინებს: სავალალო მდგომარეობაში მყოფ დევნილთა ყოფილი კომპაქტურად ჩასახლების ობიექტების შესწავლას და შემდგომში მათ რეაბილიტაციას; ქართველი მენაშენეებისაგან ბინების (კორპუსების) შესყიდვას ქვეყნის მასშტაბით; სახლების შესყიდვას და საკუთრებაში გადაცემას დევნილი ოჯახებისათვის სულადობის მიხედვით; ობიექტების (კოლექტიური ცენტრების იდენტიფიცირება, რომლებიც წარმოადგენენ კერძო საკუთრებას, მაგრამ მისაღებია დევნილთა გრძელვადიანი განსახლებისათვის) გამოსყიდვას კერძო მესაკუთრეებისაგან და დევნილებისათვის საკუთრებაში გადაცემას; ფულადი დახმარების გაწევას იმ დევნილი ოჯახებისათვის, ვინც იპოთეკური სესხის საშუალებით შეიძინა საცხოვრებელი და აქვთ იპოთეკური ვალდებულება; ყოფილი ორგანიზებულად განსახლების ობიექტების ადმინისტრაციული ხარჯის დაფინანსებას საცხოვრებელი ფართობების დაქირავების მიზნით დევნილთა ოჯახებისთვის ყოველთვიური სოციალური და ფულადი დახმარებების გაწევას; იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით დევნილთა საკუთრებაში არსებულ ობიექტებში ჩასატარებელი სამუშაოების ღირებულების თანადაფინანსება და მათ მიერ შექმნილი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფა;

	დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - განხორციელდა სავალალო მდგომარეობაში მყოფ დევნილთა ყოფილი კომპაქტურად ჩასახლების 4 ობიექტის შესწავლა და შემდგომში მათი რეაბილიტაცია; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მოხდება საშუალოდ 4 დევნილთა ყოფილი კომპაქტურად ჩასახლების ობიექტის შესწავლა და შემდგომში მათი რეაბილიტაცია; **შესაძლო რისკები** - კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების შესრულება ვადების დარღვევით **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 1090-მდე დევნილ ოჯახს გადაეცა ქართველი მენაშენეებისაგან შესყიდული ბინა, მათ შორის: წინა წლებში მრავალწლიანი ხელშეკრულების საფუძველზე შესყიდული ბინები. 700-მდე ოჯახს საკუთრებაში გადაეცა საცხოვრებელი ბინა, მათ შორის მოხდა 2013 წლის 1 ივნისამდე თბილისში რეგისტრირებული 50-მდე დევნილი ოჯახის განსახლება თანადაფინანსებით; 50 ოჯახი დაკმაყოფილდა გრძელვადიანი საცხოვრებლით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 370-მდე დევნილ ოჯახს გადაეცემა ქართველი მენაშენეებისაგან შესყიდული ბინა. 925-მდე ოჯახს საკუთრებაში გადაეცემა საცხოვრებელი ბინა, მათ შორის: მოხდება 2013 წლის 1 ივნისამდე თბილისში რეგისტრირებული 150-მდე დევნილი ოჯახის განსახლება თანადაფინანსებით, ხოლო 200-მდე დევნილ ოჯახს გადაეცემა საცხოვრებელი სახლი საკუთრებაში სოფლის განვითარების სტრატეგიის ფარგლებში. 50 ოჯახი დაკმაყოფილდება გრძელვადიანი საცხოვრებლით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5-10%; **შესაძლო რისკები** - საცხოვრებელ სახლებზე საბაზრო ფასების ზრდა **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 110 დევნილ ოჯახს 20 ათასი ლარის ფარგლებში იპოთეკური სესხის დაფარვის მიზნით გაეწია ფულადი დახმარება; სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების მიზნით 7000-მდე დევნილ ოჯახს გაეწია საცხოვრებელი ფართობების დაქირავებისთვის ყოველთვიური სოციალური და ფულადი დახმარება; დახმარების გაცემის დროს განხორციელდა გენდერული ასპექტების გათვალისწინება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 110 დევნილ ოჯახს 20 ათასი ლარის ფარგლებში იპოთეკური სესხის დაფარვის მიზნით გაეწევა ფულადი დახმარება, სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების მიზნით 7000-მდე დევნილ ოჯახს გაეწევა საცხოვრებელი ფართობების დაქირავებისთვის ყოველთვიური სოციალური და ფულადი დახმარება **4.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ყოფილი ორგანიზებულად განსახლების 100-მდე ობიექტზე განხორციელდა ადმინისტრაციული ხარჯის დაფინანსება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ყოფილი ორგანიზებულად განსახლების 100-მდე ობიექტზე განხორციელდება ადმინისტრაციული ხარჯის დაფინანსება; **შესაძლო რისკები** - ობიექტების ადმინისტრაციის დაბალი მომართვიანობა **5.** **საბაზისო მაჩვენებელი** - დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით მოხდა მათ საკუთრებაში არსებულ ობიექტებში (სულ 100 -მდე ობიექტი) ჩასატარებელი სამუშაოების ღირებულების თანადაფინანსება;

	მიზნობრივი მაჩვენებელი - დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით განხორციელდება მათ საკუთრებაში არსებულ ობიექტებში (სულ 100-მდე ობიექტი) ჩასატარებელი სამუშაოების ღირებულების თანადაფინანსება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10-15%

საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობა (27 06 04)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია საქართველოში საერთაშორისო დაცვის, თავშესაფრის მაძიებლებისა და საქართველოში სტატუსის მქონე, მოქალაქეობის არმქონე პირების ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად, ისეთი სერვისების შექმნა და განვითარება, რომლებიც აღნიშნული ჯგუფების წარმომადგენლებს დაეხმარება საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებული სირთულეების დაძლევაში.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	საინტეგრაციო პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შედეგად, საერთაშორისო დაცვის, თავშესაფრის მაძიებლებისა და საქართველოში სტატუსის მქონე, მოქალაქეობის არმქონე პირებს ეცოდინებათ ქართული ენა, რათა შეძლონ საზოგადოებასთან კომუნიკაცია; გაეცნობიან ქვეყნის ისტორიას და კულტურას, სტატუსიდან გამომდინარე ეცოდინებათ თავიანთი უფლება-მოვალეობები და ქვეყნის კანონმდებლობის ის მიმართულებები, რისი ცოდნაც აუცილებელია მათი ყოველდღიური ცხოვრების, განათლების მიღებისა თუ ეკონომიკური აქტივობის პროცესში და სხვა. პროგრამის შედეგად ბენეფიციარებს გაეწევათ კონსულტაცია იმ სახელმწიფო პროგრამებში ჩართვის შესახებ, რასაც მათ სახელმწიფო სთავაზობს.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - საერთაშორისო დაცვის, თავშესაფრის მაძიებლებისა და საქართველოში სტატუსის მქონე, მოქალაქეობის არმქონე პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, სხვადასხვა სახის სერვისი გაეწია 100 ბენეფიციარს; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებელი შენარჩუნებულია; **შესაძლო რისკები** - ბენეფიციარების დაბალი მიმართვიანობა

იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა (25 06)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
აღწერა და მიზანი	იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, ხანგრძლივი საცხოვრებელი პირობების შექმნა და საზოგადოებაში მათი ეკონომიკური და სოციალური ინტეგრაცია.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, ხანგრძლივი საცხოვრებელი პირობების შექმნა და საზოგადოებაში მათი ეკონომიკური და სოციალური ინტეგრაცია.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - საცხოვრებელი ბინით დაკმაყოფილებული 1024-მდე ოჯახი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მდებარე ახალი საცხოვრებელი ბინებით დაკმაყოფილებული დევნილთა 3760-მდე ოჯახი, მათ შორის, 2019 წელს საცხოვრებელი ბინით დაკმაყოფილებული 1000-მდე ოჯახი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 15%; **შესაძლო რისკები** - სამშენებლო სამუშაოების სატენდერო პროცედურების შეფერხება (ჩაშლა), კონტრაქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევით

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი (22 01)

პროგრამის განმახორციელებელი	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
აღწერა და მიზანი	კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების, შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის განხორციელება და კოორდინირება, ჩართულობის სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელება, სამშვიდობო ინიციატივის „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ განხორციელების კოორდინირება, ჩართულობის სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობის ხელმძღვანელობა და სააკორდინაციო მექანიზმის ფუნქციონირების უზრუნველყოფა; ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა, გამყოფი ხაზების გასწვრივ ვაჭრობის წახალისება, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე რეგისტრაციის და სამეწარმეო საქმიანობაში ჩართვის ახალი სტატუს-ნეიტრალური მექანიზმების გამოყენებით, გაყოფილ საზოგადოებებს შორის ეკონომიკური კავშირების ხელშეწყობა, მათ შორის სპეციალური დამოუკიდებელი ფონდის საშუალებით. გამყოფი ხაზების გასწვრივ მომსახურების და ინფრასტრუქტურის განვითარების, ახალი სერვისების დანერგვის და ამოქმედების ხელშეწყობა. ოკუპირებულ ტერიტორიებზე გარემოს დაცვის ხელშეწყობა; ტერიტორიების მოსახლეობისათვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მასალის და ტექნიკის, მცენარეთა მოვლის საშუალებების მიწოდების და სხვადასხვა პარაზიტებთან/მწერებთან ბრძოლაში დახმარების ხელშეწყობა. საკოორდინაციო მექანიზმის ფუნქციონირების ხელშეწყობა და კოორდინაცია; ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე განათლების ყველა საფეხურისადმი წვდომის გამარტივების, განათლების სისტემაში ჩართვის ახალი სტატუს-ნეიტრალური მექანიზმის შექმნის ხელშეწყობა. საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში და საქართველოში მოქმედ საერთაშორისო საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვის გამარტივების და ახალი შესაძლებლობების

შექმნის, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული განათლების აღიარების გამარტივების, პროფესიულ განათლებაში ჩართვის ხელშეწყობის, აფხაზური ენის დაცვის და განვითარების ხელშეწყობა; ოკუპირებულ ტერიტორიებზე მშობლიურ ენაზე განათლების მიღებისა და საერთაშორისო საგანმანთლებლო პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობა;

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირების სახელმწიფო პროგრამებისა და სერვისებისადმი წვდომის გამარტივება და გაუმჯობესება, ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობების გაზრდა, ოკუპირებული ტერიტორიებისთვის სხვადასხვა მედიკამენტებისა და სამედიცინო ტექნიკის მიწოდება. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან, მათ შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებიდან და საქართველო-ევროკავშირის შორის უვიზო მიმოსვლიდან გამომდინარე ყველა სარგებლისა და შესაძლებლობის შეთავაზება/გაზიარება ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისათვის, ცნობიერების ამაღლება ევროინტეგრაციის საკითხებზე. ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობისათვის საქართველოს მოქალაქის პასპორტის ხელმისაწვდომობის და სამოქალაქო აქტების გაცემის გამარტივების ხელშეწყობა;

საერთაშორისო ორგანიზაციების ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჩართულობის და საქმიანობის ხელშეწყობა; საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დონორებთან ურთიერთობის კოორდინაცია; საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრების ორგანიზება;ჟენევის დისკუსიების მეორე სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელობა; გალში და ერგნეთში გამართული ინცინდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) შეხვედრებში მონაწილეობა. საქართველოში და საზღვარგარეთ გამართულ ღონისძიებებში, საერთაშორისო ფორუმებში და ფორმატებში მონაწილეობა, პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობა; შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის საერთაშორისო მხარდაჭერის უზრუნველყოფა, ფინანსური დახმარების მობილიზება;

გამყოფ ხაზებთან მცხოვრები მოსახლეობის დახმარების სახელმწიფო კომისიის თანა-თავმჯდომარეობა; გამყოფი ხაზების მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის დახმარების უწყებათაშორისი კომისიის თანა-თავმჯდომარეობა; გამყოფი ხაზის სიახლოვეს მდებარე რეგიონების განვითარების ხელშეწყობა; გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის დახმარება, მათი ზამთრის პერიოდში გათბობით უზრუნველყოფა; ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; სტუდენტებისთვის და მოსწავლეებისთვის განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; მოსახლეობის საჯარო სერვისებთან ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; დაზარალებულ სოფლებში ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განხორციელება; მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა;
„სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015 - 2020 წწ. სამოქმედო გეგმის“ განხორციელების კოორდინირება; სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ეფექტურად განხორციელების მიზნით შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობის კოორდინირება; კომისიის ფარგლებში არსებული თემატური ჯგუფების მუშაობის წარმართვა;

„სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმის“

	შუალედური შეფასების მომზადება და წარდგენა; სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობის პროცესში აქტიური კომუნიკაცია/თანამშრომლობა როგორც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან, ისე ეთნიკურ უმრავლესობასთან; სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებში და ამ მიზნით სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამების განხორციელებაში ხელშეწყობა; ეთნიკური უმცირესობების მედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და არაქართულენოვანი ბეჭდვითი მედიის ხელშეწყობა; კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და პოპულარიზაციის, კულტურული მრავალფეროვნების წახალისების და თვითმყოფადობის შენარჩუნების ხელშეწყობა. კონკრეტული კულტურულ-საგანმანათლებლო და ინტერკულტურული პროექტების, პროგრამებისა და ღონისძიებების ხელშეწყობა/განხორციელება; ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამებსა და სერვისებზე საინფორმაციო/ცნობიერების ამაღლების კამპანიის გამართვა; რეპატრიანტის სტატუსის მქონე, ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა ფაქტობრივი რეპატრიაციის შემდგომ მიმდინარე პროცესების რეგულირება. კონფლიქტით დაშორიშორებულ მოსახლეობას შორის დიალოგის, შერიგებისა და ნდობის აღდგენის მიზნით, საერთო ინტერესებზე დაფუძნებული ორმხრივი პროექტებისა და ინიციატივების განხორციელების ხელშეწყობა; საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დონორებთან ურთიერთობების კოორდინაცია, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მათი ჩართულობისა და საქმიანობის ხელშეწყობა; საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრების ორგანიზება, კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების უზრუნველყოფის მიზნით კონფლიქტის შედეგად წარმოქმნილ არასწორ/უარყოფით სტერეოტიპებთან და პროპაგანდასთან გამკლავების, მავთულხლართებისა თუ სხვა ბარიერების, ასევე ხელოვნური დაშორიშორების შედეგად ადამიანთა შორის ჩამოყალიბებული გაუცხოების აღმოფხვრა, გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობის საერთო ინტერესების გარშემო გაერთიანება; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გულირიფშის რაიონში ოჯახების დაბრუნების პროცესის ხელშეწყობა, ნებაყოფლობით დაბრუნებული მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და მათი საოჯახო მეურნეობების განვითარების მიზნით მატერიალური დახმარების გაცემა; ეთნიკური უმცირესობის მიმართ ეფექტური სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება, ეთნიკური უმცირესობის უფლებების დაცვის ხელშეწყობა და საზოგადოებაში მათი სრულფასოვანი ინტეგრაცია. მედიასა და ინფორმაციაზე

	ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება. „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ჩარჩო კონვენციით საქართველოს მიერ აღებული ვალდებულების შესრულების ხელშეწყობა. სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიითა და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული არაქართულენოვანი მედია საშუალებების, კერძოდ სომხურენოვანი გაზეთის შპს „ვრასტანის“ და აზერბაიჯანულენოვანი გაზეთის შპს „გურჯისტანის“ მხარდაჭერა; 1990-იანი წლებისა და 2008 წლის შეიარაღებულ კონფლიქტებთან დაკავშირებით გაუჩინარებული ადამიანების ადგილსამყოფლის დადგენის მიზნით, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ეგიდით ჩამოყალიბებულ საკოორდინაციო მექანიზმში ჩართულობა; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკასა და დანარჩენ საქართველოში არსებული სამარხებიდან ექსჰუმირებული ნეშტების ამოცნობის პროცესის ხელშეწყობა და გადმოსვენების ღონისძიებების ორგანიზება; უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა მოძიების პროგრამის ფარგლებში დაკარგულ პირთა ადგილსამყოფელზე ინფორმაციის შეგროვება. დაკარგული პირების გარდაცვალების დადასტურების შემთხვევაში პოტენციური სამარხების მდებარეობის განსაზღვრა, სამარხების გახსნის დაგეგმვა, ნეშტების ექსჰუმირება და იდენტიფიცირება; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გულრიფშის რაიონში ოჯახების დაბრუნების პროცესის ხელშეწყობა, ნებაყოფლობით დაბრუნებული მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და მათი საოჯახო მეურნეობების განვითარების მიზნით მატერიალური დახმარების გაცემა; კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის მხარდაჭერაზე ორიენტირებული ა(ა)იპ ,,მშვიდობის ფონდი უკეთესი მომავლისთვის" ფუნქციონირების ხელშეწყობა.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ განსახორციელებელი პროგრამები (22 02)

პროგრამის განმახორციელებელი	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
აღწერა და მიზანი	კონფლიქტით დაშორიშორებულ მოსახლეობას შორის შერიგების, დიალოგის და კონტაქტების ხელშეწყობის მიზნით ნდობის, აღდგენისა და საერთო ინტერესებზე დაფუძნებული პროექტებისა და ინიციატივების განხორციელების ხელშეწყობა; კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების უზრუნველყოფის მიზნით კონფლიქტის შედეგად წარმოქმნილ არასწორ/უარყოფით სტერეოტიპებთან და პროპაგანდასთან გამკლავების, მავთულხლართებისა თუ სხვა ბარიერების, ასევე ხელოვნური დაშორიშორების შედეგად ადამიანთა შორის ჩამოყალიბებული გაუცხოების აღმოფხვრა, გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობის საერთო ინტერესების გარშემო გაერთიანება; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გულრიფშის რაიონში ოჯახების დაბრუნების პროცესის ხელშეწყობა, ნებაყოფლობით დაბრუნებული მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და მათი

	საოჯახო მეურნეობების განვითარების მიზნით მატერიალური დახმარების გაცემა; ეთნიკური უმცირესობის მიმართ ეფექტური სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება, ეთნიკური უმცირესობის უფლებების დაცვის ხელშეწყობა და საზოგადოებაში მათი სრულფასოვანი ინტეგრაცია. მედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება. „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ჩარჩო კონვენციით საქართველოს მიერ აღებული ვალდებულების შესრულების ხელშეწყობა. სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიითა და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული არაქართულენოვანი მედია საშუალებების, კერძოდ სომხურენოვანი გაზეთის შპს „ვრასტანის“ და აზერბაიჯანულენოვანი გაზეთის შპს „გურჯისტანის“ მხარდაჭერა; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულების შესრულება. 1992-1993 წლების შეიარაღებული კონფლიქტთან დაკავშირებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და დანარჩენ საქართველოში არსებული სამარხებიდან ექსჰუმირებული ნეშტების ამოცნობის პროცესის ხელშეწყობა და გადმოსვენების ღონისძიებების ორგანიზება; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა ოჯახის წევრთა უფლებების დაცვა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - გადმოსვენებული იქნა 60-მდე უგზო-უკვლოდ დაკარგული მებრძოლი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - გადმოსვენებული იქნება 80-მდე უგზო-უკვლოდ დაკარგული მებრძოლი

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

კოდი	დასახელება	2020 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი
32 11	მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარება და პოპულარიზაცია	130,400.0	130,400.0	-	135,000.0	140,000.0	145,000.0
32 09	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	96,870.0	84,949.0	11,921.0	102,940.0	107,985.0	108,035.0
42 01	მაუწყებლობის ხელშეწყობა*	66,700.0	62,800.0	3,900.0	70,465.0	78,740.0	83,200.0
32 10	კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა	32,153.0	23,806.0	8,347.0	33,550.0	38,752.0	38,955.0
32 12	კულტურისა და სპორტის მოღვაწეთა სოციალური დაცვისა და ხელშეწყობის ღონისძიებები	21,120.0	21,120.0	-	32,280.0	32,280.0	32,280.0
45 01	სასულიერო განათლების ხელშეწყობის გრანტი	14,738.0	14,738.0	-	14,738.0	14,738.0	14,738.0
50 00	სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო	5,330.0	5,330.0	-	5,330.0	5,330.0	5,330.0
54 00	სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტო	5,000.0	5,000.0		5,000.0	5,000.0	5,000.0
45 08	ა(ა)იპ – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტისათვის გადასაცემი გრანტი	1,945.0	1,945.0	-	1,945.0	1,945.0	1,945.0
45 03	ა(ა)იპ – ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის საგანმანათლებლო ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი	1,768.0	1,768.0	-	1,768.0	1,768.0	1,768.0
45 09	ა(ა)იპ – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტისათვის გადასაცემი გრანტი	1,505.0	1,505.0	-	1,505.0	1,505.0	1,505.0
45 06	ა(ა)იპ – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო სწავლების ცენტრი	1,170.0	1,170.0	-	1,170.0	1,170.0	1,170.0
45 11	საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზიის სუბსიდირების ღონისძიებები	800.0	800.0	-	800.0	800.0	800.0
45 04	ა(ა)იპ – საქართველოს საპატრიარქოს ჯავახეთის ქ. ნინოწმინდის წმიდა ნინოს ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონატი	685.0	685.0	-	685.0	685.0	685.0
45 13	ა(ა)იპ – ფოთის საგანმანათლებლო და კულტურულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი	653.0	653.0	-	653.0	653.0	653.0

კოდი	დასახელება	2020 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი
45 02	ა(ა)იპ – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა სვიმონ კანანელის სახელობის სასულიერო სწავლების ცენტრი	645.0	645.0	-	645.0	645.0	645.0
45 12	ა(ა)იპ – ახალქალაქისა და კუმურდოს ეპარქიის სასწავლო ცენტრისთვის გადასაცემი გრანტი	500.0	500.0	-	500.0	500.0	500.0
45 05	ა(ა)იპ – ბათუმის წმიდა მოწამე ეკატერინეს სახელობის სათნოების სავანისათვის გადასაცემი გრანტი	261.0	261.0	-	261.0	261.0	261.0
45 07	ა(ა)იპ – წმინდა გიორგი მთაწმინდელის მონასტერთან არსებული სარეაბილიტაციო ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი	230.0	230.0	-	230.0	230.0	230.0
45 10	ა(ა)იპ – სმენადაქვეითებულ ბავშვთა რეაბილიტაციის და ადაპტაციის ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი	100.0	100.0	-	100.0	100.0	100.0
	სულ	**382,573.0**	**358,405.0**	**24,168.0**	**409,565.0**	**433,087.0**	**442,800.0**

მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარება და პოპულარიზაცია (32 11)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
აღწერა და მიზანი	საქართველოში სპორტის შემდგომი განვითარების მიზნით, ქვეყნის ნაკრები გუნდების მზადება და მონაწილეობა საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები, პირველობები, საერთაშორისო ტურნირები და სხვ.). მზადების ეტაპზე სასწავლო-საწვრთნელი შეკრებების მოწყობა, საქართველოს ჩემპიონატებისა და პირველობების ჩატარება; სპორტის სახეობების პოპულარიზაცია და სპორტის ეროვნული სახეობების განვითარების ხელშეწყობა. მასობრივი სპორტისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვა; „სპორტი ყველასათვის“ მოძრაობის განვითარება; მასობრივ სპორტული ღონისძიებების გამართვა; ოლიმპიური, პარალიმპიური, სურდლიმპიური, სპეციალური ოლიმპიური და სხვა მოძრაობების განვითარების ხელშეწყობა. სპორტულ ორგანიზაციებში „კარგი მმართველობის“ პრინციპების დანერგვის მიზნით, დაგეგმვის ეტაპზე მონაწილეობა და სპორტული ორგანიზაციების საქმიანობის მონიტორინგის განხორციელება. სპორტული ფედერაციებისთვის და რეგიონული სპორტული ორგანიზაციებისთვის გადასაცემად სპორტული ინვენტარის და ეკიპირების შეძენა. საქართველოში სპორტის სხვადასხვა სახეობაში საერთაშორისო შეჯიბრებების მასპინძლობა და მასობრივი სპორტული ღონისძიებების მაღალ დონეზე ორგანიზება. საერთაშორისო მასშტაბით ქვეყნის ცნობადობის და იმიჯის ამაღლება, სპორტული ტურიზმის განვითარება; საქართველოში ფეხბურთის განვითარების მიზნით, საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში ფეხბურთში მონაწილე კლუბების საბაზისო დაფინანსება და ფინანსური სტიმულირება; საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში ფეხბურთში მონაწილე კლუბების საპრიზო და პრემიალური ფონდის განკარგვა; მასობრივი სახის საფეხბურთო ღონისძიებები და საფეხბურთო განათლების ხელშემწყობი პროგრამების განხორციელება;
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მაღალი მიღწევებისა და მასობრივ სპორტში ჩართული პირების გაზრდილი მაჩვენებელი, მაღალ დონეზე ჩატარებული ეროვნული პირველობები, სპორტის მასობრიობის მაჩვენებლის ზრდა, რეგულარულ ფიზიკურ აქტივობაში და ეროვნულ სპორტის სახეობებში ჩართული პირთა რაოდენობის ზრდა, სპორტში გამოვლენილი დარღვევების შემცირებული მაჩვენებელი, საქართველოში გამართული საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების, მასობრივი სპორტული ღონისძიებების და სპორტული ორგანიზაციების საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდილი

	მაჩვენებელი. ჩამოყალიბებულია ფეხბურთის საკლუბო სისტემა; გადამზადებულია კვალიფიციური კადრები (მსაჯები, მწვრთნელები, სამედიცინო პერსონალი) გაუმჯობესებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (ინვენტარი, ეკიპირება)
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - საქართველოს ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებების მონაწილეობა 1600-მდე ეროვნულ და საერთაშორისო ღონისძიებაში (შეჯიბრი, საწვრთნელი შეკრება); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საქართველოს ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებების მონაწილეობა ყოველწლიურად 1700-მდე ეროვნულ და საერთაშორისო ღონისძიებაში (შეჯიბრი, საწვრთნელი შეკრება); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%-10%; **შესაძლო რისკები** - საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილება, დოპინგი, სპორტსმენის ტრავმა **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - რეგულარულ სპორტულ და ფიზიკურ აქტივობებში ჩართულია მოსახლეობის 28%. ჩატარებული 40-ზე მეტი მასობრივი ღონისძიება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - რეგულარულ სპორტულ და ფიზიკურ აქტივობებში ჩართული მოსახლეობის 31-35%. ყოველწლიურად ჩატარებული 50 მასობრივი სპორტული ღონისძიება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებები, ეროვნულ დონეზე სპორტული ორგანიზაციის გეგმის ცვლილებები **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - საქართველოში გამართული 15 საერთაშორისო სპორტული ღონისძიება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საქართველოში ყოველწლიურად გამართული 15 საერთაშორისო სპორტული ღონისძიება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%-7%; **შესაძლო რისკები** - საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილება **4.** **საბაზისო მაჩვენებელი** - წლის განმავლობაში 40-მდე სპორტული ფედერაციისათვის და რეგიონებისთვის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის გადასაცემი სხვადასხვა სახის სპორტული ინვენტარის და ეკიპირების შეძენა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - წლის განმავლობაში 40-მდე სპორტული ფედერაციისათვის და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის გადასაცემი სხვადასხვა სახის სპორტული ინვენტარის და ეკიპირების შეძენა **5.** **საბაზისო მაჩვენებელი** - საქართველოში ფეხბურთის განვითარების (2016-2021 წწ.) სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად 80 საფეხბურთო კლუბის და სამოყვარულო ლიგის სტაბილური დაფინანსება; საფეხბურთო განათლების ხელშემწყობი პროგრამების 100-მდე ბენეფიციარი; 30 მასობრივი ღონისძიება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საქართველოში ფეხბურთის განვითარების (2016-2021 წწ.) სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად ყოველწლიურად 80 საფეხბურთო კლუბის და სამოყვარულო ლიგის სტაბილური დაფინანსება;

	საფეხბურთო განათლების ხელშემწყობი პროგრამების 130-მდე ბენეფიციარი; 30 მასობრივი ღონისძიება

კულტურის განვითარების ხელშეწყობა (32 09)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა დასპორტის სამინისტრო; სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ-ები; იურიდიული პირები, საინიციატივო ჯგუფები, ფიზიკური პირები
აღწერა და მიზანი	სახელოვნებო დარგების განვითარების, სახელოვნებო ტრადიციების შენარჩუნებისა და ხელოვნებაში უახლესი ტექნოლოგიების, შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების, ინოვაციური პროექტების მხარდაჭერა; ქვეყანაში კულტურული ცხოვრების გააქტიურება, ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში ეთნიკურ უმცირესობათა და შშმ პირთა ჩართულობის მხარდაჭერა; პროექტ „Check in Georgia“-ს ფარგლებში ქვეყნის მასშტაბით ტურისტულად მნიშვნელოვანი კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და მხარდაჭერა; ევროპასთან, სხვა პარტნიორ ქვეყნებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ფონდებთან ურთიერთანამშრომლობით კულტურული პროგრამების განხორციელება და კულტურათაშორისი დიალოგის გაღრმავება, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ; კულტურის ხელშეწყობის მიზნით გრანტების გაცემა კონკურსის წესით ღია, გამჭვირვალე და თავისუფალი კონკურენციის პრინციპების შესაბამისად; ქართული კულტურისა და ხელოვნების ცნობადობის ამაღლება და საერთაშორისო სახელოვნებო სივრცეში ინტეგრირება; უცხოეთის ქვეყნებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან კულტურული ურთიერთობების გაღრმავება, „კულტურის სტრატეგია - 2025“-ის შესაბამისად კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების, ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა; სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ სახელოვნებო ორგანიზაციების პროგრამების მხარდაჭერა; ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავი, თანაბარი ხელმისაწვდომობისა და ჩართულობის უზრუნველყოფა; საქართველოს ცენტრსა და რეგიონებში კულტურული პროგრამების, პროექტების მხარდაჭერით ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში წვლილის შეტანა, ადგილობრივი კულტურული მარშრუტების განვითარება, ახალი

	თემატური კულტურული მარშრუტების ინიცირება და „ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტები“-ს პროგრამაში ინტეგრაციის ხელშეწყობა
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ქვეყანაში გააქტიურებულია კულტურული ცხოვრება, წარმოჩენილია ხელოვნებაში ახალი სახეები, სახელოვნებო ორგანიზაციების რეპერტუარი მრავალფეროვნია; საერთაშორისო სივრცეში საქართველოს კულტურისა და ხელოვნების ცნობადობა მაღალია, ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში საერთაშორისო კულტურული ურთიერთობები განვითარებულია; რეგიონების სახელოვნებო ინსტიტუციების, კოლექტივების ქვეყნის ერთიან კულტურულ სივრცეში ჩართულობა მაღალია; საქართველოს კულტურული მარშრუტების სერტიფიცირებულია ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტების პროგრამის მიერ, ადგილობრივი კულტურული მარშრუტები განვითარებაულია, შემოქმედებითი მეწარმეობის შესაძლებლობები მაღალია
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2018 წელს აქტივობების რაოდენობამ შეადგინა - 7 690; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - წელიწადში აქტივობების რაოდენობა - 9 100; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 3%; **შესაძლო რისკები** - ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობა, შესყიდვების პროცედურის უარყოფითი შედეგით დასრულება, ვალუტის კურსთაშორის სხვაობა

მაუწყებლობის ხელშეწყობა (42 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საზოგადოებრივი მაუწყებელი; სსიპ - საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო;
აღწერა და მიზანი	საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით გადაცემების, მათ შორის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების, ფილმებისა და სპორტული ღონისძიებების მომზადება და მათი გაშუქების უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	უწყვეტი ეთერის უზრუნველყოფა, საზოგადოებისათვის ხარისხიანი საინფორმაციო და ტელეგადაცემების მიწოდება.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა (32 10)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა დასპორტის სამინისტრო; საქართველოს მუზეუმები; სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

აღწერა და მიზანი	„კულტურის სტრატეგია - 2025“ დოკუმენტისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის ფარგლებში განორციელებული ღონისძიებები; კულტურული მემკვიდრეობის ორგანიზაციების (სსიპ) სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, სამუზეუმო ფასეულობათა დაცვისთვის პრევენციული ზომების გატარება, მუზეუმების/მუზეუმ-ნაკრძალების პოპულარიზაცია, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მართვის სისტემის ჩამოყალიბება, საერთაშორისო კონვენციებით აღებული ვალდებულებების შესრულება, ეროვნულ უმცირესობათა კულტურის წარმოჩენა, უნარშეზღუდულ პირთა ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში ინტეგრირება; საქართველოს არქიტექტურული კომპლექსების კულტურული მემკვიდრეობის ცალკეული ნიმუშების დაცვა და საერთაშორისო და ორმხრივი ურთიერთობების წარმართვა-განვითარება კულტურული მემკვიდრეობის სფეროში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის, გამოცდილების გაზიარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით; UNESCO-ს ვალდებულებების შესრულება; მენეჯმენტის გეგმის მომზადება მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისათვის; არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების/ძეგლების ინვენტარიზაცია, დაცვისა და სისტემატიზაციის მექანიზმების შემუშავება. UNESCO-ს „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის“ კონვენციასთან კანონმდებლობის ჰარმონიზაციისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ერთიანი საინფორმაციო სისტემის/სივრცის შექმნის მიზნით, კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა ერთიანი ბაზის შევსება; კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე უნებართვო სამუშაოების აღკვეთა, კულტურული ტურიზმის განვითარებისა და მისთვის მიმზიდველი გარემოს შექმნისათვის ხელშეწყობა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	დანერგილია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მართვის სისტემა მუზეუმებსა და მუზეუმ-ნაკრძალებში; ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და პოპულარიზაციის მიზნით გატარებულია შესაბამისი ღონისძიებები; კონსერვირებული და რესტავრირებულია სამუზეუმო ფასეულობა; გაზრდილია ვიზიტორთა რაოდენობა; „კულტურის სტრატეგია - 2025“ დოკუმენტის ფარგლებში შემუშავებული და განხორციელებულია სამოქმედო გეგმები, ეროვნულ უმცირესობათა კულტურის წარმოჩენის, აგრეთვე, უნარშეზღუდულ პირთა ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში ინტეგრირებისთვის გატარებული ღონისძიებები, კულტურული მემკვიდრეობის რესტავრირებული

	ძეგლები/კომპლექსები, ისტორიულ-კულტურული ღირებულების მქონე მასშტაბური ძეგლები; საერთაშორისო ექსპერტების მიერ შეფასებულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, განხორციელებულია კულტურული მემკვიდრეობის სფეროში საერთაშორისო ვალდებულებებით აღებული ღონისძიებები; კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების/ობიექტების შესახებ სისტემატიზირებულ საინფორმაციო სივრცეში ასახულია მონაცემები; გამოვლენილი და აღკვეთილია უნებართვო სამუშაოები კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე; კულტურული ტურიზმისათვის შექმნილია მიმზიდველი გარემო
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - რესტავრირებული და კონსერვირებული ყოველწლიურად 307-მდე ექსპონატი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - რესტავრირებული და კონსერვირებული ყოველწლიურად 300-ზე მეტი ექსპონატი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - ნივთის დაზიანების ხარისხი **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - კულტურული მემკვიდრეობის 50-მდენიმუშზე: მომზადებულია სარეაბილიტაციო პროექტი, რესტავრირებულია ძეგლი, განხორციელებულია ობიექტების არქეოლოგიური შესწავლა-კონსერვაცია, როგორც ქვეყნისშიგნით, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - კულტურული მემკვიდრეობის 70-მდე ნიმუშზე: მომზადებულია სარეაბილიტაციო პროექტი, რესტავრირებულია ძეგლი, განხორციელებულია ობიექტების არქეოლოგიური შესწავლა-კონსერვაცია, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 7% (გადაუდებელი სამუშაოები, სარეაბილიტაციო, არქეოლოგიური სამუშაოების პროცესში გამოვლენილი ახალი გარემოებები, სავარაუდო; **შესაძლო რისკები** - კლიმატური პირობები, ძეგლების მდგომარეობის გაუარესება წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზებით (სტიქია, ვანდალიზმი და სხვა) **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - მუზეუმებში ვიზიტორთა რაოდენობა - ყოველწლიურად 1 550 000 -მდე; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მუზეუმებში ვიზიტორთა რაოდენობა - ყოველწლიურად 1 800 000-მდე; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - მუზეუმების საქმიანობაში საზოგადოების ჩართულობის დაბალი მაჩვენებელი, შესაბამისი ინფრასტრუქტურის არქონა

კულტურისა და სპორტის მოღვაწეთა სოციალური დაცვისა და ხელშეწყობის ღონისძიებები (32 12)

პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
აღწერა და მიზანი	საქართველოში მცხოვრები ოლიმპიური ჩემპიონებისთვის, საქართველოს ეროვნული, ოლიმპიური და ასაკობრივი ნაკრებების წევრებისთვის, მწვრთნელებისთვის, ადმინისტრაციული და საექიმო პერსონალისთვის და პერსპექტიული სპორტსმენებისთვის ყოველთვიური სტიპენდიის გაცემა. ვეტერანი სპორტსმენებისა და სპორტის მუშაკებისთვის ყოველთვიური სოციალური დახმარებების გაცემა; მაღალმთიან დასახლებებში სპორტის სფეროში დასაქმებული მწვრთნელებისთვის ყოველთვიური ფინანსური დახმარების გაცემა; სახალხო არტისტების, სახალხო მხატვრების, რუსთაველის პრემიის ლაურეატების და ხელოვნების მუშაკთა სოციალური დაცვა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ფინანსურად უზრუნველყოფილია ოლიმპიური ჩემპიონები, მაღალი სპორტული შედეგების მიღწევით დაინტერესებულია ეროვნული, ოლიმპიური და ასაკობრივი ნაკრებების წევრები; სოციალურად უზრუნველყოფილია ვეტერანი სპორტსმენები და სპორტის მუშაკები, მაღალმთიან დასახლებებში სპორტის სფეროში დასაქმებული მწვრთნელები; სოციალურად დაცულია სახალხო არტისტები, სახალხო მხატვრები, რუსთაველის პრემიის ლაურეატები და ხელოვნების მუშაკები
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - სახელმწიფო სტიპენდიას იღებს 912 ბენეფიციარი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სახელმწიფო სტიპენდიას იღებს ყოველწლიურად 930 ბენეფიციარი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 3%; **შესაძლო რისკები** - სპორტსმენთა შედეგების კლება; პირთა რაოდენობის შემცირება გარდაცვალების გამო 2. **საბაზისო მაჩვენებელი** - სახელმწიფო დახმარებას იღებს 757 ბენეფიციარი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სახელმწიფო დახმარებას იღებს ყოველწლიურად 865 ბენეფიციარი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 3%; **შესაძლო რისკები** - მოსახლეობის მიგრაცია მაღალმთიანი დასახლებებიდან; ბენეფიციართა რაოდენობის შემცირება გარდაცვალების გამო

სასულიერო განათლების ხელშეწყობის გრანტი (45 01)

აღწერა და მიზანი	ახალგაზრდების ქრისტიანული ღირებულებებით აღზრდისათვის საქართველოს სხვადასხვა რეგიონში (მათ შორის,

	მაღალმთიან რეგიონებში) საქართველოს საპატრიარქოს 70-ზე მეტი საგანმანათლებლო-კულტურული და საქველმოქმედო ორგანიზაციის (სასულიერო აკადემიები და სემინარიები, უნივერსიტეტი, სკოლა-გიმნაზიები, დედათა და ბავშვთა სახლები, ობოლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონები, სმენადაქვეითებულ ბავშვთა რეაბილიტაციისა და ადაპტაციის ცენტრი, პროფესიული კოლეჯი და სახელობო სასწავლებლები) დაფინანსება.

სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო (50 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო
აღწერა და მიზანი	საქართველოში რელიგიის სფეროში არსებული მდგომარეობის კვლევა და შესაბამისი ინფორმაციის საქართველოს მთავრობისათვის წარდგენა; რელიგიური გაერთიანებების პრობლემებისა და რელიგიის სფეროში განათლების შესახებ რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავება; საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის საბჭოთა, ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურების უზრუნველყოფა.

სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტო (54 00)	
აღწერა და მიზანი	ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა, სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფო ახალგაზრდულ სტრუქტურებთან თანამშრომლობა, ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა და წახალისება, არაფორმალური განათლების ხელშეწყობით ახალგაზრდებში სხვადასხვა უნარებისა და კომპეტენციების განვითარება, თავისუფალი დროის შინაარსიანად და ეფექტურად ხარჯვის ორგანიზება, საქართველოს ახალგაზრდობის ინტელექტუალური, სულიერი და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენა, ფორმირება და სრულყოფა; ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების მხარდაჭერა, ახალგაზრდული მუშაკების გადამზადება და სერტიფიცირება, ახალგაზრდებში მოხალისეობრივი უნარ-ჩვევების განვითარება და კულტურის პოპულარიზება; ბავშვთა და ახალგაზრდობის გონებრივ, ფიზიკურ, ზნეობრივ, ესთეტიკურ და სოციალურ-ემოციურ განვითარებაზე, ასევე ეთნიკური/ეროვნული უმცირესობებისა და სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის მოზარდებსა და ახალგაზრდებზე ზრუნვა;

	მოზარდთა ინტერესების შესაბამისად პროფილური წრეების, ცენტრების, კლუბების და სტუდიების შექმნის ხელშეწყობა, ბავშვებისა და ახალგაზრდების შემეცნებით/შემოქმედებითი და დასვენება/გაჯანსაღების ფართომასშტაბიანი პროგრამების განხორციელება; ქართველი და უცხოელი ახალგაზრდების აქტიური დასვენებით უზრუნველყოფა; ბანაკების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.

კოდი	დასახელება	2020 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი
28 01	საგარეო პოლიტიკის განხორციელება	158,850.0	158,150.0	700.0	163,860.0	168,880.0	173,920.0
	სულ	**158,850.0**	**158,150.0**	**700.0**	**163,860.0**	**168,880.0**	**173,920.0**

საგარეო პოლიტიკის განხორციელება (28 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
აღწერა და მიზანი	საქართველოს სუვერენიტეტის განმტკიცება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ხელშეწყობა; საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართულობით კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პოლიტიკის განხორციელება; ევროკავშირში სრულფასოვანი ინტეგრაციის მიზნით ევროკავშირთან თანამშრომლობის ყველა არსებული მექანიზმის გამოყენება; ნატო-ს ინტეგრაციული მექანიზმების (ნატო-საქართველოს კომისია, წლიური ეროვნული პროგრამა და ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი) ეფექტური გამოყენება ნატო-ში გაწევრიანების საბოლოო მიზნის მისაღწევად; ქვეყნის ინტერესების გატარების მიზნით ორმხრივი თანამშრომლობის ინტენსიფიკაცია აშშ, ევროპის, აზიისა და ოკეანეთის, ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის, ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებთან; რეგიონული სტაბილურობის ხელშეწყობა და დაბალანსებული რეგიონული პოლიტიკის გატარება; მრავალმხრივ ფორმატებში თანამშრომლობის ინტენსიფიკაცია, საერთაშორისო ორგანიზაციებში აქტიური ჩართულობა და ქვეყნის ეროვნული ინტერესების შესაბამისი პოლიტიკის გატარება/პოზიციონირება; აქტიური ეკონომიკური დიპლომატიის განხორციელება; საზღვარგარეთ საქართველოს პოზიტიური იმიჯის პოპულარიზაციის ხელშეწყობა, ქართული კულტურისა და

	ინტელექტუალური პოტენციალის წარმოჩენის ხელშეწყობა; დიასპორის ერთიანობის, სიძლიერისა და სამშობლოსთან მჭიდრო კავშირის განვითარების უზრუნველყოფა. საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეთა ეფექტური მომსახურება და კრიზისულ სიტუაციებში შესაბამისი დახმარების გაწევა, მათი კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის კუთხით მუშაობის გაუმჯობესება;

საგარეო პოლიტიკის დაგეგმვა და მართვა (28 01 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს საგარეოს საქმეთა სამინისტრო
აღწერა და მიზანი	ორმხრივ, ასევე მრავალმხრივ ფორმატში, რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების აუცილებლობის საკითხის გააქტიურება; ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში კონსტრუქციული მონაწილეობა დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე, მათ შორის ძალის არ გამოყენების, ოკუპირებულ ტერიტორიებზე უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების შექმნის, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების თემებზე, წინსვლის მიზნით; საერთაშორისო საზოგადოების ძალისხმევის მობილიზება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციის, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნებისა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით. რუსეთ-საქართველოს კონფლიქტთან, რუსეთის მიერ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესრულების აუცილებლობასთან, ანექსიისკენ გადადგმულ ნაბიჯებთან, ადგილზე არსებულ უსაფრთხოების, ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარულ მდგომარეობასთან დაკავშირებით საერთაშორისო თანამეგობრობის მუდმივი ინფორმირება; საკითხების განხილვა შესაბამის ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში და სხვადასხვა ორმხრივ თუ მრავალ მხრივ ფორმატში პოლიტიკური თუ სამართლებრივი ხასიათის გადაწყვეტილებების, რეზოლუციების, დეკლარაციების, ანგარიშებისა თუ რეკომენდაციების მიღების ხელშეწყობა. ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიაში შემავალ პირებზე პარტნიორების მიერ შემზღუდავი ზომების დაწესებისთვის მხარდაჭერის მოპოვებაზე მუშაობა; არაღიარების პოლიტიკის მიმართულებით არსებული რისკების პრევენცია და ცალკეულ შემთხვევებზე რეაგირება; საოკუპაციო ხაზებით გაყოფილ საზოგადოებებს შორის შერიგებისა და ნდობის აღდგენის პროცესებში პარტნიორი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ეფექტიანი ჩართულობის უზრუნველყოფა; კონსულტაციების წარმართვა გაეროს დარჩენილ წევრ ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობების დასამყარებლად, არსებული საელჩოებიდან დიპლომატიური გადაფარვის გაგრძელება და გაფართოება;

საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის საგზაო რუკის (Roadmap2EU) განხორციელება; საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების და ასოცირების დღის წესრიგის ეფექტიანი განხორციელება; ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შემდგომი შესრულება და აღნიშნულ საკითხზე აქტიური თანამშრომლობა ევროკომისიასთან და ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან;

ევროკავშირის დახმარების პროგრამების ეფექტიანი დაგეგმვა და განხორციელება; ევროკავშირის პროგრამებში საქართველოს მონაწილეობის ეფექტიანობის გაზრდა და ახალ პროგრამებში ჩართვა; ევროკავშირის სპეციალიზირებულ სააგენტოებთან გაძლიერებული თანამშრომლობა; ,,აღმოსავლეთ პარტნიორობის'' მრავალმხრივი თანამშრომლობის ფორმატებში მაქსიმალური ჩართულობა;

საქართველო-ევროკავშირის პოლიტიკური დიალოგის ეფექტიანი წარმართვა და გაღრმავება, მათ შორის ფორმალური ინსტიტუციების სხდომების, უსაფრთხოების საკითხებზე სტრატეგიული დიალოგისა და სექტორული ინტეგრაციის საკითხებზე საქართველოს მთავრობისა და ევროკომისიის უმაღლესი დონის შეხვედრების გამართვა; ევროინტეგრაციის საკითხებზე ევროკავშირის ინსტიტუციებსა და წევრ ქვეყნებთან აქტიური თანამშრომლობა.

საქართველოს ინტეგრაციული მექანიზმების - ნატო-საქართველოს კომისიის, წლიური ეროვნული პროგრამის და ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ეფექტიანი გამოყენება ნატო-ში გაწევრიანებისთვის მოსამზადებლად; ნატო-საქართველოს კომისიის, როგორც ალიანსთან პოლიტიკური დიალოგისა და პრაქტიკული თანამშრომლობის მნიშვნელოვანი ფორმატის სრულყოფილად გამოყენება; წლიური ეროვნული პროგრამის შემუშავება და იმპლემენტაცია; ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის პაკეტით გათვალისწინებული პროექტების ეფექტიანი განხორციელების ხელშეწყობა;

ნატო-სთან შავი ზღვის უსაფრთხოების კუთხით არსებული თანამშრომლობის გაღრმავება და ბრიუსელის სამიტზე, ისევე როგორც ვაშინგტონში, საგარეო მინისტერიალის შედეგად შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხზე ამ კონტექსტში მიღებული გადაწყვეტილებების იმპლემენტაცია (თანამშრომლობის კონკრეტული ინიციატივების შემუშავების თაობაზე); შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების განმტკიცების კუთხით ნატოსთან თანამშრომლობის გაღრმავება; ნატო-საქართველოს დღის წესრიგით გათვალისწინებული პრაქტიკული თანამშრომლობის გაღრმავების ხელშეწყობა; ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში ნატო-ს წევრ ქვეყნებთან თანამშრომლობა საქართველოს ალიანსში გაწევრიანების მიმართ მათი მხარდაჭერის უზრუნველყოფის მიზნით; საქართველოს მიერ ნატო-ს სწავლებებში მონაწილეობის ხელშეწყობა, ალიანსის მაღალი დონის თანამდებობის პირების ვიზიტების ორგანიზება, ნატოსთან თანამშრომლობის პოზიტიური დინამიკის შენარჩუნება და გაზრდა.

ნატო-ში ინტეგრაციის სახელმწიფო კომისიის ფორმატის გამოყენება, ეროვნულ დონეზე ნატო-ში გაწევრიანების პროცესის კოორდინირებულად წარმართვის მიზნით.

	შეერთებულ შტატებთან მაღალი და უმაღლესი დონის პოლიტიკური დიალოგის გაფართოვება; აშშ-სთან ურთიერთობების გაღრმავება საქართველო-აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის კომისიით გათვალისწინებული ოთხი სამუშაო ჯგუფისა (თავდაცვისა და უსაფრთხოების; ეკონომიკის, ენერგეტიკისა და ვაჭრობის; დემოკრატიისა და მმართველობის; ხალხთაშორისი ურთიერთობებისა და კულტურული გაცვლების) და ყოველწლიური შემაჯამებელი/ომნიბუს შეხვედრის ფარგლებში. აშშ-ის როლის გაზრდა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის განმტკიცების, ოკუპირებული რეგიონების არაღიარების, დეოკუპაციის, ქვეყნის ევროატლანტიკური მისწრაფებების და ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიული და ეკონომიკური რეფორმების მხარდაჭერის საქმეში; ორ ქვეყანას შორის მრავალმხრივ ფორმატებში არსებული ტრადიციული წარმატებული თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცება; აშშ-ის კონგრესში არსებული საქართველოს ძლიერი ორპარტიული მხარდაჭერის შენარჩუნება და გაზრდა, მათ შორის საქართველოს თაობაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების, საკანონმდებლო აქტების, რეზოლუციების, განცხადებების მიღების გზით. თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავება, ასევე, ორმხრივი სამართლებრივი ჩარჩოს განვრცობა; ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების მიზნით, მუშაობის გაგრძელება აშშ-ის სავაჭრო წარმომადგენლის ოფისთან, აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებასთან, ორმხრივი სავაჭრო და საინვესტიციო ურთიერთობების გაღრმავების, მათ შორის, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმების შესაძლებლობების განხილვის კუთხით; მცირე და საშუალო ზომის, ასევე, მსხვილი ამერიკული კომპანიების დაინტერესება საქართველოს ბაზრითა და მზარდი შესაძლებლობებით. აშშ-ის პოლიტიკურ დღის წესრიგში საქართველოს საკითხის აქტუალურობის შენარჩუნებისა და აშშ-ის საზოგადოებაში ქვეყნის შესახებ ცნობადობის ამაღლების მიზნით, აშშ-ის წამყვან აკადემიურ და ბიზნეს-წრეებთან, არასამთავრობო და კვლევით ორგანიზაციებთან, მედიასთან, საქართველოს მხარდამჭერ ჯგუფებთან, აშშ-ში ქართულ დიასპორასა და ახალგაზრდულ გაერთიანებებთან აქტიური თანამშრომლობა. ევროპის ქვეყნებთან როგორც ორმხრივი, ისე მრავალმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარება და ახალ საფეხურზე აყვანა; ევროპის ქვეყნებთან არსებული ურთიერთობების გაღრმავების ხელშეწყობა პოლიტიკურ, სავაჭრო-ეკონომიკურ, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სფეროებში; უმაღლესი და მაღალი დონის ვიზიტების განხორციელება; სტრატეგიული თანამშრომლობის არსებული ფორმატების ეფექტური გამოყენება და ფართო სპექტრის თანამშრომლობის მქონე ქვეყნებთან დიალოგის ახალი პლატფორმების ჩამოყალიბების ხელშეწყობა; ორმხრივი პოლიტიკური კონსულტაციების რეგულარულად წარმოება; ევროპის სკეპტიკოსი ქვეყნების მხარდაჭერის მოპოვება საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციასთან დაკავშირებით. რეგიონალური სტაბილურობის ხელშეწყობის, ასევე რეგიონის მიმზიდველობის გაზრდის მიზნით ქმედითი და დაბალანსებული რეგიონული პოლიტიკის გაგრძელება, რომელიც მოიცავს პარტნიორული ურთიერთობების

გაძლიერებას და ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნას; სტრატეგიული და კეთილმეზობლური ურთიერთობების გაღღმავება თურქეთთან და აზერბაიჯანთან, რის პარალელურად შენარჩუნებულ იქნება მეგობრული ურთიერთობები სომხეთთან, პირველ რიგში სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებში; ნაბიჯების გადადგმა არსებულ ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატების განვითარებისკენ, მათ შორის გარე მოთამაშეების ჩართულობით; უმაღლესი და მაღალი დონის ვიზიტების განხორციელება, რეგიონული და საერთაშორისო ეკონომიკურ პროექტებში რეგიონის ქვეყნების ჩართულობის უზრუნველყოფას; საქართველო-აზერბაიჯანის და საქართველო - სომხეთის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციის საკითხზე აქტიური მოლაპარაკებების გაგრძელება;

რუსეთის ფედერაციასთან, რაციონალური და დეესკალაციის პოლიტიკის ფარგლებში, სავაჭრო-ეკონომიკური, კულტურული და ხალხთაშორისი კონტაქტების ხელშეწყობა; რუსეთის ფედერაციიდან მომდინარე საფრთხეებზე დროული რეაგირება და შესაძლებლობების ფარგლებში პრევენცია.

აზიისა და ოკეანეთის ქვეყნებთან აქტიური თანამშრომლობა ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში. ტრადიციულ პარტნიორებთან არსებული ურთიერთობების განმტკიცება, სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებისა და გაფართოების ხელშეწყობა; თანამშრომლობის განვითარება და წახალისება აზიის და ოკეანეთის იმ ქვეყნებთან, რომლებთანაც საქართველოს შედარებით დაბალი ინტენსივობის ურთიერთობა გააჩნია; მაღალი და უმაღლესი დონის ვიზიტების სიხშირის ზრდა; თანამშრომლობა სატრანსპორტო და სატრანზიტო პროექტებში; არსებული რეგიონული მნიშვნელობის პროექტების მაქსიმალური გამოყენების ხელშეწყობა; საქართველოს შესახებ ცნობადობის ამაღლება, წარმატებული რეფორმების გაზიარება და პოპულარიზაცია და შედეგზე ორიენტირებული სამომავლო თანამშრომლობის კონკრეტული მიმართულებების დაგეგმვა;

ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარება, როგორც ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის კონტინენტის სახელმწიფოებთან, ასევე რეგიონულ ორგანიზაციებთან, მათ შორის აფრიკის კავშირთან, ყურის თანამშრომლობის საბჭოსთან და არაბული სახელმწიფოების ლიგასთან; არსებული ურთიერთობების გაღრმავება პოლიტიკურ, სავაჭრო-ეკონომიკურ, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და ჰუმანიტარულ სფეროებში; უმაღლესი და მაღალი დონის ვიზიტების განხორციელება; საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის ორმხრივი პოლიტიკური კონსულტაციების რეგულარულად ჩატარება; ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის ქვეყნებში საქართველოს შესახებ ცნობადობის ამაღლება; საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის ქვეყნებიდან ასევე მუშაობის გაგრძელება არაღიარების პოლიტიკის მიმართულებით; მუშაობის გაგრძელება საერთაშორისო ფორმატებში საქართველოსათვის მნიშნელოვან საკითხებზე მხარდაჭერის მოსაპოვებლად, საერთაშორისო ორგანიზაციებში კანდიდატთა ურთიერთმხარდაჭერის ზრდის, საერთაშორისო ფორმატებში საქართველოს მიერ ინიცირებულ საკითხებზე რეგიონის ქვეყნების მხარდაჭერის მოპოვების მიზნით; ყურადღების დათმობა რეგიონის ქვეყნებიდან საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და ვიზიტორთა ზრდის მიმართულებით.

ორმხრივ, რეგიონულ და მრავალმხრივ ფორმატებში ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის რეგიონის

ქვეყნებთან ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის წარმართვა. რეგიონის ქვეყნების მხრიდან საქართველოს მიმართ პოლიტიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა; არაღიარების პოლიტიკის წარმოება; ამერიკულ სახელმწიფოთა ორგანიზაციასა (OAS) და სხვა რეგიონულ ორგანიზაციებთან - კარიბეთის ქვეყნების გაერთიანებასა (CARICOM) და წყნარი ოკეანეთის ალიანსთან (Pacific Alliance), ცენტრალური ამერიკის ინტეგრაციის სისტემასთან (SICA) თანამშრომლობის გააქტიურება და არსებული ფორმატების ეფექტიანი გამოყენება; საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ ობიექტური ინფორმაციის მიწოდება, მათ შორის უწყებათაშორისი თანამშრომლობისა და კულტურული და საგანმანათლებლო გაცვლების მეშვეობით; საქართველოს ბიზნეს გარემოს წარმოჩენის ხელშეწყობა ბიზნეს-ფორუმების და სავაჭრო მისიების ორგანიზების საშუალებით, ტურისტული გაცვლების ხელშეწყობა, მათ შორის რეგიონის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლის შესახებ შეთანხმებების გაფორმებისა და ქვეყნის მიმზიდველ დანიშნულებად წარმოჩენის გზით.

საერთაშორისო ორგანიზაციების - გაერო-ს, ევროპის საბჭოს, ეუთო-ს დღის წესრიგში საქართველოსთვის მნიშვნელოვანი საკითხების შენარჩუნება; აქტიური თანამშრომლობა აღნიშნული ორგანიზაციების ფარგლებში, მათ შორის სხვადასხვა კომიტეტის სხდომებში/სესიებში/დებატებში მონაწილეობის მიღება; გაერო-ს უშიშროების საბჭოს ღია დებატების ფორმატში, გენერალურ ასამბლეასა და ადამიანის უფლებათა საბჭოში საქართველოს აქტიური მონაწილეობა და აღნიშნული ფორუმების მაქსიმალურად გამოყენება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული პრობლემის წარმოსაჩენად; უმაღლესი და მაღალი დონის ვიზიტების განხორციელება/ორგანიზება;

საერთაშორისო ორგანიზაციების არჩევით სტრუქტურებში საქართველოს/საქართველოს წარმომადგენლობითობის გაზრდა;

2020 წლის მაისის ჩათვლით ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტში საქართველოს თავმჯდომარეობის განხორციელება და ამ მიზნით, კონკრეტული ღონისძიებების გატარება;

სხვადასხვა რეგიონულ ორგანიზაციებთან მუდმივი კავშირების და ურთიერთობების შენარჩუნება; ორმხრივი მაღალი და უმაღლესი დონის ვიზიტების გაცვლა; საქართველოში საერთაშორისო ორგანიზაციების ადამიანური რესურსების დეპარტამენტების წარმომადგენელთა ვიზიტების დაგეგმვა და ორგანიზება.

შეიარაღებაზე კონტროლის, განიარაღების, გაუვრცელებლობის, ნდობისა და უსაფრთხოების განმტკიცებასთან დაკავშირებული რეჟიმებით საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული და დროული შესრულების ხელშეწყობა/უზრუნველყოფა. პარტნიორ სახელმწიფოებთან და შესაბამის საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა; საერთაშორისო ფორუმებში აქტიური ჩართულობა;

თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში საქართველოს სრულფასოვანი ჩაბმა და ამ პროცესებში დიპლომატიური ურთიერთობების აქტიური გამოყენება; ენერგომომარაგების ალტერნატიული წყაროების განვითარების, ასევე ენერგორესურსების იმპორტის დივერსიფიცირების უზრუნველყოფის და ენერგომატარებლების

	სატრანზიტო ქვეყნის სტატუსის განმტკიცების ხელშეწყობა; ერთობლივ რეგიონულ და რეგიონთაშორის სატრანსპორტო პროექტებზე მუშაობა; სამთავრობათაშორისო ეკონომიკური კომისიების გამართვის ხელშეწყობა; საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირების და ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა, მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და ინოვაციური ტექნოლოგიების მოზიდვის ხელშეწყობა ქვეყანაში; ტურიზმის, მათ შორის კონვენციური ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და სტიმულირება. ქართული სტარტაპების და ინოვაციური სექტორის ხელშეწყობა, საქართველოს რეგიონებსა და უცხო ქვეყნის რეგიონებს შორის თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობა, შესაძლებლობების ფარგლებში უცხოეთში ქართული ბიზნესის ინტერესების დაცვა და ქართული პროდუქციის ფალსიფიკაციისგან დაცვის ხელშეწყობა. პროფესიული განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობა; საერთაშორისო საფინანსო და ეკონომიკურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა, გააქტიურება და ახალი შესაძლებლობების გამოვლენა; საერთაშორისო ორგანიზაციებში ყოველწლიურად არსებული ფინანსური ვალდებულებების მონიტორინგი და შესრულება. კულტურული დიპლომატიის აქტიური გამოყენება საგარეო ურთიერთობებში; საქართველოს, როგორც სტაბილური, უსაფრთხო, ევროპული კულტურული იდენტობის მქონე, დემოკრატიული და წარმატებული ქვეყნის წარმოჩენა; საქართველოში გატარებული რეფორმებისა და მიღწევების საზღვარგარეთ აქტიური პოპულარიზაცია და ამ მხრივ საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნებისთვის შესაბამისი გამოცდილების გაზიარება ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში; საზღვარგარეთ ქართული კულტურისა და ინტელექტუალური პოტენციალის წარმოჩენის ხელშეწყობა; აქტიური თანამშრომლობა გაერთიანებული ერების განათლების, კულტურის და მეცნიერების ორგანიზაციასთან (UNESCO) და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან; საქართველოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია და ახალი ძეგლების ნომინირების პროცესის ხელშეწყობა; საქართველოს შესახებ საზღვარგარეთ ცნობადობის ამაღლების მიზნით, ასევე, ქვეყნის მოსახლეობის მხრიდან საგარეო კურსის მიმართ მაღალი და გაცნობიერებული მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად თემატური საინფორმაციო კამპანიების განხორციელება, მათ შორის, ქვეყნის დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარების, ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესში მიღწეული პროგრესის, ასევე, ამ კუთხით ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევების თაობაზე. აქტიური თანამშრომლობა მედია საშუალებებთან, ჟურნალისტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სამეცნიერო, აკადემიურ და ანალიტიკურ ცენტრებთან; განსაკუთრებული ყურადღება საინფორმაციო გარემოს

	აქტიურ მონიტორინგსა და ანალიზზე, შესაძლო დეზინფორმაციის ფაქტების გამოვლენასა და შესაბამისი საპასუხო ღონისძიებების დაგეგმვაზე როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ. საკონსულო საქმიანობის განხორციელების სამოქმედო არეალის გაფართოება, საქართველოს ახალი საკონსულო დაწესებულებების გახსნის გზით; საპატიო კონსულის ქსელის გაფართოება; სათანადო სტანდარტების შესაბამისად საკონსულოების აღჭურვის საკითხების მიმართულებით მუშაობის გაგრძელება. კვალიფიციური საკონსულო მომსახურების და ოპერატიული საკონსულო დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ახალი მექანიზმების დანერგვა და არსებულის განვითარება; საქართველოს მოქალაქეებისა და იურიდიული პირების უფლებების უკეთ რეალიზების სამართლებრივი ბაზის შექმნის მიზნით, უცხო ქვეყნებთან საკონსულო ურთიერთობების გაღრმავება; საქართველოს მოქალაქეებისთვის თავისუფალი გადაადგილების არეალის გაფართოება; საკონსულო თანამდებობის პირთა კვალიფიკაციის ამაღლება.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ჟენევის მოლაპარაკებების პროცესში დღის წესრიგითა და მანდატით გათვალისწინებულ მთავარ საკითხებზე პროგრესის მიღწევა, ადგილზე უსაფრთხოების, ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებების მდგომარეობის გაუმჯობესება და რუსეთის მიერ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების სრულად შესრულების საკითხის საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღების ცენტრში გააქტიურება; საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერის შედეგად, საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებსა და საოკუპაციო ხაზის გასწვრივ რუსეთის უკანონო ქმედებების აღკვეთა; საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვადასხვა ქვეყნის აღმასრულებელი თუ საკანონმდებლო ორგანოების მიერ საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერი რეზოლუციების/სხვა დოკუმენტების მიღება; ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიაში შემავალ პირებზე პარტნიორების მიერ შემზღუდავი ზომების დაწესებაზე პარტნიორების მხარდაჭერა; ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მანდატის გაგრძელება და შემდგომი გაძლიერება; საქართველოს ოკუპირებული რეგიონების ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარების რისკებისა და საფრთხეების განეიტრალება; საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართულობის გაზრდა შერიგების, ნდობის აღდგენისა და ჩართულობის პროცესებში; საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის საგზაო რუკით (Roadmap2EU) გათვალისწინებული ღონისძიებების ეფექტიანი განხორციელება; ასოცირების შეთანხმებითა და ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებული ვალდებულებების ეფექტიანი შესრულება, მათ შორის ევროკავშირთან საკანონმდებლო დაახლოების გზით; ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის შეუფერხებლად ფუნქციონირება;

ევროკავშირის დახმარების პროგრამების ეფექტიანი განხორციელება; ევროკავშირის პროგრამებში საქართველოს ეფექტიანი მონაწილეობა და სპეციალიზირებულ სააგენტოებთან თანამშრომლობის გაღრმავება; „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში საქართველოს აქტიური მონაწილეობა;

საქართველო-ევროკავშირს შორის პოლიტიკური დიალოგის, მათ შორის ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრული ინსტიტუციური ჩარჩოს ფარგლებში, სხდომების გამართვა; განხორციელებული მაღალი დონის ვიზიტები საქართველოსა და ევროკავშირში.

ნატო-საქართველოს კომისიის ფარგლებში ალიანსსა და საქართველოს შორის პოლიტიკური დიალოგის და პრაქტიკული თანამშრომლობის პოზიტიური დინამიკის შენარჩუნება და გაძლიერება, გაწევრიანების პროცესში პროგრესის მიღწევის მიზნით; გამართული კონსულტაციების შედეგად ალიანსში შესაბამისი პოლიტიკური გადაწყვეტილების მომწიფების ხელშეწყობა;

ნატო-საქართველოს კომისიის საქმიანობაში პოზიტიური დინამიკის შენარჩუნება და გაძლიერება; წლიური ეროვნული პროგრამის წარმატებით განხორციელება, ალიანსის მხრიდან წლიური ეროვნული პროგრამის განხორციელების პოზიტიური შეფასების მიღება და ნატოში გაწევრიანების პროცესის ხელშეწყობა; “ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტით გათვალისწინებული ღონისძიებების სისრულეში მოყვანა/წარმატებული განხორციელება და მისი ელემენტების ეფექტიანი გამოყენება; ნატო-ს ეგიდით მიმდინარე ოპერაციებში მონაწილეობის შედეგად საქართველოს თავდაცვითი შესაძლებლობებისა და მდგრადობის გაძლიერება და ნატო-სთან თავსებადობის ამაღლება;

ალიანსთან შავი ზღვის უსაფრთხოების განმტკიცების კუთხით თანამშრომლობის გაღრმავება; ორმხრივი და მრავალმხრივი კონსულტაციების შედეგად ალიანსის წევრ ქვეყნებში საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების საკითხზე მოკავშირეების მხრიდან საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე პოზიტიური გადაწყვეტილებების მომწიფების ხელშეწყობა.

აშშ–სთან სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ფარგლებში მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების განხორციელების კოორდინაცია;
აშშ-სა და საქართველოს შორის სავაჭრო-საინვესტიციო ურთიერთობების გაღრმავება, შესაბამისი პოლიტიკური გადაწყვეტილების არსებობის შემთხვევაში მოლაპარაკებების დაწყება ორ ქვეყანას შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმების მიზნით; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და ოკუპირებული რეგიონების არაღიარების, ასევე, საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართ მხარდაჭერის, თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მიზნით, აშშ-ს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებთან, აგრეთვე, შეერთებული შტატების კვლევით ცენტრებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ასევე ბიზნეს და მედია წრეებთან მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად საქართველოს მხარდაჭერის გაზრდა;

აშშ-ის მიერ პარტნიორებისთვის განკუთვნილი საგარეო დახმარების ფორმატში საქართველოსთვის განკუთვნილი დახმარების შენარჩუნება და ზრდა; აშშ-ის მიერ საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, ევროატლანტიკური ინტეგრაციისა და დემოკრატიული რეფორმების მხარდამჭერი განცხადებების გაკეთება და რეზოლუციების მიღება. საქართველოსათვის მნიშვნელოვანი საკითხების პრიორიტეტულობის შენარჩუნება უმაღლესი დონის შეხვედრების და საერთაშორისო ფორუმების დღის წესრიგში.

ევროპული ქვეყნებთან ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავება პოლიტიკურ, სავაჭრო-ეკონომიკურ, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სფეროებში; ევროპული ქვეყნების მხრიდან საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის, ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და მისი პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების მტკიცე მხარდაჭერა.

რეგიონში ეკონომიკური ხასიათის თანამშრომლობის არსებული და ახალი ფორმატების განვითარება, რეგიონალური სტაბილურობის უზრუნველყოფისათვის ხელის შეწყობა; რეგიონში მსოფლიო მნიშვნელობის და რეგიონული ეკონომიკური პროექტების განხორციელების ხელშეწყობა; საქართველოაზერბაიჯანისა და საქართველო-სომხეთის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციის პროცესისთვის ახალი იმპულსის შეძენა და მისი დასრულების სტიმულირება; რუსეთის აგრესიული პოლიტიკის გამოწვევების ნეიტრალიზება.

საქართველოს თანამშრომლობის გაღრმავება აზიის და ოკეანეთის ქვეყნებთან; ხალხთა შორის კავშირების ხელშეწყობა, ინვესტიციების მოზიდვა; სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება; საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის გამოყენება; საქართველოს, როგორც მიმზიდველი საინვესტიციო მიმართულების იმიჯის განმტკიცება; ქვეყნის ზოგადი პოპულარიზაცია რეგიონში; პოლიტიკური თანამშრომლობის განვითარება; არაღიარების პოლიტიკის განმტკიცება; ASEAN-თან მჭიდრო ურთიერთობების ჩამოყალიბება.

ორმხრივი პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და ა.შ. თანამშრომლობის გაღრმავება საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონის/აფრიკის კონტინენტის ქვეყნებს შორის; საერთაშორისო ფორმატებში საქართველოსთვის მნიშვნელოვან საკითხებზე მხარდაჭერის მოპოვება/გაზრდა; საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს ცნობადობის ამაღლება.

ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის რეგიონში უმაღლესი და მაღალი დონის ვიზიტების გაცვლის გააქტიურება როგორც აღმასრულებელ, ისე საკანონმდებლო დონეზე; საქართველოში რეგიონის ქვეყნების დიპლომატიური გადაფარვის არეალის გაზრდა, ისევე როგორც საქართველოს დიპლომატიური დაფარვის არეალის გაზრდა ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის რეგიონში; იძულებით ადგილნაცვალ პირთა და ლტოლვილთა რეზოლუციის მხარდამჭერი ქვეყნების რაოდენობის ზრდა; რეგიონის წამყვანი ბიზნეს-წრეების, მედიის, არასამთავრობო სექტორისა თუ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების დაინტერესება საქართველოში მიმდინარე პროცესებით; რეგიონში საქართველოს შესახებ პოზიტიური იმიჯის განმტკიცება/ცნობადობის ამაღლება; ორმხრივი სამართლებრივი ბაზის განვრცობა. პოლიტიკური მხარდაჭერის შეუქცევადობის უზრუნველყოფა ქვეყნის

სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის განმტკიცების კუთხით, შესაბამისი ხელშემწყობი გარემოს არსებობის შემთხვევაში, პარტნიორების ჩართულობით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების აღიარების გამოთხოვა.

საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ საქართველოს მხარდამჭერი რეზოლუციების/სხვა დოკუმენტების, მათ შორის, გაეროს გენერალური ასამბლეის ყოველ სესიაზე რეზოლუციის „აფხაზეთიდან, საქართველო და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთი, საქართველო იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“, ხოლო ადამიანის უფლებათა საბჭოს ფარგლებში რეზოლუციის „თანამშრომლობა საქართველოსთან“ მიღება; გაერო-ს შესაბამის ორგანოებთან, პირველ რიგში ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისთან თანამშრომლობა საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის მონიტორინგის უზრუნველყოფის მიზნით; გაერო-ს წევრ-სახელმწიფოებთან კონსულტაციების ჩატარების შედეგად, საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წარმომადგენლობითობის გაზრდის კუთხით მუშაობა, როგორც არჩევით ასევე, დასანიშნ თანამდებობებზე; საერთაშორისო ორგანიზაციებში არჩეული საქართველოს კანდიდატურების შესაბამისი ორგანიზაციების მუშაობაში მონაწილეობა; მდგრადი განვითარების მიზნებზე, კერძოდ მე-16 მიზანზე საქართველოს ლიდერობის წარმოჩენა საერთაშორისო ასპარეზზე.

ევროპის საბჭოს მიერ საქართველოს მხარდამჭერი დოკუმენტების მიღება; ევროპის საბჭოს პოლიტიკურ დღის წესრიგში რუსეთ-საქართველოს კონფლიქტთან დაკავშირებული თემატიკის შენარჩუნება; ევროპის საბჭოს რეზოლუციებში და შესაბამის დოკუმენტებში საქართველოს შესახებ არსებული საკითხების ადეკვატური ასახვა; ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის კონსოლიდირებული ანგარიშების შენარჩუნება და კონსოლიდირებული ანგარიშის ფარგლებში ნდობის აღდგენის პროექტების შესრულების კუთხით მუშაობის გაგრძელება; 2019 წლის ნოემბრიდან 2020 წლის მაისის ჩათვლით ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარეობა და თავმჯდომარეობის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელება; 2020 წლის მაისში მინისტრთა კომიტეტში საქართველოს თავმჯდომარეობის ფარგლებში ევროპის საბჭოს მინისტერიალის ჩატარება; ევროპის საბჭოს მონიტორინგის მექანიზმების (CPT, ECRI, FCNM, GRECO, MONEYVAL, CEPEJ, GRETA) მიერ საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის მონიტორინგი და ადეკვატური ასახვა მათ მიერ მომზადებულ ანგარიშებში; ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის ვიზიტი საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში - აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში, რათა მონიტორინგი გაუწიოს კონფლიქტით დაზარალებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების მდგომარეობას; ევროპის საბჭოს იმ კონვენციების იმპლემენტაციის უზრუნველყოფა, რომლებზეც მიერთებულია საქართველო; ევროპის საბჭოს პროექტების განხორციელების შედეგად ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის მდგომარეობის გაუმჯობესება; ევროპის საბჭოს 2020-2023 წწ. სამოქმედო გეგმის ფარგლებში არსებული პროექტების განხორციელება; საქართველოსათვის მნიშვნელოვანი საკითხების პრიორიტეტულობის შენარჩუნება უმაღლესი დონის შეხვედრების და საერთაშორისო ფორუმების დღის წესრიგში.

ეუთო-ს ფორმალურ და არაფორმალურ ფორმატებში საქართველოს საკითხის სამუშაო დღის წესრიგში შენარჩუნება. ეუთო-ს როლის გაზრდა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების პროცესში. ეუთო-ს ჩართულობის გაზრდა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში, ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების

მექანიზმების მუშაობაში და ნდობის ამაღლების მექანიზმების (CBMs) იმპლემენტაციის პროცესში. აქტიური ჩართულობა ეუთო-ს სამივე განზომილების ფარგლებში, საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმებისა და დემოკრატიული პროცესების სათანადოდ წარმოჩენის მიზნით; საქართველოს დელეგაციის მაღალ დონეზე მონაწილეობის უზრუნველყოფა მინისტრთა საბჭოს ყოველწლიურ შეხვედრებსა და არაფორმალურ მინისტერიალებში, უსაფრთხოების საკითხების გადახედვის ეუთო-ს ყოველწლიურ კონფერენციასა (ASRC) და ადამიანის უფლებათა დაცვის განზომილების ფარგლებში ეუთო-ს წევრი ქვეყნების ვალდებულებათა შესრულების შემფასებელ ყოველწლიურ შეხვედრაში (HDIM); ასევე, HDIM-ის ფარგლებში პარალელური ღონისძიების მოწყობის უზრუნველყოფა სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე. UNESCO-ს გენერალური კონფერენციის პოლიტიკური დებატების ფარგლებში ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გაჟღერება და პოზიციის დაფიქსირება; UNESCO-ს საარჩევნო პლატფორმის გამოყენება საერთაშორისო ორგანიზაციებში (მათ შორის UNESCO-ში) საქართველოს მიერ წარდგენილი კანდიდატურების მხარდაჭერების მოპოვების მიზნით.

ფრანკოფონიის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIF) ინსტანციების ოფიციალურ დოკუმენტებში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხის ასახვა; ორგანიზაციაში საქართველოს სტატუსის ამაღლების თაობაზე (ასოცირებული წევრის სტატუსის მოპოვება) სახელმწიფოს პოზიციის ჩამოყალიბება და შესაბამისი პროცედურების გატარება.

შავი ზღვის, აზიისა და ახლო-აღმოსავლეთის რეგიონის ქვეყნებთან თანამშრომლობის გაძლიერება, ასევე საერთაშორისო გლობალურ სატრანსპორტო და ენერგეტიკულ სივრცეში საქართველოს მიერ სათანადო ადგილის დამკვიდრება; ქვეყნის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი რაოდენობის უცხოური ფინანსური კაპიტალის მოზიდვა; თანამედროვე ეკონომიკური ურთიერთობების მსოფლიო სისტემაში საქართველოს სრულფასოვანი ჩართვა; ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება და ქვეყნის მნიშვნელოვან ტურისტულ ცენტრად გადაქცევა; ადგილობრივი წარმოების და დასაქმების გაზრდა; ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება. პროფესიული განათლების თანამედროვე სისტემის ფორმირება. საერთაშორისო საფინანსო და ეკონომიკური ორგანიზაციებიდან მეტი პროექტების და ტექნიკური დახმარების მიღება, საქართველოში მეტი რეგიონული და საერთაშორისო ღონისძიებების გამართვა, დაგეგმილ ღონისძიებებში ქართული მხარის (სხვადასხვა უწყებები) ეფექტური მონაწილეობის ხელშეწყობა.

საზღვარგარეთ საქართველოს და მისი კულტურის შესახებ ცნობადობის ამაღლება; ორმხრივი კულტურული ურთიერთობების განვითარება; საერთაშორისო კულტურულ, საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროექტებში ჩართულობა; საზღვარგარეთ ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან მიმართებით სამუშაოების წარმართვა ქართული მხარის ჩართულობით; იუნესკოს პროექტებსა და პროგრამებში ჩართვა.

საქართველოს შესახებ საზღვარგარეთ ცნობადობის ამაღლება; საქართველოს მთავრობის მიერ ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის კუთხით გატარებული რეფორმების შესახებ პარტნიორების ინფორმირება/მხარდაჭერის გაძლიერება; საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების შესახებ ქვეყნის მოსახლეობის მხრიდან მაღალი მხარდაჭერის შენარჩუნება და გაზრდა; საქართველოს მოსახლეობაზე მზარდი

	ანტიდასავლური პროპაგანდის ზეგავლენის პრევენცია და შემცირება. საკონსულო მომსახურების ხარისხისა და მომსახურების გაუმჯობესება; საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების სწრაფად და ეფექტურად რეალიზება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატში რუსეთ-საქართველოს კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უსაფრთხოების, ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული პრობლემების განხილვა, 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესრულებასა და იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა დაბრუნებაზე მუშაობა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მოლაპარაკებების 4 რაუნდის ჩატარება და კონფლიქტიდან მომდინარე უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული გამოწვევების განხილვა **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში, ასევე ცალკეული სახელმწიფოების მიერ საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერი დოკუმენტების/გადაწყვეტილებების/რეზოლუციები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში, ასევე ცალკეული სახელმწიფოების მიერ საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერი დოკუმენტების/გადაწყვეტილებების/რეზოლუციების მიღება **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - საქართველოს მიერ ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესში მიღწეულ პროგრესთან დაკავშირებით ევროკავშირის შეფასებითი დოკუმენტები, დასკვნები, განცხადებები, გადაწყვეტილებები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საქართველოს მიერ ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესში მიღწეულ პროგრესთან დაკავშირებით ევროკავშირის მიერ მიღებული შეფასებითი დოკუმენტები, დასკვნები, გაკეთებული განცხადებები და გადაწყვეტილებები **4.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ნატო-ს მიერ საქართველოსთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ნატო-ს სამიტებზე, მინისტერიალებსა და ნატო- საქართველოს კომისიის სხდომებზე საქართველოსთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები. ნატო-სთან პრაქტიკული თანამშრომლობის გაღრმავება შავი ზღვის უსაფრთხოების განმტკიცების კუთხით **5.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ქართული ენის წარმოჩენა საზღვარგარეთ; საქართველოს პოპულარიზაციაზე მიმართული მასშტაბური ღონისძიებების ორგანიზება; საქართველოს პოპულარიზაციაზე მიმართული მცირებიუჯეტიანი პროექტების ორგანიზება, საქართველოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია და ახალი ძეგლების ნომინირების პროცესის ხელშეწყობა; ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საიუბილეო თარიღების აღნიშვნა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ქართული ანბანისა და დამწერლობის შესახებ გამოფენების გამართვა; ქართული სეზონის

	ჩატარება დიდ ბრიტანეთში;საერთაშორისო მასშტაბურ ღონისძიებებში საქართველოს საპატიო სტუმრის სტატუსით მონაწილეობა პოლიტიკურად პრიორიტეტულ ქვეყნებში მასშტაბური კულტურული ღონისძიებების გამართვა; მცირებიუჯეტიანი კულტურული ღონისძიებების გამართვა

საერთაშორისო ორგანიზაციებში არსებული ფინანსური ვალდებულებების უზრუნველყოფა (28 01 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
აღწერა და მიზანი	საერთაშორისო ორგანიზაციებში ყოველწლიურად არსებული ფინანსური ვალდებულებების შესრულების განხორციელება, მრავალმხრივი დიპლომატიის მიზნებისა და ამოცანების უზრუნველყოფის მიზნით; საერთაშორისო ორგანიზაციებში ყოველწლიურად არსებული ფინანსური ვალდებულებების შესრულება.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს უწყვეტი წევრობისა და ხმის უფლების უზრუნველყოფა
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს ფინანსური თუ სხვა ტიპის ვალდებულებების შესრულება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს ფინანსური თუ სხვა ტიპის ვალდებულებების შესრულება

საერთაშორისო ხელშეკრულებების და სხვა დოკუმენტების თარგმნა და დამოწმება (28 01 03)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა თარგმნის ბიურო
აღწერა და მიზანი	საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და სხვა ოფიციალური დოკუმენტების თარგმნა/დამოწმება; სათარგმნი მასალის რაოდენობის და სხვადასხვა ოფიციალური შეხვედრის სინქრონული თარგმნით მომსახურების გაზრდა; გასაფორმებელი კონტრაქტების რაოდენობის გაზრდა; თარჯიმანთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების დონის ამაღლება; მთარგმნელებისთვის პერიოდულად პრაქტიკული სემინარების და ტრენინგების ჩატარება;

	მაღალი ხარისხის თანამედროვე, სინქრონული და ციფრული აპარატურის შეძენა; საქართველოს სამინისტროებისა და სხვა სახელმწიფო უწყებებისაგან, აგრეთვე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისაგან ინფორმაციის მიღება იმ ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესახებ, რომლებიც შესაძლოა/უნდა იქნეს დადებული, აგრეთვე კონვენციებთან და სხვა საერთაშორისო დოკუმენტებთან შეერთების თაობაზე, სავარაუდო დროისა და მოცულობის მითითებით, შესაბამისი ბიუროს მუშაობის კოორდინაციისა და ძალების უკეთესად განაწილების მიზნით; მთარგმნელებისთვის პერიოდულად პრაქტიკული სემინარების, კონსულტაციების ჩატარება უცხოური ენის მცოდნე იმ სპეციალისტების მოწვევით, რომლებიც მუშაობენ სხვადასხვა სფეროში, აგრეთვე დიპლომატიური თანამშრომლების მოწვევით, რომლებიც მუშაობენ უცხო ქვეყნების საერთაშორისო ორგანიზაციებში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში, თარგმნის პროცესში წარმოქმნილი კონკრეტული უზუსტობებისა და სიძნელეების გასარკვევად; თანამედროვე განმარტებითი და ტექნოლოგიური ლექსიკონების, საცნობარო და მეთოდური ლიტერატურის შეძენა (უცხო ქვეყანაში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების მეშვეობით), თანამედროვე ელექტრონული ლექსიკონების შეძენა; საქართველოს სამინისტროებისა და სახელმწიფო უწყებებისაგან აგრეთვე სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისაგან ინფორმაციის მიღება იმ ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესახებ, რომლებიც სავარაუდოდ დადებულ უნდა იქნეს, ასევე კონვენციებთან და სხვა საერთაშორისო დოკუმენტებთან მიერთების თაობაზე, სავარაუდო დროისა და მოცულობის მითითებით-ბიუროს მუშაობის კოორდინაციისა და ძალების უკეთესად განაწილების მიზნით; მაღალი ხარისხის თანამედროვე, სინქრონული და ციფრული აპარატურის შეძენა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ყველა მთარგმნელისათვის, რომლებიც მუშაობენ საერთაშორისო დოკუმენტებზე საქართველოს სხვა სამინისტროებში, სახელმწიფო უწყებებში და ორგანიზაციებში სემინარების (კონსულტაციების) ჩატარება ენის მცოდნე, ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის სხვადასხვა სფეროში მომუშავე სპეციალისტების, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის თანამშრომლების და იმ უცხოელი სპეციალისტების - იურისტების, მთარგმნელების მოწვევით, რომლებიც მუშაობენ საერთაშორისო ორგანიზაციებში; -ბალტიისპირეთის ქვეყნების, უკრაინის, სომხეთის და აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროებში ანალოგიური თარგმნის ბიუროების მუშაობის ორგანიზების გამოცდილების გაცნობა; -მუშა ჯგუფის ორგანიზება, რომელიც მუდმივ კავშირში იქნება საქართველოს პარლამენტის, სახელმწიფო კანცელარიის, იუსტიციის სამინისტროს, ენის პალატის (ან ანალოგიური სტრუქტურის) იმ იურიდიული და სხვა ქვედანაყოფების მუშაკებთან, შესაბამისი უმაღლესი სასწავლებლების უცხოური ენების კათედრებთან, რომლებიც ახორციელებენ ქართულ ენაზე იურიდიული და სხვა ტერმინოლოგიის დადგენას და დაზუსტებას; კონტაქტების დამყარება საქართველოში აკრედიტებულ საერთაშორისო ორგანიზაციებთან;

	ბიუროს ელექტრონული არქივის მოწესრიგება, დაინტერესებული ორგანიზაციებისა და პირებისთვის აღნიშნული დოკუმენტების ელექტრონული ვერსიების გაცემის ორგანიზება შესაბამისი ანაზღაურებით:
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - უწყებებთან გაფორმებული ხელშეკრულებების რაოდენობა; თარგმანის გვერდების რაოდენობა; სინქრონული თარგმნის საათების რაოდენობა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საგარეო საქმეთა სამინისტროს დაკვეთით ნათარგმნი გვერდების სავარაუდო რაოდენობა 1350 გვერდი. სინქრონული თარგმანი 80 საათი. სხვადასხვა უწყებების დაკვეთით ნათარგმნი გვერდების სავარაუდო რაოდენობა 4000 გვერდი, სინქრონული თარგმანი 210 საათი

დიასპორული პოლიტიკა (28 01 04)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
აღწერა და მიზანი	საზღვარგარეთ ქართულ დიასპორასთან ურთიერთობისა და კავშირების ინტენსიფიკაცია, სისტემატიზაცია და არსებული პრობლემების ერთიანი ძალისხმევით მოგვარება შესაბამის სტრატეგიაზე დაყრდნობით; საზღვარგარეთ საქართველოს დიასპორის იდენტობისა და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების ხელშეწყობა, დიასპორის ჩართულობა მსოფლიოს მასშტაბით ქვეყნის პოპულარიზაციისა და საქართველოს პოზიტიური იმიჯის განმტკიცების საკითხში; ქვეყნის განვითარების პროცესში უცხოეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების მაქსიმალური ჩართულობა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	დიასპორასთან ეკონომიკური და კულტურული კავშირების გაღრმავება და როგორც ქვეყნის შიგნით ასევე ქვეყნის გარეთ მათი მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა; დიასპორის ცალკეული სოციალური საკითხების გადაჭრა, მათთვის ეფექტიანი საკონსულტაციო მექანიზმის შეთავაზება და ადგილზე დახმარება;
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - ახალგაზრდა თანამემამულეთა მონაწილეობა საზაფხულო ბანაკში; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საქართველოს საზაფხულო ბანაკებში 144 თანამემამულე მოზარდის განაწილება 2. **საბაზისო მაჩვენებელი** - დიასპორის დღე; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - თანამემამულეთა და სახელმწიფოს შორის თანამშრომლობის გაღრმავება 3. **საბაზისო მაჩვენებელი** - პროგრამა „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩის განხორციელება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საზღვარგარეთ მცხოვრები მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე, საზოგადოებრივად

	აქტიური ქართველი ახალგაზრდების სახალხო დიპლომატიაში ჩართვის გზით საქართველოს პოპულარიზაციის ხელშეწყობა

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციის თაობაზე საზოგადოების ინფორმირება (28 01 05)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ
აღწერა და მიზანი	საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრების უპირატესობის, სარგებლისა და შესაძლებლობის წარმოჩენა ქვეყნის მოსახლეობისთვის მარტივად გასაგები, ობიექტური ინფორმაციის რეგულარული მიწოდებით და მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით; საერთო დასავლური ღირებულებების შესახებ საქართველოს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა; სახელმწიფოს მიერ მოსახლეობისთვის ევროპულ და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის პროცესში განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი რეფორმების შესახებ ობიექტური და ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება; მოსახლეობაზე ანტიდასავლური პროპაგანდის ზეგავლენის თავიდან აცილებისა და შემცირების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება; საზოგადოებაში ევროკავშირსა და ნატოში გაწევრებასთან დაკავშირებული მოლოდინის მართვა; დასახული მიზნების განხორციელებისთვის სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო უწყებასთან, დიპლომატიურ კორპუსთან და მედიასთან აქტიური თანამშრომლობა; ინფორმაციის გამავრცელებელ ჯგუფებთან, მოსწავლეებთან/სტუდენტებთან, მასწავლებლებთან, საჯარო მოხელეებთან/ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, სასულიერო პირებთან, მასმედიასთან, ეთნიკურ უმცირესობებთან, გამყოფ ხაზებთან ახლოს მდებარე სოფლების მოსახლეობასთან, სამხედრო მოსამსახურეებთან, ფერმერებთან/მეწარმეებთან და სხვა პირებთან აქტიური კომუნიკაციის გაგრძელება საჯარო დისკუსიების, სემინარების, სამუშაო შეხვედრების, საზაფხულო სკოლების, სასწავლო ვიზიტების და საინფორმაციო კამპანიების მეშვეობით.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრების უპირატესობის, სარგებლისა და შესაძლებლობის წარმოჩენა (ქვეყნის მოსახლეობისთვის მარტივად გასაგები, ობიექტური ინფორმაციის რეგულარული მიწოდებისა და მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის საშუალებით);

	საერთო დასავლური ღირებულებების შესახებ საქართველოს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება; სახელმწიფოს მიერ მოსახლეობისთვის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში გატარებული, მიმდინარე და დაგეგმილი რეფორმების შესახებ ობიექტური და ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება; საზოგადოებაში ევროკავშირსა და ნატოში გაწევრებასთან დაკავშირებული მოლოდინის მართვა; მოსახლეობაზე ანტიდასავლური პროპაგანდის ზეგავლენის პრევენცია და შემცირება.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საქართველოს მოსახლეობის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ სწორი ინფორმირება საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესისთვის მნიშვნელოვანი პრიორიტეტებისა და მიმართულებების შესახებ მოსახლეობის ინფორმირება ქართული და ევროპული ღირებულებების იდენტობის წარმოჩენა; ევროკავშირის, ნატოს, საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ საქართველოს მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდა; ანტიდასავლური პროპაგანდის და დეზინფორმაციის გავრცელების შემცირება; მოსახლეობის ინფორმირება საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრებისობის, სარგებლისა და შესაძლებლობის შესახებ.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრების უპირატესობის, სარგებლისა და შესაძლებლობის წარმოჩენა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საქართველოს მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდება საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის; ასოცირების შესახებ შეთანხმების და უვიზოდ მიმოსვლის; საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის, ნატო-საქართველოს თანამშრომლობის პერსპექტივების შესახებ **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - საერთო დასავლური ღირებულებების შესახებ საქართველოს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ქართული და ევროპული კულტურისა და ხელოვნების პოპულარიზაცია საქართველოს მოსახლეობაში **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - მოსახლეობაზე ანტიდასავლური პროპაგანდის ზეგავლენის პრევენცია და შემცირება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ანტიდასავლური პროპაგანდის გზავნილების გაქარწყლება, საქართველოს ევროპული და

	ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ სწორი ინფორმაციის გავრცელება. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკისა და თავდაცვის რეფორმების, ასევე, საინფორმაციო პროპაგანდისა და ჰიბრიდული ომის სპეციფიკის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის ხელშეწყობა
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი -** სსიპ - ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის მიერ განხორციელებული 387 ღონისძიება, პირდაპირი კომუნიკაცია დამყარდა 27 630 მოქალაქესთან (2017 წელი); **მიზნობრივი მაჩვენებელი -** ცენტრის მიერ განხორციელებული ღონისძიებები

კოდი	დასახელება	2020 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი
31 05	ერთიანი აგროპროექტი	129,900.0	129,900.0	-	130,000.0	130,000.0	130,000.0
31 06	სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია და აგროსექტორის განვითარების ხელშეწყობა	88,300.0	88,300.0	-	90,000.0	95,000.0	100,000.0
31 02	სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობა	43,520.0	37,100.0	6,420.0	70,155.0	58,387.0	60,765.0
31 03	მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება	13,910.0	12,700.0	1,210.0	14,480.0	14,380.0	20,035.0
31 04	სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო-კვლევითი ღონისძიებების განხორციელება	7,271.0	7,050.0	221.0	6,150.0	6,150.0	6,150.0
31 14	კვების პროდუქტების, ცხოველთა და მცენარეთა დაავადებების დიაგნოსტიკა	6,815.0	4,215.0	2,600.0	7,000.0	7,000.0	7,000.0
31 15	მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამა	3,000.0	3,000.0	-	4,000.0	5,000.0	5,000.0
	სულ	**292,716.0**	**282,265.0**	**10,451.0**	**321,785.0**	**315,917.0**	**328,950.0**

ერთიანი აგროპროექტი (31 05)	
პროგრამის განმახორციელებელი	სააიპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო
აღწერა და მიზანი	სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების გადამუშავების და შენახვა-რეალიზაციის რგოლების უზრუნველყოფა იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით; აგროსექტორში დაზღვევის განვითარების ხელშეწყობა; სანერგე მეურნეობების მოწყობის და მრავალწლიანი კულტურების ბაღების გაშენების ხელშეწყობა; კერძო და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გაველურებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია; სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსება
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სოფლის მეურნეობის დარგში შექმნილი ახალი საწარმოები; სოფლის მეურნეობის საწარმოებისთვის შეღავათიანი აგროკრედიტის ხელმისაწვდომობის ზრდა; აგროდაზღვევის განვითარება; სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების ზრდა;
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - შეიქმნა ახალი და გადაიარაღდა არსებული საწარმოები; შეიქმნა აგროდაზღვევის სისტემა; გაშენდა ახალი ბაღები; გაველურებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შეიქმნება ახალი და გადაიარაღდება არსებული საწარმოები; გაგრძელდება აგროდაზღვევის სისტემის განვითარება; გაშენდება ახალი ბაღები; გაიზრდება ჩაის წარმოება

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვა (31 05 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო
აღწერა და მიზანი	სოფლის მეურნეობის დარგში დაგეგმილი და მიმდინარე პროექტების მართვა და ეფექტური განხორციელება.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ორიენტირებულია დაგეგმილი პროექტების მიზნების გათვალისწინებით მათი მოსალოდნელი შუალედური შედეგების მიღწევაზე.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - უზრუნველყოფილია სოფლის მეურნეობის დარგში მიმდინარე პროექტების მართვა და ეფექტური განხორციელება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - დაგეგმილი პროექტების შეუფერხებელი განხორციელება

შეღავათიანი აგროკრედიტები (31 05 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო
აღწერა და მიზანი	სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამუშავების და შენახვა-რეალიზაციის საწარმოების უზრუნველყოფა იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით. ბენეფიციარებზე სესხები (ან ლიზინგი) გაიცემა პროექტში მონაწილე საფინანსო ინსტიტუტებიდან, ხოლო ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“ განახორციელებს ამ სესხების (ლიზინგის) საპროცენტო სარგებელის თანადაფინანსებას და ზოგ შემთხვევაში, მონაწილეობას მიიღებს როგორც სესხების უზრუნველყოფაში, ასევე უზრუნველყოფის სახით წარდგენილი მიწის ნაკვეთების გამოსყიდვაში. პროექტის ბენეფიციარი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი და საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებული იურიდიული პირი. სესხის (ლიზინგის) მიზნობრიობაა სოფლის მეურნეობის პირველადი და გადამამუშავებელი წარმოების ძირითადი საშუალებების დაფინანსება.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სოფლის მეურნეობის დარგში ახალი საწარმოების შექმნის და არსებულის გაფართოება გადაიარაღების ხელშეწყობა. სოფლის მეურნეობის საწარმოებისთვის საბანკო კრედიტების/ლიზინგის გაიაფება და ხელმისაწვდომობა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2013-2019 წლებში შეიქმნა 157 ახალი და 940 არსებული საწარმო გადაიარაღდა; მომსახურეობა გაეწია 37 167 სესხს. პროექტში მონაწილეობა მიიღო 15 ბანკმა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2020 წელს მომსახურეობა გაეწევა 11 360 სესხს; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - მაკროეკონომიკური პარამეტრები და ბენეფიციარების აქტივობა

აგროდაზღვევა (31 05 03)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო
აღწერა და მიზანი	აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა, კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ფერმერებისთვის შემოსავლების შენარჩუნება და რისკების შემცირება. სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზღვევა განხორციელდება სადაზღვევო კომპანიების მიერ, ხოლო პროექტების მართვის სააგენტო განახორციელებს სადაზღვევო პრემიების თანადაფინანსებას საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება; ფერმერებისათვის შემოსავლების შენარჩუნება და რისკების შემცირება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2014-2019 წლებში სულ გაიცა 95 018 პოლისი და დაზღვეული მიწის ფართობია 84 389 ჰა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - დაზღვეულ იქნება დაახლოებით 14 000 ჰა-მდე მიწის ფართობი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 15%; **შესაძლო რისკები** - ბენეფიციარების დაბალი აქტივობა

დანერგე მომავალი (31 05 04)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო
აღწერა და მიზანი	სანერგე მეურნეობების განვითარების და ინტენსიური ბაღების გაშენების ხელშეწყობა; მრავალწლოვანი ბაღების გაშენების მსურველ ფიზიკური/იურიდიული პირებისთვის ტექნიკური და ფინანსური დახმარების გაწევა; სანერგე მეურნეობების შექმნის სტიმულირება ფინანსური დახმარების საშუალებით; პროექტში მონაწილე ბენეფიციართათვის ტრენინგების ჩატარების უზრუნველყოფა; აგრეთვე პროექტს ემატება ახალი კომპონენტი, კერძოდ: ფიზიკური პირებისა და კოოპერატივებისათვის, ტექნიკური და ფინანსური დახმარების გაწევა მრავალწლიანი კენკროვანების ბაღის გაშენების მიზნით. საქართველოში არსებული აუთვისებელი მიწის ფართობების ათვისება, გავრცელებული დაბალ შემოსავლიანი ერთწლიანი კულტურების გაცილებით მაღალშემოსავლიანი მრავალწლიანი კენკროვანი კულტურებით ჩანაცვლება და ადგილობრივი მოსახლეობის ფინანსური კეთილდღეობის ზრდის ხელშეწყობა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ახალი ინტენსიური/ნახევრად ინტენსიური ტიპის ბაღების გაშენება; მაღალხარისხიანი სანერგე მეურნეობების შექმნა; გადამამუშავებელი მრეწველობის სანედლეულო ბაზის გაზრდა; სოფლად მცხოვრებთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - დაფინანსებულია/დამტკიცებულია 7 745 ჰა-ს (საიდანაც უკვე გაშენებულია 7 641 ჰა) ახალი ხეხილის ბაღი და სანერგე მეურნეობის ფართობი შეადგენს 2 ჰა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - გაშენდება/ დაკონტრაქტდება დამატებით 2 250 ჰა-მდე ახალი ბაღი და 1 სანერგე მეურნეობა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - ბენეფიციარების დაბალი აქტივობა

ქართული ჩაი (31 05 05)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო
აღწერა და მიზანი	საქართველოში არსებული ჩაის პლანტაციების პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება, ჩაის წარმოების სექტორში ეფექტური კოოპერაციის ხელშეწყობა, მაღალი ხარისხის ჩაის (მათ შორის ბიო ჩაის) წარმოების ხელშეწყობა. კერძო და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის ხარჯის თანადაფინანსება, როგორც კომპანიებისათვის ასევე კოოპერატივებისათვის, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაციების ეფექტური გამოყენების ხელშეწყობა მათი ბიზნეს ოპერატორებზე იჯარის წესით გადაცემის გზით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის ჩაის გადამამუშავებელი დანადგარების დაფინანსება, საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბიო და ორგანული ჩაის წარმოების განვითარება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - რეაბილიტირებული ჩაის პლანტაციები შეადგენს 1,024 ჰა-ს; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 4 კოოპერატივის საწარმოო დანადგარებით აღჭურვა; რეაბილიტირდება 432 ჰა ჩაის პლანტაციები; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - ბენეფიციარების დაბალი აქტივობა

სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსება (31 05 06)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო
აღწერა და მიზანი	იმპორტჩამნაცვლებელი პროდუქციის წარმოებისა და ადგილობრივი სანედლეულო ბაზის განვითარების მიზნით

	სოფლის მეურნეობის პროდუქციის ახალი გადამამუშავებელი და შემნახველი ინფრასტრუქტურის შექმნა და მისი აღჭურვა თანამედროვე საწარმოო ხაზით / ტექნოლოგიებით.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სოფლის მეურნეობის პროდუქციის თანამედროვე სტანდარტების გადამამუშავებელი და შემნახველი სიმძლავრეების შექმნა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - გადამამუშავებელ კომპონენტში პროექტის დაწყებიდან 31.08.2019-ის მდგომარეობით სრულად ან ნაწილობრივ დაფინანსდა 49 გადამამუშავებელი საწარმო, ხოლო შემნახველი საწარმოების კომპონენტში 31 საწარმო; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2020 წელს სრულად ან ნაწილობრივ დაფინანსდება 25-მდე საწარმო; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - ბენეფიციარების დაბალი აქტივობა

ფერმათა/ფერმერთა რეგისტრაციის პროექტი (31 05 07)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო
აღწერა და მიზანი	ფერმათა/ფერმერთა ერთიანი რეესტრის სისტემას დარეგულირების მიზნით, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებული პირების ერთიანი ელექტრონული ბაზის შექმნა, რაც შესაძლებლობას მისცემს სახელმწიფოს ფლობდეს სტატისტიკურ ინფორმაციას, რომელიც გამოყენებული იქნება სამიზნე ჯგუფების სწორი შერჩევისათვის და მათთვის სხვადასხვა მასტიმულირებელი პროექტების/პროგრამების საჭიროებისამებრ დაგეგმვისთვისა და განხორციელებისთვის.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	შექმნილი ბაზა და ფერმერების მხრიდან უფრო მეტი ჩართულობა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2018 წელს შექმნილი ელექტრონული ბაზაში დარეგისტრირდა 107 058 ფერმერი/ფერმერული მეურნეობა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ელექტრონული გვერდის შექმნა (ABACO), სადაც დარეგისტრირებული ფერმერები შეძლებენ საქმიანობის დინამიკის დანახვას და აგრეთვე შეძლებენ ცვლილებების შეტანა/რეგისტრაციას

მოსავლის ამღები ტექნიკის თანადაფინანსების პროექტი (31 05 08)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო

აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია საქართველოში არსებული (მათ შორის სახელმწიფო პროგრამების საშუალებით გაშენებული) სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის ეფექტურად აღება; აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარება შესაბამისი აგროვადების დაცვით; სოფლის მეურნეობაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მიმართულებით. პროგრამა ითვალისწინებს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე ხელმისაწვდომობის გაზრდას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის (ნებისმიერი სახის მოსავლის ამღები ტექნიკა (როგორც თვითმავალი ასევე მისაბმელი), სასოფლო-სამეურნეო ტრაქტორები, ტრაქტორზე მიასბელი აგრეგატები და მოტობლოკი) შესყიდვის საგრანტო თანადაფინანსების გზით. სააგენტოს საგრანტო თანადაფინანსების მოცულობა შეადგენს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ღირებულების არაუმეტეს 50%-ს არაუმეტეს 150,000 ლარისა. პროგრამის პოტენციური ბენეფიციარია საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი ან ინდივიდუალური მეწარმე ან საქართველოს კანონის შესაბამისად რეგისტრირებული კომერციული იურიდიული პირი (მათ შორის სასოფლო სამეურნეო კოოპერატივი), რომელშიც სახელმწიფო არ ფლობს წილს/პაის/აქციას.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	გაიზრდება მოსავლის ამღები ტექნიკის რაოდენობა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - ხელშეკრულება გაუფორმდა 13 ბენეფიციარს მოსავლის ამღები ტექნიკის მიზნობრიობით და 89 ბენეფიციარს სხვადასხვა დანიშნულების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მიზნობრიობით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 5 მოსავლის ამღები ტექნიკის თანადაფინანსება; 325 სხვადასხვა დანიშნულების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - ბენეფიციარების დაბალი აქტივობა

პროექტების ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამა (31 05 09)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო
აღწერა და მიზანი	ფინანსური დახმარების საშუალებით, ხარისხიან მარკეტინგულ სერვისებზე წვდომა; პროდუქტებისთვის USP (Unique Sales Proposition) შექმნა; სხვადასხვა ბაზრებზე (ლოკალური და საერთაშორისო) შესვლასა და სათანადო პოზიციონირებაში დახმარება; მარკეტინგული ინფორმაციის შექმნა და აღნიშნულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სისტემების და სტანდარტების დანერგვა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სოფლის მეურნეობის საწარმოებისთვის სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სისტემებისა და სტანდარტების დანერგვაში, ადგილობრივ ბაზრებზე შესვლასა და დამკვიდრებაში, მარკეტინგული ინფორმაციის შექმნასა (აღნიშნულ ინფორმაციაზე) და მარკეტინგულ სერვისებზე ხელმისაწვდომობის ზრდა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - ტექნიკური დახმარების ფარგლებში სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტი დაინერგა 21 საწარმოში, 9 ბენეფიციარმა მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო გამოფენებში და 3 ბენეფიციარმა მოახდინა კომპანიის/პროდუქციის ბრენდინგი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - დაახლოებით 10 (ათი) ბენეფიციარი მოახდენს სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სისტემების და სტანდარტების დანერგვას და სერტიფიცირებას; 30 (ოცდაათი) ბენეფიციარი მოახდენს პროდუქციის/კომპანიის სრულ ბრენდინგს; ჩატარდება 10 (ათი) დარგობრივი კვლევა

მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერა (31 05 10)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო
აღწერა და მიზანი	მეფუტკრე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფუტკრის სკებით, თაფლის საწურებით, ფიჭის სათლელით და სხვა მოწყობილობებით უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	კოოპერატივების მიერ წარმოებული თაფლის რაოდენობრივი ზრდა და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების ხელშეწყობა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - 15-მდე მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივისათვის საწარმო საშუალებების გადაცემა; მათ შორის სოფლის განვითარების 2018- 2020 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული (აქტივობა 1.1.5) 750 სკა, ან/და 5 საწური, ან/და 5 ფიჭის ასათლელი დანა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 10-მდე კოოპერატივს გადაეცემა 750 სკა, 5 საწური. მათ შორის საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული 750 სკა, ან/და 5 საწური, ან/და 5 ფიჭის ასათლელი დანა (მათ შორის საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული 650 სკა, ან/და 5 საწური, ან/და 5 ფიჭის ასათლელი დანა); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - ბენეფიციარი კოოპერატივების დაბალი აქტივობა

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ინფრასტრუქტურული განვითარება (31 05 11)	
ქვეპროგრამის	ა(ა)იპ - სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო

განმახორციელებელი	
აღწერა და მიზანი	რძის მწარმოებელი კოოპერატივების ხელშეწყობის პროგრამა; ხორბლის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა; ადგილობრივი ხორბლის წარმოების ხელშეწყობა კოოპერაციის გზით; მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა; მევენახეობის კოოპერატივების ერთიანი საწარმოო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების ხელშეწყობა; მაღალმთიან რეგიონებში ხორცის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა; მაღალმთიან რეგიონებში კარტოფილის შესანახი კოოპერაციული სასაწყობო მეურნეობების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა, თაფლის ერთიანი საწარმოს დასრულებითი სამუშაოების განხორციელება; მაღალმთიან რეგიონებში ხილის საშრობი კოოპერაციული საწარმოების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა; მეაბრეშუმეობის განვითარება კოოპერაციის გზით; აკვა კულტურის განვითარების ხელშეწყობა კოოპერაციის გზით.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	გაიზრდება კოოპერატივების მიერ გადამუშავებული პროდუქციის რაოდენობა; გაიზრდება პროგრამებში ჩართული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების წევრების შემოსავლები; პროგრამაში ჩართულ კოოპერატივებშიგანხორციელდება საწარმოო ტექნოლოგიების დანერგვა; მოხდება მაღალხარისხიანი და მაღალი რეპროდუქციის მქონე სათესლე მასალის გამოყენება; ხელი შეეწყობა თანამედროვე აგროტექნოლოგიების დანერგვას; ხელი შეეწყობა საჰექტარო მოსავლიანობის ზრდას და კონკურენტუნარიანობის გაძლიერებას; ხელი შეეწყობა სოფლად ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და მიგრაციული პროცესების შემცირებას; ხელი შეეწყობა დამატებითი ღირებულების პროდუქციის წარმოებას; ხელი შეეწყობა კოოპერატივების წევრთა შემოსავლების ზრდას; ხელი შეეწყობა გადამამუშავებელი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებას; ხელი შეეწყობა წარმოებული პროდუქციის მრავალფეროვნებას;

	ხელი შეეწყობა სოფლის მეურნეობის ინკლუზიურ განვითარებას; ხელი შეეწყობა სასაწყობო/შემნახველი ინფრასტრუქტურის განვითარებას; ხელი შეეწყობა ადგილობრივი პროდუქციის ზრდას და იმპორტჩანაცვლებას.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი -** 5-მდე კოოპერატივს გადაეცემა რძის საწარმოსთვის საჭირო სათნადო აღჭურვილობა. ხორბლის მწარმოებელ 2 კოოპერატივს გადაეცემა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და სათესლე მასალა. მეცხოველეობის 1 (ერთი) კოოპერატივს გადაეცემა შესაბამისი საწარმოო-ტექნოლოგიური აღჭურვილობა. მევენახეობის 10 კოოპერატივს გადაეცემა სათანადო აღჭურვილობა; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 10-მდე რძის მწარმოებელ კოოპერატივს გადაეცემა შესაბამისი აღჭურვილობა. ხორბლის მწარმოებელ 5 (ხუთი) კოოპერატივს გადაეცემა ტექნიკა, სათესლე მასალა და მარცვლის საწმენდი დანადგარი. მეცხოველეობის მიმართულების 1(ერთი) კოოპერატივს გადაეცემა შესაბამისი საწარმოო-ტექნოლოგიური აღჭურვილობა. მევენახეობის 5 კოოპერატივს გადაეცემა ყურძნის გადამამუშავებელი აღჭურვილობები ღვინის წარმოების მიზნით. მე-2 დონის კოოპერატივს გადაეცემა ღვინის ჩამოსასხმელი ქარხანა. აბრეშუმის პარკის მწარმოებელ 5 კოოპერატივს გადაეცემათ ძაფსართავი და ქსოვილის საწარმოო ტექნოლოგიური აღჭურვილობა და სხვა. თევზის მწარმოებელ 5 კოოპერატივს გადაეცემათ თევზსაჭერი აღჭურვილობები, ნავები, წყალში ჩასადგმელი თევზსარეწაო გალიები და სხვა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10%; **შესაძლო რისკები -** ბენეფიციარი კოოპერატივების დაბალი აქტივობა

სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია და აგროსექტორის განვითარების ხელშეწყობა (31 06)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; ააიპ „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო“; შპს „საქართველოს მელიორაცია“
აღწერა და მიზანი	სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის მიზნით: წყალსაცავების, სარწყავი და დამშრობი სისტემის რეაბილიტაცია; სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ტექნიკური ექსპლუატაცია და სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკით უზრუნველყოფა; სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობა და ფერმერების სწავლება; გრანტების გაცემა პირველადი წარმოებისა და აგრობიზნესის განვითარებისათვის;

	მიწის აღდგენითი სამუშაოების განხორციელება. სამელიორაციო სისტემების ინსტიტუციონალური გაძლიერების ხელშეწყობა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სარწყავი და დამშრობი ინფრასტრუქტურის განვითარება; რეგულარული სარწყავი მიწის ფართობის ზრდა; წყლის რესურსების ეფექტური და ეკონომიური გამოყენება; სარწყავი მიწების მელიორაციული მდგომარეობის გაუმჯობესება; დაშრობილი მიწის ფართობის ზრდა; ფერმერთა მიერ წარმოებული პროდუქციის ზრდა და ხარისხის გაუმჯობესება. სარწყავი წყლის მთლიანი მოცულობის მიწოდების ზრდა სამიზნე არეალში გაუმჯობესებული საირიგაციო სერვისების მიმღები წყლის მომხმარებლების ზრდა. სოფლად მცხოვრები მოსახლეობის შემოსავლების ზრდა. კლიმატგონივრული, თანამედროვე ტექნოლოგიების გავრცელება.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - წყალუზრუნველყოფილი ფართობი 2019 წლის დასასრულს - დაახლოებით 130.2 ათასი ჰექტარი; სამელიორაციო ინფრასტრუქტურის სრული რეაბილიტაციის პირობებში, სამელიორაციო სისტემების მეშვეობით (ამ სისტემებზე ჩამოკიდებული ფართობების მაჩვენებლებიდან გამომდინარე) შესაძლებელი იქნება სარწყავი წყლის გარანტირებული მიწოდება სავარაუდოდ 364.0 ათასამდე ჰექტარ ფართობზე. მათ შორის 277.0 ათასი ჰა თვითდინებითი და 87.0ათ. ჰა მექანიკური სისტემებით. დაშრობილი ფართობი 2019 წლის დასასრულს 40.2 ათასი ჰექტარი . სამელიორაციო ინფრასტრუქტურის სრული რეაბილიტაციის პირობებში, სამელიორაციო სისტემების მეშვეობით (ამ სისტემებზე ჩამოკიდებული ფართობების მაჩვენებლებიდან გამომდინარე) შესაძლებელი იქნება მიწების დაშრობა სავარაუდოდ 105 , 0 ათას ჰექტარ ფართობზე. მათ შორის 27.0 ათასი ჰა მექანიკური წესით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - რეგულარულ სარწყავში გადასაყვანი მიწის ფართობი 8.47 ათასი ჰა. სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება 12.3 ათ. ჰა. მიწის ფართობების დაშრობა 0.75 ჰა. მიწის ფართობებიდან ჭარბი წყლის მოცილება 2.3 ათ. ჰა. მათ შორის: სოფლის განვითარების 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში: რეგულარულ სარწყავში გადასაყვანი მიწის ფართობი 8.47 ათასი ჰა. სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება 12.3 ათ. ჰა. მიწის ფართობების დაშრობა 0.75 ჰა. მიწის ფართობებიდან ჭარბი წყლის

	მოცილება 2.3 ათ. ჰა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10-15%; **შესაძლო რისკები -** შესყიდვის პროცედურების შეფერხება, სხვა გაუთვალისწინებელი გარემოებები **2.** **საბაზისო მაჩვენებელი -** 2019 წელს ღონისძიებების გატარების შედეგად: გაწმენდილი დაახლოებით- 1550 კილომეტრი სიგრძის სარწყავი და სადრენაჟო არხი; შეკეთებული ან შეცვლილი დაახლოებით 21 კმ მილსადენი; შეკეთებული მსხვილი ჰიდროტექნიკური ნაგებობა (კაშხალი, დიუკერი, აკვედუკი, გალერეა, გვირაბი, სათავე ნაგებობა), დაახლოებით 92 ერთეული; დაახლოებით 235 ხვადასხვა ჰიდროტექნიკური ერთეულის რემონტი ან შეცვლა ახლით (ფარები, ურდულები, წყალგამყოფი კვანძები, ტუმბოები, ელექტრო და მექანიკური მოწყობილობები და სხვა); **მიზნობრივი მაჩვენებელი -** გაწმენდილი და მოწესრიგებული სარწყავი და სადრენაჟე არხები; გარემონტებული ჰიდროტექნიკურ ნაგებობები, სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა მანქანა- მექანიზმების მოვლა- პატრონობა და ექსპლუატაცია არსებული წესის მიხედვით, მათი შენახვისა და სარგებლობის ვადის გახანგრძლივება. სარწყავი სეზონებზე მომხმარებელთათვის მომსახურეობის შეუფერხებლად მიწოდება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10-15%; **შესაძლო რისკები -** შესყიდვის პროცედურების შეფერხება, სხვა გაუთვალისწინებელი გარემოებები **3.** **საბაზისო მაჩვენებელი -** 67 მლნ. კბმ სარწყავი წყალი; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 95 მლნ. კბმ სარწყავი წყალი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 15%; **შესაძლო რისკები -** კლიმატური პირობები; სარწყავი გახანგრძლივება; მოსახლეობასთან მიღწევის გართულება **4.** **საბაზისო მაჩვენებელი -** 5,000.00 ჰა მორწყული მიწა; 4,000.00 მომხმარებელი; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 20,000.00 ჰა მორწყული მიწა; 24,000.00 მომხმარებელი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 15%; **შესაძლო რისკები -** კლიმატური პირობები; სარწყავი გახანგრძლივება; მოსახლეობასთან მიღწევის გართულება. სეზონის შეთანხმების **5.** **საბაზისო მაჩვენებელი -** შემოსავლები სოფლის მეურნეობიდან, ერთ სულზე საშუალოდ წელიწადში 1130 ლარია (პროექტის საბაზისო კვლევის თანახმად); **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 20%-მდე შემოსავლების ზრდა ბენეფიციართა 80%-ისთვის; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 20 %; **შესაძლო რისკები -** სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური რყევები. ფორს-მაჟორი

სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია და ტექნიკის შეძენა (31 06 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
აღწერა და მიზანი	საქართველოს სხვადასხვა რეგიონში წყალსაცავების, სარწყავი და დამშრობი სისტემების რეაბილიტაცია; შესაბამისი საინჟინრო კვლევების, დაპროექტების, ზედამხედველობისა და ექსპერტიზის განხორციელება; სპეციალური ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებების, მანქანა-მექანიზმების, მოწყობილობებისა და დამხმარე საშუალებების შეძენა სამელიორაციო ობიექტებზე საექსპლუატაციო და სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	რეგულარული სარწყავი მიწის ფართობის ზრდა; წყლის რესურსების ეფექტური და ეკონომიური გამოყენება; სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება; სარწყავი მიწების მელიორაციული მდგომარეობის გაუმჯობესება; დაშრობილი მიწის ფართობის ზრდა; სამელიორაციო ინფრასტრუქტურის განვითარება. .
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სარწყავი და დამშრობი ინფრასტრუქტურის განვითარება;
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი -** წყალუზრუნველყოფილი ფართობი 2019 წლის დასასრულს - დაახლოებით 130.2 ათასი ჰექტარი; სამელიორაციო ინფრასტრუქტურის სრული რეაბილიტაციის პირობებში, სამელიორაციო სისტემების მეშვეობით (ამ სისტემებზე ჩამოკიდებული ფართობების მაჩვენებლებიდან გამომდინარე) შესაძლებელი იქნება სარწყავი წყლის გარანტირებული მიწოდება სავარაუდოდ 364.0 ათასამდე ჰექტარ ფართობზე. მათ შორის 277.0 ათასი ჰა თვითდინებითი და 87.0ათ. ჰა მექანიკური სისტემებით. დაშრობილი ფართობი 2019 წლის დასასრულს 40.2 ათასი ჰექტარი . სამელიორაციო ინფრასტრუქტურის სრული რეაბილიტაციის პირობებში, სამელიორაციო სისტემების მეშვეობით (ამ სისტემებზე ჩამოკიდებული ფართობების მაჩვენებლებიდან გამომდინარე) შესაძლებელი იქნება მიწების დაშრობა სავარაუდოდ 105 , 0 ათას ჰექტარ ფართობზე. მათ შორის 27.0 ათასი ჰა მექანიკური წესით; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** რეგულარულ სარწყავში გადასაყვანი მიწის ფართობი 8.47 ათასი ჰა. სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება 12.3 ათ. ჰა. მიწის ფართობების დაშრობა 0.75 ჰა. მიწის ფართობებიდან ჭარბი წყლის მოცილება 2.3 ათ. ჰა მათ შორის: სოფლის განვითარების 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში: რეგულარულ სარწყავში გადასაყვანი მიწის ფართობი 8.47 ათასი ჰა. სარწყავი მიწების წყლით

	უზრუნველყოფის გაუმჯობესება 12.3 ათ. ჰა. მიწის ფართობების დაშრობა 0.75 ჰა. მიწის ფართობებიდან ჭარბი წყლის მოცილება 2.3 ათ. ჰა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10-15%; **შესაძლო რისკები** - შესყიდვის პროცედურების შეფერხება, სხვა გაუთვალისწინებელი გარემოებები

სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მიმდინარე ტექნიკური ექსპლუატაცია (31 06 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
აღწერა და მიზანი	შპს „საქართველოს მელიორაციის“ სუბსიდირება სარწყავი და დამშრობი სისტემების ინფრასტრუქტურის ტექნიკური ექსპლუატაციის ღონისძიებების, მექანიკური სატუმბი სადგურების ფუნქციონირებისათვის მოსახმარი ელექტროენერგიის, სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა მანქანა-მექანიზმების მოვლა-შენახვის ღონისძიებების დაფინანსება.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	წყლის რესურსების ეფექტური და ეკონომიური გამოყენება, სარწყავ სეზონზე მომხმარებელთათვის მომსახურების შეუფერხებელი მიწოდება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2019 წელს ღონისძიებების გატარების შედეგად: გაწმენდილი დაახლოებით- 1550 კილომეტრი სიგრძის სარწყავი და სადრენაჟო არხი; შეკეთებული ან შეცვლილი დაახლოებით 21 კმ მილსადენი; შეკეთებული მსხვილი ჰიდროტექნიკური ნაგებობა (კაშხალი, დიუკერი, აკვედუკი, გალერეა, გვირაბი, სათავე ნაგებობა), დაახლოებით 92 ერთეული; დაახლოებით 235 ხვადასხვა ჰიდროტექნიკური ერთეულის რემონტი ან შეცვლა ახლით (ფარები, ურდულები, წყალგამყოფი კვანძები, ტუმბოები, ელექტრო და მექანიკური მოწყობილობები და სხვა); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - გაწმენდილი და მოწესრიგებული სარწყავი და სადრენაჟე არხები; გარემონტებული ჰიდროტექნიკურ ნაგებობები, სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა მანქანა- მექანიზმების მოვლა- პატრონობა და ექსპლუატაცია არსებული წესის მიხედვით, მათი შენახვისა და სარგებლობის ვადის გახანგრძლივება. სარწყავი სეზონებზე მომხმარებელთათვის მომსახურეობის შეუფერხებლად მიწოდება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10-15%; **შესაძლო რისკები** - შესყიდვის პროცედურების შეფერხება, სხვა გაუთვალისწინებელი გარემოებები

ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესება (WB) (31 06 03)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

აღწერა და მიზანი	ზედა რუს მაგისტრალური არხის, ტბისი-კუმისის მაგისტრალური არხისა და ქვემო სამგორის მარჯვენა მაგისტრალური არხის სრული რეაბილიტაცია, რომელიც მოიცავს სათავე ნაგებობების, მაგისტრალური არხების, პირველი და მეორე რიგის გამანაწილებელი არხებისა და შიდა სამეურნეო ქსელების აღდგენა-რეაბილიტაციას. შპს „საქართველოს მელიორაციის“ ინსტიტუციონალური გაძლიერება და თანამდროვე ტექნიკით აღჭურვა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	საირიგაციო სისტემების რეაბილიტაცია და მოდერნიზაცია; მ.შ. სოფლის განვითარების 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის (RDAP 2018-2020) აქტივობა 1.1.12 შპს „საქართველოს მელიორაციის“ ინსტიტუციონალური და საექსპლუატაციო სტრუქტურის გაძლიერება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - სამი სარწყავი სისტემის შიდა ქსელების დეტალური საინჟინრო პროექტირება დასრულებულია; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სამი სარწყავი სისტემის შიდა ქსელების დეტალური საინჟინრო პროექტირების მიხედვით სარეაბილიტაციო სამუშოები დაწყებულია და სამუშაოების 50% შესრულებულია; **შესაძლო რისკები** - კლიმატური პირობები, ადგილობირივი მოსახლეობისგან თანამშრომლობაზე უარის თქმა **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 2 წყალსაცავის კაშხლების უსაფრთხოების პროექტირება დასრულებულია; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ქვემო სამგორის სიონის წყალსაცავისა და ტბისი-კუმისის ალგეთის წყალსაცავის კაშხლების რეაბილიტირებულია; სიონისა და ალეგეთის წყალსაცავების კაშხლებზე მონიტორინგისა და უსაფრთხოების სისტემები დანერგილია; **შესაძლო რისკები** - კლიმატური პირობები, ადგილობირივი მოსახლეობისგან თანამშრომლობაზე უარის თქმა **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - კანონპროექტი წყალმომხმარებელ ორგანიზაციების შესახებ მიღებულია; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 5 წყალმომხმარებლთა ორგანიზაციის ჩამოყალიბება 4 საპილოტე რეგიონში; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 25%; **შესაძლო რისკები** - ადგილობირივი მოსახლეობისგან თანამშრომლობაზე უარის თქმა

სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მდგრადობის პროექტი (31 06 04)

აღწერა და მიზანი	შერჩეული ღირებულებათა ჯაჭვების (ვაშლი, ატამი/ნექტარინი, ხურმა, დაფნა, ბოსტნეული, კენკრა, თაფლი, ყვავილები, კაკალი) განვითარების ხელშეწყობა; შერჩეულ კულტურებთან დაკავშირებულ საირიგაციო სისტემების შიდა სამეურნეო ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები; ნიადაგის აღდგენა და დაცვა ეროზიებისგან ნაპირსამაგრებისა და ქარსაცავების მეშვეობით; თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობა; ფერმერთა თეორიული და პრაქტიკული სწავლება; კლიმატთან დაკავშირებული პოლიტიკისთვის საჭირო სხვადასხვა ინიციატივების ხელშეწყობა; სოფლად მცირე ინფრასტრუქტურის (გზები,

	ხიდები) რეაბილიტაცია/მშენებლობა; გრანტები, ორი მიმართულებით: 1. მცირე გრანტები პირველადი წარმოებისათვის (თანხის მაქსიმლური ოდენობა 15,000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში), რომლის მიზანია მოსავლიანობის ზრდა და პროდუქციის ხარისხის ამაღლება გაუმჯობესებული ტექნოლოგიებისა და მიდგომების გამოყენებით; 2. მსხვილი გრანტები აგრობიზნესისთვის (მაქსიმლური ოდენობა 100,000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში), რომლის მიზანია მოქმედი საწარმოების მოდერნიზაცია/განახლება, მათ მიერ წარმოებული პროდუქტის ხარისხისა და მოცულობის გაუმჯობესების მიზნით; ქვეყნის სოფლის მეურნეობის სექტორისათვის ეროვნული საადაპტაციო გეგმის მომზადება.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება; ნიადაგის ხარისხის გაუმჯობესება მიწის აღდგენითი სამუშაოების განხორციელების გზით; ფერმერთა კვალიფიკაციის ამაღლება. მცირე ფერმერების, ფერმერთა ჯგუფების და აგრობიზნესის მიერ წარმოებული პროდუქციის ზრდა და ხარისხის გაუმჯობესება; სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 2019 წელს წყალუზრუნველყოფილია დამატებით 1000 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - გაუმჯობული სარწყავი წყლის მიწოდება 650 ჰა-ზე; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 15%; **შესაძლო რისკები** - კლიმატური პირობები **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ნიადაგის აღდგენითი სამუშაოები განხორციელდა 17 ობიექტზე (გაშენდა ქარსაფარი ზოლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მიწის აღდგენის სამუშაოები ჩატარდება დამატებით 4 ობიექტზე, ქარსაფარი ზოლის გაშენება/რეაბილიტაცია, სულ 25 კმ; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 15%; **შესაძლო რისკები** - კლიმატური პირობები და შესაფერისი ობიექტების მოძიება **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 2019 წელს მოეწყო 3 სადემონსტრაციო ნაკვეთი და სწავლება გაიარა 300 ფერმერმა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - უკვე მოწყობილ სადემონსტრაციო ნაკვეთებზე სწავლებას გაივლის 80 ფერმერი;

	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10%; **შესაძლო რისკები** - სწავლების მსურველთა დაბალი აქტივობა **4.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 2019 წლის 31 მაისის მდგომარეობით გაიცა 528 გრანტი აგრობიზნესისათვის; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - გაიცემა 50 მდე გრანტი კერძო პირებისათვის; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - ბენეფიციარების დაბალი აქტივობა

მერძევეობის დარგის მოდერნიზაციის და ბაზარზე წვდომის პროგრამა (DiMMA) (IFAD) (31 06 05)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
აღწერა და მიზანი	რძის მწარმოებელ მცირე ზომის შინამეურნეობების და ფერმერების, მერძევეობის სექტორისთვის მომსახურების მიმწოდებლების, რძის შემგროვებელი ცენტრებისა და რძის გადამამუშავებლების ხელშეწყობა. ქალებისა და ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობა, საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება, ინფრასტრუქტურისა და საკვები ბაზების მოწესრიგება, საძოვრების მართვის ეფექტური სისტემის შექმნა/განვითარება. რძის ხარისხის გაუმჯობესება, ინოვაციური სადემონსტრაციო/სამოდელო ფერმების შექმნა და მათი ცოდნა-უნარებითა და დანადგარებით აღჭურვა, გრანტების გაცემა ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი რძის წარმოების, შემკრები პუნქტებისა და რძის გადამამუშავებელი საწარმოების შექმნის კუთხით. შერჩეული ბენეფიციარების სწავლება რძის წარმოების, შეგროვებისა და წარმოების ტექნოლოგიებში, სურსათის უვნებლობის საკითხებში, HACCAP სტანდარტებში, ფერმერთათვის ევრო რეგულაციებთან შესაბამისობის რძის ხარისხის გაუმჯობესებაში, თანამედროვე საკვები ბაზისა და დაავადებების მართვის საკითხებში. პროექტის ბენეფიციარები იქნებიან როგორც ინდივიდუალური ფერმერები, ასევე კოოპერატივები და საწარმოები. მერძევეობის სექტორიში არსებული ინსტიტუციონალური თუ საკანონმდებლო საკითხების იდენტიფიცირება და მათი გადაწყვეტის ხელშეწყობა, საძოვრებთან დაკავშირებული და დარგისათვის საჭირო საკანონმდებლო ბაზის შექმნა. (პროგრამა განხორციელდება, პირველ ეტაპზე, სამ რეგიონში: იმერეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთში და სამცხე-ჯავახეთში).
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	შექმნილი ინოვაციური სადემონსტრაციო/სამოდელო ფერმები. ჩატარდება სხვადასხვა თემატიკის ტრენინგები. საწყისი კაპიტალის დაფინანსებას (გრანტებს) მიიღებენ მცირე მწარმოებლები, შემგროვებლები, სხვადასხვა ფერმერული გაერთიანებები. შეიქმნება დაინტერესებულ მხარეთა პლატფორმა.
შუალედური შედეგის	

შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - მერძევეობის სექტორში მოსალოდნელი ახალი რეგულაციებისა და მისი მოთხოვნების შესახებ ინფორმაციისა და შესაბამისი ცოდნის სიმცირე; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - პროგრამის ფარგლებში, გადამზადებული 100 ბენეფიციარი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - სწავლების მსურველთა დაბალი აქტივობა **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - წარმოებული ნედლი რძის მოცულობის/ხარისხის/უვნებლობის ზრდისთვის აუცილებელი აღჭურვილობისა და ტექნოლოგიების სიმცირე; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - წარმოებული ნედლი რძის მოცულობის/ხარისხის/უვნებლობის ზრდისთვის აუცილებელი აღჭურვილობისა და ტექნოლოგიების განვითარების მიზნით გაცემული 60 მიზნობრივი გრანტი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - მოთხოვნის ნაკლებობა **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - სამიზნე რეგიონებში, მერძევეობის სექტორში ჩართულ მხარეთა სამუშაო ჯგუფების არარსებობა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - რეგიონალურ დონეზე, მერძევეობის სექტორში არსებული და მოსალოდნელი გამოწვევებისა და შესაძლებლობების გამოვლენისა და მათი მართვის მიზნით შექმნილი 1 პლატფორმა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - დაინტერესებულ მხარეთა დაბალი ინტერესი

სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობა (31 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტო“
აღწერა და მიზანი	სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი; ცხოველთა დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკური, იძულებითი ღონისძიებებისა და ლაბორატორიული კვლევების განხორციელება; ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია; მიმოქცევაში არსებულ ვეტერინარულ პრეპარატებზე სახელმწიფო ვეტერინარული კონტროლი; ცხოველებში ვეტპრეპარატების და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენების არსებობის კონტროლი;

	საკარანტინო და განსაკუთრებით საშიში მავნე ორგანიზმების გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელება; პესტიციდების/აგროქიმიკატების ხარისხის კონტროლი და ვეტერინარული აფთიაქებისა და სამკურნალოების მონიტორინგი; სურსათის ხარისხისა და უსაფრთხოების მაჩვენებლების, ცხოველთა განსაკუთრებით საშიში დაავადებების, მცენარეთა საკარანტინო და სხვა მავნე ორგანიზმების და სასოფლო-სამეურნეო კულტურების ლაბორატორიული კვლევა; ქვეყნის ტერიტორიის მონიტორინგის (მავნებლის გამოჩენის და მისი რიცხოვნობის დაფიქსირება ფერომონიანი ხაფანგების საშუალებით) საფუძველზე, თანამედროვე სპეციფიკური შესასხურებელი ტექნიკის გამოყენებით, შესაბამისი ღონისძიებების გატარება აზიური ფაროსანას პოპულაციის რიცხოვნობის შემცირების მიზნით, კერების ლოკალიზაცია/ლიკვიდაცია.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მავნე სურსათის წარმოებისა და სამომხმარებლო ბაზარზე რეალიზაციის ფაქტების შემცირება/აღკვეთა; შიდა სასურსათო ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირება და ექსპორტის ხელშეწყობა. ქვეყანაში ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის შენარჩუნება, სამომხმარებლო ბაზარზე უვნებელი ცხოველური წარმოშობის პროდუქტების განთავსება; განსაკუთრებით საშიში მავნებლებისაგან სტრატეგიული სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაცვა და მოსავლის შენარჩუნება კლიმატური პირობების გათვალისწინებით; ვადაგასული და ფალსიფიცირებული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების რეალიზაციის ფაქტების აღკვეთა.საქართველოს ბაზარზე არარეგისტრირებული, ფალსიფიცირებული, ვადაგასული და გამოსაყენებლად უვარგისი ვეტერინარული პრეპარატების გამოვლენა და რეალიზაციის აღკვეთა; სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაცვა განსაკუთრებით საშიში მავნებლისაგან, მოსავლის შენარჩუნება და ეკონომიკური ზარალის თავიდან აცილება.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2019 წლისათვის დაგეგმილია: 6580 გეგმური ინსპექტირების ჩატარება, 7000 დოკუმენტური შემოწმება; 4500-მდე სურსათის ნიმუშის ლაბორატორიული კვლევა; ბიზნესოპერატორის საქმიანობაზე ზედამხედველობა - 100%-ით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2020 წლისთვის განხორციელდება დაახლოებით: 7000 გეგმური ინსპექტირებება, დოკუმენტური შემოწმება - 8000-9000; სურსათის ნიმუშები ლაბორატორიული კვლევისთვის - 4500;

	ბიზნესოპერატორების საქმიანობაზე ზედამხედველობა - 100% **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 2019 წლის მანძილზე ეპიზოოტიური სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით დაავადებებზე (თურქული, ჯილეხი, ბრუცელიოზი, ტუბერკულიოზი, ცოფი, მსხვილფეხა პირუტყვის ნოდულარული დერმატიტი, წვრილფეხა პირუტყვის ჭირი, ცხვრისა და თხის ყვავილი) პროფილაქტიკური/იძულებითი ვაქცინაციის და შესაბამისი კვლევების სამოქმედო გეგმების შემუშავება და ნაწილობრივ განხორციელება, ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცის ჩატარება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ეპიზოოტიური უზრუნველყოფის მიზნით შესრულდება: დაგეგმილი პრევენციული ვაქცინაციის არანაკლებ 80%-ი, მსხვილფეხა, წვრილფეხა პირუტყვის და ღორების იდენტიფიკაციის საორიენტაციო გეგმის არანაკლებ 70%-ი და იდენტიფიცირებული ცხოველების არანაკლებ 80%-ის მონაცემეთა ბაზაში რეგისტრაცია, ბრუცელოზზე ვაქცინირებული მსხვილფეხა პირუტყვის 95%-ის პასპორტიზაცია; ლაბორატორიული კვლევების არანაკლებ 90%-ის შესრულება, პროგრამით გათვალისწინებულ შესაბამის დაავადების გამოვლინების შემთხვევების დროს არანაკლებ 95%-ში ცხოველთა იძულებითი ვაქცინაცია, დეზინფექცია და სხვა ვეტერინარულ-სანიტარული ღონისძიებები **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 2019 წელს სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე საკარანტინო და განსაკუთრებით საშიში მავნე ორგანიზმების გავრცელების წინააღმდეგ დამუშავდება 29 000 ჰა. ვადაგასული და ფალსიფიცირებული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების რეალიზაციის ფაქტების აღკვეთის მიზნით აღებული და ლაბორატორიულად შემოწმებული იქნება დაახლოებით 350; საკარანტინო მავნებლებისაგან თავისუფალი ზონების დადგენის მიზნით აღებული და ლაბორატორიულად გამოკვლეული იქნება მავნე ორგანიმებზე 1950 ნიმუში; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2020 წელს კალიების გავრცელების აღსაკვეთად შეიწამლება აღმოსავლეთ საქართველოში სავარაუდოდ 25 000 ჰა ფართობი. ამერიკული თეთრი პეპლის, ბზის ალურას და სხვა მავნებლების წინააღმდეგ საორიენტაციოდ დამუშავდება 5 000 ჰა. ქვეყნის მასშტაბით. დამუშავებულ ფართობებზე ჩატარებულიღონისძიებების ეფექტურობამ უნდა შეადგინოს არანაკლებ 70-80 % . აღებული იქნება დაახლოებით 350 ნიმუში რისკისშემცველი ქიმიკატებიდან ფალსიფიცირების პრევენციის მიზნით. ქვეყნის ტერიტორიის ფიტოსანიტარიული მდგომარეობის და საკარანტინო მავნე ორგანიზმებისაგან თავისუფალი ზონების დადგენის მიზნით გამოსაკვლევად აღებული იქნება დაახლოებით მავნე ორგანიზმების 1 000 ნიმუში **4.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ვეტერინარული პრეპარატების ხარისხის მონიტორინგის მიზნით შეძენილი და გამოსაკვლევად ლაბორატორიაში გადაცემული იქნა ვეტერინარული პრეპარატის 114 (მ.შ. 3 არაგეგმიური) ნიმუში;ბიზნესოპერატორების საქმიანობის ინსპექტირების მიზნით შემოწმებული იქნა 210 ობიექტი, ცოცხალი ცხოველების სარეალიზაციო 15 ობიექტი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 95%-ით შესრულდება სახელმწიფო კონტროლის პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების (ინსპექტირება და ნიმუშების კვლევა) გატარება; განხორციელდებაასევე არაგეგმიური ინსპექტირება ყველა შემოსულ ინფორმაციაზე **5.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 2019 წელს საორიენტაციოდ 250 000 ჰა-ზე ოთხჯერადი შეწამვლის მიზნით დამუშავდება 100

	000 ჰა ფართობი. ტერიტორიულ ერთეულებში განთავსდა ხაფანგები, განხორციელდა მათზე უწყვეტი მონიტორინგი და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე განისაზღვრა მავნებლის გავრცელების ადგილები, სადაც უნდა ჩატარდეს შემდგომში მისი საწინააღმდეგო ღონისძიებები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2020 წელს ინვაზიური მავნებლის წინააღმდეგ ფაროსანას საწინააღმდეგო პროგრამით ღონისძიება ჩატარდება 100 000 ჰა-ზე

მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება (31 03)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტო
აღწერა და მიზანი	ქართული ღვინოპროდუქციის საერთაშორისო და ადგილობრივი დეგუსტაციების, კონკურსების, გამოფენებისა და პრესტურების მოწყობა; სპეციალიზებული უცხოური ჟურნალებისათვის საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის შესახებ სტატიების მომზადება და მათი გამოქვეყნება; სარეკლამო რგოლების დამზადება და ქართული ღვინის პოპულარიზაციისათვის საჭირო სხვა ღონისძიებების განხორციელება; ქართული ღვინისა და კულინარიის შესახებ საგანმანათლებლო ღონისძიებების მოწყობა საქართველოს და საერთაშორისო ბაზრებზე; ალკოჰოლიანი სასმელების სასერტიფიკაციო ნიმუშების ან/და სერტიფიცირებული პარტიებიდან აღებული ნიმუშების შედარების უზრუნველსაყოფად ლაბორატორიული კვლევის ჩატარება; მევენახეობის კადასტრის დანერგვა; ვენახების ფართობების აღრიცხვა; საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი წიპწებისა და მერქნის მოლეკულური გენეტიკის და ამპელოგრაფიის მეთოდებით შესწავლის ხელშეწყობა და წიპწების მოპოვებისათვის არქეოლოგიურ გათხრებში თანამონაწილეობა; მევენახეობის სფეროში დასაქმებული ფიზიკური პირების მიერ მიღებული ყურძნის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობა; ქართული ღვინის ადგილწარმოშობის დასახელებების სისტემის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების და ქართულ ღვინოსთან დაკავშირებული აღნიშვნების დაცვის ღონისძიებების განხორციელება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ქართული ღვინოპროდუქციის ექსპორტის ზრდა; მომხმარებლის დაცვა ფალსიფიცირებული და უხარისხო პროდუქციისაგან. ვენახების ფართობებისა და ვაზის ჯიშების დადგენა; სანედლეულო ბაზის რესურსების დადგენა; ვაზის წარმოშობის შესახებ ჩატარებული კვლევებით მიღებული შედეგის გამოყენებით ქართული ვაზისა და ღვინის პოპულარიზაცია მსოფლიოს ბაზარზე.ქართული ღვინის ადგილწარმოშობის დასახელებების საერთაშორისო რეგისტრაციითა და ქართულ ღვინოსთან დაკავშრებული აღნიშვნების უკანონო იმიტაციების წინააღმდეგ სამართლებრივი ინსტრუმენტების აღსრულებით, სტრატეგიულ ბაზრებზე ქართული ღვინის მწარმოებლებისთვის კეთილსინდისიერი კონკურენტული გარემოს შექმნის ხელშეწყობა; ახალი ადგილწარმოშობის დასახელებების რეგისტრაცია და მწარმოებელთა ასოცირების ხელშეწყობა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2019 წელს ექსპორტის შედეგად მიღებული შემოსავალი სავარაუდოდ მიაღწევს 310.0 მლნ აშშ დოლარს. მევენახეობის სფეროში დასაქმებულ ფიზიკური პირების მიერ ჩაბარებულ იქნა და გადამამუშავდა 250.0 ათასი ტონა ყურძენი. განხორციელდება გურჯაანისდა სიღნაღის მუნიციპალიტეტის ნაწილი ვენახების საკადასტრო სამუშაოები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2020-2023წწ. ღვინის ექსპორტის შედეგად მიღებული შემოსავლების ზრდა 8-10%-ით. ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების არანაკლებ 68 გამოფენა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში; ქართული ღვინის 300- მდე დეგუსტაცია -პრეზენტაცია საქართველოს ფარგლებს გარეთ; აღრიცხული ვენახების ფართობები და ვაზის ჯიშები - სიღნარის, ლაგოდეხის, საგარეჯოს ადმინისტაციულ საზღვრების კადასტრის შედგენა. ადგილობრივ და საექსპორტო ბაზარზე ფალსიფიცირებული და უხარისხო ღვინოპროდუქციის აღკვეთა. აღებული იქნება 3400-3440 ნიმუში; მევენახეობის სფეროში დასაქმებული პირების მიერ ჩაბარებულიმ და გადამუშავებული იქნება 1000,0 ათას ტონა ყურძენი. მარნეულის რაიონში „გადაჭრილ გორაზე“ ჩატარებული არქეულოგიული კვლევები; განხორციელდება 20-40 ვაზის აბორიგენული ჯიშის და ველური ვაზის შესწავლა ამპელოგრაფიის და მოლეკულური გენეტიკის მეთოდებით; ლიტერატურული წყაროების მოძიება, შეკრება და8სამეცნიერო პუბლიკაციის მომზადება; ქართული ღვინის ადგილწარმოშობის დასახელებები და ქართულ ღვინოსთან დაკავშირებული აღნიშვნები დაცულ იქნება სტრატეგიულ ბაზრებზე, ასევე უზრუნველყოფილი იქნება ახალი ადგილწარმოშობის დასახელებების გამოვლენისა და რეგისტრაციის ღონისძიებები

სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო-კვლევითი ღონისძიებების განხორციელება (31 04)

პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“

აღწერა და მიზანი	აგრარულ სფეროში დასაქმებულთათვის თანამედროვე აგროტექნოლოგიების გამოყენების შესახებ ცნობიერების დონის ამაღლების ხელშეწყობა; საქართველოში გავრცელებული სასოფლო-სამეურნეო ცხოველების, ფრინველების, თევზებისა და სამეურნეო-სასარგებლო მწერების ადგილობრივი ჯიშებისა და პოპულაციების მიკროსასელექციო გუნდების შექმნა; ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების გენოფონდის მოძიება, აღდგენა, კონსერვაცია, საკოლექციო და სადედე ნარგაობების შექმნა; ერთწლოვანი კულტურების პირველადი მეთესლეობის განვითარება; საერთაშორისო სტანდარტების შესამაბისი თესლისა და სარგავი მასალის სერთიფიცირების სისტემის მხარდაჭერა; ბიოაგროწარმოების დანერგვის ხელშეწყობა; სურსათის უვნებლობის სფეროში რისკის შეფასება; ხილისა და ბოსტნეულის შენახვის უნარიანობისა და ნედლად შენახვის მეთოდების კვლევა და რეკომენდაციების შემუშავება; საქართველოს ნიადაგების ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების მიზნით მათი მდგომარეობის შესწავლა და სათანადო ღონისძიებების გატარება.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საქართველოში მოძიებული სასოფლო-სამეურნეო ცხოველების, ფრინველების, თევზებისა და სამეურნეო-სასარგებლო მწერების ადგილობრივი ჯიშებისა და პოპულაციების ტიპიური სულადობის მოძიება, შესწავლა და მიკროსასელექციო ბირთვების შექმნა; ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიებზე სემუშავებული რეკომენდაციები; თესლისა და სარგავი მასალის სერთიფიცირების განხორციელება; ხილისა და ბოსტნეულის ნედლად შენახვის, შრობის და სწრაფი გაყინვის ოპტიმალური დადგენილი რეჟიმები; ნიადაგის საველე და ლაბორატორიული კვლევების შერჩეული თანამედროვე მეთოდიკები; რისკის შეფასების საფუძველზე მომზადებული რეკომენდაციები.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - საქართველოში გავრცელებული სასოფლო-სამეურნეო ცხოველების, ფრინველების,

	თევზებისა და კომერციულად სასარგებლო მწერების ადგილობრივი ჯიშების კვლევების ფარგლებში გამოცემული 14 სტატია, შემუშავებული 7 რეკომენდაცია, განახლებული 9 მონაცემთა ბაზა. სურსათის საფრთხეების რისკის შეფასებაზე მომზადებული 3 დასკვნა / რეკომენდაცია. ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიების კვლევის ფარგლებში გამოცემული 59 სტატია, შემუშავებული 31 რეკომენდაცია, განახლებული 16 მონაცემთა ბაზა. შედგენილი ვაზის 130 ჯიშის ამპელოგრაფიული მონაცემთა ბაზა. შემუშავებული 3 რეკომენდაცია ჯიშ-საძირის კომბინაციების შესახებ. გაცემული 50 თესლისა და სარგავი მასალის სერთიფიკატი. შემუშავებული თანამედროვე სამანქანო 7 ტექნოლოგია. სოფლის მეურნეობის პროდუქტთა შენახვა-გადამუშავების მეთოდების სამეცნიერო კვლევის ფარგლებში შემუშავებული 5 რეკომენდაცია. შესწავლილი ნიადაგების მდგომარეობა 20 000 ჰა ფართობზე, თითოეული საკვლევი მუნიციპალიტეტისთვის შემუშვებული 1 რეკომენდაცია; გამოცემული 5 სტატია. ნიადაგში ორგანული ნახშირბადის მარაგის ამსახველი 1 რუქა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საქართველოში მოძიებული სასოფლო-სამეურნეო ცხოველების, ფრინველების, თევზებისა და სამეურნეო-სასარგებლო მწერების ადგილობრივი ჯიშებისა და პოპულაციების ტიპიური სულადობის მოშენება და შენარჩუნება. ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიები შემუშავება. რეკომენდაციები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების შესახებ. ახალი ჯიშებისა და ელიტური თესლის მიღება-წარმოება. საერთაშორისო წესებით ამოქმედებული თესლისა და სარგავი მასალის სერთიფიცირების სისტემა. მცენარეთა მოვლა-მოყვანის და ბიოპრუქტების წარმოების ტექნოლოგიების დახვეწა. ნიადაგის ლაბორატორიული კვლევების ერთიანი მეთოდოლოგიის შექმნა. ნედლად შენახვის, შრობისა და სწრაფ გაყინვის ოპტიმალური რეჟიმების დადგენა ნედლეულის სახისა და ჯიშური თავისებურებების გათვალისწინებით. (გამოიცემა 68 სტატია; შემუშავდება 40 რეკომენდაცია და 1 ინსტრუქცია. ადგილობრივი ჯიშების და პოპულაციების კვლევაზე იმუშავებს 10 პროექტი. ადგილობრივი კულტურების გენოფონდის კვლევასა და შენარჩუნებაზე იმუშავებს 31 პროექტი. შესწავლილი იქნება ნიადაგების მდგომარეობა 20,000 ჰა მიწის ფართობზე; თითოეული საკვლევი მუნიციპალიტეტისთვის შემუშვებული იქნება 1 რეკომენდაცია; შედგენილი იქნება ნიადაგში ორგანული ნახშირბადის მარაგის ამსახველი 1 რუკა. თესლისა და სარგავი მასალის გაცემული 25 სერთიფიკატი.)

კვების პროდუქტების, ცხოველთა და მცენარეთა დაავადებების დიაგნოსტიკა (31 14)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია
აღწერა და მიზანი	მცენარეთა საკარანტინო და სხვა საშიში მავნე ორგანიზმების ლაბორატორიული დიაგნოსტიკა; ISO 17025 და ISO 9001 სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად ცხოველთა განსაკუთრებით საშიში ინფექციური და არაინფექციური დაავადებების ლაბორატორიული დიაგნოსტიკა; ქვეყნის მაშტაბით სასოფლო-სამეურნეო კულტურების ლაბორატორიული კვლევა; სურსათის/ცხოველის საკვების და სასმელი წყლის ხარისხისა და უსაფრთხოების მაჩვენებლების ლაბორატორიული

	კვლევა და ამ პროდუქტებში არსებული მირკობიოლოგიური, ქიმიური და რადიაციული დაბინძურების გამოვლენა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ლაბორატორიაში საკვლევად წარმოდგენილი ყველა გამოსაკვლევად ვარგისი ნიმუშების ოპტიმალურ ვადაში ზუსტი ტესტირება ISO 17025 სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად, ვალიდური და აკრედიტებული მეთოდებით; რეგიონული ლაბორატორიული ქსელის გაფართოება; სურსათის მიმართულებით ინსტრუმენტული ლაბორატორიული კვლევების გაძლიერება.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ლაბორატორიაში საკვლევად წარმოდგენილი ყველა გამოსაკვლევად ვარგისი ნიმუშების ოპტიმალურ ვადაში ზუსტი ტესტირება ISO 17025 სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად, ვალიდური და აკრედიტებული მეთოდებით; რეგიონული ლაბორატორიული ქსელის გაფართოება; სურსათის მიმართულებით ინსტრუმენტული ლაბორატორიული კვლევების გაძლიერება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - ლაბორატორიაში კვლევაზე შემოსული მოთხოვნების გათვალისწინებით დასანერგია საკვები პროდუქტების, წყლისა და მცენარეთა და ცხოველთა დაავადებების ლაბორატორიული კვლევის ახალი მეთოდები ISO 17025 სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საკვები პროდუქტების, წყლის, მცენარეთა და ცხოველთა დაავადებებზე ლაბორატორიული კვლევების 5 ახალი მეთოდისა და 5 ახალი პარამეტრის დანერგვა ISO 17025 სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20 %; **შესაძლო რისკები** - მომხმარებლის დაბალი აქტივობა; სახელმწიფო და სხვა პროგრამებიდან ამორთვა 2. **საბაზისო მაჩვენებელი** - საკვები პროდუქტების, წყლის, მცენარეთა და ცხოველთა დაავადებებზე ლაბორატორიული კვლევების ახალი მეთოდები საჭიროებს აკრედიტირებას ISO 17025 სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საკვები პროდუქტების, წყლის, მცენარეთა და ცხოველთა დაავადებებზე ლაბორატორიული კვლევების 5 ახალი მეთოდისა და 5 ახალი პარამეტრის აკრედიტირება ISO 17025 სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - მომხმარებლის დაბალი აქტივობა; სახელმწიფო და სხვა პროგრამებიდან ამორთვა 3. **საბაზისო მაჩვენებელი** - საჭიროა საკვები პროდუქტების, წყლის, მცენარეთა და ცხოველთა დაავადებების კვლევის მიმართულებით დამატებითი რეგიონული ლაბორატორიული ქსელისა და სურსათის მიმართულებით ინსტრუმენტული ლაბორატორიული სივრცის გაფართოება ISO 17025 სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საკვები პროდუქტების, წყლის, მცენარეთა და ცხოველთა დაავადებების

	ლაბორატორიული კვლევის მიმართულებით 2 რეგიონული ლაბორატორიის ამოქმედება და სურსათის მიმართულებით, ინსტრუმენტული ლაბორატორიული სივრცის (ინფრასტრუქტურა, აპარატურა) მოწყობა ISO 17025 სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - მომხმარებლის დაბალი აქტივობა; სახელმწიფო და სხვა პროგრამებიდან ამორთვა
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - ლაბორატორიაში კვლევაზე შემოსული მოთხოვნების გათვალისწინებით დასანერგია საკვები პროდუქტების, წყლისა და მცენარეთა და ცხოველთა დაავადებების ლაბორატორიული კვლევის ახალი მეთოდები ISO 17025 სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საკვები პროდუქტების, წყლის, მცენარეთა და ცხოველთა დაავადებებზე ლაბორატორიული კვლევების 5 ახალი მეთოდისა და 5 ახალი პარამეტრის დანერგვა ISO 17025 სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20 %; **შესაძლო რისკები** - მომხმარებლის დაბალი აქტივობა; სახელმწიფო და სხვა პროგრამებიდან ამორთვა 2. **საბაზისო მაჩვენებელი** - საკვები პროდუქტების, წყლის, მცენარეთა და ცხოველთა დაავადებებზე ლაბორატორიული კვლევების ახალი მეთოდები საჭიროებს აკრედიტირებას ISO 17025 სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საკვები პროდუქტების, წყლის, მცენარეთა და ცხოველთა დაავადებებზე ლაბორატორიული კვლევების 5 ახალი მეთოდისა და 5 ახალი პარამეტრის აკრედიტირება ISO 17025 სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - მომხმარებლის დაბალი აქტივობა; სახელმწიფო და სხვა პროგრამებიდან ამორთვა 3. **საბაზისო მაჩვენებელი** - საჭიროა საკვები პროდუქტების, წყლის, მცენარეთა და ცხოველთა დაავადებების კვლევის მიმართულებით დამატებითი რეგიონული ლაბორატორიული ქსელისა და სურსათის მიმართულებით ინსტრუმენტული ლაბორატორიული სივრცის გაფართოება ISO 17025 სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საკვები პროდუქტების, წყლის, მცენარეთა და ცხოველთა დაავადებების ლაბორატორიული კვლევის მიმართულებით 2 რეგიონული ლაბორატორიის ამოქმედება და სურსათის მიმართულებით, ინსტრუმენტული ლაბორატორიული სივრცის (ინფრასტრუქტურა, აპარატურა) მოწყობა ISO 17025 სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - მომხმარებლის დაბალი აქტივობა; სახელმწიფო და სხვა პროგრამებიდან ამორთვა

მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამა (31 15)

პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ – მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო
აღწერა და მიზანი	მიწის რაციონალური გამოყენებისა და დაცვის უზრუნველყოფის, მიწის ბაზრის განვითარების ხელშეწყობის, მიწის ბალანსის შედგენის, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსების აღრიცხვის, მიზნობრივი გამოყენებისა და სახელმწიფო მონიტორინგის სამართლებრივი საფუძვლების შექმნა; მიწის ბალანსის შედგენის, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსების აღრიცხვისა და მონაცემთა ერთიანი ბაზის ჩამოყალიბება.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სათანადო წინადადებების მომზადება და საწყისი სამუშაოების ჩატარება მიწის ბალანსის შედგენის, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსების აღრიცხვისა და მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნის მიზნით.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - მიწის მიზნობრივი დანიშნულებასთან დაკავშირებული მონაცემების არ არსებობა, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კატეგორიებისა და მათი ცვლილების წესის არარსებობა, მდგრადი მართვის პრინციპების არარსებობა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მომზადებული თემატური რუკები მიწათსარგებლობასთან დაკავშირებით: დადგენილი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული საზღვრები; კერძო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით მიღებული და განხილული განცხადებები და და სოფლის მეურნეობის მინისტრისთვის წარსადგენად მომზადებული დოკუმენტაცია; მოწესრიგებული და სისტემატიზებული, მიწის მიზნობრივ დანიშნულებასთან დაკავშირებული საკითხების, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კატეგორიების და მათი ცვლილების წესის და მდგრადი მართვის პრინციპები; შექმნილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსებისსასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსების ბაზა

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის ღონისძიებები (31 16)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო“
აღწერა და მიზანი	სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარებისათვის სათანადო წინადადებების მომზადება პროგრამებში ჩართული კოოპერატივების მონიტორინგი პროგრამაში ჩართული კოოპერატივებისათვის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების კონტროლი; კოოპერატივებისათვის სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მინიჭება.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	დამატებით სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი მიენიჭება 50 კოოპერატივს;
საბოლოო შედეგის	

შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2019 წელს - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარებისათვის სათანადო წინადადებების მომზადება და 2018 წელს დაწყებული ღონისძიებების ეფექტურად მართვა- ადმინისტრირება. მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ერთიანი საწარმოო უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დასრულდება 1 თაფლის გადამამუშავებელი საწარმოსათვის აღჭურვილობისშეძენა; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარებისათვის სათანადო წინადადებების მომზადება და პროგრამების ადმინსიტრირება. კოოპერატივების რეგისტრაცია და არსებული პროგრამაში ჩართული კოოპერატივების მონიტორინგი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5-10%; **შესაძლო რისკები -** ბენეფიციარი კოოპერატივების დაბალი აქტივობა

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2020 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი
09 01	საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა	81,330.0	81,130.0	200.0	93,330.0	98,330.0	98,330.0
08 00	საქართველოს უზენაესი სასამართლო	12,000.0	12,000.0	-	12,500.0	13,000.0	14,000.0
46 00	სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო	23,250.0	7,000.0	16,250.0	23,000.0	23,000.0	23,000.0
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	6,000.0	6,000.0	-	6,000.0	6,000.0	6,000.0
07 00	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	4,150.0	4,150.0	-	4,150.0	4,150.0	4,150.0
26 13	სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიუროს მომსახურებათა ეფექტიანობის უზრუნველყოფა და ყველა დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომობა	33,201.0	-	33,201.0	30,000.0	30,000.0	30,000.0
	სულ	**159,931.0**	**110,280.0**	**49,651.0**	**168,980.0**	**174,480.0**	**175,480.0**

სასამართლო სისტემა (07 00 – 10 00)

პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, საქართველოს უზენაესი სასამართლო
აღწერა და მიზანი	სასამართლოთა შენობების სამშენებლო და სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება; ნაფიცი მსაჯულებისა და მსაჯულობის კანდიდატებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა ხარჯის ანაზღაურების უზრუნველყოფა, რომლებიც დაკავშირებულია მათ მიერ საკუთარი მოვალეობის შესრულებასთან; მოსამართლეთა ჯანმრთელობის დაზღვევით უზრუნველყოფა; საქართველოს უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების გამჭვირვალობისა და საჯაროობის პროცესის გაგრძელება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	1. საერთო სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა და ფუნქციონირების უზრუნველყოფა; 2. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის განვითარება; 3. მოსამართლეთა და აპარატის თანამშრომელთა კანონმდებლობით დადგენილი სოციალური გარანტიებით უზრუნველყოფა;
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - მოსამართლეთა და აპარატის თანამშრომელთა პროცენტული რაოდენობა, ვინც სრულად იქნა უზრუნველყოფილი კანონმდებლობით დადგენილი სოციალური გარანტიებით - 100%; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 100% **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ყოველწლიურად ხორციელდება არანაკლებ 10 სასამართლო შენობის მიმდინარე ან/და კაპიტალური სარემონტო სამუშაოები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ყოველწლიურად მოხდება მინიმუმ 10 სასამართლო შენობის მიმდინარე ან/და კაპიტალური სარემონტო სამუშაოები; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 0-50% საჭიროებიდან გამომდინარე შესაძლებელია მოხდეს მეტი სასამართლო შენობის მიმდინარე ან/და კაპიტალური სარემონტო სამუშაოები; **შესაძლო რისკები** - მიმწოდებელი კომპანიის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ნაფიცი მსაჯულებისა და მსაჯულობის კანდიტატების პროცენტული რაოდენობა, რომელთაც სრულად აუნაზღაურდათ მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯები - 99%; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 100%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2%; **შესაძლო რისკები** - ნაფიცი მსაჯულებისა და მსაჯულობის კანდიტატების მხრიდან ანაზღაურებისათვის საჭირო დოკუმენტაციის წარმოუდგენლობა

სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო (46 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
აღწერა და მიზანი	საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, კვალიფიციური ექსპერტების მეშვეობით განსაზღვრული ექსპერტიზისა და გამოკვლევების ჩატარება, შესაბამისი დასკვნის შედგენა და გაცემა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

	საერთაშორისოდ აღიარებული სამედიცინო კვლევის მეთოდების გამოყენება და ხარისხის უზრუნველყოფის პროგრამის განხორციელება. ექსპერტიზის ახალი მეთოდოლოგიების დანერგვა და აკრედიტაციის სფეროს გაფართოება. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მიწოდებული სერვისების სანდოობის მაღალი ხარისხის შენარჩუნება. რეგიონალური სამსახურების ინფრასტრუქტურის განვითარება. კადრების კვალიფიკაციის ამაღლება, გადამზადება და საერთაშორისო პროფესიულ და ლაბორატორიათშორის ტესტირებებში რეგულარული მონაწილეობა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ISO17025 აკრედიტაციის შენარჩუნება. მომსახურების სფეროს მუდმივი განვითარება. კადრების კვალიფიკაციის ამაღლება. ექსპერტიზების შედეგების სიზუსტე და კვლევების მაღალი ხარისხი, რომელიც მიღწეულია ISO17025-ის სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გზით.

სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიუროს მომსახურებათა ეფექტიანობის უზრუნველყოფა და ყველა დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომობა (26 13)

პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიურო
აღწერა და მიზანი	სააღსრულებო და არასააღსრულებო მომსახურების გაწევის პროცესში მხარეთა კანონიერი ინტერესების რეალიზება მხარეებს შორის ბალანსის მაქსიმალური დაცვით; სააღსრულებლო მომსახურებები – უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი მოთხოვნის აღსრულება, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა, სარჩელის უზრუნველყოფა და სხვა; არასააღსრულებლო მომსახურებები – გამარტივებული წარმოება, გადახდისუუნარობის საქმისწარმოება, კერძო აღმასრულებელთათვის ლიცენზიის გაცემა და მათთვის სააუქციონო მომსახურების გაწევა, ფულადი თანხის დავალიანების გადახდევინების შესახებ მოთხოვნასთან დაკავშირებით გამარტივებული წარმოება, მესამე პირების მომართვის საფუძველზე ქონების შეფასების მომსახურება, ფაქტების კონსტატაცია; სააღსრულებო მომსახურების, სააღსრულებო წარმოების პროგრამული უზრუნველყოფის დახვეწა და გაუმჯობესება,

	„მოძიება-ყადაღა-ინკასო“ ტიპის ელექტრონული კომუნიკაციის ფორმირება ბანკებთან, რომელიც ჩაანაცვლებს მანამდე არსებულ ინფორმაციის ბეჭდური სახით მიმოცვლას. ელექტრონული ინფორმაციის გაცვლა და ელექტრონულად საბანკო ანგარიშებზე შეზღუდვების გავრცელება და მოხსნა სხვადასხვა საბანკო ანგარიშიდან, რაც უფრო გაამარტივებს მონაცემების მიმოცვლას; დამოუკიდებელი აღმასრულებლებით დაკომპლექტებული აღმასრულებელთა პალატის შექმნა; გამარტივებული საქმისწარმოების სამსახურის ახალი სერვისების („სასყიდლიანი ხელშეკრულება“ და „სესხის ხელშეკრულება“) დამატება; აღსრულების პოლიციის საქმიანობის დახვეწა, უკანონო მფლობელობიდან საკუთრების გამოთხოვის (გამოსახლება) და დემონტაჟის საქმეებზე სააღსრულებო წარმოების განხორციელება, გამოსახლებისა და დემონტაჟის რეზონანსულ საქმეებში მხარეთა ინტერესების დაცვის მენეჯერების, სოციალური მუშაკებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის მუდმივი ხელმისაწვდომობა; აღსრულების ეროვნულ ბიუროს ადმინისტრაციის შენობის, ასევე, სასაწყობე ფართებისა და ავტოსადგომების სახანძრო უსაფრთხოების ნორმების მოქმედ კანონმდებლობასა და დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა; ადმინისტრაციის შენობის, ასევე, სასაწყობე ფართებისა და ავტოსადგომების სახანძრო უსაფრთხოების ნორმების მოქმედ კანონმდებლობასა და დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ აღსრულებული საქმეები; მორიგებით დასრულებული გამოსახლების საქმეები.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 2019 წლისთვის აღსრულდება 80 000 საქმე; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ყოველწლიურად 2 000-ით მეტი საქმის აღსრულება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 1000 საქმე; **შესაძლო რისკები** - რთულად აღსასრულებელი საქმეების რაოდენობის მატება **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 2019 წელს გამოსახლების საქმეების 85% დასრულებული იქნება მხარეთა შორის მორიგებით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საქმეების 85% მორიგებით იქნა დასრულებული; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - გამოსახლების საქმეებზე მხარეთა შეუთანხმებლობა

გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა

კოდი	დასახელება	2020 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი
31 07	გარემოსდაცვითი ზედამხედველობა	20,640.0	20,640.0	-	22,000.0	22,000.0	22,000.0
31 09	სატყეო სისტემის ჩამოყალიბება და მართვა	36,390.0	13,780.0	22,610.0	39,900.0	43,300.0	44,800.0
31 01	გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა	13,370.0	13,370.0	-	12,790.0	11,890.0	11,890.0
31 08	დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და მართვა	24,264.0	13,020.0	11,244.0	20,010.0	19,922.0	22,775.0
31 11	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მიმართულებით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის და განათლება მდგრადი განვითარებისთვის ხელშეწყობის პროგრამა	5,100.0	5,000.0	100.0	4,004.0	9,675.0	10,405.0
31 13	გარემოს დაცვის სფეროში მონიტორინგი, პროგნოზირება და პრევენცია	4,850.0	3,000.0	1,850.0	11,923.0	11,042.0	10,837.0
31 12	ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დაცვა	1,080.0	1,050.0	30.0	1,030.0	1,030.0	1,030.0
31 10	ველური ბუნების ეროვნული სააგენტოს სისტემის ჩამოყალიბება და მართვა	1,245.0	875.0	370.0	1,570.0	1,570.0	1,570.0
24 20	სასარგებლო წიაღის მართვა და კოორდინაცია	5,940.0	-	5,940.0	5,637.0	5,845.0	6,183.0
	სულ	**112,879.0**	**70,735.0**	**42,144.0**	**118,864.0**	**126,274.0**	**131,490.0**

გარემოსდაცვითი ზედამხედველობა (31 07)	
პროგრამის განმახორციელებელი	გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
აღწერა და მიზანი	გარემოს დაბინძურებისა და ბუნებრივი რესურსებით უკანონო სარგებლობის პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა. მათ შორის ხე-ტყის კონტროლის გაუმჯობესება - ხე-ტყის უკანონო მოპოვების, ტრანსპორტირებისა და გადამუშავების ფაქტების პრევენცია, გამოვლენა, აღკვეთა; გარემოსდაცვითი სახელმწიფო კონტროლის სისტემის სრულყოფა, რომელიც უზრუნველყოფს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში კანონმდებლობის მოთხოვნათა ჯეროვან შესრულებას. კანონდარღვევათა ეფექტური შემაკავებელი პირობების შექმნა და რეგულირების ობიექტების მიერ გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ნებაყოფლობითი შესრულების სათანადო დონის მიღწევა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	გაუმჯობესებული გარემოს დაცვის ხარისხი; შექმნილი კანონდარღვევათა შემაკავებელი გარემო; შემცირებული გარემოსთვის მიყენებული ზიანი.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი -** გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევით, გარემოს დაბინძურებითა და ბუნებრივი რესურსებით უკანონო სარგებლობით გარემოსთვის მიყენებული ზიანის - მათ შორის, ტყის ფონდის ტერიტორიებზე დეპარტამენტის მიერ გაძლიერებული პატრულირებისა და დარღვევების გამოვლენა/აღკვეთის შედეგად, გარემოსთვის მიყენებული ზიანის დაანგარიშებული ოდენობა 2019 წლის ბოლომდე მთლიანობაში სავარაუდოდ 5 მლნ ლარს მიაღწევს; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევით გარემოს დაბინძურებითა და ბუნებრივი რესურსებით უკანონო სარგებლობით გარემოსთვის მიყენებული ზიანის შემცირებული მაჩვენებელი, (2023 წლისათვის ეს მაჩვენებელი არ გადააჭარბებს 3 მილიონ ლარს), ყოველწლიურად 10-15%-მდე შემცირებული გარემოსთვის მიყენებული ზიანი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10%; **შესაძლო რისკები** - რეგულირების ობიექტებზე გაუთვალისწინებელი (საწარმოო ავარიები, ინციდენტები) შემთხვევების შედეგად გარემოსათვის მიყენებული ზიანის მაჩვენებლის ზრდა. შემაკავებელი გარემოს შესუსტება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სამართალდარღვევათა ზრდა. ასევე 2019 წლიდან, ტყის სახელმწიფო კონტროლის ფუნქციის ეროვნული სატყეო სააგენტოდან გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისთვის გადმოცემის შედეგად, ხე-ტყის ეფექტური კონტროლის უზრუნველსაყოფად, დეპარტამენტის მიერ გაძლიერდება პატრულირება/პრევენცია, გამოვლენა, აღკვეთა ტყის ფონდის ტერიტორიებზე, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს დაანგარიშებული ზიანის ოდენობის გაზრდა 2019-2020 წლებში

	2. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2019 წლის ბოლომდე განხორციელებული რეგულირების ობიექტების - ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის, გარემოსდაცვითი ნებართვის/გადაწყვეტილების მფლობელი სუბიექტების, გარემოსდაცვით ტექნიკურ რეგლამენტებს დაქვემდებარებული საწარმოების - 2 000-ზე მეტი ინსპექტირება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - გარემოსდაცვით ნებართვას/გადაწყვეტილებას და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიებს დაქვემდებარებული რეგულირების ობიექტების შემოწმებათა დაგეგმვა რისკების მეთოდოლოგიის საფუძველზე. გეგმიურად შემოწმებული 50-ზე მეტი რეგულირების ობიექტი; 2 000-ზე მეტი ინსპექტირებული (გეგმიური, არაგეგმიური შემოწმება, დათვალიერება) რეგულირების ობიექტი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - გეგმიური და არაგეგმიური შემოწმებების რაოდენობის შემცირება, ობიექტის მასშტაბიდან გამომდინარე, ინსპექტირების ხანგრძლივობის გაზრდის გამო **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - დღეის მდგომარეობით, გარემოსთვის მიყენებული ზიანის შემთხვევაში, გარემოს პირვანდელ ან პირვანდელთან მიახლოებულ მდგომარეობაში აღდგენის ვალდებულება სამართალდამრღვევებს არ გააჩნიათ; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - გარემოზე მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის ფაქტების 70%-ზე დაწყებულია შესაბამისი ღონისძიებები ზიანის აღმოფხვრის მიზნით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ კანონის მიღების ან/და ამოქმედების გადავადება

სატყეო სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (31 09)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო
აღწერა და მიზანი	ტყის მართვის ქმედითი სისტემის ჩამოყალიბების მიზნით ეროვნული სატყეო კონცეფციის დოკუმენტით გათვალისწინებული ქმედებების ეტაპობრივი განხორციელება; მდგრადი ტყითსარგებლობის განხორციელება; ხე-ტყის დამზადების მიზნით შესაბამისი ფართობების გამოვლენა და სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების განხორციელება (მ. შ. სატყეო-სამეურნეო გზების მოწყობა მოსახლეობისა და საბიუჯეტო ორგანიზაციების მერქნულ რესურსზე (მ.შ. სათბობი შეშა) მოთხოვნილების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა; ტყის მოვლის (მათ შორის ხანძარსაწინააღმდეგო პრევენციული) და აღდგენის ღონისძიებების განხორციელება; ტყის აღრიცხვის ღონისძიებების განხორციელება, ტყის მართვის გეგმების შემუშავება და ტყეების მდგომარეობის შესახებ მონაცემების მიღების, ანალიზისა და სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების დაგეგმვის ეფექტური სისტემის

	დანერგვა; მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის მართვისა და განვითარების უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შენარჩუნებული საქართველოს ტყეების ეკოლოგიური ფასეულობები, მათ შორის ბიოლოგიური მრავალფეროვნება; აღდგენილი ტყის ეკოსისტემები, გაზრდილი ტყით დაფარული ფართობები. განახლებული ინფორმაცია ტყის რესურსების, მათი ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების შესახებ, დაგეგმილი სატყეო ღონისძიებები, დაგეგმილი ტყითსარგებლობა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მოთხოვნების თანახმად აღებული უპირობო ვალდებულებიდან („ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი), რომ 2030 წლისათვის განახორციელოს ტყის გაშენებისა და აღდგენის სამუშაოები წინასწარ გამოვლენილ 1500 ჰა ფართობზე, ასევე, ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის ღონისძიებები 7500 ჰა, საბაზისო მდგომარეობით ტყის აღდგენა-გაშენების ღონისძებები განხორციელებულია 390 ჰა ფართობზე, ბუნებრივი განახლების ხელშეწყობა- 270 ჰა ფართობზე; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2023 წლისათვის განახორციელოს ტყის გაშენებისა და აღდგენის სამუშაოები წინასწარ გამოვლენილ 400ჰა-დან 475-ჰა-მდე ფართობზე; ასევე, ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის ღონისძიებები 800 ჰა-ზე. სოფლის განვითარების 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული: • 2020 წლის აქტივობა - დამატებით 100 ჰა-დან-125 ჰა-ზე გაშენებული ან/და აღდგენილი ტყის მასივი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5-10%; **შესაძლო რისკები** - კლიმატური პირობები, გახარების დაბალი პროცენტული მაჩვენებელი (65%ზე ქვემოთ) 2. **საბაზისო მაჩვენებელი** - ტყის რესურსების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მოძველებულია და არ ასახავს ფაქტიურ მდგომარეობას. ტყის მართვის განახლებული გეგმები შედგენილია მხოლოდ 8 სატყეო უბნისათვის 42 სატყეო უბნიდან, რაც არსებული სახელმწიფო ტყის ფონდის 20,4%-ს შეადგენს; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ტყის მართვის გეგმები ყოველწლიურად დამატებით 2 სატყეო უბნისათვის. საერთო ჯამში განახლებული ტყის მართვის გეგმა საშუალოვადიანი პერიოდის ბოლოსთვის სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიის დაახლოებით 55,6%-ზე. სოფლის განვითარების 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული: 2020 წელს: დამატებით შედგენილი ტყის მართვის გეგმების პროექტები 2 სატყეო უბნისათვის - საერთო ფართობით 132,1 ათასი ჰა. საერთო ჯამში განახლებული ინფორმაცია სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიის დაახლოებით 34,2 %-ზე; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5-10%; **შესაძლო რისკები** - სამუშაოთა სპეციფიკაციის გათვალისწინებით მცირეა იმ ფირმების რაოდენობა, რომელიც მონაწილეობას იღებენ ტენდერებში. დაბალი კონკურენტუნარიანი გარემო

გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა (31 01)

პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
აღწერა და მიზანი	ქვეყნის აგრარულ და გარემოს დაცვის სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და რეფორმების განხორციელება; აგრარული სექტორის და გარემოს დაცვის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრა და შესაბამისი პროგრამების შემუშავება; გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების მართვა და ადმინისტრირება; 2017-2021 წწ. გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამის განხორციელების შეფასება და 2022-2026 წწ. გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამის შემუშავება; ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაცია; მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) 15.1 და 15.5 ამოცანების შესაბამისად, ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ფარგლებში განხორციელებული მცენარეთა და ცხოველთა (მათ შორის საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობების) აღრიცხვის და მდგომარეობის შეფასების საფუძველზე მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა; მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) 15.1 ამოცანის შესაბამისად განხორციელდება: წითელი ნუსხის მიღმა დარჩენილი ცხოველთა სახეობების მდგომარეობის შეფასება, სანადირო სახეობებად განსაზღვრისა და რიგ შემთხვევაში დაცვის უფრო ქმედითი ზომების დანერგვა; მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) ნაციონალიზაციის პროცესში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მიმართულებით პრიორიტეტული ამოცანების განსაზღვრა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ქართული აგროსასურსათო პროდუქციის ცნობადობის ზრდა; დადგენილი მცენარეთა პოპულაციის რიცხოვნობა და სიმჭიდროვე საკვლევ ტერიტორიაზე და სამომავლო მონიტორინგის ჩატარების პერიოდულობა; მოპოვებული გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ ცხოველთა შერჩეული სახეობების შესახებ საბაზისო მონაცემები; წყალმცურავი ფრინველების შესახებ მოპოვებული მონაცემები; ეკონომიკური მნიშვნელობის მქონე მცენარეთა შერჩეული სახეობების განსაზღვრული ოდენობა.

	შემუშავებულია ლაგოდეხის, ბაწარას და ვაშლოვანას საიტების მართვის გეგმა; უსაფრთხოდ განთავსებული დარიშხანშემცველი ნარჩენი მასალები სოფელ ცანაში; დარიშხანშემცველი ნარჩენების შემცირებული ზემოქმედება გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - უზრუნველყოფილია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სფეროში დაგეგმილი პროგრამებისა და ღონისძიებების შეუფერხებელი განხორციელება. თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ ინფორმირებული და კვალიფიკაცია ამაღლებული ფერმერები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - წარმოებული სასაოფლო-სამეურნეო პროდუქციის რაოდენობა; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის მაჩვენებელი; შეფასებული ეკონომიკურად მნიშვნელოვანი მცენარეთა სახეობების პოპულაციები და დადგენილი მდგრადი მოპოვების კვოტები. დასრულებული სარკოფაგების რაოდენობა

გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა (31 01 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
აღწერა და მიზანი	აგრარული სექტორის და გარემოს დაცვის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრა და შესაბამისი პროგრამების შემუშავება; 2017-2021 წწ. გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამის განხორციელების შეფასება და 2022-2026 წწ. გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამის შემუშავება; სოფლის მეურნეობის განვითარების და სოფლის განვითარების სტრატეგიის შესაბამისად სამოქმედო გეგმების შემუშავება. . გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების მართვა და ადმინისტრირება; ასოცირების შესახებ შეთანხმების/ასოცირების დღის წესრიგის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) ნაციონალიზაციის პროცესში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მიმართულებით პრიორიტეტული ამოცანების განსაზღვრა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება; საერთაშორისო ორგანიზაციების საწევრო გადასახადის გადახდა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ორიენტირებულია თითოეული ქვეპროგრამის მიზნების გათვალისწინებით მათ მოსალოდნელ შუალედური შედეგების მიღწევაზე.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - უზრუნველყოფილია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სფეროში დაგეგმილი პროგრამებისა და ღონისძიებების შეუფერხებელი განხორციელება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) ნაციონალიზაციის პროცესში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მიმართულებით პრიორიტეტული ამოცანების განსაზღვრა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება; უზრუნველყოფილია 2017-2021 წწ. გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამის განხორციელების შეფასება და 2022-2026 წწ. გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამის შემუშავება; სოფლის მეურნეობის განვითარების და სოფლის განვითარების სტრატეგიის შესაბამისად სამოქმედო გეგმების შემუშავება; ასოცირების შესახებ შეთანხმების/ასოცირების დღის წესრიგის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების არანაკლებ 70 %-ით შესრულება (მ.შ. ADS 6.1.1 აქტივობა); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5 – 10 %; **შესაძლო რისკები** - აქტივობების განხორციელების პროცესში შესაბამისი პროცედურების და საკანონმდებლო ცვლილებების შესაძლო შეფერხება / გაჭიანურება

ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაცია (31 01 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
აღწერა და მიზანი	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელშეწყობით დაგეგმილი შემდეგი ღონისძიებები: საერთაშორისო გამოფენა ”GREEN WEEK“, გერმანიაში, ქ. ბერლინი (2020-2023) საერთაშორისო გამოფენა “ANUGA”, გერმანია, ქ. ბერლინი (2021, 2023) საერთაშორისო გამოფენა „FRUIT LOGISTICA” , გერმანია, ქ. ბერლინი (2020-2023); საერთაშორისო გამოფენა „BIOFACH”, გერმანია ქ. ნიუმბერგი (2020-2023); საერთაშორისო გამოფენა Caspian Agro, აზერბაიჯანი, ქ. ბაქო (2020-2023) საერთაშორისო გამოფენა „Riga Food”, ლატვია, ქ. რიგა (2020-2023)

	მეფუტკრეობის საერთაშორისო კონგრესი „Apimondia 2019“ კანადაქ. მონრიალი (2023) საერთაშორისო გამოფენა “EXPOVINA”, შვეიცარიის ქ. ციურიხი (2020-2023); ევროპის კულინარიის შესარჩევი კონკურსი, ესტონეთის ქ. ტალინი (2020); კულინარიის კონკურსი „ბოკუზ დორი“, საფრანგეთის ქ. ლიონი (2021). საქართველოში და საზღვარგარეთ საქართველოს საელჩოების მიერ ორგანიზებული საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი მიღებები, ყველისა და კულინარიის ფესტივალი, ჩაისა და თაფლის ფესტივალი, სოფლის მეურნეობის კვების მრეწველობის გადამამუშავებელი და შემფუთველი ტექნოლოგიების გამოფენა. ზემოხსენებული ღონისძიებები ხელს შეუწყობს ქართული პროდუქციის პოპულარიზაციას, დამატებითი გასაღების ბაზრების მოპოვებას, ბიზნეს კონტაქტების დამყარებას და საკვებ-პროდუქტების საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ქართული აგროსასურსათო პროდუქციის ცნობადობის ზრდა. აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის ხელშეწყობა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2019 წლის ბოლოს განხორციელდება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში 7 და ქვეყნის შიგნით 4 გამოფენა-დეგუსტაციის ღონისძიების მოწყობა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არანაკლებ 7 და ქვეყნის შიგნით 4 გამოფენა - დეგუსტაციის ღონისძიების მოწყობა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - ობიექტური მიზეზების გათვალისწინებით და ასევე, უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული კურსთა გაცვლით გამოწვეული მიზეზით, შესაძლებელია რიგი ღონისძიებების გაუქმება/ დამატება და/ან ჩანაცვლება სხვა ღონისძიებებით

ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვის ღონისძიებები (31 01 03)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
აღწერა და მიზანი	თეთრყვავილას შერჩეული პოპულაციების შესახებ საბაზისო ინფორმაციის მოძიება რესურსის მოპოვების ზეგავლენის დადგენის მიზნით, მისი მდგრადი მოპოვების კვოტების დასადგენად;

	შერჩეულ ცხოველთა სახეობების მონიტორინგი; წყალმცურავი ფრინველების აღრიცხვა და მონაცემთა ანალიზი; ეკონომიკური მნიშვნელობის მქონე მცენარეთა სახეობების რესურსის წინასწარი შეფასება; საქართველოში გავრცელებული უცხო, ინვაზიური სახეობებისა და ქვესახეობების პოპულაციების მდგომარეობის შესწავლა; შეფასება და პრევენციული ღონისძიებების შემუშავება, ზურმუხტის ქსელის შერჩეული ვებგვერდის მართვის გეგმების შემუშავება; მტაცებლებისგან (მგელი, ტურა, დათვი) მოსახლეობის დაცვის ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	დადგენილი მცენარეთა პოპულაციის რიცხოვნობა და სიმჭიდროვე საკვლევ ტერიტორიაზე და ზურმუხტის ქსელის საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება; რესურსის შეფასების საფუძველზე დადგენილი თეთრყვავილას მოპოვების მგრადი კვოტა; საერთაშორისო ვაჭრობისთვის მნიშვნელოვან მცენარეთა სახეობების რესურსის მდგრადი მოპოვების მიზნით ბაზრის ჩამოყალიბება; სარწმუნო მონაცემები მტაცებლების (მგლის, დათვის, ტურის) პოპულაციების რიცხოვნობისა და გავრცელების შესახებ.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ზურმუხტის ქსელში ჩართულია 39 ტერიტორია, მათგან 5 ტერიტორიისათვის მზადდება მართვის გეგმა, მოსამზადებელია მართვის გეგმები 34 ტერიტორიისათვის; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მომზადებულია მართვის გეგმა 7 დამტკიცებული ტერიტორიისათვის; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - 1.კვლევის განხორციელების სეზონურობის გათვალისწინებით ტენდერის გამოცხადების დაგვიანება 2.კვლევის განმახორციელებელი კვალიფიციური ორგანიზაციების მიერ ტენდერში მონაწილეობაზე უარი **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - რესურსის ადეკვატური შეფასების გარეშე, ყოველწლიურად საექსპორტოდ მოიპოვება თეთრყვავილას: 1. 5-10 მლნ ბოლქვი კერძო ნაკვეთებიდან 2. 15 მლნ ბოლქვი ველური პოპულაციებიდან; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 1. პოპულაციებზე მოპოვების ზეგავლენის შესახებ კვლევის 1 წლის მონაცემები. 2.

	რეკომენდაციები რესურსის შემდგომი მოპოვების თაობაზე. 3. თეთრყვავილას მდგრადი მოპოვების კვოტა 2021 წლისათვის 4. თეთრყვავილას მდგრადი მოპოვების ადეკვატური დასაბუთება იმპორტიორი ქვეყანისთვის 4.1 იმპორტიორი ქვეყნის მიერ გაცემული იმპორტის ნებართვების რაოდენობა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5 %; **შესაძლო რისკები** - 1. კლიმატური პირობები 2. კვლევის განმახორციელებელი კვალიფიციური ორგანიზაციების მიერ ტენდერში მონაწილეობაზე უარი **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - 1. უცნობია მგლის, დათვის და ტურის პოპულაციების რიცხოვნობა 2. მტაცებლების გახშირებული თავდასხმები მოსახლეობაზე და პირუტყვზე ხუთ პრობლემურ მუნიციპალიტეტში; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მგლის, დათვის და ტურის პოპულაციების კვლევის დასრულება 5 მუნიციპალიტეტისათვის; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10 %; **შესაძლო რისკები** - 1. კვლევის განხორციელების სეზონურობის გათვალისწინებით ტენდერის გამოცხადების დაგვიანება; 2. კვლევის განმახორციელებელი კვალიფიციური ორგანიზაციების მიერ ტენდერში მონაწილეობაზე უარი

დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (31 08)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო
აღწერა და მიზანი	დაცული ტერიტორიების ქსელის განვითარება - ტერიტორიების განვითარება-გაფართოება, ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტებისა და ცოცხალი ორგანიზმების დაცვა/მოვლა/აღდგენა; დაცული ტერიტორიების სისტემის მართვა, დაცვა/მონიტორინგი - დაცული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა, მეთვალყურეობა, არსებული ინფრასტრუქტურული ელემენტებისა და ბუნებრივი რესურსების დაცვა/მოვლა/შენარჩუნება; დაცული ტერიტორიების ტყეების სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება - დაზიანებული ფართობების აღდგენა და შესაბამისი მეთოდებით მავნებლებთან ბრძოლა; დაცულ ტერიტორიების დაცვა, ხანძრების პრევენცია - საჭირო აღჭურვილობის გამოყენება და ხანძრის გავრცელების საშიშროების აღკვეთა, დაცულ ტერიტორიებზე გადადგილების და ქცევის წესების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობა; ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა - ტყეების ინვენტარიზაცია და მართვის გეგმების მომზადება;

	დაცული ტერიტორიების პოპულარიზაცია, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება; ეკოტურიზმის განვითარება - ეკოტურისტული სერვისების დანერგვა-განვითარება და ვიზიტორების მოზიდვა-დაინტერესება.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	განვითარებული დაცული ტერიტორიები, დაცული/აღდგენილი ბუნებრივი ეკოსისტემები, ლანდშაფტები და ცოცხალი ორგანიზმები; გაძლიერებული და განვითარებული დაცული ტერიტორიების სისტემის დაცვის მექნიზმები, დაცული არსებული ინფრასტრუქტურა და ბუნებრივი რესურსები; გაუმჯობესებული დაცული ტერიტორიების სანიტარული მდგომარეობა, აღდგენილი დაზიანებული ფართობები, განხორციელებული მავნებლებთან ბრძოლის მეთოდები; დაცულ ტერიტორიებზე ხანძრების პრევენციის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შედეგად ხანძრის გავრცელების შემცირებული რისკები; ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა, დაცული ტერიტორიების ტყეებში ჩატარებული ინვენტარიზაცია და შემუშავებული მართვის გეგმები; დაცული ტერიტორიების პოპულარიზაციის შედეგად სამიზნე ჯგუფების მიხედვით გამართული საინფორმაციო შეხვედრები და ეკოსაგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეთა ზრდის ტენდენცია, მომზადებული და გავრცელებული ეკოსაგანმანათლებლო მასალები; განვითარებული ეკოტურიზმი - განვითარებული ეკოტურისტული სერვისები და ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა, ვიზიტორთა რაოდენობის ზრდა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი -** დაცული ტერიტორიების გაფართოების მიზნით მინიმუმ 2 დაცული ტერიტორიის - რაჭისა და ერუშეთის დაცული ტერიტორიების დაარსება და განვითარება - ადმინისტრაციების შექმნა, რომლებიც სრულად აღიჭურვება და იფუნქციონირებს სრულფასოვნად; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2020 -2021 წლებში შექმნილი და მოწყობილი 2 დაცული ტერიტორიის - რაჭისა და ერუშეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციები მ.შ. საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა (NEAP -3) – 2017-2021 წწ სამოქმედო გეგმის ფარგლებში შექმნილი და მოწყობილი 2 დაცული ტერიტორიის - რაჭისა და ერუშეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციები; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 7%; **შესაძლო რისკები -** შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების მიღების დროში განვრცობა; ადმინისტრაციის

	სრულყოფილად ფუნქციონირებისათვის საჭირო ადამიანური და ფინანსური რესურსების არასაკმარისი ოდენობა **2.** **საბაზისო მაჩვენებელი** - დაცული ტერიტორიების სისტემის დაცვა / მონიტორინგის, ტერიტორიაზე უკანონო შეღწევის აღკვეთისთვის: დამონტაჟებულია მინიმუმ 80 ახალი ფოტოხაფანგი; დაცულ ტერიატორიაზე ეტაპობრივად მოწყობილი/განახლებული მინიმუმ 16 ერთეული რეინჯერთა სადგური, ან დაცვის ხერგილი/ ბარიერი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - დამონტაჟებული მინიმუმ 80 ახალი ფოტოხაფანგი; მოწყობილი/განახლებული მინიმუმ 16 ერთეული რეინჯერთა სადგური, ან დაცვის ხერგილი/ ბარიერი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით ან არაჯეროვნად შესრულება **3.** **საბაზისო მაჩვენებელი** - დაცული ტერიტორიების სანიტარული მდგომარეობის კონტროლის განხორციელება და მინიმუმ 5 (ხუთ) დაცულ ტერიტორიაზე დაზიანებულ უბნებში (ბორჯომ-ხარაგაულის, ყაზბეგის, მაჭახელას, ფშავ-ხევსურეთის, ჭაჭუნას დაცული ტერიტორიები) მავნებელ დაავადებათა გავრცელების წინააღმდეგ შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მინიმუმ 5 დაცულ ტერიტორიაზე მავნებელ-დაავადებათა პროგრესირების შემცირებული მაჩვენებელი, ტყეების გაუმჯობესებული სანიტარული მდგომარეობა დაზიანებული ტყის ფართობის 60 %-ზე; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დამოკიდებულია დაავადების გავრცელების ინტენსივობაზე; **შესაძლო რისკები** - მავნებელი მწერებისა და სოკოვანი დაავადებების გავრცელების ინტენსივობა, სხვადასხვა ანთროპოგენური ფაქტორების გამო ახალი (ინვაზიური) მავნებელი სახეობების გავრცელება საქართველოში. აქედან გამომდინარე, გაზრდილია ტყის ეკოსისტემების დაზიანების რისკი **4.** **საბაზისო მაჩვენებელი** - ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის მიზნით - დაცული ტერიტორიების ტყეების ინვენტარიზაცია და შესაბამისი მართვის გეგმების შემუშავება 4 დაცულ ტერიტორიაზე (ბორჯომ-ხარაგაული, მტირალას, ლაგოდეხისა და კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზე); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ჩატარებულია ტყის ინვენტარიზაცია და მომზადებულია ტყის მართვის გეგმები 4 დაცული ტერიტორიისთვის; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5 %; **შესაძლო რისკები** - ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაგვიანებით ან/და არაჯეროვნად შესრულება; კვალიფიციური ტაქსატორების მცირე რაოდენობა **5.** **საბაზისო მაჩვენებელი** - დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა მოზიდვის და მათთვის დაცული ტერიტორიების სააგენტოს პროდუქტების/სერვისების შესახებ ინფორმაციის მიწოდებისათვის აუცილებელია სარეკლამო-საინფორმაციო კამპანიების წარმოება (საინფორმაციო მასალები, მანიშნებლები, რეკლამა ინტერნეტში, სოციალურ ქსელებში, ვებ გვერდებზე და ა.შ.); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სამიზნე ჯგუფებში 20%-ით ამაღლებული საზოგადოებრივი ინფორმირებულობის და ცნობადობის დონე (ვებგვერდისა და ,,ფეისბუკ“ გვერდის ნახვის რაოდენობა); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5 %;

	შესაძლო რისკები - ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაგვიანებით ან/და არაჯეროვნად შესრულება 6. **საბაზისო მაჩვენებელი** - დონორების დაფინანსებით დაცული ტერიტორიების განვითარება (CNF) - ხორციელდება 10 დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციებისთვის საოპერაციო ხარჯების დაფინანსება, ოცივე ადმინისტრაციის 524-მდე თანამშრომელი უზრუნველყოფილია სოციალური გარანტიებით და სახელფასო დანამატით, მოწყობილია მცირე ინფრასტრუქტურა ცალკეულ დაცულ ტერიტორიებზე; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - კეთილმოწყობილი დაცული ტერიტორიების 10 ადმინისტრაციის ინფრასტრუქტურა, სოციალური გარანტიებით უზრუნველყოფილი 20 ადმინისტრაციის თანამშრომლები; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 3 %; **შესაძლო რისკები** - ცვლილებები დონორი ორგანიზაციის პრიორიტეტებში

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მიმართულებით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის და განათლება მდგრადი განვითარებისთვის ხელშეწყობის პროგრამა (31 11)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განთლების ცენტრი
აღწერა და მიზანი	საზოგადოების გარემოსდაცვითი და აგრარული განათლების ხელშეწყობა და ცნობიერების ამაღლება, შესაბამისი ინფორმაციისა და ცოდნის უზრუნველყოფა მდგრადი განვითარების და ბუნებასთან ჰარმონიული ცხოვრების წესის შესახებ; გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; მონაცემების სისტემატიზაციის, მათზე ხელმისაწვდომობის გაზრდისა და გამარტივების მიზნით ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და მონაცემთა ერთიანი სისტემის უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საზოგადოებაში გაზრდილი ცნობიერება და განათლების დონე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მიმართულებით, საზოგადოების გარემოსდაცვითი და აგრარული საკითხებისადმი შეცვლილი ქცევა არაფორმალური და არაოფიციალური საგანმანათლებლო პროგრამების მეშვეობით, რომლებიც მოიცავს მდგრადი განვითარების საკითხებს; ინფორმირებული საზოგადოება და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში გაზრდილი ჩართულობა; შექმნილი და განვითარებული ინფორმაციული ტექნოლოგიები და ელექტრონული სისტემები.
საბოლოო შედეგის შეფასების	1.

